# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

36 გვ

№ 12 (362) ◆ 25 – 31 მარტი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## რუსეთს დამშვიდების უფლება არ უნდა მივცეთ!



— მოქალაქეს უნდა მიეცეს უფლება იმისა, რომ ვთქვათ, მე, ნოდარ ნათაძემ, შეიძლება, მოვითხოვო, მაგალითად, ადეიშვილისგან, რომელმაც ფლოტი გაყიდა, იმდენი თანხის გადახდა, რამდენიც ჩემი, როგორც მოქალაქის, წილი იდო იმ ფლოტში... მეორეც, — ქურდი იქ კი არ უნდა დაიჭირო, სადაც ხარჯავს ნაქურდალს, არამედ იქ, სადაც იპარავს...

— ჩემს კოლეგა-მეცნიერს ამერიკაში აჩვენეს ინფორმაცია კონკრეტული გვარებით, საბანკო ანგარიშებითა და იმ ფინანსური მაქინაციების შესახებ, ამა თუ იმ კორუმპირებულმა ქართველმა ჩინოვნიკმა, მინისტრმა სად და როგორ რა მოიპარა. ეს ინფორმაცია თავისი მასშტაბით აღემატება ყველაფერ იმას, რაც საქართველოში ვინმემ დღეს იცის...

გვ.3

## მაღალ დონეზე ჩაფიქრებული აფერა თუ ხალხზე ზრუნვა?



„გალუსტიანის ამ წერილში პირდაპირაა მითითებული, რომ 110-კილოვოლტიანი ხაზი გაყვანილია აშოცკიდან ნინოწმინდამდე. არადა პრეზიდენტებისა და შემდგომ მინისტრების შეთანხმებაში ყველგან დაფიქსირებულია ლენინაკანი-ხაშური. გალუსტიანი ცრუობს, როცა ასახელებს თითქოსდა არსებულ ხელშეკრულებას, რომელიც მინისტრების შეთანხმების შემდგომ დაიწერა“.

„ხარჯთაღრიცხვა არ შეიძლება შეადგენდეს 500 ათას დოლარზე მეტს. სომხეთის რესპუბლიკა კი საქართველოსათვის არაფრისმომტან ელექტროგადამცემ ხაზში 1 მილიონ 74 ათას დოლარს ითხოვს.“

„ისმის კითხვა, რისთვის უნდა სჭირდებოდეთ სომხეთის ხელისუფალთ ენერგოავტონომიის მოპოვება სამცხე-ჯავახეთში?“

გვ.6

## ინტერპოლის უფროსი – თბილისის პოლიციის ახალი შეფი?!

ერთ-ერთი ინფორმაციით, ბაკურაძესა და ნარჩემაშვილს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

რასაკვირველია, პოლიციის გენერლები მათ შორის რაიმე დაძაბულ ურთიერთობაზე ოფიციალურად არასოდეს განაცხადებენ...

გვ.5

## პუსკაი ბუშ უ მენია ნაუჩიტსია...



— როდესაც მილიონიან ბომბებს ამზადებ, ეს რატომ არ გახსოვს, ცივილიზებულო და დემოკრატიულო ამერიკავ?!

— ამიტომაც ვგმობ მის პოლიტიკას, ისევე, როგორც ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკას

— შევარდნაძე საბჭოთა კავშირის დროსაც მონა იყო და არა კომუნისტი. ახლაც მონა დარჩა...

— ამერიკამ მე ომი როგორ უნდა მასწავლოს...

— კარდაკარ, კორპუსებში, სახლებში ინდივიდუალნიმ ი გრუპავიმ სპოსობომ აგიტაცია უნდა ჩავატაროთ.

გვ.5,7

## თემურ ხაჩიშვილი ბათუმში გადაჰყავთ?!

ცხელი აპრილის მოლოდინში

გვ.5

თუ ხაჩიშვილის ეტაპირება მართლაც მოხდა აჭარაში (და ეს არცთუ დიდი ხნის შემდეგ, აპრილის თვეშია მოსალოდნელი), არ არის გამორიცხული, ჯამლეთ ბაბილაშვილის, ავთანდილ იოსელიანის და შოთა კვირაიას პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას. ისე, ხაჩიშვილი შევარდნაძის გვარსაც ასახელებს.

## თბილისიდან წავალ და ასეთ ხელშეკრულებას არ გავაფორმებ, იდიოტის როლში არ გამოვალ

### ინტერვიუ ეი-ი-ეს-ის შეფთან



— ხალხი მართლაც იხდის იმას, რასაც მრიცხველი აჩვენებს. მრიცხველი კი რეალურად მიწოდებული ელექტროენერგიის 20%-ს აჩვენებს. 80%-ს იპარავენ.

— აქედანვე ვიცით, რომ ამ თანხის ძალიან დიდი ნაწილი ამოუღებადია. ფული დახარჯულია და ვშიშობ, დაკარგულიც.

— საგადასახადო ლამის საკუთარ საცვალსაც მიმოწმებდა...

გვ.13

— მიკვირს, რატომ მტრობთ ასე საკუთარ თავს?!

— ბიზნესის საკეთებლად ძალიან რთული ქვეყანა ხართ

## განგაში – პატარა მეძავები!

### შინ რომ დავბრუნდი, დედაჩემი ჩემს ქმართან იწვა



— *იმ კაცმა ძალა იხმარა შენზე?*

— კი და თან გასათიში წამლები დამალევინა. მეორე დღეს მოვედი გონზე და გამოვიქეცი სახლიდან...

*ინტერნეტში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს ქართული სექს-საიტები ბორდელების ჩამონათვალით, მათი ადგილმდებარეობისა და მომსახურების ფასების მითითებით.*

საქართველოში ფარულად მოჯამაგირის ინსტიტუტი უკვე ჩამოყალიბებულია, თუმცა მათ არც მოჯამაგირეები და არც ხელის მუშები არ ჰქვიათ...

გვ.11,13

## ვერსია

გვ.10

## ვინ შეეცადა აღედგინა ადამიანებით ვაჭრობა ანუ მოგზაურობა კაკაბეთის ზარების რისხვის მიღმა

ნუთუ გაგვასწრეს გარეწრებმა, ფიქრობდნენ სამართალდამცველები და თან ჩქარობდნენ, რომ როგორმე გვირაბის მეორე ბოლოსათვის მიეგნოთ. მაგრამ გვირაბი შემოდგომის წვიმების შემდეგ სანახევროდ წყლით იყო სავსე, ძაღლიც კი არ შევიდა შიგ. შესაძლოა, მის გადასალახავად ძებნილებმა ჩაყვინთეს კიდეც... სად უნდა ამომძვრალიყვნენ, ჯერჯერობით, ვერ გაერკვიათ.

ისევ შეინძრა ფეხქვეშ მიწა. ხის ტოტები, რომელზეც წამის წინ იდგა, გადაიწია და მიწიდან რაღაც გაურკვეველმა არსებამ ამოჰყო თავი. ცოტაც და, ალბათ იღრიალებდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს არსება უფრო ადამიანს წააგავდა, ხოლო ადამიანებისა თენგიზს ნამდვილად არ ეშინოდა.

გვ.10

## ნამდვილი ამბები:

გვ.17

### ალექსანდრე III და ქართული ცხვრის რჩეული ფარა

არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, გუგუდაანთ პავლეს რომ არ ემარჯვა...


## რამდენი ხანია გულიანად აღარ გაგვიცინია!





## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## კიდევ ერთი მიზეზი ანტიქართული კამპანიისთვის

მორიგი ანტიქართული კამპანია გაჩაღდა რუსეთში გალის რაიონში რუსი სამშვიდობოების გატაცების ფაქტთან დაკავშირებით — მიუხედავად იმისა, რომ გატაცებული 4 რუსი სამხედრო უვნებლად ჩააბარეს პატრონს, რამდენიმე დღით ადრე, თავად სამშვიდობო ძალების მიერ დაჭრილ-დატყვევებული ქართველების გათავისუფლების სანაცვლოდ (ისინი რუსებმა აფხაზებს გადასცეს, რისი უფლებაც არ ჰქონდათ). რუსებმა მომხდარში „ტყის ძმები“ დაადანაშაულეს და მათ ტერორისტები უწოდეს, თუმცა პარტიზანთა ლიდერმა დათო შენგელიამ კატეგორიულად უარყო ინციდენტი და რუსების გატაცებასთან პარტიზანების რაიმე კავშირი.

## პრეზიდენტმა სოლანას ვერაფერი დააცდენინა

წარმატებით ჩატარდა პრეზიდენტ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი ევროკავშირსა და ნატოში, რომლის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას შევარდნაძე ხუმრობით ხშირად მიანიშნებდა მასმედიას, რომ საუბარი იყო ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს რაც შეიძლება მალე გაწევრებაზე. თუმცა პრეზიდენტმა ერთხელ ისიც თქვა, „ბევრი ვეცადე, ხავიერ სოლანასთვის წამომეცდევინებინა, თუ როდის მიიღებენ ევროკავშირში საქართველოს, მაგრამ ვერაფრით ვათქმევინეო...“ ამ განცხადების მოსმენისას მის გვერდით მდგარი ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა სიცილით ჩაბჟირდა, შევარდნაძემაც გულიანად გადაიხარხარა...

კონკრეტულად კი, ვიზიტის შედეგების შეჯამებისას, ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტისგან საინტერესო რეკომენდაციები მიიღო კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და რომ ევროკავშირი საქართველოს მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს კონტრტერორისტული ოპერაციების განხორციელებაში; რომ ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის მიმართულებით გაფართოებას გეგმავს. მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს მანამ არავინ მიიღებს ამ უმძლავრეს ორგანიზაციაში, სანამ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები მაინც არ განხორციელდება! შევარდნაძეს გამოსვლა ჰქონდა ევროპარლამენტშიც, სადაც ამ ავტორიტეტულ ფორუმს არაორაზროვნად მიანიშნებდა — დაგვიცავით რუსეთისგან და დააჩქარეთ ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრირებაო!

## ჩვენი მეგობარი გენშერი და რობერთსონი

ვიზიტის დროს შევარდნაძე ნატოს გენერალურ მდივან ლორდ ჯორჯ რობერთსონსაც შეხვდა, რომელმაც დააფიქსირა ნატოს პოზიცია: „ჩვენი აზრით, — თქვა რობერთსონმა, — ყველაზე ოპტიმალური გზა, რომლითაც საქართველო გაუმკლავდება ტერორიზმის პრობლემას არის ის, რომ შექმნას საკუთარი მძლავრი შეიარაღებული ძალები და აღკვეთოს ქვეყნის შიგნით არსებული და გარედან მომდინარე საფრთხეები. ამ საქმეში ნატო მრავალმხრივ დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს“. რაც შეეხება საქართველოს ნატოში გაწევრების პერსპექტივას, ლორდ რობერთსონმა დელიკატურად აარიდა თავი ამ თემაზე საჯაროდ რაიმეს თქმას და მხოლოდ ის განაცხადა, რომ მიმდინარე წელს პრაღაში დაგეგმილ ნატოს სამიტზე დაისმება ალიანსში ცხრა ახალი ქვეყნის მიღების საკითხი! ამ ცხრა ქვეყანას შორის კი საქართველო, რა თქმა უნდა, არ არის. ჩვენი ქვეყანა, როგორც ჩანს, მხოლოდ 2005 წლისთვის მიუკაკუნებს ნატოს კარს... ევროკავშირსა და ნატოში სტუმრობამდე პრეზიდენტი შევარდნაძე ერთი დღით ეწვია გერმანიას, სადაც მონაწილეობა მიიღო ძველი მეგობრის ჰანს დიტრიხ გენშერის დაბადების 75 წლისთავისა და მისი პოლიტიკიდან გაცილების გრანდიოზულ ცერემონიალში, სადაც ედუარდ შევარდნაძეს, როგორც გერმანიის ერთ-ერთ გამაერთიანებელს, კვლავაც ბევრი ხოტბა-დიდება უძღვნეს!

## როგოზინ-პასტუხოვის ტანდემი კვლავ აქტიურობს

რუსეთის დუმამ ერთხმად მიიღო კიდევ ერთი დადგენილება საქართველოს შესახებ, რომელიც დუმას დასამტკიცებლად კვლავ შეუგდო როგოზინ-პასტუხოვის ტანდემმა. რუსები უკვე აღარ მალავენ იმას, რომ თუ საქართველო ძალისმიერი გზით აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთი სრულიად დაკარგავს თავის გავლენას სამხრეთ კავკასიაში, ამიტომ არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა დავუშვათო! რუსეთის დუმის დადგენილებით, დეპუტატთა დელეგაციები გაიგზავნებიან სოხუმსა და ცხინვალში ვითარების შესასწავლად(!). დუმა ასევე მიმართავს პრეზიდენტ პუტინს ოფიციალური თბილისის წინაშე დასვას პანკისის ხეობაში ანტიტერორისტულ ოპერაციაში რუსეთის მონაწილეობის საკითხი. ამ მოთხოვნას რუსი დეპუტატები პანკისში რუსეთის მოქალაქეების (ჩეჩენი ლტოლვილების) ყოფნით ხსნიან(!). როგორც ამბობენ, რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთში მყოფი რუსი სამშვიდობოების ხელფასების გაზრდაც გადაწყვიტა.

საქართველოს ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონაში რუსეთის მხრიდან კონტროლის გაძლიერების და შენარჩუნების მცდელობად შეაფასა. ოფიციალური თბილისი ასევე აღაშფოთა სოხუმში რუსეთის გენერალიტეტის მაღალჩინოსანთა ჩასვლამ. ისინი აფხაზეთში შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას სწავლობენ, აძლიერებენ სამშვიდობო ძალებს და სამხედრო თვითმფრინავებით გუდაუთის აეროდრომზე იარაღი ჩააქვთ...

## „მოქკავშირს“ გაოპოზიციონერება არ ეღირსება(!)

გასულ კვირას „მოქალაქეთა კავშირის“ ლევან მამალაძისეულმა ფრთამ „მეტეხი-პალასში“ გამართა პრესკონფერენცია, სადაც ქვემო ქართლის გუბერნატორის გვერდით „მოქკავშირის“ სამხარეო ორგანიზაციების ლიდერები, მედეა მეზვრიშვილის თავკაცობით, გამგებლები და რწმუნებულებიც იყვნენ. მათი რისხვა მიმართული იყო ზურაბ ჟვანიასკენ, რომელმაც, როგორც პარტიის დროებითი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, პარტიის რამდენიმე სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუჩერა. ისინი დაემუქრნენ ჟვანიასა და მის გუნდს, რომ უკან არ დაიხევენ, იბრძოლებენ ბოლომდე და „მოქკავშირს“ გაოპოზიციონერებას არ აღირსებენ. ამ ხალხმა ლამის ფიცი დადო, რომ ბოლომდე უერთგულებენ ედუარდ შევარდნაძეს!

ჟვანიას გუნდი კვლავ ირწმუნება, რომ გამგებლებიც და რწმუნებულებიც სახელმწიფო კანცელარიიდან იმართებიან და ამ ხალხს შორის ბევრია დისკრედიტებული და კორუმპირებული პირი. მიხეილ მაჭავარიანმა კი „მეტეხი-პალასში“ შეკრებილ „თანაპარტიელებს“ ოდიოზური ფიგურები უწოდა.

## „მსგავსი რამ 100%-ით გამორიცხულია“

აწეწილ-დაწეწილი „მოქალაქეთა კავშირის“ შემყურე პრეზიდენტ შევარდნაძეს ახალი დასაყრდენი ძალა გამოუჩნდა ქართველ ბიზნესმენთა სახით, რომელთა შორის პირველად საჯაროდ გამოჩნდა ბადრი პატარკაციშვილი. გადამხდელთა კავშირში ბიზნესმენებმა პრეზიდენტს შეხვედრა მოუწყვეს და არამხოლოდ ერთგულება შეჰფიცეს, არამედ კომპანია „კოკა-კოლას“ აქაურმა პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ სრულიად სერიოზულად დასვა საკითხი — შევარდნაძისთვის საპრეზიდენტო ვადის მინიმუმ ორი წლით გაგრძელების შესახებ, რასაც დამსწრე ბიზნესმენთაგან ბევრმა გულმხურვალედ დაუჭირა მხარი. ამ ინიციატივას შევარდნაძე მადლიერებით შეხვდა, თუმცა კატეგორიულად განაცხადა, რომ „მსგავსი რამ 100%-ით გამორიცხულია და დარჩენილ დროში ჩემი მთავარი საზრუნავი იქნება ღირსეული მემკვიდრე შევთავაზო ქართველ ხალხს!“ გადამხდელთა კავშირში გამართული ეს შეხვედრა იმითაც იყო საგულისხმო, რომ სიტყვით გამოვიდა ბადრი პატარკაციშვილი. მან დაგმო ქართულ მასმედიაში პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოთქმული „ულამაზო და უსაფუძვლო ბრალდებები“, რომელსაც, მისი თქმით, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს, რაც მიუღებელია და ამიტომ ბიზნესმენებმა ხმა უნდა აღიმაღლონ ამის წინააღმდეგო!

პატარკაციშვილმა ისიც ბრძანა, რომ აუცილებელია თამაშის ახალი წესები დავამკვიდროთ და ამ წესებს დავემორჩილოთ ყველა! „თუ ამას გავაკეთებთ, — თქვა მან, — საქართველოში შემოვიყვან უმსხვილეს ინვესტორებს, რომლებიც ქართულ ბიზნესში ასეულობით მილიონ დოლარს დააბანდებენ!“ იქვე გაისმა ხმები, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენებმაც უნდა გამოიღონ ამ საქმისთვის ხელი, მზადაც არიან ინვესტიციების განსახორციელებლად, ოღონდ საჭიროა აქ დროულად დავამყაროთ წესრიგიო.

## სააკაშვილი ოპტიმისტურადაა განწყობილი

დიდი აყალმაყალით წარიმართა პარლამენტში მიხეილ სააკაშვილის მიერ წარდგენილი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ კანონპროექტის განხილვა. კანონპროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს „აღორძინებამ“ და ვახტანგ რჩეულიშვილმა, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა ამ მხრივ. საინტერესოა, რომ სააკაშვილის ამ კანონპროექტის მიღებას „რიგი შესწორებებისა და წინადადებების შეჯერებით“ მხარი დაუჭირეს სააკაშვილთან დაპირისპირებულმა „ახალმა მემარჯვენეებმა“, „თანადგომამ“, სხვა ფრაქციებმა და მართალია ხანგრძლივი დებატების შემდეგ გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა, მიხეილ სააკაშვილი მაინც კმაყოფილი და ოპტიმისტურად განწყობილია. ერთი სიტყვით, პარლამენტს აუცილებლად მიაჩნია ასეთი კანონის არსებობა: დებატები კვლავაც გაგრძელდება და მიხეილ სააკაშვილს დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ შეჯერებული კანონპროექტის გასატანად მინიმუმ 79 დეპუტატის ხმა დასჭირდება, რომლის მოგვარებაც „მოქალაქეების“, „მრეწველების“, „ტრადიციონალისტების“, „ახალი მემარჯვენეების“, საკუთარი ფრაქციისა და კიდევ რამდენიმე დეპუტატის წყალობით მას ალბათ არ გაუჭირდება, თუმცა ვინ იცის?! მიმდინარე კვირაში პარლამენტი იუსტიციის სამინისტროში შემუშავებული ალტერნატიული კანონპროექტის განხილვასაც დაიწყებს.

## აფეთქება თემქაზე

თემქის დასახლებაში ცხრასართულიან საცხოვრებელ კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის გამო ძლიერი აფეთქება მოხდა. ჩაინგრა კორპუსის მე-8-9 სართულები. მძიმედ დაშავდა ერთი კაცი.

ექსპერტები აღიარებენ, რომ დიდ მსხვერპლს კორპუსის მცხოვრებლები სასწაულით გადაურჩნენ. აფეთქება ერთ-ერთ ბინაში მოხდა, სადაც სარემონტო სამუშაოები ტარდებოდა და ერთი ხელოსანი იმყოფებოდა. სწორედ ამ ხელოსანმა მიიღო ძლიერი დამწვრობა. მიმდინარეობს გამოძიება.

## ქართველი მებაჟეები დამოუკიდებლად იმუშავებენ

თავის დროზე საქართველოში დიდი ხმაურით შემოსული ბრიტანული კომპანია „აი-თი-ეს“-ი აპრილიდან ტოვებს ჩვენს ქვეყანას. მას აქ მუშაობის ვადა ეწურება და საქართველოს ხელისუფლებაც უკმაყოფილოა ამ კომპანიის საქმიანობის შედეგებით. 1-ელი აპრილიდან ქართველი მებაჟეები დამოუკიდებლად გააგრძელებენ მუშაობას და იმავდროულად ამ სისტემაში მასშტაბური რეფორმაც დაიწყება... შეგახსენებთ, რომ საქართველოში შემოსვლისთანავე ბრიტანულმა კომპანიამ შემოსავლების გაზრდა, კონტრაბანდის აღმოფხვრა და ქართველ მებაჟეთა კადრების მომზადება ივალდებულა, რომელთაგან პრაქტიკულად არც ერთი არ შესრულებულა. დღეს კი ქართული მხარე საბაჟო სისტემაში რეფორმას გამოცდების ჩატარებით აპირებს. გამოცდების შემდეგ საქართველოში სულ 1000 მებაჟეღა დარჩება! „აი-თი-ეს“-ის წასვლას საქართველოდან მიესალმნენ პარლამენტში და გაიძახიან, ბრიტანული კომპანია აქამდეც უნდა გაგვეგდო ქვეყნიდანო! პარლამენტარი ნოდარ ჯავახიშვილი კი აცხადებს, საქართველოსთვის მიყენებული ზარალისთვის „აი-თი-ეს“-ის შემომყვანი ქართველი ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას, რომლებმაც დანაშაულებრივი ხელშეკრულება გააფორმეს ბრიტანულ კომპანიასთანო!

## „იტერას“ ნაცვლად „ტაპალი“

მრავალტანჯული „თბილგაზი“, როგორც იქნა, გაიყიდა და მისი მფლობელი გახდა არა რუსული „იტერა“, რისიც ასე ეშინოდა ქართველ საზოგადოებას, არამედ ისრაელის ფირმა „ტაპალი“. ქართული მხარის ძირითადი მოთხოვნები ამ უცხოურმა ფირმამ მთლიანად დააკმაყოფილა და სატენდერო კომისიამაც მოიწონა მისი ბიზნესგეგმა. ინვესტორი 5 წლის მანძილზე „თბილგაზში“ 75 მილიონ დოლარს დააბანდებს, რაც ბუნებრივი გაზის ტარიფს უმნიშვნელოდ გაზრდის. ამასთან, ებრაული კომპანია „თბილგაზის“ 50-მილიონიან დავალიანებასაც დაფარავს.

## მასმედიასთან ურთიერთობა აკრძალულია!

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მკაცრად გასაიდუმლოებული ვიზიტით სტუმრობენ ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულების სარდლობის მაღალჩინოსანი წარმომადგენლები. ისინი შეხვედრებს კონფიდენციალურად მართავენ. გაირკვა, რომ ნატოს სარდლობამ მათ კატეგორიულად აუკრძალა ქართულ მასმედიასთან ყოველგვარი ურთიერთობა. ცნობილი გახდა, რომ ნატოელმა სამხედროებმა დაათვალიერეს ვაზიანის ბაზა, სადაც ზაფხულში ერთობლივი სწავლების ჩატარებაა დაგეგმილი, რომელშიც 16 ქვეყნის საჯარისო ქვედანაყოფები მიიღებენ მონაწილეობას...

## ჯექსონმა წერეთელს მონუმენტი შეუკვეთა

ცნობილი სკულპტორი ზურაბ წერეთელი აღშფოთებულია რუსულ პრესაში მის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიით და აპირებს ცილისმწამებლებს სასამართლოში უჩივლოს.

აღშფოთების მიუხედავად, წერეთელი რუსულ მასმედიას მაინც არ გაურბის და სამომავლო გეგმებსაც აცნობს. მოსკოვში ჭორი გავრცელდა, რომ წერეთელს მორიგი გრანდიოზული ჩანაფიქრი აქვს — თითქოს მდინარე მოსკოვზე ნიკიტა მიხალკოვის უზარმაზარ ქანდაკებას დგამს. რეჟისორის ქანდაკება თურმე მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე „გადადგამს“ ნაბიჯს. თავად წერეთელი ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს, თუმცა თავად იდეაზე სიამოვნებით ლაპარაკობს:

— ვნახოთ, როგორ განხორციელდება ჩანაფიქრი. მთავარია, რომ ეს ხელოვნებაა... არ გახსოვთ, ომის დროს ხელოვნების ნიმუშების გაყიდვით ფრონტს როგორ ვეხმარებოდით?

ეს ფრაზა რუსი ჟურნალისტების საბურთაო გახდა — აქაოდა, ამერიკასთან ომის შემთხვევაში რუსეთი მარტო ბრინჯაოს გაყიდვითაც იხეირებს, თუკი ქართველ სკულპტორს ვერწმუნებითო.

წერეთლის სამომავლო ჩანაფიქრი „მიხალკოვის პროექტივით“ გრანდიოზული მასშტაბისაა. ბატონ ზურაბს სურს, აღადგინოს ცნობილი როდოსის კოლოსი: „რუსეთის სახელისთვის იქნება უკეთესი ჩემი პროექტის განხორციელება. ჩვენი სპორტსმენები, იმედია, შემდეგ ოლიმპიადაზე გაიმარჯვებენ და როდოსის კოლოსის აღდგენის გამოც საბერძნეთში ამაყად ივლიან“.

დაბოლოს, ქართველ სკულპტორთან დაკავშირებული ყველაზე სენსაციური ისტორია: 2001 წლის დეკემბრის მიწურულს მოსკოვს პოპ-ვარსკვლავის, მაიკლ ჯექსონის მამა, ჯო ჯექსონი ესტუმრა. ახლახან მისი ვიზიტის კიდევ ერთი ფაქტი გახმიანდა — ამერიკელი სტუმარი ზურაბ წერეთელს სწვევია და თავისი შვილის გრანდიოზული მონუმენტი შეუკვეთია...

## ედპ-სა და „სახალხოს“ უსიამოვნებანი

გასულ კვირას თითქმის ერთდროულად შეემთხვათ უსიამოვნო ინციდენტები ედპ-სა და „სახალხო“ პარტიის ლიდერებს. ჯერ იყო და, ქუთაისისკენ მიმავალი ირინა სარიშვილი-ჭანტურია ავიაკატასტროფაში მოჰყვა, რის შედეგადაც თვითონაც და მანქანაში მყოფი თანაპარტიელები მსუბუქად დაშავდნენ და საავადმყოფოშიც მოხვდნენ. შედეგად ედპ-ს ლიდერის გარეშე ჩატარდა ქუთაისში ედპ-ის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელიც, მათი თქმით, ფსევდონაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ედპ-ის ბრძოლის მიმდინარეობას განიხილავდა... მამუკა გიორგაძეს კი საკუთარ ავტოფარეხში დაუწვეს „მერსედესი“. „სახალხო“ პარტიის ლიდერი ამ დანაშაულში პოლიტიკურ მოტივს ხედავს და აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია ის ძალები, ვისაც შეეძლო ასეთ შანტაჟზე წასულიყო. „მაგრამ ისინი ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებს ვერ შემაცვლევინებენ“, — დასძენს გიორგაძე. მიმდინარეობს გამოძიება. ჯერჯერობით, ცნობილი ის არის, რომ ავტოფარეხი გასაღებით გააღეს დამნაშავეებმა...

## თარგამაძე მამალაძის წინააღმდეგ

ანტიკორუფციული საბჭოს წევრმა გივი თარგამაძემ ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ლევან მამალაძე კორუფციაში საჯაროდ დაადანაშაულა და ამის დამამტკიცებელი დოკუმენტაციაც გააცნო მასმედიას. გივი თარგამაძემ მამალაძეს „არსებული სისტემის ზეკორუმპირებული სიმბოლოც“ უწოდა და განაცხადა, რომ ქვემო ქართლის გუბერნატორი ყველა მნიშვნელოვანი ობიექტისა და საწარმოს მფლობელია ქვემო ქართლში, სადაც ნათესავ-მეგობრების დახმარებით ინარჩუნებს ფინანსურ გავლენას. გივი თარგამაძე მამალაძის მაკომპრომეტირებელი მასალების გადაცემას ჯერ მირიან გოგიაშვილის, შემდეგ პირადად შევარდნაძისთვის აპირებს. თარგამაძე ეჭვობს, რომ „მადნეულის“ ოქროდან შემოსული თანხები შვეიცარიის ბანკში სწორედ მამალაძის ანგარიშზე ირიცხება.

## ინფექცია ქუთაისში

ქუთაისში A ჰეპატიტმა და ნაწლავურმა ინფექციამ იფეთქა, რომლის მიზეზად სასმელი წყლის დაზიანებულ მილს ასახელებენ. სწორედ ამ მილის წყალობით ფეკალური მასები შეერია სასმელ წყალს და ათობით ადამიანი დაავადდა. დროებით შეწყდა სწავლა ქალაქის რამდენიმე სკოლაში, სადაც დეზინფექცია ჩაატარეს.

## „მუსავატი“, ჩანს, რევანშის აღებას აპირებს



საშიში პროცესები დაიწყო ბაქოში. დედაქალაქის ქუჩებში მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებით გამოვიდა აზერბაიჯანის 25 ოპოზიციური პარტიის ათასობით წარმომადგენელი. ისინი ბრალს სდებენ ალიევის ხელისუფლებასა და კლანს კორუფციაში, ხალხისა და ქვეყნის გალატაკებაში, ყარაბაღის პრობლემის მოუგვარებლობაში და მოითხოვენ ხელისუფლების გადადგომას და გასამართლებას, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას.

დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის სასტიკი შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც ოცამდე პოლიციელი დაშავდა, ბევრი დემონსტრანტი კი დააპატიმრეს. აქციაში მონაწილეობდა ყველაზე მძლავრი ოპოზიციური და ნაციონალისტური პარტია „მუსავატი“. ზოგიერთი მონაცემით, პარტიამ წინა საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ შედეგების გაყალბების შედეგად ვერ მოიპოვა უმრავლესობა პარლამენტში. ახლა „მუსავატი“ და სხვა ოპოზიციური პარტიები, როგორც ჩანს, რევანშისთვის ემზადებიან. დამკვირვებლები ქვეყანაში დაწყებულ არეულობებში რუსეთის ხელსაც ხედავენ. გარდა ამისა, აზერბაიჯანში მასშტაბური დესტაბილიზაციის შემთხვევაში საფრთხის წინაშე დადგება ენერგოპროექტების განხორციელების საქმეც.

## ექიმები აპროტესტებენ

მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა შეძრა ბრიტანეთის სასამართლოს მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებამ, რომლის საფუძველზეც საწოლზე მიჯაჭვულ 43 წლის ინვალიდ და უკურნებელი სენით დაავადებულ ქალბატონს მიეცა უფლება ნებაყოფლობითი სიკვდილისა, ხოლო ექიმები ვალდებულნი არიან შეასრულონ მისი სურვილი და გამორთონ სამედიცინო აპარატურა, რომელზეც მიერთებულია და რომლის წყალობითაც უნარჩუნებენ სიცოცხლეს! ამ ქალბატონმა, რომლის ვინაობასაც საიდუმლოდ ინახავენ და სიმბოლურად მოიხსენიებენ „მის ბის“ სახელით, სრულიად საღ აზრზე მყოფმა ახლახან მიმართა ბრიტანეთის სასამართლოს განცხადებით, რომელშიც უარი თქვა მკურნალობის გაგრძელებაზე და მოითხოვა ნებაყოფლობითი სიკვდილი! მისმა მკურნალმა ექიმებმა და საერთოდ ბრიტანეთის სამედიცინო საზოგადოებამ აღშფოთება ვერ დაფარეს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამო (მოსამართლეც ქალბატონი გახლავთ) და საგანგებო განცხადებაში დაგმეს ეს განაჩენი, რომელიც აიძულებს ექიმებს უარი თქვან ეთიკურ და ადამიანურ პრინციპებზე და, ფაქტობრივად, მკვლელები გახდნენ.

## შეიხი ელექტროსკამზე დაასრულებს სიცოცხლეს

პაკისტანში დაპატიმრებულ ისლამისტ-ტერორისტს აჰმედ ომარ შეიხს ოფიციალურად წაუყენეს ბრალდება გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ ჟურნალისტის, დენიელ პერლის გატაცებასა და მკვლელობაში. ამერიკელი ჟურნალისტი ორი თვის მანძილზე ჰყავდათ დატყვევებული, შემდეგ ყელი გამოჭრეს და სიკვდილით დასჯის ვიდეოკადრები პაკისტანში აშშ-ის საელჩოს გაუგზავნეს. ოფიციალური ვაშინგტონი კატეგორიულად მოითხოვს პაკისტანის ხელისუფლებისგან ტერორისტის გადაცემას, მაგრამ პაკისტანის კანონების თანახმად, ექსტრადიცია მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება განხორციელდეს, როცა ტერორისტს სასამართლო გამოუტანს განაჩენს. პაკისტანში აჰმედ შეიხს ჩამოხრჩობა ელის, ხოლო აშშ-ში მისი ექსტრადიციის შემთხვევაში ტერორისტს რამდენიმე თვით გაუხანგრძლივდება სიცოცხლე, რომელსაც ბოლოს ელექტროსკამზე დაასრულებს... აჰმედ შეიხთან ერთად ჟურნალისტის მკვლელობის ბრალდება წაყენებული აქვს კიდევ 10 ისლამისტ-ტერორისტს!

# „კორუმპირებული მაღალჩინოსნების სიების არსებობა სინამდვილეა"...

## რუსეთს დამშვიდების უფლება არ უნდა მივცეთ!

ТАСС уполномочен заявить (საკდესი უფლებამოსილია განაცხადოს): ასე იწყებოდა „ცივი ომის" პერიოდში კრემლის განცხადებები, რომელიც „ამერიკული იმპერიალიზმის", „ჩინური ჰეგემონიზმის", „იაპონური რევანშიზმისა" და საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი დასავლეთის „ზრახვებისა" და პოლიტიკის მისამართით კეთდებოდა. ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ რუსეთის დუმისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ანტიქართული განცხადებები და დადგენილებები შინაარსითა და ტონით არაფრით განსხვავდება საკდესის (საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს) მაშინდელი განცხადებებისგან. ამასთან, როდესაც სახეშეშლილი ივანოვების, როგოზინ-პასტუხოვებისა და მანქურთ ჩეხოევ-ჯერგენიების ანტიქართულ დემარშებს ისმენ, ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, რომ რუსეთს საქართველოზე უფრო დიდი მტერი სხვა აღარავინ ჰყავს, რაც „დიდი პატივი" იქნებოდა ჩვენთვის, ეს რომ მართლაც ასე იყოს. არადა, ფაქტია, რომ საქართველოს ლანძღვითა და მუქარით მოსკოვი მუშტს უღერებს აშშ-ს და რუსეთის საუბედუროდ მუშტის ქნევის გარდა, სხვა ბერკეტი აღარა აქვს ერთადერთი ზესახელმწიფოს პოლიტიკის არათუ მხოლოდ შესაჩერებლად, არამედ დასაბალანსებლადაც კი. რუსეთს მხოლოდ და მხოლოდ ორი გზა რჩება სამხრეთ კავკასიაში გავლენის შესანარჩუნებლად: ან პირდაპირი აგრესია, ან საკუთრივ ამ ქვეყნებში დესტაბილიზაციის აგორება, რისი საგანგაშო ხმებიც უკვე მიდის ბაქოდან (აზერბაიჯანში ალიევის ხელისუფლების საწინააღმდეგო მძლავრი გამოსვლები დაიწყო). ქართული პრორუსული ძალებიც აქტიურდებიან და ამ ფონზე რუსეთის დუმა იღებს დადგენილებას, რომლის თანახმადაც დუმა მოითხოვს პრეზიდენტ პუტინისგან საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას, რათა რუსეთმა მონაწილეობა მიიღოს პანკისში დაგეგმილ კონტრტერორისტულ ოპერაციაში... ვესაუბრები სახალხო ფრონტის ლიდერს **ნოდარ ნათაძეს**:

— დუმის ეს დადგენილება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ნიშნავს იმას, რომ ჯგუფური განწყობილება დუმაში აგრესიული და ანტიქართულია. იურიდიული თვალსაზრისით ეს დადგენილება არის ზეწოლა პუტინზე, რომელმაც დუმის აზრით უნდა იკისროს პასუხისმგებლობა საქართველოში მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე. თვითონ დუმა კი ამ პასუხისმგებლობას არ იღებს. ამით რუსეთი საქართველოსაც ემუქრება და ამერიკელებსაც. მეტიც, მოსკოვი ამერიკელების წინაშე ეწევა იმის სიმულაციას, რომ რუსეთი მზად არის თვითმკვლელობისთვის, ანუ სრულმასშტაბიანი ომისთვის, რასაც ამერიკელები არ ჭამენ. მაგრამ რუსები ამ ტაქტიკური ნაბიჯებით შევარდნაძეზე მოახდენენ ზემოქმედებას, რადგან შევარდნაძე კვლავ რჩება რუსეთის კაცად, რომელსაც რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებისთვის სჭირდება მხოლოდ რაიმე ფორმალური საბაბი. მეეჭვება რუსეთს სასარგებლო ნაბიჯების გადადგმის უფლება მისცენ ამერიკელებმა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, საქართველოში მას ძლიერი მხარდაჭერა ექნება პატიაშვილი-ჭაჭია-რჩეულიშვილისნაირი ძალებისა და სისხლიანი აგენტურის სახით. მაგრამ, ვფიქრობ, რუსებს გააჩერებენ და პუტინიც დუმის მოთხოვნის მიუხედავად ჯერჯერობით ამ ნაბიჯზე არ წავა. ხოლო თუ გაბედა, რუსეთი უკვე ღიად დაუპირისპირდება დასავლეთს, რაც ძვირად დაუჯდება. მაგრამ რუსული აგრესიის მოგერიების უებარი საშუალება ჩვენსავე ხელშია. პარლამენტი ვალდებულია გადადგას შემდეგი ნაბიჯები — დსთ-დან საქართველოს დაუყოვნებლივ გამოყვანა, რასაც სჭირდება 5-წუთიანი კენჭისყრა. ასევე დაუყოვნებლივ რუსეთის ბაზების გაძევება ქართული მიწა-წყლიდან; აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტებში რუსეთის როლის ოფიციალური კონსტატაცია! ეს იქნება ჩვენი მხრიდან ძლიერი ნაბიჯები... უნდა ითქვას ამერიკელები რომ სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი შუა აზიაში დამკვიდრებით, განპირობებულია სამხრეთ კავკასიით ამერიკელთა დაინტერესებითაც, რაც საქართველოსთვის რუსეთის ხელიდან დახსნის ერთადერთი რეალური პერსპექტივაა. დაინტერესებულნი უნდა ვიყოთ, რომ შუა აზიაში დამკვიდრდეს დასავლეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოსავლეთის ფანატიკური და სტიქიური ძალები მოაწვებიან შუა აზიას, უწინარესად დემოგრაფიულად. ეს „წნევა" შუა აზიიდან გადაეცემა აზერბაიჯანს და სპარსეთს, საიდანაც მათ ექსპანსიას საქარათველოში ველარ შევაჩერებთ. ამასთან შუა აზია გახლავთ ევრაზიულ სივრცეში მოსალოდნელი ყველა დიდი დაპირისპირებისა და ფრონტის ზურგი, ანუ ამ სივრცეში ვერ გაძლებს ვერანაირი დიდი ძალა, ან ქვეყანა, რომლის ზურგი შუა აზია არ იქნება. მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი, როცა გერმანია დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, ფრონტის ძირითადი და სტაბილური ზურგი იყო შუა აზია, მაშინ როცა სამხრეთ კავკასია პატარა ზურგის როლს ასრულებდა და პრაქტიკულად ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა! მეორეც: რუსეთი კიდევ ორი თაობის მანძილზე, იმპერიული ამბიციებითა და აზროვნებით იცხოვრებს. სანამ საშუალო რუსი არ შეიგნებს, რომ პროცესი შეუქცევადია, რომ არც სსრკ აღდგება და რუსეთის გავლენაც ყოფილ კოლონიებში ნულის ტოლია, მანამდე ის არც დემოკრატი გახდება და არც სერიოზულად მოეკიდება თავისი ქვეყნის შიდაპრობლემების მოგვარებას, ანუ სხვის დაუპყრობლად საკუთარი ადამიანური ღირსებებისა და რესურსების რეალიზაციას საკუთარ სახელმწიფოში. ამიტომ, რუსეთი საქართველოს ყველაზე სახიფათო მტერია. შესაბამისად, საქართველოს რუსეთის მიმართ სხვა პოლიტიკა, გარდა აქ რუსეთის ყველანაირი გავლენის ამოძირკვისა და აქედან გაძევებისა, არ უნდა ჰქონდეს. ხშირად გაიგონებ — ნუ გავაღიზიანებთ რუსეთსო. ეს იდიოტური გამოთქმა წანამძღვრად გულისხმობს დანაშაულებრივ თეზისს, რომ — გაღიზიანებული რუსეთი უფრო სახიფათოა ჩვენთვის, ვიდრე დამშვიდებული რუსეთიო. საქმე პირიქითაა: რუსეთს აქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც პირდაპირ ურტყამს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს და ამ გეგმას მოსკოვი მით უფრო ეფექტურად და ჭკვიანურად განახორციელებს, რაც უფრო დაწყნარებული და დამშვიდებული იქნება. გაღიზიანებულმა რუსმა კი შეიძლება მძიმე შეცდომა დაუშვას, რაც ჩვენთვის მომგებიანი იქნება. ამიტომ, რუსეთს დამშვიდების უფლება არ უნდა მივცეთ!

— **ბრძანეთ, რომ რუსებს შეუძლიათ შევარდნაძის პოლიტიკაზე ზემოქმედებაო და ისიც ფაქტია, რომ სულ ახლახან რუშაილოს ვიზიტისას პრეზიდენტი რუსეთს უწოდებდა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს, მაგრამ ბოლოდროინდელი მოვლენები გვიჩვენებს, რომ შევარდნაძის მსგავსი განცხადებები, უფრო ტაქტიკური სვლები იყო...**



> ქვანიასა და მამალაძის გუნდებს შორის გათამაშებული ჩხუბი კი ისეთივე ბუნებრივი პროცესია, როგორიც ვირთხების მიერ ერთმანეთის შეჭმა, როცა ვერ იყოფენ ქონს, ხორცს თუ ბურღულეულს. ასე რომ, ქვანია-მამალაძის შეჯახება ნატურალური მოვლენაა!

— შევარდნაძის დასავლელობა ბლეფია, რაც ობივატელისთვის ერთი შეხედვით ძნელი შესამჩნევია. უბრალოდ, შევარდნაძე დასავლეთის წინაშე „ჩესტზე" დგას, მაგრამ ასევე „ჩესტზე" იდგა ელცინი, დგას პუტინი და დსთ-ის სხვა ლიდერებიც. უნდა ითქვას, რომ ვაშინგტონის მოთხოვნები ამ ლიდერების მიმართ ეხება მხოლოდ საკითხთა შეზღუდულ ჩამონათვალს. ამერიკელები თავის ინსტრუქციებს დსთ-ის სივრცეში ძალიან ეკონომიურად იძლევიან, რაც კარგად იცის რუსეთმა და ცდილობს ამ ინსტრუქციებს შორის თავისი ინტერესი გაატაროს. ანუ გვაწვება რქებით მანამ, სანამ არ გააჩერებენ ამერიკელები. რუსები დღესაც რომ ბაქიბუქობენ და მუქარას გვითვლიან, მთლად ბლეფი არ არის და არც მხოლოდ შინაგანი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. ეს გახლავთ პროპაგანდისტული სამზადისი საქართველოს წინააღმდეგ დარტყმისათვის, რომელიც ჯერჯერობით ავიცილეთ იმის წყალობით, რომ პუტინს დაურეკეს ოკეანის გაღმიდან და უთხრეს — სდექ! ახლა რუსები განაგრძობენ დემარშებსა და პროვოკაციებს აფხაზეთსა და საქართველოს სხვა რეგიონების მიმართ და ამით ცდილობენ დაუმტკიცონ ამერიკელებს, რომ რუსეთს საქართველოში ჯერ კიდევ აქვს მყარი პოზიციები. რაც შეეხება ამერიკელთა შემოსვლას, ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ჭკვიანური და კაცური დახვედრა სჭირდება საქართველოს მხრიდან. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ამერიკელთა ინტერესებთან ერთად ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებიც დევს ამ პროცესებში, შეიძლება ამერიკელებთან თანასწორი ლაპარაკი. ანუ უნდა ვუთხრათ ამერიკელებს — ჩვენ გვინდა ვიყოთ ამერიკის მოკავშირე სუბიექტი და არა ობიექტი! შევარდნაძის უნიჭობის და უნებისყოფობის გამო საქართველო მსოფლიო პოლიტიკაში დღეს მხოლოდ ობიექტია. არადა შეგვიძლია ვიყოთ სრულუფლებიანი სუბიექტი. თუ საქართველო შეძლებს საკუთარი ცოცხალი ძალით და შეიარაღებით ჩრდილოეთის ზღუდის საიმედოდ გამაგრებას და ერთხელ და სამუდმოდ წერტილს დაუსვამს რუსეთიდან მომდინარე კომუნისტურ-იმპერიულ ექსპანსიას სამხრეთის მიმართულებით, ამ საქმეში საქართველო აშშ-ის მოკავშირე უნდა იყოს. მაგრამ თუ დასავლეთმა სამხრეთიდან დაიწყო შეტევა რუსეთზე მის დასაშლელად, საქართველო ამ საქმეში არ უნდა ჩაერთოს, რადგან არა გვაქვს ასეთ რისკზე წასვლის უფლება.

— **ხელთ მაქვს ორგანიზაცია „რეგიონალიზმის კვლევის ცენტრის" მიერ შედგენილი და გამოცემული პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, რომელშიც თავმოყრილია 1989-2001 წლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებთან და კონფლიქტებთან დაკავშირებული თითქმის ყველა დოკუმენტი, რომელიც კი მიუღიათ საქართველოში, ავტონომიებში, მოსკოვში, დსთ-ის სამიტებზე, გაეროში და ა.შ. ამ დოკუმენტთა აბსოლუტური უმრავლესობიდან არათუ რაიმე შესრულებულა, განსაკუთრებით აფხაზეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით, არამედ დღემდე საქართველოს საზიანოდ იყენებენ ჩვენი მტრები. როცა ამ დოკუმენტებზე ხელს აწერდნენ, თქვენ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე ბრძანდებოდით, პარლამენტშიც თითქოს ჭარბობდნენ ეროვნული ძალები...**

— ჩვენ არავითარი შეცდომა არ დაგვიშვია. „ჩვენ"-ში ქართველ ერს და პატრიოტულ ძალებს ვგულისხმობ, ხოლო ისინი, ვინც 1992 წლიდან დღემდე მართავენ ქვეყანას და დგამენ პოლიტიკურ ნაბიჯებს, „ჩვენ" ნამდვილად არ ვართ. თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე ხელმომწერნიც რუსეთის აგენტები არიან, მოქკავშირის შემადგენლობაც და საერთოდ, ვინც კი ამ ათი წლის მანძილზე შევარდნაძის გარშემო იყო და არის სახელმწიფო პოლიტიკაში. რა თქმა უნდა, ამ დოკუმენტების დეზავუირება უნდა მოხდეს. ვფიქრობ, მათი დეზავუირება ისეთი ხარისხით, როგორიც ქვეყანას სჭირდება, ვერ განხორციელდება სხვაგვარად, თუ არა სახელმწიფო დონეზე იმის გაცხადებით და დადასტურებით, რომ ქვეყნის მმართველები 1992 წლიდან დღემდე არიან სახელმწიფო მოღალატეები. თუ ეს არ გავაკეთეთ, იურიდიულად ძალიან გაგვიჭირდება აფხაზეთის საკითხში წინსვლა. რაც შეეხება ჩემს „როლს და წონას" 1992-1995 წლების პარლამენტში, სადაც თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე გახლდით, ერთ მაგალითს გავიხსენებ: ერთმა ქართველმა ადამიანმა მარტივი იდეის რეალიზაციით მოახდინა ქართული ჯარისთვის მნიშვნელოვანი, შეიარაღების ერთ-ერთი სახეობის ტექნიკური გაუმჯობესება. გაკეთდა ეს საქმე და დაინიშნა იარაღის გამოცდის დღეც, სადაც მე არ დამიძახეს, არ დამასწრეს თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე, სამაგიეროდ „ЗакВО"-ს მთელი გენერალიტეტი, ანუ მტერი მიიწვიეს! აქედან ჩანს, რომ საქართველოს მთელი მაშინდელი ხელისუფლება „წითელი" იყო და რისი გაკეთება შემეძლო მე? ერთადერთი რაც შევძელი იყო ის, რომ პარლამენტმა მიიღო დადგენილება 1995 წლის ბოლომდე საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის შესახებ და ამ დადგენილების მხოლოდ ნომერი (№125) დაბეჭდეს ოფიციალურ პრესაში, ტექსტი კი არა(!), მერე გამოქვეყნდებაო(!). აი, ეს საქმე ვახტანგ გოგუაძის თაოსნობით გაკეთდა. იგივე დსთ-ში საქართველოს შესაყვანად მაგრად იმუშავეს პარლამენტის კულუარებში და 126 ხმა მოიპოვეს. აი, ამ 126-მა ნაძირალამ შევარდნაძის მეთაურობით ხმა მისცა საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის დაკარგვას. ხოლო, როცა ენგურზე დსთ-ის შირმით რუსები ჩადგნენ და გალის რაიონში 1800 ქართველი მოკლეს, ამ 126-დან თითო ხმის მიმცემის სინდისზე 15 მოკლული ქართველი მოდის, სხვა უმძიმეს შედეგებს რომ თავი დავანებოთ.

— **აცხადებენ, რომ ამ კაპიტულანტურ დოკუმენტებს ხელი ეწერებოდა ომში დამარცხებული ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, ანუ სხვა გზა არ გვქონდაო. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ გალის რაიონის შენარჩუნება მაინც შეიძლებოდა. რატომ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ რუსები იმთავითვე მდინარე ღალიძგაზე ჩამდგარიყვნენ? ან თუნდაც ღალიძგის გასწვრივ რატომ არ შეიქმნა თავდაცვითი ზღუდე, სოხუმისა და ოჩამჩირის დაცემის შემდეგ...**

— რასაკვირველია, გალის რაიონის შენარჩუნება მაინც თავისუფლად შეიძლებოდა. აფხაზები მაშინ ოჩამჩირესა და გალში ხშირად აწყობდნენ მიტინგებს. ერთი უკრაინელი ჟურნალისტი, რომელიც ომის დროს ჩვენს მხარეზე იბრძოდა, რუს ჟურნალისტად ასაღებდა თავს და ხშირად გადადიოდა გალსა და ოჩამჩირეში, მან გადმოგვიტანა ამბავი, თუ რას გაიძახოდნენ აფსუები ამ მიტინგებზე: ეს მიწა რომ ქართველებისა იყოს, ერთ დღეში 100 კილომეტრს როგორ დაგვითმობდნენო?! აი, ასეთი არგუმენტები ფიგურირებდა უკვე აფსუათა ტვინში! ჩემი დაკვირვებით შევარდნაძის ქმედებების მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ ქმნის რეალურ კატასტროფას, შემდეგ კი გაიძახის — რა ვქნათ, სხვა გამოსავალი არა გვაქვსო — და მიდის უკვე იურიდიულ კაპიტულაციაზე, რაც ფიზიკურ კატასტროფაზე უარესია. ერთმა გერმანელმა პარლამენტარმა მითხრა, მთავარია იურიდიულად არაფერი დათმოთ კონფლიქტების საკითხებში, რადგან ტანკები, ბოევიკები მოვლენ და წავლენ, ქაღალდი კი არსად წავაო. ახლა გაეროში აპირებენ დოკუმენტის მიღებას, რომლის თანახმადაც აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი საქართველოს შემადგენლობაში. არადა, სუვერენული ნიშნავს — გარეთ დამოუკიდებელს და შიგნით უზენაესს — და აფსუების რეალური გეგმებიც ვიცით, თუ რა სურთ! ამას წინათ, ერთმა თვალსაჩინო გერმანელმა ჟურნალისტმა გამოსცა წიგნი სათაურით „ველურ კავკასიაში", რომლის ერთ თავშიც მოყვანილია დიტერ ბოდენის საუბარი აფსუებთან. ბოდენი ურჩევს აფსუებს, რომ დათანხმდნენ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის, როგორც სუვერენული წარმონაქმნის სტატუსზე და ეს ტაიმაუტი, ანუ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის დრო გამოიყენონ დემოგრაფიული ცვლილებებისთვის — თურქეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან ჩამოასახლონ თავიანთი ხალხი. უბედურებაც ის არის, რომ თუ აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნია, მას აქვს ამის გაკეთების უფლება. იმავე წიგნში პირად საუბარში მოყვანილია ბოდენის მიერ თქმული — იცით, ახლა ვის სახლში ვიმყოფებით? ეს ლავრენტი ბერიას სახლია და დღეს რომ ბერიამ დაინახოს, როგორ მიდის პროცესები აფხაზეთში, ხომ გაუსკდება გული. ე.ი. აფხაზეთში ქართველთა ცხოვრების ისტორიული ფაქტი და ქართული ძირის, პოზიციების სიმყარე ამ ბოდენს ბერიას „ნაჩალიჩებად" მიაჩნია! ამიტომ, ბლეფია ამ ე.წ. სამშვიდობო პროცესზეც ლაპარაკი. აფხაზეთშიც და სამაჩაბლოშიც პრობლემის გადაჭრის იდეალური ფორმა არის მოლაპარაკება ძალის დემონსტრირების ფონზე. ძალა უნდა ვუჩვენოთ არა აფსუებსა და ოსებს, არამედ რუსებს და რუსის ჯარი უნდა გავაძევოთ ამ ქართული მიწებიდან.

— **„დიდი ამბები" ხდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზეც. მირიან გოგიაშვილს ვაშინგტონიდან ჩამოაქვს კორუმპირებულ ქართველ ჩინოვნიკთა სია, პარლამენტში დიდი დავაა დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის კანონპროექტის ირგვლივ, სახელისუფლებო კულუარებშიც უკვე ღიად ლაპარაკობენ მოსალოდნელი „დიდი წმენდის" შესახებ და თქვენი აზრით, რამდენად წარმატებული შეიძლება გამოდგეს ეს ანტიკორუფციული კამპანია...**

— ჩემი კოლეგა, მეცნიერი გახლდათ ამერიკაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ამერიკელებმა აჩვენეს ინფორმაცია კონკრეტული გვარებით, საბანკო ანგარიშებითა და ფინანსური მაქინაციების შესახებ, თუ ამა თუ იმ კორუმპირებულმა ქართველმა ჩინოვნიკმა, მინისტრმა, სად და როგორ რა მოიპარა. ეს ინფორმაცია არ გამოატანეს ჩემს კოლეგას, არადა ის ინფორმაცია თავისი მასშტაბით აღემატება ყველაფერ იმას, რაც საქართველოში ვინმემ იცის დღეს! ამიტომ ამ ე.წ. სიების არსებობა სინამდვილეა. რაც შეეხება დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევას, ეს მხოლოდ კოსმეტიკაა. წარმოდგენილ კანონპროექტს აქვს ორი მინუსი: მოქალაქეს უნდა მიეცეს უფლება, რომ მაკროეკონომიკური დანაშაულის ჩამდენის დასჯა მოითხოვოს და არა წილი ნაქურდლიდან, რომელიც ამ მოქალაქის ჯიბიდან არის წაღებული. ვთქვათ, მე, ნოდარ ნათაძემ შეიძლება მოვითხოვო მაგალითად, ადეიშვილისგან, რომელმაც ფლოტი გაყიდა, იმდენი თანხის გადახდა, რამდენიც ჩემი, როგორც მოქალაქის წილი იდო იმ ფლოტში. საამისოდ მე ამის მოთხოვნის უფლება კი არ უნდა მომეცეს, არამედ ჩივილის და საქმის მოკვლევისა. შესაბამისად, ჩემი იურისტის მეშვეობით ვაწარმოო საქმე და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოვითხოვო. მეორეც: ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ქურდი იქ კი არ უნდა დაიჭირო, სადაც ხარჯავს ნაქურდალს, არამედ იქ, სადაც იპარავს. ქურდი ჩინოვნიკები თავიანთი სახლების აშენებაში ხარჯავენ ნაქურდლის მცირე პროცენტს. ასე რომ, ამ კანონის მიღებას მხოლოდ ფსიქოლოგიურად გულის მოფხანვის მნიშვნელობა აქვს, თორემ პრაქტიკულად, ვერ ამოვიღებთ იმ უზარმაზარ ქონებას, რაც შეჭამეს.

— **ერთგვარი სენსაცია გამოიწვია მსხვილ ქართველ ბიზნესმენთა განზრახვამ იყვნენ შევარდნაძის უმთავრესი დასაყრდენი ძალა. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია, რომ მართლაც ამ ძალამ წარმართოს პოლიტიკური პროცესები...**

— რაც შეეხება პრეზიდენტის ამ ახალ დასაყრდენ ძალას, ეს არის არა ბუნებრივი, არამედ ხელოვნური ოლიგარქია, რომელიცააყვავა ხელისუფლებამ, დიქტატურამ და თანაც ისეთმა დიქტატურამ, რომელიც რუსული ხიშტებით არის მოსული. ამ ოლიგარქებსა და მოქკავშირს ჩვევად აქვთ, რომ შარშანდელ ნაქურდალს წლევანდელი ამოცანებისთვის არ იყენებენ. ანუ არჩევნების გაყალბება იქნება, თუ სხვა პოლიტიკური ღონისძიება, აფინანსებენ დღესვე, ამჟამინდელი ბიუჯეტიდან მოპარული ფულით. არ ვიცი ამას გაიმეორებენ კიდევ თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სახლიდან ფულს არ მოიტანენ და არ ჩადებენ პოლიტიკაში. ხოლო თუ მაინც გაუჩნდათ ფული პოლიტიკური ღონისძიებების დასაფინანსებლად, ეს იქნება რუსეთიდან მიღებული ფული. გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში კვლავაც არსებობს აგროსამრეწველო ბანკი, რომელიც არანაირ ფინანსურ ოპერაციებს არ ეწევა, მაგრამ შევარდნაძე პატრონობს მას და ვერავინ ვერაფერსაც უბედავს ამ ე.წ. ბანკს, სამაგიეროდ ეს ბანკი არის ის არხი, რომლის მეშვეობითაც რუსული ფული მოდის შევარდნაძესთან რუსეთის ამოცანების შესასრულებლად. ეს ინფორმაცია ერთმა ქართველმა ეკონომისტმა მომაწოდა და ვფიქრობ, სიმართლესთან ახლოსაა. რაც შეეხება ოლიგარქების განზრახვას, შექმნან შევარდნაძის დასაყრდენი ძალა — მათი წარმატების ალბათობა ნულის ტოლია. სერიოზულ პოლიტიკურ ძალას ვერ შექმნიან, სასაცილონი გახდებიან, რადგან მათ არანაირი პოლიტიკური პრესტიჟი არა აქვთ და არც ექნებათ, არც სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური იდეები არა აქვთ, შესაბამისად, არავითარი შანსი არ ექნებათ მოსახლეობის მხარდაჭერისა. ასევე, ვფიქრობ, რომ მოქკავშირის დაპირისპირება შევადნაძესთან ბლეფია, რადგან ესენი ერთობლივად ატარებენ რაღაც ოპერაციას, რათა პრესტიჟისთვის მაინც ამომრჩეველთა მცირე რაოდენობის ხმები მოიპოვონ... ამ შემადგენლობის პარლამენტი კი ვერც ავლენს თავის სახეს და უნარს იმდენად, მარიონეტული, უთავმოყვარეო და მოღალატურია! შევარდნაძის პარტიული ორგანიზმიდან პირველი გამონაყოფი გახლდათ რჩეულიშვილი, რომელიც შევარდნაძის ფინიაა! მეორე გამონაყოფი შევარდნაძის პარტიული ორგანიზმიდან კი არის ჟვანია და მოქალაქეთა კავშირი. შევარდნაძეც მოქკავშირივით გაკოტრებულია და დაპირისპირების თამაშით მოქკავშირისთვის ქულების შეძენას ლამობენ, რათა რაღაცა ღირსების მსგავსი სახე შეუნარჩუნონ ამ ყოვლად გახრწნილ პარტიას!! ჟვანიასა და მამალაძის გუნდებს შორის გათამაშებული ჩხუბი კი ისეთივე ბუნებრივი პროცესია, როგორიც ვირთხების მიერ ერთმანეთის შეჭმა, როცა ვერ იყოფენ ქონს, ხორცს თუ ბურღულეულს. ასე რომ, ჟვანია-მამალაძის შეჯახება ნატურალური მოვლენაა!

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# «ამის შემდეგ თავს ნამდვილად არ ვიცოცხლებდი...»

## მათ არც მეცნიერების მომავალი აღელვებთ და არც უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანთა ბედ-იღბალი

ამ რამდენიმე დღის წინ დიღომში მდებარე ბოტანიკის ინსტიტუტის ფიზიოლოგიურ განყოფილებაში კიდევ ერთი საზარელი ამბის მოწმენი გავხდით: ისმოდა წივილ-კივილი, წყევლა, ლანძღვა-გინება, სპეცრაზმელები ძალის გამოყენებით დევნიდნენ შენობიდან ადამიანებს, ვიღაცა ხანძრის გაჩენას ლამობდა, ვიღაცას გული წაუვიდა, ქალები თვითმკვლელობით იმუქრებოდნენ, ბავშვები ტიროდნენ...



ზემოხსენებული ინსტიტუტი უკვე რამდენიმე თვეა აღარ ფუნქციონირებს. შენობის ოთხი სართული აფხაზეთიდან დევნილებმა დაიკავეს და თანამშრომლებს მუშაობის საშუალებას აღარ აძლევდნენ...

კაცმა არ იცის, რა უფრო ჩაითვლება ბარბაროსობად — უსახლკაროდ დარჩენილი, განადგურებული დევნილების ღია ცის ქვეშ გამოყრა თუ უსახსროდ დარჩენილი მეცნიერების თავგანწირვის ფასად მოპოვებული მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენების, მეცნიერული შრომებისა თუ თვალსაჩინო მასალის განადგურება...

უკიდურესად უჭირთ დევნილებს, თუმცა, არც მეცნიერებს ულხინთ მაინცდამაინც... და ამ უსახურ შეჭირვებულ ფონზე ჩნდება კითხვები: როდემდე უნდა დარჩეს მხოლოდ ლოზუნგად „გვახსოვდეს აფხაზეთი“? რით ვერ მოხერხდა აქამდე დევნილების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება? რა შუაში არიან მეცნიერები?

მთელ ამ ბატალიებში იკვეთება ორი მხარე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით... აშკარაა მესამე ძალის არსებობა, რომელიც წყალს ამღვრევს. ეს ძალა, როგორც ყოველთვის, ჩრდილში დგას და საკუთარ სახეს არავის აჩვენებს...

მას შემდეგ, რაც დევნილებს ბოტანიკის ინსტიტუტი დაატოვებინეს, მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სხვა ინსტიტუტების თანამშრომლები შიშით ელოდებიან ყოველი ახალი დილის გათენებას — დღეს რომელი დაწესებულების ჯერი დადგება? კარგა ხანია საშიშროების წინაშე დადგა პალეობიოლოგიის, ბიოქიმიის, გეოფიზიკის, სამშენებლო მექანიკის, მეტალურგიის ინსტიტუტებისა და არქეოლოგიური ცენტრის — თბილისის ექსპედიციების არსებობა. დევნილებმა თითოეულ მათგანზე რამდენიმე შტურმი (ზოგი წარმატებული, ზოგიც წარუმატებელი) განახორციელეს...



ამ მტკივნეულ თემაზე გავესაუბრეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლეო დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ბატონ **გურამ მჭედლიძეს...**

— შენობის პირველი სართულის ყველა ფანჯარას რკინის ცხაურები მივამაგრეთ და მშვიდად ვიყავით. ერთ ღამესაც დარაჯმა დამირეკა ღამის სამ საათზე — დევნილებმა ლომებით მოგლიჯეს გისოსები და შენობაში ქალები გადასვესო... მთელ ქალაქში გამორთული იყო შუქი. მაშინვე გამოვვარდი... 3-4 საათში ინსტიტუტის თითქმის ყველა თანამშრომელი ჩემ გვერდით იდგა. დევნილები ყვიროდნენ, გვლანძღავდნენ, გვემუქრებოდნენ, ბენზინიც ჰქონდათ მომარაგებული, მაგრამ შენობის დაწვა ვერ გაბედეს. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის ოპერატიული დახმარების შედეგად, დევნილებმა ვერ მოიკიდეს ფეხი შენობაში... წასვლის წინ კი განგვიცხადეს — ჩვენ უკან ისეთი ძალა დგას, აქ მაინც დავბრუნდებით და შენობა ჩვენ დაგვრჩებაო.

— *რომელ ძალას გულისხმობდნენ?*

— ვკითხეთ და გვიპასუხეს — მათი გვარების გამხელის უფლება არ გვაქვსო. შემდეგ, როცა დევნილთა განსახლების მინისტრს ბატონ ვალერი ვაშაკიძეს და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელს ბატონ **ზურაბ ბედიას** გავესაუბრეთ, ასეთი სურათი დაიხატა — არიან ადამიანები, რომლებიც ამ გაუბედურებულ ხალხს უთანხმდებიან. ისინი დაინტერესებულები არიან, სწორედ დევნილებმა ჩაიგდონ ხელში შენობა. ცოტა ხნის შემდეგ მათ 2-3 ათას ლარს გადაუხდიან, ქალაქის გარეუბნებში უყიდიან ბინებს და დაუმტკიცებენ კერძო საკუთრებაში, ეს სახლი კი მათ დარჩებათ, დაანგრევენ და ევროპული სტანდარტების შესაბამის კორპუსს ან სასტუმროს ააშენებენ. არ გინდა ამის მოსმენა და მოთმენა?

— *რა პრინციპით არჩევენ დასარბევ შენობებს?*

— ჩვენ პირდაპირ მდებარეობს ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი, სადაც დევნილები ბინადრობენ. სწორედ იქიდან მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ჩვენი ინსტიტუტი არ ფუნქციონირებს. მათ კი, როგორც თვითონ აცხადებენ, უფლება აქვთ, ყოველი უმოქმედო შენობა გაალონ და შევიდნენ. არადა, ჩვენს ინსტიტუტს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია მუშაობა. აქ ისეთი მასალა ინახება, ოდნავ რომ დაზიანდეს, ათიათასობით ლარი წყალში გადაყრილი აღმოჩნდება. დმანისის პალეოანთროპოლოგიურ აღმოჩენებზე ატეხილი აჟიოტაჟი ყველასთვის ცნობილია — 2001 წლის მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს აღმოჩენათა ათეულში აქ ნაპოვნი მილიონ 700 წლის წინანდელი თავის ქალები მე-3 ნომრად დასახელდა. დმანისელი ადამიანების — ჰომინიდების დროინდელი ფაუნის შესწავლა აქ ხდება. გარდა ამისა, ჩვენთან ინახება ეტალონური მასალა. მისი განადგურება საერთოდ მსოფლიო მეცნიერებისთვის იქნება უდიდესი ზარალი. ხშირად უცხოეთიდან იმიტომ ჩამოდიან, რომ თავიანთი მასალა აქაურს შეადარონ... გვაქვს უნიკალური ბიბლიოთეკაც, რამდენიმე ქართველი თუ რუსი მეცნიერის პირადი არქივები, რაც ჩვენთვის შეუფასებელ სიმდიდრეს წარმოადგენენ. ერთი ნაპერწკალი და ყველაფერი დაიწვებოდა. ამის შემდეგ თავს ნამდვილად არ ვიცოცხლებდი...

— *რატომ გაიწელა რამდენიმე თვის განმავლობაში ბოტანიკის ინსტიტუტიდან დევნილების გამოსახლების პროცესი?*

— ყველაფერი საოცრად ოპერატიულად მოხდა. მას შემდეგ, რაც დევნილებმა შენობა დაიკავეს, თითქმის მეორე დღესვე დაიწყეს რემონტი. ბევრმა კარ-ფანჯარა გამოცვალა, ზოგმა სამზარეულო გაიკეთა, კაფელი და იატაკის მასალა მოზიდა... ინსტიტუტის ფიზიოლოგიის განყოფილების გამგემ ბატონმა შოთა ჭანიშვილმა თანამშრომლებთან ერთად სასამართლოში შეიტანა საჩივარი და მოიგო პროცესი...

— *როგორც ვიცი, თქვენ სახელმწიფო მინისტრსაც შეხვდით...*

— იმ წუთებში, როცა ბატონ ავთანდილ ჯორბენაძესთან ერთად ჩვენს პრობლემებს ვიხილავდით, ერთ-ერთ აკადემიკოსს აცნობეს, რომ სამთო მექანიკის შენობაში დევნილები შეიჭრნენ... შეხვედრაზე კატეგორიულად წამოვაყენეთ მოთხოვნა — მიეღოთ დადგენილება, რომელიც ამ ხალხს გააგებინებს, რომ დაწესებულების დარბევა და შენობაში უკანონოდ შეჭრა, იმის მიუხედავად, ვინ ჩაიდენს ამას — დევნილი თუ მკვიდრი მოსახლე — კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, სისხლის სამართლის დანაშაულია და ყველა ერთნაირად დაისჯება...

არიან ადამიანები, რომლებიც ამ გაუბედურებულ ხალხს უთანხმდებიან. ისინი დაინტერესებულები არიან, სწორედ დევნილებმა ჩაიგდონ ხელში შენობა. ცოტა ხნის შემდეგ მათ 2-3 ათას ლარს გადაუხდიან, ქალაქის გარეუბნებში უყიდიან ბინებს და დაუმტკიცებენ კერძო საკუთრებაში, ეს სახლი კი მათ დარჩებათ, დაანგრევენ და ევროპული სტანდარტების შესაბამის კორპუსს ან სასტუმროს ააშენებენ. არ გინდა ამის მოსმენა და მოთმენა?

— *ეს ხალხი აქამდე ღია ცის ქვეშ ცხოვრობს?*

— ყველა მიწერილია გარკვეულ საცხოვრებელ ადგილზე... ისინი ნამდვილად გვეცოდებიან. მათი უფლებები და ინტერესები ვერც იქ, მათ კუთხეში დავიცავით და ვერც აქ... მთავრობამ გამოაქვეყნა დადგენილება, სადაც წერია, რომ გამგებლები და ქალაქის მერები არიან პასუხისმგებლები ამ ხალხის განსახლების უზრუნველყოფაში. სინამდვილეში, პროცესი, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა მართონ, ან უმართავია, ან პროცესს მართავს შენობის ხელში ჩაგდებით დაინტერესებული საეჭვო წარმომავლობის და საქმიანობის ხალხი. ყოველი დილის გათენებას შიშით ველოდებით...

*ბოტანიკის ინსტიტუტში მძიმე დილა გათენდა. გარეთ წვიმდა, ციოდა. პოლიციის სპეცრაზმელები ძალით ყრიდნენ შენობიდან ლტოლვილებს. მეხანძრეებმა იმარჯვეს და ხანძარი, ცეცხლის გაღვივებამდე ჩააქრეს. შორიახლოს მეცნიერები იდგნენ და გულისტკივილით ადევნებდნენ თვალს ამ შემზარავ სანახაობას... ნეტა სად იყვნენ ამ დროს იმ მესამე ძალის წარმომადგენლები, რომლებიც წყალს ამღვრევენ და თვითონ არ ჩანან?*

***ეკა მახარაშვილი***

# ბებიების „პარლამენტში“ სიმშვიდეა

## „ბებიაჩემი 60 წლისა გათხოვდა“

უთუოდ შეამჩნევდით, რომ ვაკის პარკში ერთბაშად სამი თაობაა წარმოდგენილი: მოხუცები, პატარები და თინეიჯერი შეყვარებული წყვილები. ჩემი აზრით, მათ შორის ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი მაინც მოხუცები არიან, ისინი, ვინც თავისებური, იქნებ ცოტა სევდის მომგვრელი, მაგრამ მაინც ლამაზი ფერებით ამკობენ ჩვენს ყოფას და თავიანთი არსებობით მოკრძალებას და პატივისცემას აღძრავენ. ჩემი რესპონდენტიც „სტაჟიანი“ ვაკისპარკელია. შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და გადავწყვიტე, თქვენთვისაც გამეცნო. ქალბატონმა ნინო ჩიტოშვილმა, რომელიც უკვე 81 წლისა ბრძანდება, ჩემი წინადადებით ძალიან გაიხარა და ვაკისპარკელ მეგობრებთან ერთად გადაღებული სურათიც მისახსოვრა.

— ***ქალბატონო ნინო, დაიწყეთ ბავშვობიდან...***

— თელავში დავიბადე. ერეკლე მეფის ნაფეხურებზე გავიზარდე და ძლიერ ვამაყობ ამით. სტუდენტობის შემდეგ შევრჩი თბილისს, სადაც 25 წელი 56-ე რუსულ სკოლაში ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას. ჩემი მოსწავლეები უკვე სიჭარმაგეში შესულან. ახლახან ვაკის პარკში ერთი, ასე 40 წლის კაცი მიმზერდა დაჟინებით. მერე იყვირა, — ნინო მასწავლებელო, როგორა ხართო და გულში ჩამიკრა. ჩემი მოსწავლე, პატარა ბიჭი, დათო წერეთელი დამიდგა მაშინვე თვალწინ. ბევრჯერ ორიანიც დამიწერია. ახლა, ამდენი წლის შემდეგაც ახსოვს დათო წერეთელს ეს. ალერსით მისაყვედურა კიდეც — ნინო მასწავლებელო, ორიანებს რად მიწერდიო. იმიტომ, რომ ქართველებს ქართული კარგად გცოდნოდათ-მეთქი. დათომ მე და ჩემი დაქალი ბებიები სასეირნოდ დაგვპატიჟა. იმ დღეს მეცხრე ცაზე ვიყავი სიხარულით.



„პარლამენტარი“ ბებიები (მარცხნიდან მეორე ქ-ნი ნინო ჩიტოშვილი)

— ***წინათ ასეთი ტენდენცია იყო — რუსულ სკოლებში შეჰყავდათ ქართველი ბავშვები.***

— მიკვირდა და არც მომწონდა ეს ამბავი, მაგრამ ნახევარი სკოლა ქართველებისა იყო. თანაც ქართულ ენასა და ლიტერატურას არაქართველები უკეთ სწავლობდნენ. ახლა კი რუსულ სკოლაში ქართველები კი არა, არაქართველებიც აღარ მიდიან. მიხაროდა, როცა რუსს, სომეხს, აზერბაიჯანელს თუ ქურთს ქართულს ვასწავლიდი.

— ***პარკში შეკრებილი მოხუცები რაზე ბჭობთ ხოლმე?***

— ყველაზე ხშირად სასაუბრო თემა წარსულია, რომელმაც ასე გაიტაცა ჩვენი ცხოვრების ულამაზესი წლები. „თავდაღმართზე დაშვებულს, / მიმაცილებს წარსული, / ბარგჩაწყობილ მგზავრივით / ბაქანზე ვარ გასული“, ამ ლექსს ვამბობთ ხოლმე ხშირად და უფალს ვთხოვთ, აგვისრულოს ნატვრა და ჩვენმა მატარებელმა ცოტა კიდევ დაიგვიანოს. ერთმანეთს ხშირად ვესაუბრებით ლექსებით, ან კიდევ გონების გასავარჯიშებლად მოვიფიქრებთ რამეს, ჯეელურად ვხალისობთ.

— ***რძალდედამთილიანის პრობლემაზე თუ საუბრობთ?***

— საბედნიეროდ, ეს ჩვენი მსჯელობის საგანი არ არის. პირადად მე ყმაწვილქალობაში გავთხოვდი. 8 თვის შემდეგ მეუღლე ომში წაიყვანეს და მხოლოდ 5 წლის შემდეგ მეღირსა მისი ნახვა. დედამთილ-მამამთილის წყალობით უფრო მსუბუქი იყო სიმარტოვით გამოწვეული სევდა... ჩვენს სამეგობროში „ცუდ თემებზე“ არ ვსაუბრობთ...

— ***არც პოლიტიკაზე?***

— აბა, უმაგისოდ დღე გავა? თუმც ბებიების „პარლამენტში“ სიმშვიდეა... როცა საქართველოზე ვფიქრობთ და ვმსჯელობთ, ერთმანეთს ოპოზიციაში არ ვუდგებით.

— ***ქალბატონო ნინო, ამბობენ, გული არ ბერდებაო.***

— არა, არ ბერდება, წლები გაწვებიან ტვირთად და მაგას უნდა გაძლება. მაგრამ თუ გინდა სიცოცხლის სიყვარულით დატკბე, მომთმენი და სიყვარულით სავსე უნდა იყო. ურთიერთპატივისცემის უნარი უნდა გქონდეს და ცხოვრებაში ყველა სირთულე გაგიადვილდება.

— ***როგორ ფიქრობთ, სიყვარულმა ასაკი იცის?***

— არა, არა. ბებიაჩემი 60 წლისა გათხოვილა სიყვარულით. 6 თუ 7 შვილი ჰყავდა. ქვრივს ყველა დაუქორწინებია და მარტო დარჩენილა. სტუმარივით მიდიოდა თურმე შვილებთან. ახალგაზრდობაში ბებიას, მაიკო ლაფაურს და ერთ მოჭიდავე ლამაზ ბიჭს ერთმანეთი ჰყვარებიათ. მერე ცხოვრებას დაუშორებია ისინი და ცალცალკე ოჯახი შეუქმნიათ. მოგვიანებით ორივე დაქვრივებულა, შეხვედრიან ერთმანეთს და გადაუწყვეტიათ, ჯვარი დაეწერათ. დედა იგონებდა — შენ აკვანში მეწვინე, მეზობელი შემოვიდა და მითხრა, დედაშენი გათხოვდაო... ეკლესიაში ჯვარი დაიწერა, ჩიხტიკოპით მორთული ფაეტონში ჩაჯდა და ახალ მეუღლესთან ერთად წავიდაო. 88 წლამდე იცოცხლეს ერთად. ბებიისა და მისი შვილების საუკეთესო მეგობარი ყოფილა ის კაცი. უბერებელი და ულამაზესი ქალი იყო ბებია. 88 წლისა გარდაიცვალა, თმაში ჭაღარა არ ჰქონდა და არც ერთი კბილი არ აკლდა. იქნებ სიყვარულმა შეინახა ასე.

— ***ახლანდელ შეყვარებულებზე რას იტყვით, ბლომად არიან ვაკის პარკში?***

— სკამს ვერ იპოვი დასაჯდომად მაგათი გადამკიდე, აბა რა ლამაზი სანახავია სკამზე გაშოტილი გოგო, ბიჭის კალთაში რომ ჩაუდვია თავი?! და იძულებული ვარ, ვთხოვო, — შვილო, ჩაიწიემეთქი. კიდევ კარგი, არ გვეუხეშებიან. ჩვენ დროს ბიჭიც თავშეკავებული იყო და გოგოც. ვინ გაბედავდა ერთმანეთთან ჩახვეულ გავლას. ბიჭს თვალებში ურჩად რომ შემოეხედა, ვბრაზობდი, რა უნდა, თვალებში რას მეჩხირება-მეთქი. იქნებ მოვწონდი (იცინის), ახლა გული მომდის ჩემს თავზე... რად ვიყავით ასეთი უკარებები და უხეშები? თუმცა არც ის მომწონს, პარკში რომ სხედან, თავებს კი მალავენ, მაგრამ ისე კი ყველანაირ პოზაში სიყვარულობენ. ბევრჯერ მითქვამს მათთვის შოთას სიტყვები: „სიყვარულსა მალვა უნდა-მეთქი“. რას მპასუხობენ იცი? ბები, ეგ რუსთაველის დროს იყო, ახლა ყველაფერი სხვანაირად არისო. ზოგჯერ ერთად ვზივართ ბებიები და შეყვარებულები, ჩვენც თავები გვაქვს ჩაღუნული და იმათაც, მაგრამ...

— ***შვილიშვილებთან პოულობთ საერთო ენას, თუ ისინიც სხვა ყაიდის ხალხია?***

— ორი შვილი და ორი შვილიშვილი — ნინო და მიშიკო მყავს. ვამაყობ მათით. ორივემ უცხოეთში მიიღო განათლება. მიშიკოს პარიზიდან მეგობარი ბიჭები ჰყავდა ჩამოყვანილი. უკან დაბრუნებული ერთ-ერთი მათგანი, ნიკოლი, თურმე გატაცებით უამბობდა ყველას ჩემზე — მიშიკოს ბებია შესანიშნავი ფრანგულით ლაპარაკობსო. აქაც, პარკშიც ხშირად გამიოცებია უცხოელები, მაგრამ რა, — მოგონებების ამარა ვრჩებით და დრო კი მიდის, მიდის და მიდის...

***ეკა ლომიძე***

### გაზეთ „კვირის პალიტრის“ რედაქციას

## „იქნებ ახლა მაინც დავფიქრდეთ“

ა.წ. 25 თებერვალს, გლდანის ერთ-ერთი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა — ორი სკოლის მოსწავლეთა ჯგუფური ჩხუბის შედეგად დანით დაიჭრა რამდენიმე ბავშვი, მათ შორის ერთი მე-8 კლასელი, თოთხმეტი წლის ბესიკ აზმაიფარაშვილი, რომელიც მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. წავიდა მშვენიერი ახალგაზრდა ამ ქვეყნიდან და დაგვიტოვა უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა. ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლებიც ხომ არ ვართ ნაწილობრივ ამ ტრაგედიის მონაწილენი? რა თქმა უნდა, ვართ და აი, რატომ:

ამას წინათ ერთ-ერთი ბაზრობის დახლზე ვიხილე საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნაირნაირი ავტომატური დანა (ე.წ. „კნოპკიანი დანები“). სანახაობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ძალაუნებურად შევჩერდი და თვალიერება დავიწყე. სანამ ლამაზი და უჩვეულო დანების ცქერით ვიყავი გართული, მოვიდა სამი მოზარდი, ჩანდა, სკოლის მოსწავლეები უნდა ყოფილიყვნენ. დაათვალიერეს კოლექცია. ძალიან მოეწონათ და ერთ-ერთმა მათგანმა დანა შეიძინა. ეტყობოდა, დანარჩენებსაც უნდოდათ, მაგრამ იმ მომენტისათვის ფული არ ჰქონდათ და გამყიდველს სთხოვეს, შეენახა. მან, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით აღუთქვა — ნუ გედარდებათ, რამდენიც გნებავთ, იმდენი გვაქვსო. ამ ამბის შემსწრემ ჩემდა უნებურად ჩავილაპარაკე, ამით ხომ ჩვენვე ვუბიძგებთ ამ მოზარდებს დანაშაულისკენ-მეთქი. გამყიდველმა გაიგო ჩემი ნათქვამი და უხეშად მომახალა, თუ ძმა ხარ, წადი რა, კლიენტებს ნუ მიფრთხობო.

გამყიდველთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს... ცდილობს ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში ოჯახი როგორმე დააპუროს. გასაგებია, მაგრამ, ვინც ეს მომაკვდინებელი „საქონელი“ შემოიტანა, რას ფიქრობდა? ისინი და ჩვენც, ვინც გულგრილად ვუყურებთ ამ მდგომარეობას, ხომ ვართ უნებლიე (ხან უშუალოც) მონაწილენი ზემოხსენებული ტრაგედიისა!

P.S. *რომელი სამსახურია ნეტავ, ვისაც შეუძლია ამ საკითხების მოგვარება?*

***ოთარ ნატრაძე, მეტალურგიის ინსტიტუტი***

პოლიციის ახალი შეფი?!



# ინტერპოლის უფროსი – თბილისის პოლიციის ახალი შეფი?!

## ნარჩემაშვილი თარგამაძის „ნარჩენებს“ იშორებს...



შსს-ში თარგამაძის გუნდის წმენდა დაიწყო. გასულ კვირას თანამდებობა დატოვა ქალაქის პოლიციის შეფმა — კახა ბაკურაძემ. საუბრობენ შს მინისტრის მოადგილის ზურაბ ჩხაიძის გათავისუფლებაზეც. თუმცა ეს ინფორმაცია, ჯერჯერობით, დაუზუსტებელია. სარწმუნო წყაროს ცნობით, ნარჩემაშვილმა კახა თარგამაძის ფავორიტებს კვირის ბოლოს ჩატარებულ თათბირზე მოსთხოვა გადადგომა, მაგრამ ამაზე პოლიციის არც ერთი მაღალჩინოსანი არ საუბრობს. უფრო მეტიც, კახა ბაკურაძე თავისი წასვლის მიზეზად ასახელებს საკუთარ განცხადებას, რომლის თანახმად, მას არა აქვს მორალური უფლება ოთხი ათას პოლიციელს მოსთხოვოს გმირობა, როცა არ არსებობს ხელფასი, მანქანა, საწვავი, აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა. არადა, კახა ბაკურაძემ მაშინაც, როდესაც შს მინისტრის მოადგილეობიდან ალავიძის თანამდებობაზე „ჩამოალაბორანტეს“, კარგად იცოდა, ჰქონდათ თუ არა პოლიციელებს ხელფასი, საწვავი თუ მობილური ტელეფონი. რასაკვირველია, მისი ახლანდელი კომენტარი ნაკლებდამაჯერებლად გამოიყურება იმ ფონზე, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე კორუმპირებულის იმიჯით თავად პოლიცია სარგებლობს.

სხვათა შორის, დაახლოებით თვენახევარში მას შემდეგ, რაც თარგამაძე და ქუთათელაძე ნარჩემაშვილმა და ხაბურძანიამ შეცვალეს, პარლამენტის ერთ-ერთმა დეპუტატმა „კვირის პალიტრას“ მნიშვნელოვანი კულუარული ინფორმაცია გაუმხილა. მისი თქმით, უშიშროების სამინისტროში ვალერი ხაბურძანიამ საკადრო წმენდა პრეზიდენტისგან დამოუკიდებლად განახორციელა, რასაც პრეზიდენტის გაოცებაც კი მოჰყოლია. „რას აკეთებს, რატომ აკეთებს ჩემ გარეშე“, — უთქვამს შევარდნაძეს. ამის შემდეგ პრეზიდენტს ნარჩემაშვილისთვის პირდაპირ მიუთითებია, რომ მისი ნებართვის გარეშე შსს-ს არც ერთი კადრი არ გაეთავისუფლებინა. ალბათ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ თარგამაძის გუნდი შსს-ში დღემდე ინარჩუნებდა ძალაუფლებას. ამ მხრივ ნარჩემაშვილს ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული და ძველი კადრებიც ძველებურად „გულაობდნენ“. ამაზე ხუმრობდნენ კიდეც — შსს-ს ნარჩემაშვილი კი არა, ისევ თარგამაძე მართავსო. თარგამაძე კი პრეზიდენტის „ლიუბიმჩიკად“ დღემდე რჩება. როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ნარჩემაშვილი უშიშროების საბჭოს მდივნის, ნუგზარ საჯაიას კადრი იყო, პრეზიდენტი მას ბოლომდე მაინც ვერ ენდობოდა.

მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. პანკისის „კრაზანების ბუდე“, რომელიც თავად პოლიციის ზოგიერთი მაღალჩინოსნის კერძო ბიზნესის წყაროდ იქცა, უკვე თვით ხელისუფლებისთვის გახდა მოსაბეზრებელი. გარდა ამისა, პოლიტიკური კლიმატიც შეიცვალა.

სხვათა შორის, ოფიციალურად წითელი ჯვრის თანამშრომლების გათავისუფლება კახა ბაკურაძის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად განხორციელდა, მაგრამ კულისებში მაშინდელი შს მინისტრის მოადგილის გვარმა პანკისელი კრიმინალების გვერდით გაიჟღერა. ისიც ცნობილი ფაქტია, რომ „წითელი ჯვრის“ ხალხის გათავისუფლება ვეფხია მარგოშვილის აქტიური მონაწილეობით მოხდა. თუმცა, როდესაც ბაკურაძე უკვე თბილისის პოლიციის შეფი გახდა, „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას მარგოშვილთან შეხვედრა საერთოდ უარყო. შეიძლება ითქვას, მაშინ ეს თემა კახა თარგამაძემაც გვარიანად მიჩქმალა.

თუმცა უკვე ესპანელი ბიზნესმენების გათავისუფლება საკმაოდ არასასურველი აღმოჩნდა როგორც ბაკურაძისთვის, ასევე უშიშროების ჩინოსნის, ლევან კენჭაძისთვის. შეშინებული ბიზნესმენები საქართველოში მიცემული ინტერვიუების დროს მხოლოდ ზოგადი განცხადებით შემოიფარგლნენ. სამშობლოში დაბრუნებულებმა კი საქართველოს შსს-სა და უშიშროების მაღალჩინოსნებს დასდეს ბრალი და მათი გვარებიც დაასახელეს. ამ ფაქტს „უცნაურად“ დაემთხვა ნარკობიზნესისა და ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის გოჩა სისაურისა და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის, ლევან კენჭაძის სამსახურიდან გათავისუფლება. მაშინ კახა ბაკურაძეს არავინ შეხებია. დღეს თბილისის პოლიციის ყოფილი შეფი ყველაფერ ამას ჭორს უწოდებს და თითს პროკურატურისკენ იშვერს, სადაც მისივე თქმით, ინფორმაციები ადამიანთა გატაცებაში მის თანამონაწილეობაზე არ დადასტურდა. კახა ბაკურაძის მიერ ქალაქის პოლიციის შეფად დანიშვნის პირველსავე კვირაში არაბი ბიზნესმენის გათავისუფლებას საზოგადოებამ ქულების ჩაწერის მიზნით დადგმულ სპექტაკლად უფრო აღიქვა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მაშინ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბაკურაძემ არაბი ბიზნესმენის გათავისუფლებას უბრალო დამთხვევა უწოდა და ალავიძის „ნამუშევრად“ უფრო შეაფასა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, არც ქალაქის და არც რესპუბლიკის პროკურატურას, კახა ბაკურაძისა და სხვა მაღალჩინოსნების მონაწილეობის კვალი პანკისურ „ოდისეაში“ არ აღმოუჩენია.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა — ზემოთქმულის გარდა სხვა რა უნდა ყოფილიყო ბაკურაძის გათავისუფლების მიზეზი. ერთ-ერთი ინფორმაციით, ბაკურაძესა და ნარჩემაშვილს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ეს არც არის გასაკვირი — როდესაც ჯერ კიდევ თარგამაძე იყო შს მინისტრი, მის შემცვლელად კახა ბაკურაძე სახელდებოდა. სხვათა შორის, როდესაც თარგამაძემ ალავიძე გაათავისუფლა და კახა ბაკურაძე მის ადგილზე გადაიყვანა, ითქვა კიდეც, რომ ბაკურაძე სამუდამოდ გამოემშვიდობა თავისი სანუკვარი ოცნების განხორციელებას. თარგამაძის გათავისუფლების შემდეგ კი მინისტრი გახდა ერთ დროს ბაკურაძეზე რანგით დაბლა მდგომი ნარჩემაშვილი. რასაკვირველია, პოლიციის გენერლები მათ შორის რაიმე დაძაბულ ურთიერთობაზე ოფიციალურად არასოდეს განაცხადებენ, მაგრამ ამ ვერსიის საფუძვლიანობას ისიც ამყარებს, რომ შსს-დან გამოჟონილი ინფორმაციით, თარგამაძის „ნარჩენებსა“ და ნარჩემაშვილს შორის ბოლო პერიოდში ინტრიგების ქსელი იყო გახლართული.

ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივია ახალი შს მინისტრისთვის ძველი კადრების თავიდან მოშორება სწორედ რომ მისწრება იქნებოდა. ნარჩემაშვილს ბედმა აქაც გაუღიმა — გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კორუმპირებულ პიროვნებათა სიაში, რომელიც ანტიკორუფციული საბჭოს მდივანს მირიან გოგიაშვილს აშშ-ში გადასცეს, ყველაზე მეტად ძალოვნები ფიგურირებენ და, მათ შორის, ერთ-ერთი პირველი ადგილი კახა ბაკურაძის გვარს უკავია. ბუნებრივია, ეს ნარჩემაშვილისთვის ბოლო წვეთი იქნებოდა. თავად ბაკურაძე კი აცხადებს, რომ მან ამ სიის შესახებ არაფერი იცის და ამ ხმების გასაფანტავად შესაბამისი არგუმენტიც მოჰყავს — რომ შს მინისტრმა მას უკვე რამდენიმე თანამდებობა შესთავაზა და, ჯერჯერობით, ფიქრის პროცესშია.

სანამ ბაკურაძე ფიქრობს, კულუარებში უკვე საუბრობენ მის შემცვლელ კანდიდატურაზე. უკვე დასახელდა ორი გვარი: ცენტრალური აპარატის მაღალჩინოსანი დავით კაჭკაჭიშვილი და შს მინისტრის მოადგილე ზურაბ ხაჟალია. თუმცა გადამწყვეტი ხმა ნარჩემაშვილს ეკუთვნის. ბოლო ინფორმაციით, ქალაქის პოლიციის ახალი შეფი შეიძლება ინტერპოლის ბიუროს შეფი ლევან მაისურაძე გახდეს.

***მარინა მამისაშვილი***

# თემურ ხაჩიშვილი ბათუმში გადაჰყავათ?!

## ცხელი აპრილის მოლოდინში



გასულ კვირას პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის უფროსმა მიხეილ ოსაძემ №5 საპყრობილეში ყოფილ შს მინისტრს თემურ ხაჩიშვილს ახსნა-განმარტება ჩამოართვა. ამისი მიზეზი კი ბოლო პერიოდში ხაჩიშვილის მიერ ის სკანდალური განცხადებები გახდა, რომლის მიხედვითაც თავდაყირა დგება 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის სასამართლო გამოძიება. უფრო მეტიც, ხაჩიშვილი გია ჭანტურიას მკვლელობასა და ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ტერაქტის მომზადებაში ყოფილ ძალოვან მაღალჩინოსნებს — შოთა კვირაიასა და ჯამლეთ ბაბილაშვილს ასახელებს. მის ახსნა-განმარტებაში დასახელებულია დაზვერვის შეფი ავთანდილ იოსელიანიც, რომელმაც თურმე 29 აგვისტოს ტერაქტის მზადების პროცესი იცოდა, მაგრამ არავითარი ზომები არ მიიღო.

სხვათა შორის, ზოგადად ამ საკითხებზე თემურ ხაჩიშვილი სასამართლო პროცესზეც საუბრობდა, მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ხაჩიშვილის თემა, შეიძლება ითქვას, „აღორძინების“ ბლოკმა ამოსწია მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ტერაქტის მზადებაზე ყოფილი შს მინისტრი ინტენსიურად ალაპარაკდა. ამის შემდეგ ხაჩიშვილის განცხადება უკვე პოლიტიკურ დატვირთვას იძენს და იგი, ცენტრისა და რეგიონის მუდმივი შუღლის ფონზე, აჭარის მხარისთვის მნიშვნელოვანი კოზირი ხდება.

მართალია, პრეზიდენტის გუნდი და რეფორმატორები ამ განცხადებას ირონიულად და ღიმილით აღიქვამენ, მაგრამ აღორძინების ბლოკმა პრორუსული იმიჯის მქონე ხაჩიშვილი ყურადღების მიღმა არ დატოვა და 11 თებერვალს, უკვე ოფიციალურად, პარლამენტის საგამოძიებო კომისიას მიმართა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამას წინ უსწრებდა (დაახლოებით ერთი წლის წინ) ხაჩიშვილის ჩვენების საფუძველზე აჭარაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და აჭარის მხრიდან ხაჩიშვილის ბათუმში ეტაპირების მოთხოვნა. თუმცა მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა, გია მეფარიშვილმა არც აცია, არც აცხელა და აჭარის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გააუქმა. თავისთავად ცხადია, რომ მეფარიშვილმა არც გარისკა და ვერც გაბედა, რომ ხაჩიშვილს ეტაპირების შემდეგ აჭარის სასამართლოში ეკეთებინა (უკვე ხმამაღლა და ოფიციალურად) სკანდალური განცხადებები, რაც ხელისუფლების იმიჯზე არცთუ სასურველ ზეგავლენას მოახდენდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვალერი გელბახიანი სწორედ „აღორძინების ბლოკიდანაა“, არ არის გამორიცხული, მან სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს კგბ-ს ყოფილ გენერალ-მაიორზე, ამჟამად დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ოსაძეზე. ისე, ერთი კია, შევარდნაძის ძველი „მეგობარი“ ორცეცხლშუა უეჭველად აღმოჩნდება — ვის აამოს, ცენტრს თუ რეგიონს? არადა, ისიც ფაქტია, რომ ხაჩიშვილის გადაყვანის შემთხვევაში მოსალოდნელია ცენტრსა და რეგიონს შორის დროებითი დამთბარი სიტუაცია ისევ დაიძაბოს. შევარდნაძე ის კაცი არ არის, აქაც ვერ იპოვოს გამოსავალი და შეიძლება შესაწირი „პაიკები“ კიდევ ერთხელ გაწიროს. მანამდე კი, როგორც ჩანს, დიდი ხნის დუმილის შემდეგ მიხეილ ოსაძეს ძველი ნაცნობობა შეახსენა და სწორედ იმ პერიოდში, როცა ოსაძე ხაჩიშვილთან წასასვლელად დღე-დღეზე ემზადებოდა, ღირსების ორდენი უბოძა. ისე, არც ის არის გამორიცხული, საქმე თუ გაჭირდა, ცოტა ხანში ოსაძე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელობას გამოემშვიდობოს და პრეზიდენტმა მას რაიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა შესთავაზოს.

ერთი კია, თუ ხაჩიშვილის ეტაპირება მართლაც მოხდა აჭარაში (და ეს არცთუ დიდი ხნის შემდეგ, აპრილის თვეშია მოსალოდნელი), არ არის გამორიცხული, ჯამლეთ ბაბილაშვილის, ავთანდილ იოსელიანის და შოთა კვირაიას პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას. ისე, ხაჩიშვილი შევარდნაძის გვარსაც ასახელებს.

ასე რომ, თუ მოვლენები მართლაც ასე განვითარდა, აპრილის თვე კლიმატურად თბილი თუ არა, პოლიტიკურად ცხელი აუცილებლად იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ ამ საქმის გარდა, დროებითი საგამოძიებო კომისია ორი მნიშვნელოვანი საქმის დასრულებას აპირებს. ეს საქმეებია — განათლების მინისტრის, კარტოზიას საკითხი და თბილისის დინამოს ხელმძღვანელთა მიერ დიდი ოდენობის სახელმწიფო თანხის მითვისებასთან დაკავშირებული (20 მილიონ ლარზეა საუბარი) სკანდალი. ამ უკანასკნელ საქმეს უკავშირდება მერაბ ჟორდანიასა და „თვით“ კახა თარგამაძის გვარებიც.

***მარინა მამისაშვილი***

# — პუსკაი ბუშ უ მენია ნაუჩიტსია...



პანტელეიმონ გიორგაძე კუბაში

*... იყო და არა იყო რა, იყო ერთ ქვეყანაში ერთადერთი ყოვლისშემძლე პარტია. მას ყველაფერი ჰქონდა — ფული, ჯარი, ხელისუფლება...*

*გავიდა დრო და ქვეყანა, სადაც ეს პარტია არსებობდა (ბაირამობდა), დაინგრა. პარტიის თავკაცობა ამპლუას ვერ შეელია. მათ მხოლოდ ქვეყნის მართვა (თუ ჭამა?) იცოდნენ, ამიტომაც ტყავი გამოიცვალეს და კვლავ ქვეყნის ხვრა განაგრძეს — სულ სხვა პოლიტიკური პლატფორმით, რასაკვირველია (დემოკრატია და რამე...). იმავე სახეცვლილ ქვეყანაში ყოვლისშემძლე პარტიის სამუდამო თაყვანისმცემლებიც დარჩნენ. კომუნისტური პარტიის ლიდერი და მხცოვანი გენერალი პანტელეიმონ გიორგაძე ზოგ საკითხში დაგვეთანხმა, ზოგშიც — არა, მაგრამ ერთი კი ფაქტია — აშშ-ის ეროვნული ინტერესების გააქტიურებამ საქართველოში კომუნისტები საგრძნობლად შეაშფოთა...*

**პანტელეიმონ გიორგაძე** — დასავლეთის მშრომელი მოსახლეობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ქართველი კომუნისტები ყოველთვის ვგმობდით და დღესაც ვგმობთ დასავლეთის ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას მთელ მსოფლიოში.

**— დასავლეთის ხელისუფლებაში ვის გულისხმობთ?**

— ევროკავშირსა და ასეთ რაღაცებზე ლაპარაკი სისულელეა. მთავარ როლს იქ ამერიკა ასრულებს ამერიკის ხელისუფლება დამპყრობლურ, იმპერიალისტურ პოლიტიკას ატარებს. ამას რომ ვამბობ, ამერიკელთა სიძულვილით კი არ ვამბობ — ისინიც დაჩაგრულები არიან, მე ისინი ძალიან მიყვარს, ჭკვიანი და მშრომელი ხალხია... ამერიკა თავისი ხალხის ინტერესებს არასოდეს ითვალისწინებდა, მუდამ იმპერიალისტური ზრახვებით მოქმედებდა. ახლაც, დააკვირდით: აცხადებენ, რომ მშვიდობა უნდა დავიცვათ მთელ მსოფლიოშიო. თავის ქვეყანაში ფოლადის შეტანა აკრძალეს, ვითომ იმ მოტივით, რომ უმუშევრებს დახმარება უნდა გავუზარდოთო. კი მაგრამ, ვთქვათ, ამერიკაში სამასი მილიონი ადამიანია. აფრიკაში რომ 4 მილიარდი შიმშილობს? აზიაში? სამხრეთ ამერიკაში? ბავშვები, ქალები... ყველა მშიერია. როდესაც მილიონიან ბომბებს ამზადებ, ეს რატომ არ გახსოვს, ცივილიზებულო და დემოკრატიულო ამერიკავ?! ამიტომაც მე არ მჯერა, რომ ამერიკა დაგვიცავს და აგვაყვავებს. ამიტომაც ვგმობ მის პოლიტიკას, ისევე, როგორც ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკას — შევარდნაძე საბჭოთა კავშირის დროსაც მონა იყო და არა კომუნისტი. ახლაც მონა დარჩა — მაშინ „ტავარიშჩ ლეონიდ ილიჩ“, „დარაგოი კანსტანტინ უსტინოვიჩ“... დღეს ბუშს შესციცინებს თვალებში. იმიტომ, რომ მასში არაფერია ქართული და ეროვნული... კოსმოპოლიტი და ყოყოჩი პოლიტიკოსია.

**— მაგრამ, ბატონო გენერალო, კომუნისტურ პარტიასთან ხომ კოსმოპოლიტიზმი უფრო ახლოს არის, ვიდრე ნაციონალიზმი და ეროვნულობა? თუ თქვენმა პარტიამ იმიჯი შეიცვალა?**

— არაფერიც არ შეგვიცვლია. კომუნისტები კოსმოპოლიტები არ ვყოფილვართ. ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ შენი სამშობლოს დიდებასა და კეთილდღეობაზე უნდა იფიქრო, მერე კი მთელ მსოფლიოზე.

*მხცოვან გენერალთან პარტიული დავა არც მიფიქრია, მაგრამ კედლიდან სტალინის უზარმაზარი პორტრეტი შემომცქეროდა და თავი ვერ შევიკავე...*

**— სტალინიც ასე ფიქრობდა? კომუნისტები ამბობთ, 1918-21 წ.წ. საქართველოში ჟორდანიას მთავრობა ხალხს არ მოსწონდაო — მით უკეთესი, ჩამოსულიყო და პოლიტიკური ხერხებით ებრძოლა საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლისთვის, თავის დამოუკიდებელ სამშობლოში უცხო ქვეყნის ჯარი რატომ შემოიყვანა?**

— სტალინი იმდენად დიდი და გენიალური პოლიტიკოსი იყო, რომ საქართველოს მასშტაბებში ვერ ჩაეტეოდა. სხვათა შორის, თუ ისტორიას გადავხედავთ, საქართველოში აღმშენებლობა ზუსტად 1921 წლიდან დაიწყო.

**— რეპრესიებიც რომ დაიწყო...**

— ეს სუგუბო არასწორი შეხედულებაა. კაკიე რეპრესიი, კაცო. ტყუილად არავინ დაუჭერიათ და არც დაუხვრეტიათ. რეპრესიები დღეს არის — როცა 300 ათასი ლტოლვილი გვყავს, როცა ხალხი პენსიას არ იღებს (სხვათა შორის, არც მე) და იშჩო ზა მნოი ხვოსტ ხოდიტ, რომ შევარდნაძემ იცოდეს, პანტელეიმონ გიორგაძე სად დადის. მაშინ კი რა მიიღო საქართველომ საბჭოთა ხელისუფლებისგან — 21-ში შევედით, მერე კი 1925-26-დან დაიწყო: ზაგეს, რიონგეს, ლამპოჩკა ილიჩა, პური, ყველი, ექიმი...

**— დღევანდელობას დავუბრუნდეთ. ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, ამერიკის შემოსვლა საქართველოში გარდაუვალია. ასეთ შემთხვევაში, თქვენ როგორ პოზიციას დაიკავებთ?**

— ქართველმა ერმა კარგად იცის, ვინ გადაარჩენს. ამერიკას სიკეთე არავისთვის მოუტანია — ამერიკამ მე ომი როგორ უნდა მასწავლოს, პატარა კუბას მთელი 40 წელი ეომებოდა და ვერაფერი დააკლო. ნააბაროტ, პუსკაი ბუშ უ მენია ნაუჩიტსია... როდესაც მე ახალგაზრდა წითელარმიელი ვიყავი, ღამღამობით ჩემი ხალხი მესიზმრებოდა — ჩემი გურულები, ჩემი იმერლები... ამერიკელ ჯარისკაცებს კი საქართველოში რა უნდა დაესიზმროთ? ფული, რომელსაც გადაუხდიან? ნუ დაუჯერებთ ამერიკელებს.

**— და მაინც, როგორ აპირებენ ქართველი კომუნისტები წინ აღუდგნენ ამერიკულ ექსპანსიას?**

— ერთადერთი გზაა, ხალხს სიმართლე გავაგებინოთ. დღეს ქართველი ხალხი საინფორმაციო ვაკუუმშია. კარდაკარ, კორპუსებში, სახლებში ინდივიდუალნიმ ი გრუპავიმ სპოსობომ აგიტაცია უნდა ჩავატაროთ.

(გაგრძელება იხ. გვ. 7)



# მაღალ დონეზე ჩაფიქრებული აფერა თუ ხალხზე ზრუნვა?

ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების ხელისუფლების წარმომადგენლები ჰაოსის და ქართლოსის ძმობაზე აღმოცენებულ ორი მეზობელი ქვეყნის მეგობრობას შეახსენებენ ურთიერთს და დიდსა თუ პატარას. მართლაც იმას რა სჯობს, როცა ორი მეზობელი ქვეყანა მეგობრობს. თუმცა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არამეგობრული საქციელიც ბევრი გვახსოვს, თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ სომხეთის ოფიციალური პირები არცთუ იშვიათად სტუმრობენ აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას. ერთი სიტყვით, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. სომეხ მაღალჩინოსნებს ვერ მოვუწონებთ „მეგობრულ" საქციელს, თორემ უბრალო ხალხი, ქართველებიც და სომხებიც, მართლაც მეგობრობდა და დღესაც მეგობრობს. ყოველივე ამის თქმა კი ერთმა ფაქტმა გვაიძულა. ფაქტმა, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის ისტორიაში, ალბათ, აფერის სახელით შევა. საქმე კი ის გახლავთ, რომ 1999 წლის მიწურულს სომხეთის ენერგეტიკის სამინისტრომ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ნინოწმინდის და ახალქალაქის მიმართულებით. დაიწყო და ერთ წელიწადში ისე დაამთავრა, რომ არავის უკითხავს, ვინ ხართ, საქართველოში რას აშენებთო? გაუთვითცნობიერებელი მკითხველი ალბათ შემოგვედავება: რას ერჩით, აუშენებიათ, ხომ არ დაუნგრევიათო, მაგრამ მოდით ყველაფერს თავიდან მოვყვეთ. წინასწარ გეტყვით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ ჩვენ მიერ მოპოვებულ დოკუმენტებზე კომენტარებს გააკეთებენ სააქციო საზოგადოება „ელექტროგადამცემის" ტექნიკური დირექტორი **თამაზ თხელიძე** და ამავე სააქციო საზოგადოების ტექნიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე **დავით ღვინეფაძე**.

1998 წლის 20 ნოემბერს, ერევანში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის დროს, შევარდნაძესა და ქოჩარიანს შორის გამართულ მოლაპარაკებაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ახალი სისტემური ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხსაც. პრეზიდენტების აზრი ერთმანეთს დაემთხვა — კარგი იქნებოდა, ასეთი ელექტროგადამცემი ხაზი მართლაც რომ აშენებულიყო.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, კერძოდ, 1999 წლის 29 სექტემბერს სომხეთის ენერგეტიკის მინისტრი დ. ზადოიანი და საქართველოს სათბობენერგეტიკის მაშინდელი მინისტრი თემურ გიორგაძე შეთანხმდნენ — ლენინაკანიდან ხაშურამდე აშენებულიყო 230 კმ სიგრძის 220 ან 110-კილოვოლტიანი ახალი ელექტროგადამცემი ხაზი. მშენებლობის დასაჩქარებლად, ტექნიკური, იურიდიული და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად, ორივე მხარეს შეიქმნა ე.წ. სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც კოორდინირებულად უნდა ემუშავათ. **თამაზ თხელიძე:** „სამუშაო ჯგუფები ორივე მხარემ შექმნა, მაგრამ მათ არაფერი გაუკეთებიათ. ყოველ შემთხვევაში, ქართული ჯგუფი მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. თუმცა ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე გიორგაძემ ნამდვილად დაწერა 1999 წლის 22 ოქტომბერს, მაგრამ ვიმეორებ, ამ ჯგუფებს ერთად არასოდეს უმუშავიათ".

შემდგომ დოკუმენტში, რომელიც 29 ოქტომბრითაა დათარიღებული და მისი ნომერია კ.ე. 07/კ.ს. 3494 სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე სარქისიანი თავის ქართველ კოლეგას, მალხაზ ყიფშიძეს სწერს: „მიმდინარე წლის 19-20 ოქტომბერს სომხეთის მხარის სამუშაო ჯგუფის წევრებს შეხვედრა ჰქონდათ თქვენს მინისტრთან, რომლის დროსაც გიორგაძემ მოითხოვა ელექტროგადამცემი ხაზის ხაშურამდე აშენება. სომხეთის მხარე თანახმაა გიორგაძის წინადადებაზე, მაგრამ ქართველებს სთავაზობს, რომ მშენებლობის პირველ ეტაპზე ჩატარდეს ა) აშენდეს ელექტროგადამცემი ხაზი 220 კილოვოლტის გაბარიტებში. ბ) პირველ ეტაპზე გაყვანილი იქნეს ელექტროგადამცემი ხაზი მხოლოდ 35 კილომეტრზე, ე.ი. ნინოწმინდამდე, რომელიც მიერთებული იქნება ამ ქალაქის 110-კილოვოლტიან ქვესადგურზე". **დავით ღვინეფაძე:** „აი, ამ წერილშია ძაღლის თავი დამარხული. ერთი შეხედვით, თითქოს სომხები თანახმანი არიან, რომ 230 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი ქალაქ ხაშურამდე აშენდეს. ასევე ეთანხმებიან ქართველების ყველა წინადადებასა თუ მოთხოვნას, ოღონდ მუშაობის მეორე ეტაპზე. პირველ ეტაპზე კი მოითხოვენ, ხაზის ნინოწმინდამდე მიყვანას, ამასთან, ხაზს გაიყვანენ 220-კილოვოლტიანი გაბარიტებით, რომელსაც 110-კილოვოლტიან ქვესადგურს მიაერთებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ სომხეთის მხარეს პირველ ეტაპზე 110-კილოვოლტიანი ხაზის მშენებლობა ჰქონდა განზრახული და ეს შემდგომმა მოვლენებმაც ცხადყო. კერძოდ, სომხეთის ენერგეტიკის სამინისტრომ ორი ქვეყნის თითქოსდა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით და საქართველოს ენერგოდეფიციტით შეწუხებულმა შემოგვთავაზა თავდაპირველად 220-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც ორი ქვეყნის ენერგოსისტემებს პარალელური მუშაობის საშუალებას მისცემდა და საქართველოს ენერგიით მომარაგებას მართლაც გააუმჯობესებდა, მით უმეტეს, თუ ხაზი ქალაქ ხაშურამდე მივიდოდა. სინამდვილეში, მათ ეს კი არ აწუხებდათ, არამედ ის სომხური მოსახლეობა, რომელიც კომპაქტურად ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ კი, ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში".

როგორც გაირკვა, შეთანხმება პრეზიდენტებსა და ენერგეტიკის მინისტრებს შორის შეთანხმებად დარჩა. მშენებლობის დასაწყებად საჭირო იყო იურიდიული დოკუმენტი, ანუ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება, რომელიც დღემდე არ არსებობს. ლაპარაკი ზედმეტია სხვა ფორმალურ მხარეებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს, როცა საქმე სახელმწიფოთაშორის დონეზე წყდება. მიუხედავად ამისა, სომხეთის რესპუბლიკამ ერთპიროვნულად დაიწყო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და 2000 წლის შემოდგომაზე მოადგა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

2000 წლის 31 ივლისის №01/1112 წერილით, სათბობენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა პრეზიდენტს აცნობებს: „სომხეთის მხარემ თავის ტერიტორიაზე დაიწყო 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. ამავე დროს ითხოვს ნებართვას, რომ შემდგომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულონ საქართველოს ტერიტორიაზე. სამინისტროს აზრით, ამ ელექტროგადამცემ ხაზს არ გააჩნია სახელმწიფოთაშორისი სისტემების პარალელური მუშაობის ფუნქცია, რაზეც 1998 წელს იყო შეთანხმება და იგი სომხეთის მხარეს მხოლოდ ადგილობრივი ენერგიის სამომხმარებლო ბაზარზე უხსნის გზას და მისი ძირითადი მიზანი სამცხე-ჯავახეთის მხარის ელექტროენერგიით მომარაგება გახლავთ. იმასთან დაკავშირებით, რომ საკითხი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს შეეხება და რამდენიმე წელია განხილვა დისკუსიების ფაზაშია, აგრეთვე საკმაოდ პოლიტიზებულია რეგიონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია საკითხი დახურულ სამთავრობო სხდომაზე ან უშიშროების საბჭოზე იყოს განხილული. განხილვის შედეგი სათბობენერგეტიკის სამინისტროს შემდგომი მოქმედებების საფუძველი გახდება".

> თამაზ თხელიძე: „გალუსტიანის ამ წერილში პირდაპირაა მითითებული, რომ 110-კილოვოლტიანი ხაზი გაყვანილია აშოცკიდან ნინოწმინდამდე. არადა პრეზიდენტებისა და შემდგომ მინისტრების შეთანხმებაში ყველგან დაფიქსირებულია ლენინაკანი-ხაშური. გალუსტიანი ცრუობს, როცა ასახელებს თითქოსდა არსებულ ხელშეკრულებას, რომელიც მინისტრების შეთანხმების შემდგომ დაიწერა".

საკითხი არც ერთ ორგანოში არ განხილულა, ე.ი. სამინისტრომ ვერ მიიღო დირექტივები. ამასობაში კი სომხეთის ენერგეტიკის სამინისტროს სისტემის მშენებლებმა გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და შეუდგნენ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას. მესხეთ-ჯავახეთის მხარეში სააქციო საზოგადოება „ელექტროგადამცემის" ფილიალის უფროსმა **რონ თაქთაქიძემ** თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მშენებლები რომ ნახა, ენერგომამებს შეუთვალა, რა ხდება, გამაგებინეთო. მამებმა თაქთაქიძის შემონათვალს წაუყრუეს. მან პასუხი ვერც მხარის მაშინდელი პრეზიდენტის რწმუნებულისაგან, გიგლა ბარამიძისგან მიიღო.

**დავით ღვინეფაძე:** „თუმცა სომხები ამბობდნენ, 220 კოლოვოლტის გაბარიტებში ავაშენებთ ელექტროგადამცემ ხაზსო, ეს არც კი უფიქრიათ და სინამდვილეში 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი გაიყვანეს. სხვათა შორის, სამშენებლო მასალად ამორტიზებულ, სხვაგან დემონტაჟირებულ ანძებს, სადენებსა და სხვა მასალებს იყენებდნენ. მეტიც, სომეხი ენერგეტიკოსები არც მალავენ, რომ ეს ელექტროგადამცემი ხაზი აზერბაიჯანის ანექსირებული ტერიტორიიდან წამოღებული ტექნიკური საშუალებებით და მასალებით ააშენეს. სურდა თუ არა ეს საქართველოს ხელისუფლებას, ბუნებრივია, არავის უკითხავს".

2000 წლის 7 ოქტომბერს დავით მირცხულავამ თავისი სომეხი კოლეგისაგან, კარენ გალუსტიანისაგან მიიღო ასეთი შინაარსის წერილი (№09 კნ 07/3093): „მიღწეული შეთანხმების საფუძველზე არსებობს ხელშეკრულება 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის აშოცკ-ნინოწმინდის მშენებლობის შესახებ. საჭიროა ჩვენი შეხვედრა საკითხების დასაზუსტებლად და მშენებლობის დასაჩქარებლად". ამავე წერილში სომეხი მინისტრი შეახსენებს ქართულ მხარეს, რომ საქართველო უნდა მოემზადოს დამთავრების სტადიაში მყოფი ელექტროგადამცემი ხაზის ბალანსიდან თავის ბალანსზე მისაღებად და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის დანახარჯების ასანაზღაურებლად".

**თამაზ თხელიძე:** „გალუსტიანის ამ წერილში პირდაპირაა მითითებული, რომ 110-კილოვოლტიანი ხაზი გაყვანილია აშოცკიდან ნინოწმინდამდე. არადა პრეზიდენტებისა და შემდგომ მინისტრების შეთანხმებაში ყველგან დაფიქსირებულია ლენინაკანი-ხაშური. გალუსტიანი ცრუობს, როცა ასახელებს თითქოსდა არსებულ ხელშეკრულებას, რომელიც მინისტრების შეთანხმების შემდგომ დაიწერა".

2000 წლის 21 ოქტომბერს №01/1697 წერილით დავით მირცხულავა კარენ გალუსტიანს უპასუხებს: „ჩვენი სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დასკვნით თქვენ მიერ აშენებული ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ააშენეთ მინისტრების შეთანხმებით, არ წარმოადგენდა იურიდიულ საფუძველს, რომ მშენებლობის გადაწყვეტილება მიგეღოთ და ისიც ცალმხრივად. ამიტომ აშენებული ელექტროგადამცემი ხაზი არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად. თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ საქართველოს კანონით ხაზზე არ არის გაცემული ლიცენზია, მისი მშენებლობა არ იყო შეთანხმებული საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროსთან. ელექტროგადაცემის ხაზი არის არალეგალური". მიუხედავად ამისა, სომხეთის ენერგეტიკის სამინისტრომ საქართველოს სათბობენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალურად მოსთხოვა ზემოთ აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციაში ჩართვა. სამინისტრომ თხოვნას უარით უპასუხა. მაგრამ დღეს ამ ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგია მაინც მიეწოდება ნინოწმინდას და ახალქალაქის რაიონების მოსახლეობას...

კარგა ხანს ორივე მხარე დუმდა. ბოლოს და ბოლოს, 2000 წლის ნოემბერში თბილისში საჩქაროდ ჩამოვიდა სომხეთის ენერგეტიკის სამინისტროს მაღალჩინოსანთა დელეგაცია. საქმეში ჩაერთვნენ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში მოკალათებული კორუმპირებული ძალებიც, ე.წ. ენერგომამები. მიზანი ერთი ჰქონდათ — როგორმე კანონის ფარგლებში მოექციათ სომხების ინიციატივით უკანონოდ აშენებული ელექტროგადამცემი ხაზი. კარენ გალუსტიანმა, მისივე განცხადებით, თბილისში დოკუმენტაციის პაკეტი ჩამოიტანა, რომელიც აშენებული ელექტროგადამცემი ხაზის დაკანონებას შეუწყობდა ხელს. **დავით ღვინეფაძე**: „გალუსტიანი დოკუმენტების პაკეტად პროექტს და ხარჯთაღრიცხვას ასახელებდა, მაგრამ მხოლოდ ეს დოკუმენტები ხაზის დაკანონების საქმეს ბევრით ვერაფრით წაადგება".

როგორც ბატონ დავით ღვინეფაძესთან საუბარში გაირკვა, მას, როგორც ექსპერტს, გულდასმით შეუსწავლია ხარჯთაღრიცხვა. მისი დასკვნით, ელექტროგადამცემი ხაზის ხარჯთაღრიცხვა უსაშველოდ არის გაბერილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხაზი ამორტიზებული კონსტრუქციებით არის აშენებული. ერთი სიტყვით, მთელი ელექტროგადამცემი ხაზის (რომელიც საქართველოს ტერიტორიას 21-ზე მეტ კილომეტრზე გასდევს და 114 საყრდენი ანძისაგან შედგება), ხარჯთაღრიცხვა არ შეიძლება შეადგენდეს 500 ათას დოლარზე მეტს. სომხეთის რესპუბლიკა კი საქართველოსათვის არაფრისმომტან ელექტროგადამცემ ხაზში 1 მილიონ 74 ათას დოლარს ითხოვს. ხარჯთაღრიცხვაში არც ის თანხა ავიწყდებათ, რომელიც ამორტიზებული ლითონკონსტრუქციების დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ორმოების მიწით ამოვსებას სჭირდება. უეჭველია, ყველას დაებადება კითხვა: რატომ არ არის სასარგებლო ჩვენი ენერგოსისტემისათვის ეს ელექტროგადამცემი ხაზი? თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს სომხეთ-საქართველოს დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის 220-კილოვოლტიანი ალავერდის ხაზი, რომლის მეშვეობითაც საქართველოს სომხეთიდან ელექტროენერგია მიეწოდება. თუ სომხეთის ენერგომამები ასე წუხდნენ სამცხე-ჯავახეთში მოსახლე თანამემამულეებზე, მაშინ იმავე ალავერდის ხაზით ზედმეტად მოეწოდებინათ მათთვის კუთვნილი ელექტროენერგია? მაგრამ სომხებსა და ქართველ ენერგომამებს იმთავითვე ჰქონდათ ჩაფიქრებული ეს აფერა — რატომ უნდა ეთქვათ უარი ნახევარ მილიონ დოლარზე და იქნებ უფრო მეტზეც, რაც მათ ყოვლად დაუსაბუთებლად გაბერილ ხარჯთაღრიცხვაში აქვთ დაფიქსირებული? ერთი რამაც არის ნიშანდობლივი (თუმცა დაჟინებით მის მტკიცებას ვერ დავიწყებ, მხოლოდ ვერსია მაქვს), კერძოდ, აშოცკი-ნინოწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისას უგზო-უკვლოდ აორთქლდა ნინოწმინდა-განძის 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი სადენები, რომელთა სიგრძე დაახლოებით აშოცკ-ნინოწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის ტოლი იყო. მაგრამ ვინ დაინტერესდება და ვინ ჩაატარებს ექსპერტიზას, მართლა სომხეთიდან თუ აზერბაიჯანიდან დემონტაჟირებული სადენებით ააშენეს თუ არა ელექტროგადამცემი ხაზი თუ საქართველოში მოპარული სადენებითაა ის გაკეთებული?

საინტერესოა ისიც, რომ ამ საქმეში ერთი დიდი „იაღლიში" საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებსაც მოუვიდათ. დღემდე არავინ დაინტერესებულა იმით, თუ როგორ მოახერხეს სომხეთის ენერგეტიკის სისტემის თანამშრომლებმა საქართველოს საზღვარზე უზარმაზარი ელექტროგადამცემი ხაზებისათვის საჭირო 18-მეტრიანი 114 ლითონკონსტრუქციების საყრდენი ანძის თავისი ბეტონის ფუნდამენტითურთ შემოტანა ისე, რომ ვერავინ ვერაფერი შეამჩნია. არადა მათი საერთო წონა 12 ათასი ტონაა. უფრო მეტიც, იგი დღემდე არ არის განბაჟებული და ვერც განბაჟდება, თუნდაც იმიტომ, რომ თავად ობიექტი გახლავთ უკანონოდ აშენებული. თუმცა საბაჟო რა საბაჟოა, რომ ერთი „იაღლიშით" დაკმაყოფილებულიყო. თითქმის ორ წელზე მეტია, არალეგალური ელექტროგადამცემი ხაზით, აშოცკ-ნინოწმინდით მესხეთ-ჯავახეთში შედის კონტრაბანდული ელექტროენერგია, მაგრამ არც ამაზე იტკივებს ვინმე აუტკივარ თავს.

ახლა ყველა უფრო იმაზე ფიქრობს, რა მოუხერხონ ამ უკანონო ობიექტს. ყველაზე იოლად თავი ნინოწმინდის გამგებელმა და ადგილობრივმა მიწის მართვის სამმართველომ დაიძვრინეს. გამგებელმა არზუმანიანმა როგორც კი შეიტყო, რომ ყველა ობიექტს, მათ შორის ელექტროგადამცემ ხაზსაც მიწის ნაკვეთის გადაცემა სჭირდებოდა, სახელდახელოდ გამოიტანა დადგენილება. არზუმანიანმა ეს დადგენილება 2002 წელს შეადგინა, რომლის მიხედვით ელექტროგადამცემი ხაზის აშოცკი-ნინოწმინდას მშენებლობისათვის გამოყოფილ იქნა მიწის ფართობი და შესაბამისი აქტიც მიუთითა. ჩაირთო თუ არა ელექტროგადამცემი ხაზი, **რონ თაქთაქიძის** თქმით, „არზუმანიანმა სასწრაფოდ ჩამოაყალიბა ენერგოკომპანია „ელექტროშუქი" და, ფაქტობრივად, სომხეთიდან მოწოდებული კონტრაბანდული ელექტროენერგიის ერთადერთი ბატონ-პატრონი გახდა. კომპანია მოსახლეობისაგან ფულს იღებს, ხოლო არზუმანიანი თავს ნებას აძლევს და ელექტროენერგიის მიმწოდებელთან დებს ხელშეკრულებას, რისი უფლებაც არც ერთ ენერგოკომპანიას, „ეი-ი-ეს თელასის" გარდა, არ აქვს. ისმის კითხვა, რისთვის უნდა სჭირდებოდეთ სომხეთის ხელისუფალთ ენერგოავტონომიის მოპოვება სამცხე-ჯავახეთში?"

ამ საქმეში ძალიან საეჭვოდ ფიგურირებს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის მიერ გაცემული ლიცენზია, რომელიც აშოცკ-ნინოწმინდის ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგიის იმპორტისათვის არის გათვალისწინებული. რატომ მისცა უკანონო ობიექტს ელიზბარ ერისთავმა ლიცენზია, გაუგებარია.

ჩვენ კომენტარი სომხეთის ელჩს, **გიორგი ხოსროევს** ვთხოვეთ. როგორც მან განაცხადა, აშოცკ-ნინოწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტებმა მიიღეს. ელექტროგადამცემი ხაზი აშენებულია, ახლა აუცილებელია ქართული მხარის კეთილი ნება და ხაზის დაკანონებასთან დაკავშირებული საკითხი გადაწყდება.

საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ **ელიზბარ ერისთავმა** კი განაცხადა: „გვინდა თუ არ გვინდა, ფაქტის წინაშე დავდექით. ელექტროგადამცემი ხაზი აშენებულია და მისი საშუალებით ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს სომხეთიდან მიეწოდებათ ელექტროენერგია. სანამ ის დაკანონდება, სემეკმა გასცა დროებითი ლიცენზია, რათა ელექტროენერგიის მიწოდება კონტრაბანდულად არ მომხდარიყო და მას ასე თუ ისე კანონიერი სახე მიეღო".

P.S. როგორც შევიტყვეთ, ელექტროგადამცემი ხაზი დღემდე არალეგალურად მუშაობს, ქართული მხარე კი დუმს და არც ხაზის რეალური ღირებულების შესახებ დავით ღვინეფაძის დასკვნას აქცევს ყურადღებას.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# პრეზიდენტი შევარდნაძე წელს შეიძლება გადადგეს...



ქართულ პოლიტიკურ არენაზე სკანდალები არ ცხრება. გახლეჩა და დაპირისპირება პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი თანამდევი და აუცილებელი ატრიბუტი, ყველა პარტიისთვის „ნაცნობი“ პრობლემა გახდა. „ეროვნულ-დემოკრატებისა“ და „სახალხოს“ დაპირისპირება მმართველ პარტიაში ატეხილმა ალიაქოთმა დაჩრდილა. მამალაძის და ჟვანიას მომხრეები ერთმანეთის ცხვირ-პირის ამონაყვასა და წესების გარეშე ბრძოლაში ისე დახელოვდნენ, ალბათ მალე პროფესიონალ მოჩხუბრებსაც გაეჯიბრებიან...

რაკი პოლიტიკოსები დიალოგზე უარს ამბობენ, მათი შეცვლა ბიზნესმენებმა სცადეს — პოლიტიკოსებმა თავიანთი შესაძლებლობები ამოწურესო, — დაასკვნეს და პრეზიდენტის საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივება 2 წლით სცადეს... ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით ნაციონალური მოძრაობის თანათავმჯდომარეს **ლევან ბერძენიშვილს**:

**— მოქალაქეთა კავშირში გახშირებული ხმაურიანი „გარჩევები“ ზოგმა მმართველი პარტიის ქონების გაყოფის მცდელობად მიიჩნია, ზოგმა პარტიული ლიდერების იდეურ შეუთავსებლობად. მაინც რა ვერ გაიყვეს „მოქალაქეებმა“?**

— დავა არის პარტიაზე. პარტია კი არის ქონება, იდეები და ხალხი. ამ პარტიაში იყო იდეური და აბსოლუტურად უიდეო ხალხიც. ახლა სწორედ ამ მხრივ მიმდინარეობს გაყოფა — ანუ ერთ მხარეს პოლიტიკოსები დადგნენ, მეორე მხარეს კი ის ხალხი, რომელთაც შევარდნაძის გამო სურთ პოლიტიკაში ყოფნა. ე.წ. უიდეონი მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რა ეშოვათ და როგორ გამოეყენებინათ ედუარდ შევარდნაძის პარტიის წევრობა.

ეს პარტია ორ ნაწილად კი არა, ერთ დიდ და ერთ პატარა ნაწილად იყოფა. როგორც ჩანს, მოზრდილი ნაწილი რჩება იმ იდეური კურსის მომხრე, რომელსაც ადრე შევარდნაძე ატარებდა და ახლა ჟვანია ატარებს. დღეს მათ თავი ოპოზიციონერებად მიაჩნიათ და ვფიქრობ, ეს ბუნებრივია. თავის დროზე შევარდნაძე ამ პარტიის თავმჯდომარეობიდან იმის გამო გადადგა, რომ მას პარტიის შიგნით სერიოზული ოპოზიცია გამოუჩნდა (ალბათ გახსოვთ, როცა ზურაბ ჟვანიამ პრეზიდენტს წერილი მისწერა). ეს არ მოეწონა შევარდნაძეს და სავსებით მართებული ნაბიჯი გადადგა. მაშინ პრეზიდენტი უფრო ცივილიზებულად მოიქცა, ვიდრე ის ხალხი, ვინც დღეს შევარდნაძის დავალებით მოქმედებს. მამალაძე არასოდეს ყოფილა პოლიტიკური მოღვაწე — თანამდებობა სულაც არ ნიშნავს პოლიტიკოსობას. პოლიტიკური მოღვაწეობა ნიშნავს პოლიტიკურ აზროვნებას, მეტყველებას და ნათქვამისთვის მეტი ტვინის დაყოლებას. სასაცილოა, მამალაძე რომ პარტიისთვის იბრძვის. ამ შემთხვევაში სიტყვა „პარტია“ და მამალაძე ძალზე შეუთავსებელია. გაცილებით სიმპათიურად გამოიყურებიან ის ძალები, რომელთაც საზოგადოება რეფორმატორებად იცნობს. შეიძლება „მოქალაქეთა კავშირს“ დღეს რეიტინგი დაბალი აქვს, მაგრამ როდესაც ის მამალაძისგან, ხაზარაძისა და სხვა „მოქალაქეებისაგან“ გაიწმინდება, მივიღებთ შედარებით უკეთეს პოლიტიკურ ძალას, რომელსაც იმედი მაქვს, „მოქალაქეთა კავშირი“ არ ერქმევა.

**— და პრეზიდენტის ადგილი ოპოზიციურ პარტიაში იქნება?**

— ვფიქრობ, პრეზიდენტი არ უნდა იყოს ერთი პარტიის გულშემატკივარი — ავია თუ კარგი, შევარდნაძე ყველას პრეზიდენტია. მისთვის ხმა არასოდეს მიმიცია, მაგრამ ყოველთვის ვაღიარებდი, რომ მას შეუძლია ქვეყნის მართვა. მართალია, ბოლო დროს ცოტა გაუჭირდა პრეზიდენტს, მაგრამ არ მგონია იმის გამო, რომ „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერი იყო.

**— მაინც რატომ გაუჭირდა?**

— მიზეზი ორია. პირველი — ჩვენისთანა ქვეყნის მართვა ძნელია, აქ პრეზიდენტობა გაუჭირდებოდა ყველას. მეორე მიზეზი მისი ასაკია. ეს ასაკი კარგია პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის, მაგრამ ცუდია ოპერატიული საქმიანობისთვის. შევარდნაძეს აქვს პოლიტიკური მართვის უნარი (საგარეო პოლიტიკას დღესაც კარგად წარმართავს), მაგრამ კადრების, ხალხთან მუშაობის საკითხში შევარდნაძე უკანასკნელი 40 წლის მანძილზე უვარგისი იყო და უვარგისადვე დარჩა. ამიტომ არის, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს საქართველოს საგარეო კურსს, მაგრამ აკრიტიკებს ჩვენს პრეზიდენტს საშინაო პოლიტიკის გამო. კორუმპირებულთა დიდი სია სწორედ ამერიკაში გამოაცხვეს. ეს კორუმპირებული ხალხი იგივე შევარდნაძის გარემოცვაა და არა ჩემი.

**— შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგაც ვერ ელევიან. კიდევ ორი წელი დარჩითო, ევედრებიან...**

— თემურ ჭყონია, რომელმაც ეს განაცხადა, ფიქრობს, რომ მისი ბიზნესისთვის სჯობს შევარდნაძე კიდევ ორი წელი დარჩეს პოსტზე, მაგრამ თავად საქართველოსთვის დაუშვებელია შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელება. სხვათა შორის, შესაძლოა შევარდნაძემ მანამდეც შეწყვიტოს თავისი მოღვაწეობა, თუკი მემკვიდრეს გამოძებნის.

**— კვლავინდებურად თქვენ ვარაუდის ერთგული რჩებით?**

— დიახ. მას შემდეგ, რაც ამერიკელები დამკვიდრდებიან საქართველოში, პრეზიდენტ შევარდნაძის ფუნქცია ამოიწურება და, მას როგორც საპატიო და ღირსეულ კაცს, გავაცილებთ. მადლიერნი ვართ, რომ შევარდნაძემ გაიგო აშშ-ის და საქართველოს ინტერესთა თანხვედრის მნიშვნელობა და სწორი ნაბიჯი გადადგა. მაგრამ ეს არის ყველაზე დიდი ნაბიჯი, რომლის გადადგმაც მას შეუძლია. ამიტომ ეს ადასტურებს ჩემს აზრს, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე წელს შეიძლება გადადგეს. ყველა ცოდვა მიეტევება შევარდნაძეს, თუ საქართველოს უშიშროებას ექნება ისეთი დიდი გარანტი, როგორიც აშშ-ია.

**— ოპოზიციაშიც დაძაბულობაა — ედპ და „სახალხო“ გაიხლიჩა, ედპ-ის ლიდერი ავტოკატასტროფაში მოჰყვა, მეორე დღეს კი „სახალხოს“ ლიდერს დაუწვეს მანქანა.**

— ვერაფერს გამოვრიცხავ, შესაძლოა, ეს ხელოვნურად მოწყობილიც იყოს. რაც შეეხება ამ პარტიების გახლეჩას, ასეთი პროცესი ყველა პარტიაში მიმდინარეობს. პოლიტიკური გემოვნება ნელ-ნელა იხვეწება და ყველა ერთნაირად აღარ ფიქრობს. პოლიტიკოსებმა თავი ამოწურესო, — საქმეში ჩაუხედავი ხალხის ნათქვამია. პოლიტიკას მარტო პოლიტიკოსები წარმართავენ. მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ხალხს სარიშვილი ან გიორგაძე, ისინი მაინც დარჩებიან პოლიტიკაში.

რაც შეეხება იმას, რომ ედპ-მ თავის მთავარ ამოცანად ნაციონალურ მოძრაობასთან ბრძოლა დასახა, ცოტა არ იყოს, სახუმაროდ მიმაჩნია. სხვისი ლანძღვით რაიმეს მიღწევა რომ შეიძლებოდეს, დარწმუნებული ვარ, ისევ კომუნისტური მმართველობა გვექნებოდა.

**— რატომღაც პოლიტიკოსთა დაპირისპირება არასამთავრობო სექტორზეც აისახა, იქაც განხეთქილებაა...**

— არასამთავრობო სექტორში განხეთქილება არ არის...

**— „გრანტიჭამიებისა“ და „არაგრანტიჭამიების“ ბრძოლაზე რას იტყვით?**

— ორგანიზაცია, რომელსაც გრანტი არ მიუღია, რომელიც პროექტებს ვერ ახორციელებს, არასამთავრობო ორგანიზაცია არ არის. ორგანიზაცია, რომელიც თავის ფინანსურ წყაროს ვერ ასახელებს, როგორ არის არასამთავრობო? ის არის „სხვანაირი“ ორგანიზაცია. „საქართველოს ერთიანობის ალიანსის“ თანათავმჯდომარე ქვემო ქართლის გუბერნატორია და როგორ არის ის არასამთავრობო? ამიტომ ვამბობ, არასამთავრობო სექტორში განხეთქილება არ არის-მეთქი. „საქართველოს ერთიანობის ალიანსი“ არის პოლიტიკური ფრთის უნიჭო ნაწილი. კაცი რომ იტყვის, — 40 პროექტი დავწერეთ და გრანტი ვერ მოვიპოვეთო, ეს სასახელოა? როცა ამბობენ, არასამთავრობო ორგანიზაციები „გრანტიჭამიები“ არიანო, მაშინ თვითონ სხვა რაღაცის მჭამელები ყოფილან. სხვა ფულით არსებობენ, რომლის წყაროსაც ვერ ასახელებენ. მიუხედავად ამისა, მჯერა, ეს ახალგაზრდები მალე განუდგებიან მამალაძეს, გრანტს მოიპოვებენ და წესიერ ორგანიზაციად ჩამოყალიბდებიან.

***იზო რიკაძე***

# „არძინბას კაზანბათი შეცვლაში შესაძლოა რუსეთის სპეცსამსახურების ხელიც ერიოს...“



აფხაზეთის საკითხისადმი მიძღვნილი პარლამენტის სამდღიანი გასაიდუმლოებული თათბირი, როგორც იქნა, დადგენილების მიღებით დასრულდა, რომლის შინაარსიც ნაკლებკატეგორიულობის გამო ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებას და დეპუტაციას თვალში არ მოსდით... მაგრამ ეს „არცთუ მწვავე დოკუმენტი“ პარლამენტში მწვავე დებატების საფუძველი გახდა. დეპუტატთა ნაწილი აფხაზების მოკავშირე რუსების გაღიზიანებას ერიდება, ნაწილი კი გენოციდისა და ეთნოწმენდის ინიციატორებს — არძინბასა და ჯერგენიას „სამართლებრივი დევნისთვის“ ვერ იმეტებს.

იმავდროულად რუსეთის დუმა და დსთ-ის უშიშროების საბჭო შეშფოთებას ვერ მალავენ. შიშობენ, რომ პანკისში ტერორისტების გაუვნებელყოფის შემდეგ ანტიტერორისტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მოკალათებულ „ბინ ლადენებსაც“ მიხედავენ. „ეს იქნება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემების გადაჭრა ამერიკელთა დახმარებით“, — აღიარებენ რუსები და „ანტიტერორისტული ეგიდით“ საქართველოში დარჩენას თვითონ ცდილობენ.

ვესაუბრებით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **თამაზ ნადარეიშვილს**:

— მსურდა პარლამენტის დადგენილება უფრო რადიკალური ყოფილიყო, მასში ასახულიყო აფხაზეთის სტატუსის საკითხი. კონსტიტუციაში კი კონკრეტულად ჩაწერილიყო, რომ აფხაზეთი არის საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკა და მისი განუყოფელი ნაწილი. სამწუხაროდ, ამას ვერ მივაღწიეთ, მაგრამ ჩემი ოპონენტები დარწმუნდებიან, რომ სამ თვეში არაფერი შეიცვლება და ვიმედოვნებ, ამის შემდეგ მაინც გაჩნდება ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში.

პარლამენტმა აფხაზეთში ქართველთა გენოციდი და ეთნოწმენდაც აღიარა და დაადასტურა, რომ მისი ინიციატორების სამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს. და მაინც, აჯობებდა, საკითხი დოკუმენტში უფრო დაკონკრეტებულიყო — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და გენპროკურატურას საერთაშორისო დონეზე უნდა დაესვათ ეს საკითხი და მოეთხოვათ საერთაშორისო სასამართლოს ან ტრიბუნალის გამართვა. საქართველოს პროკურატურაში 200 ტომი დევს აფხაზეთში ქართველთა გენოციდსა და ეთნოწმენდაზე. მასალებში ფიგურირებს ეთნიკური წმენდის უშუალო მომწყობი და შემსრულებელი 700 კაცი. მათ შორის არიან არძინბაც და ჯერგენიაც...

**— მაგრამ პარლამენტი არ ყოფილა ერთსულოვანი გენოციდის მომწყობთა დასჯის საკითხში.**

— როცა გენოციდს აღიარებენ, ლოგიკურად უნდა დაისვას მეორე საკითხიც — დამნაშავეთა დასჯა. „აღორძინების“ პოზიცია, — ეს საკითხი შევაჩეროთო, მიუღებელია. ასლან აბაშიძე აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას რუსეთის მხარდაჭერით ცდილობს. ვიცით, რომ ისევ აპირებს მოსკოვში ჩასვლას... ბუნებრივია, მის გუნდს არ მოსწონს ის პროცესები, რაც ქვეყანაში ბოლო დროს განვითარდა, არ მოსწონს ამერიკელების ჩამოსვლა საქართველოში. ამიტომაც აცხადებენ, — არც ამერიკელების დახმარება გვინდა, არც აფხაზების გაღიზიანება. სჯობს, დავივიწყოთ გენოციდი და ეთნოწმენდა და რუსეთთან მოლაპარაკებით დავიბრუნოთ აფხაზეთიო. ეს არასოდეს მოხდება, რადგან რუსეთი თვითონ არის კონფლიქტის მხარე.

**— ასლან აბაშიძეს მოსკოვური ვიზიტის შესახებ პარლამენტში არ გაუკეთებია მოხსენება, თქვენ ალბათ გაქვთ არაოფიციალური ინფორმაცია, თუ რა შედეგებით დაბრუნდა აჭარის ლიდერი...**

— ვიცი, რომ ასლან აბაშიძე შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრ ივანოვს და მის პირველ მოადგილეს, მაგრამ მინდოდა ამ ვიზიტის შედეგზე უშუალოდ მისგან მიმეღო ინფორმაცია. რამდენჯერმე დავუკავშირდი ასლან აბაშიძეს, მაგრამ მან ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. თუმცა ჩემთვის ასე თუ ისე ცნობილია იმ მოლაპარაკებების შინაარსიც, რომელიც ბ-ნ ასლანს ჰქონდა რუსეთში, მაგრამ კომენტარისგან თავს შევიკავებ. ღმერთმა ქნას, ბატონმა ასლანმა არსებით შედეგს მიაღწიოს მოლაპარაკებებით და მაშინ მოვუბოდიშებ აჭარის ლიდერსაც და მთელ საქართველოსაც იმის გამო, რომ არასწორი პოზიცია მეკავა წლების მანძილზე. ისე კი ამ რვა წელმა დამარწმუნა, რომ მოლაპარაკება შედეგს არ მოგვცემს. სამწუხაროდ, ეს ჩემი კაპრიზი კი არა, რეალობა გახლავთ.

**— ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ არძინბას შემცვლელ კაზანბაზე, რომლის უკან თითქოს ამერიკის პროგრესული წრეები დგანან...**

— ინალ კაზანბას კარგად ვიცნობ. ის რამდენჯერმე იყო თბილისში ჩამოსული და შევხვდი. ჩვენ სისტემატური მიმოწერაც გვაქვს. აპრილის ბოლოს კაზანბა ისევ აპირებს თბილისში ჩამოსვლას და მთხოვა, შემხვდიო.

ინალ კაზანბა ეთნიკური აფხაზია. სირიაში დაიბადა და აშშ-ში ცხოვრობს. ერთ დროს ის აფხაზების ე.წ. ელჩი იყო შტატებში, მაგრამ ბოლო 3 წლის მანძილზე მან პოზიცია შეიცვალა და აცხადებს, — აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში უნდა იყოსო... ლაპარაკი იმაზე, რომ თითქოს კაზანბას მოსვლა აფხაზეთის ხელისუფლებაში ამერიკელებს სურდეთ, ჭორია. არ გამოვრიცხავ, ამ ხმების გავრცელებაში რუსეთის სპეცსამსახურების ხელიც ერიოს, თუნდაც იმიტომ, რომ რეალურად ვერ ვხედავ მექანიზმს და შესაძლებლობას, თუ როგორ უნდა ჩაენაცვლოს კაზანბა არძინბას.

**— როგორც ამბობენ, არაბები და ვაჰაბიტები პანკისის გარდა, აფხაზეთშიც შეუზღუდავად დასეირნობენ. ამიტომაც არ გამორიცხავენ, რომ ანტიტერორისტული ოპერაცია იქაც განხორციელდეს.**

— აფხაზეთი რომ ტერორიზმის, სეპარატიზმისა და ნარკობიზნესის ბუდეა, ეს სტრასბურგშიც განვაცხადე. 1990 წელს, როდესაც მთიელ ხალხთა კონფედერაცია ჩამოყალიბდა, სოხუმი კონფედერაციის დედაქალაქად გამოაცხადეს. ამ ყრილობას ესწრებოდა ყველა დღეს უკვე ცნობილი ტერორისტი: ბასაევი, ხატაბიც და სხვებიც.

**— „სხვებში“ ვის გულისხმობთ?**

— იმ პირებს, რომლებიც მოგვიანებით გამოჩნდნენ ალ-ქაიდაში, ავღანეთში, ბინ ლადენთან. გვაქვს 118 თურქის სია, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ. დღეს კი ქართველების სახლებში ცხოვრობენ. აფხაზეთში სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც არიან. მაგალითად, დღეს იქ დაახლოებით 48 იორდანიელი, 50-მდე სირიელი და 60 ალ-ქაიდას წევრია. არის, აგრეთვე ჯგუფი ვინმე ქიცბას ხელმძღვანელობით, რომელმაც არაბეთის ქვეყნებში გაიარა სერიოზული მომზადება აფხაზეთში ვაჰაბიტური მიმდინარეობის გასავრცელებლად. გარდა ამისა, გვაქვს ინფორმაცია, რომ ტყვარჩელის მიდამოებში მოქმედებს ორი ჰეროინის ქარხანა, ანუ აფხაზეთი არის არა მარტო ნარკოსატრანზიტო, არამედ ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანაც.

**— ვინ არის ჩართული ნარკობიზნესში — აფხაზთა ხელისუფლება თუ შავი სამყარო?**

— ხელისუფლება იგივე შავი სამყაროა. მარტო 2001 წელს აფხაზეთში 200 გემი შემოვიდა. ეს ცხადყოფს იმას, რომ იქ სერიოზული პროცესები მიმდინარეობს. აფხაზეთში სისტემატურად შემოდის სხვა კონტრაბანდული საქონელიც — სიგარეტი, სასმელი, იარაღი. სამაგიეროდ, აფხაზეთიდან გადის ხეტყე, ფლორისა და ფაუნის უნიკალური ნიმუშები და ქვანახშირი.

**— ითქვა, აფხაზებმა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო თურქებს მიჰყიდესო.**

— ქვანახშირის საბადოები ჯერგენიასია, ის აკონტროლებს ამ დარგს. ბოლო დროს დაკავებულ ერთ-ერთ გემზე 500 ათასი დოლარის ღირებულების ტყვარჩელის ქვანახშირი აღმოჩნდა. ამ გემმა კი 100 ათასი დოლარის ღირებულების სიგარეტი შემოიტანა. აფხაზეთში სიგარეტის კონტრაბანდას ხელისუფლება აკონტროლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეში ქართველი ბიზნესმენებიც არიან ჩართულნი.

**— პარლამენტარებიც ხომ არა?**

— ვერ დავაკონკრეტებ... ამას საგამოძიებო მასალები დაადასტურებს... ერთს ვიტყვი — აუცილებლად უნდა განხორციელდეს აფხაზეთში ანტიტერორისტული ოპერაცია. საბედნიეროდ, მოგვეცა შესაძლებლობა, აფხაზეთის საკითხის მოგვარება ანტიტერორისტული ეგიდით წარიმართოს და ეს უნდა გამოვიყენოთ.

***იზო რიკაძე***

# — პუსკაი ბუშ უ მენია ნაუჩიტსა...

**(დასაწყისი იხ. გვ. 5)**

იცით, შევარდნაძემ რატომ აირჩია ამერიკული კოალიცია? იმიტომ, რომ მას რუსეთი არასოდეს მიიღებს, ევო ჟე სუდიტ ბუდუტ. მარტო იმიტომ კი არა, საბჭოთა კავშირი რომ დაანგრია — რუსებისთვის არც უკითხავს, ისე აჩუქა მათი მიწები ამერიკას. საერთოდ, ამერიკის იმპერიალისტურმა სისტემამ უკვე დრო მოჭამა. მას მომავალი არ აქვს. უვერენ, ჩტო საბჭოთა კავშირი ისევ აღდგება. კომუნისტური იდეა უკვდავია.

**— იდეა შეიძლება, მაგრამ „დრომოჭმული იმპერიალიზმისგან“ განსხვავებით, საბჭოთა კავშირი მოკვდავი აღმოჩნდა...**

— არაფერი არ მომკვდარა. საბჭოთა იდეოლოგია განვითარების ერთ-ერთ სტადიაშია. ეტა ვეძ ნე პრაბლემა, თუ ათი წლით არ იარსებებს. ზა ეტო ვრემია ხალხი ბევრ რამეს მიხვდა. მეჟდუ პროჩემ, თავის დროზე ფრანსუა მიტერანმა თქვა: „გასპადა, კაპიტალიზმ სვოიო იშჩერპალ, ონ იავლიაეტსა ტორმოზომ ჩელოვეჩესტვა“. წერეთელი კიდევ, გამოდის და ამბობს, რუსები წაეთრიონო, ჩვენ ამერიკა გვინდაო, ონ ტაკ რებიონკომ ი ასტალსა. წერეთელი დიდი ბოვშვია, მარა მავნე ბოვშვი. პარლამენტში კი რუსეთი სიფილისად გამოაცხადეს. უსირცხვილოები... ეგენი მარტო თავის ტყავზე ფიქრობენ. ნო ნიჩივო, ვეძ ბოგ სუშესტვუეტ...

**— როგორც მახსოვს, კომუნისტები ათეისტები იყვნენ...**

— მე ათეისტი არასოდეს ვყოფილვარ. და ი ვაბშე, კამუნისტი ვსეგდა ზა ხრისტიანსტვა ბილი. თუ კომუნისტები ეკლესიის წინააღმდეგ იყვნენ, მარტო იმ შემთხვევაში, თუ სასულიერო პირები უპატიოსნოდ იქცეოდნენ, თორემ სხვა შემთხვევაში, პირიქით, მფარველობდნენ კიდეც. თუ შევადარებთ კომუნისტურ და ქრისტიანულ ფილოსოფიას, დიდი განსხვავება არ არის.

**— განსხვავება ღმერთშია...**

— ეგ სხვა საკითხია. კომუნისტები აბორტს კრძალავდნენ, პროსტიტუციას და ნარკომანიას ებრძოდნენ, ზაბონილის პრა სტარიხ... განა ეკლესია სხვა რამეს ქადაგებს?

**— საინტერესოა, სექტანტებზე რა აზრის ხართ?**

— სხვათა შორის, კომუნისტების დროს მათ ასეთი თავისუფლება არ ჰქონდათ, ეს ამერიკას სჭირდება. ამიტომაც უნდა დავფიქრდეთ ქართველები არჩევანის გაკეთების დროს. ამერიკა ვერც აფხაზებსა და ოსებთან შეგვარიგებს — პალესტინას და ისრაელს რამდენი ხანია არიგებს და ვერ შეურიგებია... ამიტომ მინდა მივმართო შევარდნაძეს — კაცო, შენ ქართველი არა ხარ? ნუ ეგოისტობ, ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას კიდევ უნდა ცხოვრება და უფსკრულში რატომ მიაქანებ. ბოლოს და ბოლოს, ადექი და ის გააკეთე, რაც საჯაიამ გააკეთა, თუ ეს არ შეგიძლია, გამოდი და თქვი, მოხუცი კაცი ვარ, შემეშალა, ხალხო, მაპატიეთ-თქო.

**— ამის გარდა, სხვა რა გეგმები გაქვთ?**

— ცოტა დათბეს, ქართველი კაცი მოღონიერდეს და ჩვენ მთელ საქართველოში წამოვიწყებთ მასობრივ აქციებს, რომელიც პრეზიდენტის კანცელარიასთან დასრულდება. ფეხსაც არავინ მოიცვლის, სანამ არ გადადგება.

***დაჩი გრძელიშვილი***

# Грузия есть, армии нет

## ქართული არმია ჩრდილოელი მეზობლის შეფასებით

### სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ჩვენს ქვეყანაში რუსეთის მასმედიის განსჯის მთავარ თემად იქცა

რუსეთის მასმედია ბოლო ხანს საგანგებო ყურადღებას უთმობს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს — მისი ბრძოლისუნარიანობისა თუ აღჭურვის, აგრეთვე საერთაშორისო დახმარებების საკითხებს.

რუსულმა დამოუკიდებელმა ყოველკვირეულმა გაზეთმა „Независимое военное обозрение“-მ №8-ში ზემოხსენებულ თემას სამი დიდი სტატია მიუძღვნა. ეს გამოცემა, რომელიც ცნობილი რუსული გაზეთის „Независимая газета“-ს დამატებაა, შედარებით, მცირე ტირაჟით გამოდის, მაგრამ საკმაოდ პოპულარულია რუსულ სამხედრო-პოლიტიკურ და განსაკუთრებით სამხედრო-სამრეწველო წრეებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გაზეთის მეოთხედი საქართველოს თემას მიეძღვნა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ინტერვიუ ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგთან ზბიგნევ ბჟეზინსკისთან.

ინტერვიუში ამერიკელი პოლიტოლოგი საგანგებოდ უსვამს ხაზს შემდეგ გარემოებას: — ჩემთვის ცნობილია პრეზიდენტ პუტინის რეაქცია საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების შესაძლო ჩასვლასთან დაკავშირებით და მიმაჩნია, რომ მოსკოვი ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას. ამასთანავე, არა მგონია, რუსეთს ხელს აძლევდეს აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში შესვლა, რადგან ეს შეიძლება „გადამდებ სენად“ იქცეს. აშშ საკმაოდ დიდ ეკონომიკურ დახმარებას უწევს საქართველოს, მაგრამ ასევე აუცილებელია, ამ ქვეყნის ხელისუფლება თავადაც ეფექტურად შეებრძოლოს კორუფციას. თანდათან იზრდება დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის დაინტერესება კავკასიის რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებით და იქ კონფლიქტის ხელახალი ესკალაცია მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობების დაძაბვას გამოიწვევს.

ამერიკელი პოლიტოლოგი ბჟეზინსკი კიდევ ერთ საინტერესო გარემოებას უსვამს ხაზს: — აშშ-ისა და საქართველოს შესახებ სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ მოლაპარაკებები დიდი ხანია მიმდინარეობს. ამის შესახებ ოფიციალურ მოსკოვს ვაშინგტონმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ აცნობა. ასე რომ, ეს არც ისე მოულოდნელი მოვლენებია, როგორც ამას რუსეთის მასმედია ამტკიცებს.

ამ ბოლო, საინტერესო გამონათქვამის კიდევ ერთი დასტურია ამავე გაზეთის სხვა სტატიაში „გაელვებული“ ფრაზა — რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურმა წრეებმა (უპირველესად, იგულისხმება რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა) ჯერ კიდევ სამი თვის წინ იცოდნენ, რომ ამერიკელი სამხედროები საქართველოს პანკისის პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდნენ, მაგრამ ეს რუსეთის საზოგადოებას არ შეატყობინეს.

თუ ეს ყველაფერი სიმართლეა (და, ეტყობა, ასეც არის), მაშინ გამოდის, რომ ყაზახეთში, არაოფიციალურ სამიტზე პრეზიდენტ პუტინის პრეზიდენტ შევარდნაძისთვის ნათქვამი — ამერიკელების საქართველოში ყოფნა არავითარი ტრაგედია არ არის, მაგრამ ამის შესახებ თავის დროზე რატომ არ გვაცნობეთო, — სხვა არაფერია, თუ არა თავის დაძვრენის ხერხი. ან უარესი — რუსეთის მაღალი სამხედრო წრეები მნიშვნელოვანი ინფორმაციის დიდ ნაწილს თავის პრეზიდენტს — უმაღლეს მთავარსარდალს უბრალოდ, უმალავენ, რაც სახიფათოა არა მარტო თავად ბირთვული რუსეთის თუ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც.

ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ამავე გაზეთში რუსი სამხედრო ჟურნალისტების მიერ ქართული არმიის რეალური ბრძოლისუნარიანობის შეფასება.

„Грузия есть, армии нет“, „Без шансов на успех“, და, რაც მთავარია, „Грузинские военные не смогут самостоятельно решить ни одной серезной боевой задачи“, — ასე დასათაურებულ სტატიაში გასაგებია, ქართულ არმიაზე კარგი არაფერი ეწერება.

სტატიაში მოყვანილი ზოგიერთი მსჯელობა, ჩვენდა სამწუხაროდ, მეტ-ნაკლებად შეეფერება სინამდვილეს — ის, რომ საბჭოთა პერიოდში ქართველი ჯარისკაცების უმრავლესობა საბრძოლო ტექნიკისა თუ ტაქტიკის შესწავლას „კაპტიორკასა“ თუ სასადილოში თავის შეფარებას ამჯობინებდა. ჩვენ ვერც საბრძოლო ოფიცერთა სიმრავლით დავიკვეხნით, რადგან სამხედრო სასწავლებელში ჩაბარება (იმავე წვენების ტექნოლოგიურისგან განსხვავებით) დიდად პოპულარული არ ყოფილა (თუმცა ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, არსებობდა მოსკოვის საიდუმლო ბრძანება ქართველი ეროვნების საბჭოთა ოფიცრების კარიერის შეზღუდვის შესახებ).

ქართული არმიის პრობლემები რუსებზე არანაკლებ მოგვეხსენება, მაგრამ ზემოხსენებულ სტატიაში მთლიანად განადგურებულია ქართველის, როგორც მებრძოლი ადამიანის სტერეოტიპი. კბილი თენგიზ კიტოვანსა და ჯაბა იოსელიანსაც აქვს გაკრული, ხოლო გია ყარყარაშვილი მოხსენებულია, როგორც საბჭოთა არმიის დეზერტირი უმცროსი ლეიტენანტი, რომელმაც სამშობლოში თავი ჯერ კაპიტნად გამოაცხადა, ხოლო ცოტა ხანში გენერალი გახდა.

ბრძოლისუნარიანი არმია საქართველოს არ ჰყავს და კარგა ხანს არ ეყოლებაო, — დაუჟინიათ რუს ექსპერტებს. საქართველოს სამხედრო ძალების ობიექტური კრიტიკა (ჩვენი თვალსაზრისით) არც „კვირის პალიტრას“ დაუკლია, მაგრამ ძალზე გულსატკენია, როდესაც არც ისე კეთილგანწყობილი მეზობელი მიწასთან ასწორებს ქართულ არმიას. ამიტომაც იქნებ საერთო ძალებით, მთელი საზოგადოების ძალისხმევითა და მონდომებით ისე ვქნათ, როგორც წინაპრებს უანდერძებიათ: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანი!“

# ამერიკული ანგარი რუსული შვეულმფრენების გასარემონტებლად

მაშინ, როდესაც ნახევარი მსოფლიო ალაპარაკდა (ხოლო ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენელი, სამწუხაროდ, „აყეფდა“) პენტაგონის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად დახმარების გაზრდაზე, სხვა ქართული უწყება უკვე რეალურად იღებს ასეთ დახმარებას.

21 მარტს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი თავისი ჩამოყალიბების მე-10 წლისთავზე ამერიკისგან ახალ, მნიშვნელოვან საჩუქარს იღებს. 1998 წელს დაწყებული და აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული „საქართველოს საზღვრის დაცვისა და კანონის განმტკიცების პროგრამის“ ფარგლებში აშშ-ის საბაჟო სამსახურმა ქართველ მესაზღვრეებს გარემონტებული საავიაციო ანგარი და საწყობი გადასცა.

**ჩვენი დოსიე: საავიაციო ანგარ-ლაბორატორია ალექსეევკაში საბჭოთა სასაზღვრო ჯარების ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისთვის 1983 წელს აშენდა. იგი აქ განთავსებული საავიაციო ტექნიკის — Ми-8 სამხედრო-სატრანსპორტო, Ми-24 საბრძოლო შვეულმფრენებისა და რამდენიმე სამგზავრო თვითმფრინავის მცირე რემონტის ჩასატარებლად გამოიყენებოდა.**

მას შემდეგ, რაც რუსმა მესაზღვრეებმა საქართველო საბოლოოდ დატოვეს, ეს საავიაციო ბაზაც ქართველი მესაზღვრეების ხელში გადავიდა, თუმცა უზარმაზარ გაძარცულ შენობასლა წარმოადგენდა.

ზემოხსენებული დახმარების პროგრამის მიხედვით ანგარის სარემონტო სამუშაოები, აშშ-ის სამხედრო-საინჟინრო კორპუსის ხელმძღვანელობით, მორისონის სამშენებლო ფირმამ ჩაატარა. სარემონტო სამუშაოები 3,2 მლნ აშშ დოლარი დაჯდა. ანგარში დამონტაჟდა გათბობის, სახანძრო და სიგნალიზაციის თანამედროვე სისტემა და დიზელ-გენერატორები, გაიმართა სპეციალური ლაბორატორიები საავიაციო ტექნიკის მოწყობილობების (ძრავების, რადიოელექტრონული ხელსაწყოების) დიაგნოსტიკისთვის. იმის გამო, რომ მოსამსახურებელი საავიაციო ტექნიკა ძირითადად საბჭოთა წარმოებისა იქნება, სადიაგნოსტიკო აპარატურაც ცოტა ხანში უკრაინიდან ჩამოვა. ანგარში ერთდროულად სარეგლამენტო სამუშაოები ჩაუტარდება ორ ხრახნებდახსნილ Ми-8МТВ ტიპის შვეულმფრენს, ან ერთ, ოღონდ ხრახნებიან საფრენ აპარატს.

ერთი შეხედვით ცოტა უცნაურად ჟღერს — რატომ ყიდულობენ ამერიკელები თავისი ფულით რუსულ-საბჭოთა ტექნიკას ქართველი მესაზღვრეებისათვის, მაშინ როდესაც შეეძლოთ თავიანთი საავიაციო ტექნიკა ეჩუქებინათ ისევე, როგორც თევზაძის უწყებას გადასცეს „იროკეზები“. მთავარ მესაზღვრეს — ვალერი ჩხეიძეს ურჩევნია, რომ მისი მესაზღვრეები მაღალმთიან საგუშაგოებზე უფრო უხიფათოდ, ორძრავიანმა მძლავრმა Ми-8МТВ-ებმა (მცირე ტვირთის დროს კი ასევე ორძრავიანმა Ми-2-ებმა) გადასხან, ვიდრე ერთძრავიანმა ამერიკულმა „იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენებმა.




სწორედ ამიტომაც, ქართველი მესაზღვრეების სურვილით, უკრაინაში ამერიკელებმა ბოლო სამი წლის განმავლობაში სამი Ми-8МТВ და ორიც Ми-2 ტიპის შვეულმფრენი შეგვიძინეს და ჩამოგვიტანეს. მეოთხე Ми-8МТВ-ც შესყიდულია და მალე გამოჩნდება ქართულ ცაში.

მანამდე კი, მესაზღვრეებს ახალი „საჩუქარი“ ჩამოუფრინდათ უკრაინიდან — სატრანსპორტო-სამგზავრო Ан-28 ტიპის თვითმფრინავი.

**ჩვენი დოსიე:** Ан-28 **ტიპის თვითმფრინავი ანტონოვის საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა და პირველი გაფრენა 1975 წელს განახორციელა. მისი ასაფრენი მასა 5,8 ტ-ს არ აღემატება და 1,7 ტ ტვირთის (სალონში 15 მგზავრი ეტევა) წაღება 350 კმ/სთ სიჩქარით შეუძლია. მას** ТВД-10Б **ტიპის ორი ტურბოხრახნიანი ძრავა (თითოეულის სიმძლავრე 706 ცხ.ძ-ს აღწევს) უყენია.**

დღემდე ქართულ ძალოვან სტრუქტურებს საკუთარი სატვირთო თვითმფრინავი არ ჰყავდათ, აფხაზეთის ომის დროს საბრძოლო ტექნიკის მსხვილგაბარიტიანი ნაწილების სამგზავრო თვითმფრინავებით სოხუმში გადატანას ხშირად ამაოდ ცდილობდნენ ქართველი სამხედროები. ნადიბაიძის მინისტრობის დროს თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში გამოჩნდა Ту-134 ტიპის თვითმფრინავის საშტაბო ვარიანტი (თუმცა სპეცაპარატურა მოხსნილი ჰქონდა). ახალი მინისტრის მოსვლის შემდეგ ეს თვითმფრინავი რატომღაც თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებიდან გამოიყვანეს და დღეს აეროპორტის ერთ-ერთ ანგარში ძრავებდახსნილი დგას.

მესაზღვრეებმა არჩევანი პატარა Ан-28-ზე იმიტომ გააკეთეს, რომ მას მცირე მანძილი (400-500მ) ჰყოფნის ასაფრენ-დასაფრენად და არც ბეტონირებულ საფარს მოითხოვს. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტვირთისა და მესაზღვრეების მთიან საგუშაგოებზე გადასასროლად. უკვე ამჟამად შეიძლება რეისების განხორციელება ლაგოდეხსა თუ მესტიაში. მცოდნე ხალხის თქმით, თავის დროზე, 1985 წელს, Ан-28, რომელსაც საქართველოს მთაგორიან პირობებში ცდიდნენ საკავშირო საავიაციო მრეწველობის სამინისტროს დაკვეთით, ჯდებოდა მესტიის, ჩიხარეშისა და ამბროლაურის აეროდრომებზე. ე.ი. საჭირო სარემონტო სამუშაოების შემდეგ ამ მარშრუტით ფრენების აღდგენა სავსებით შესაძლებელია. მესაზღვრეებს სურთ ამ სიას ომალოც დაუმატონ და არც კოდორის ხეობაში ფრენაზე იტყოდნენ უარს (ამ ცოტა ხნის წინ კოდორის ხეობაში სოფ. გენწვიშიდან აფრენის მცდელობისას ავარია განიცადა Ан-2 ტიპის სამგზავრო თვითმფრინავმა. საბედნიეროდ, ყველა მგზავრი და ეკიპაჟის წევრი ცოცხალი გადარჩა, თვითმფრინავი კი დაიმტვრა).

მესაზღვრეებს ათი წლის იუბილეზე ამერიკული საჩუქარი უკრაინელმა პილოტებმა სიმფეროპოლი-იალტა-ფოთი-თბილისი მარშრუტით ძირდაუშვებელი, 3.40 საათის ხანგრძლივობის ფრენის შემდეგ „ჩამოუყვანეს“, რაც ამ თვითმფრინავის მაღალ (თავისი კლასისათვის) საფრენოსნო მაჩვენებლებზე მეტყველებს.

უკრაინულ Ан-28-ში ამერიკელებმა სავარაუდოდ 430 ათასი აშშ დოლარი გადაიხადეს, მაშინ როდესაც თითოეულ Ми-8МТВ-ში ისინი უკრაინელებს დაახლოებით 1,5 მლნ აშშ დოლარს აძლევდნენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფასები ერთი კაპიტალური რემონტის გავლის შემდეგ ედება ზემოხსენებულ საავიაციო ტექნიკას, თორემ ახალი 3-ჯერ ძვირი ღირს. უკვე მესაზღვრეების კუთვნილი Ан-28 1990 წელსაა გამოშვებული პოლონეთში.

ამერიკელების დახმარება გაგრძელდება. მეორე ეტაპი მიზნად ისახავს ალექსეევკის საავიაციო ბაზაზე სადგომების შეკეთებას და 700მ-იანი ასაფრენი ზოლის აგებას. მესაზღვრეებს აღარ სურთ აეროპორტს ფული უხადონ ყოველი აფრენა-დაფრენისთვის. ამიტომაც სურთ ჰქონდეთ საკუთარი ზოლი Ан-28-ისა და „მერკურის“ ტიპის თვითმფრინავების ასაფრენად.

საიუბილეოდ ქართველ მესაზღვრეებს კიდევ ერთი საჩუქარი ელოდათ. ამჯერად „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისგან“, რომლებმაც ლილოში გახსნეს „საქართველოს სასაზღვრო სამსახურის სასწავლო ცენტრი“ (სხვათა შორის, კულუარებში უკვე ლაპარაკობენ, რომ „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს“ გადაერქვას სახელი და ეწოდოს „საქართველოს სასაზღვრო სამსახური“).

ამ ცენტრში მოემზადებიან ის მესაზღვრეები, რომლებიც სამსახურს გადიან საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე — აეროპორტებში, რკინიგზაზე, და საზღვაო პორტებში.

***ინფორმაციისთვის:*** იმ მესაზღვრეებს, რომლებიც უშუალოდ „მწვანე საზღვარზე“ იარაღით იცავენ პერიმეტრს, მეორე წელია ასწავლიან იმავე ტერიტორიაზე არსებულ „ლილოს მოწინავე პერსონალის მომზადების ცენტრში“, რომელიც თურქების დახმარებით გაიხსნა.

საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე კონტროლიორები ცენტრში შეისწავლიან ინგლისურ ენას, კომპიუტერისა და რადიოგადამცემების გამოყენების, საზღვრისა და მიგრაციის მართვის სამართლებრივ საკითხებს, საზღვარზე დოკუმენტის პირველად ინსპექტირებას და ა.შ. სწავლების კურსის დამთავრების შემდეგ მათ ჩაუტარდებათ ტესტირება — სამუშაოს მხოლოდ ის გააგრძელებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს გამოცდებს.

ხანდახან რჩება შთაბეჭდილება, რომ ძალოვანი სტრუქტურები ერთმანეთს ეჯიბრებიან — ვინ უფრო მეტ დახმარებას მიიღებს საზღვარგარეთიდან. ეს ცუდი სულაც არ არის, თუმცა მთავარი შემდეგია — უცხოური დახმარებები მიზანმიმართულად და ბოლომდე უნდა იქნეს გამოყენებული, თორემ თუკი განიავდა, ასეთი დახმარებების წყარო შეიძლება მთლიანად „დაიშრიტოს“...



ქეთი ჯანანაშვილი



# მესაზღვრეები ძროხებისა და „ავღანელების“ დაჭერაში ვარჯიშობენ

## ქართველი და თურქი მესაზღვრეები მჭიდროდ თანამშრომლობენ და ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას იწყებენ




გასული კვირა საკმაოდ საქმიანი გამოდგა საქართველოს სამხედრო ძალებისთვის. თავდაცვის სამინისტრომ ორი სამხედრო წვრთნა ჩაატარა ანტიტერორისტული სცენარით (ტერორისტებთან ბრძოლის თემა დღეს პოპულარული მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში გახდა), ერთი — შავი ზღვის სანაპიროსთან, საზღვაო თავდაცვის ძალების მონაწილეობით და მეორე — სპეციალური ოპერაციების ძალების დანაყოფების გამოყენებით.

მაშინ, როდესაც თავდაცვის სამინისტრო ზღვაში და მთებში წარმოსახვით ტერორისტებს „ებრძოდა“, ქართველი მესაზღვრეები თურქ კოლეგებთან ერთად უკანონო მიგრანტებსა და მოპარულ ძროხებს იჭერდნენ საზღვარზე.

„კვირის პალიტრა“ მონაწილეობდა იმ წვრთნებში, რომლებიც თურქეთში, არტაანის ოლქში, მდ. ფოსხოფისწყლის ახლოს შედგა. ამ სახის ქართულ-თურქული ერთობლივი სასაზღვრო სწავლება მესამედ გაიმართა. იგი მოქმედების ორ სცენარს ითვალისწინებდა — არალეგალური მიგრანტების თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შესვლის მცდელობას და მსხვილფეხა საქონლის საპირისპირო მარშრუტით გადაყვანას.

როგორც ყველა სწავლებაში, აქაც ყველაფერი ბრწყინვალედ შესრულდა — თავდაპირველად თურქმა მესაზღვრეებმა ქართული საზღვრის მხრიდან გამორეკილი ძროხები და მწყემსები მდ. ფოსხოფისწყლის გადმოლახვისას მეგობრობის ხიდთან (მას მეორენაირად გრიბოედოვის ხიდსაც ეძახიან, რადგან გრიბოედოვის ცხედარი სპარსეთიდან ამ ხიდის გავლით ჩამოასვენეს საქართველოში) დააკავეს. შემდეგ თურქეთის მხრიდან საქართველოში, სამი უკანონო მიგრანტი, სცენარის მიხედვით — ავღანელი ცდილობდა საქართველოში შემოღწევას. მათ ოპერატიულად დაარტყეს ალყა ქართველმა მესაზღვრეებმა და დააკავეს.

ძნელი სათქმელია, რეალურად რამდენად წარმატებით ხორციელდება საზღვრის დამრღვევთა დაკავება (მესაზღვრეების თქმით, საქართველო-თურქეთის საზღვარზე 2000 წელს 17 უკანონო მიგრანტი დააკავეს, 2001 წელს — 5; წლეულს ჯერჯერობით არც ერთი), მაგრამ ფაქტია, რომ ორი მეზობელი ქვეყნის მესაზღვრეები აქტიურად თანამშრომლობენ და არც ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას ერიდებიან.

თურქები შეიარაღებით ვერა, მაგრამ აღჭურვილობით ნამდვილად დაიკვეხნიან



ქართულ დელეგაციას თურქმა სამხედროებმა (სხვათა შორის, თუკი სირიასთან საზღვარს თურქეთის ჟანდარმერიის მთავარი სამმართველოს დანაყოფები იცავენ, საქართველოს საზღვართან ეს თურქეთის სახმელეთო ჯარებს ევალება, მათ შორის მე-3 საველე არმიის მე-9 კორპუსის 25-ე ქვეითი მექანიზებული ბრიგადის დანაყოფებს) თავისი შეიარაღებისა და აღჭურვილობის მთელი არსენალი დაუფარავად აჩვენეს. სიმართლე რომ ითქვას, თურქების შეიარაღებაში რაიმე თვალდასადგამი და დასახარბებელი არაფერი იყო — გერმანული ლიცენზირებული G3 ტიპის ავტომატური შაშხანები, 60 მმ და 81 მმ ნაღმსატყორცნები, 12,7 მმ კალიბრის „ბრაუნინგის“ ტყვიამფრქვევები თუ რუსული РПГ-7 ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები (ისე, თურქი სამხედროები არც რუსულ Ми-8 შვეულმფრენებსა თუ БТР-70 ჯავშანტრანსპორტიორების გამოყენებაზე ამბობენ უარს) დიდ გაოცებას არ იწვევდა, მით უმეტეს MG-3 ტიპის ტყვიამფრქვევი, რომლის წინამორბედი MG-43 თავის შეიარაღებაში ჯერ კიდევ გერმანულ ვერმახტს მეორე მსოფლიო ომის დროს ჰქონდა. თურქული შეიარაღების ფონზე ქართველი მესაზღვრეების მხარზე გადაკიდებული მომცრო, რუსული მოკლელულიანი АКС-74У ტიპის ავტომატები (ქართულმა სასაზღვრო უწყებამ ამ ავტომატების გარკვეული პარტია უკრაინაში შეიძინა) ბევრად უფრო დახვეწილად და პრაქტიკულად გამოიყურებოდა — მესაზღვრის მთავარი ამოცანა საზღვრის დამრღვევების დაკავებაა და არა სასანგრო ბრძოლა (თუმცა მეორე მხრივ, სწორედ ეს ავტომატები გახდა ძირითადი მიზეზი ორი ქართველი მესაზღვრის დაღუპვისა — დამნაშავეებმა კომპაქტური ცეცხლსასროლი იარაღის ხელში ჩასაგდებად მკვლელობაზეც არ დაიხიეს უკან).

როგორადაც ჩვეულებრივად გამოიყურებოდა თურქი სამხედროების მიერ წარმოდგენილი აღჭურვილობა, იმდენად შთამბეჭდავი გახლდათ



ასკერები კვებას არ უჩივიან

მათი ტექნიკური აღჭურვილობა — თანამედროვე ჭოგრიტები, ღამის ხედვის ხელსაწყოები, სითბოვიზორები და მობილური რადარები — აი, არასრული სია ყველა იმ ხელსაწყოსა თუ მოწყობილობისა, რაც აუცილებელია საზღვრის გასაკონტროლებლად.

სითბოვიზორით თურქი მესაზღვრეები ღამით აკონტროლებენ საზღვრის პერიმეტრს — ყველა ცოცხალი ორგანიზმი გამოყოფს სითბოს, რასაც სითბოვიზორი რამდენიმე კმ-ში აფიქსირებს. კომპაქტურ რადარს კი ნებისმიერ ამინდსა და დღე-ღამის პერიოდში შეუძლია ავტომობილების კოლონის აღმოჩენა 38 კმ-ის მანძილზე, ტანკისა — 30 კმ-ში, დაბალ სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენის — 25 კმ-ში, ადამიანებისა — 15 კმ-ში, ხოლო გამოსროლილი საარტილერიო ჭურვისა კი 8 კმ-ში.

საზღვარზე დაყენებული ასეთი რადარი ასეულობით მესაზღვრეს ცვლის და მას აქტიურად იყენებენ განვითარებული ქვეყნები.

საქართველო-თურქეთის საზღვარს ჯერ კიდევ გასდევს ძველი, საბჭოთა დროიდან შემორჩენილი მავთულხლართიანი სასაზღვრო ზოლის ორი წყება.

*თურქული სასაზღვრო საგუშაგო „თურქეოზე“-თბილისი*

არსენალი

# წყალქვეშა ბრძოლის იარაღი

## ტერორისტული აქტები წყალქვეშაც ხორციელდება



საზღვაო პორტების, ხომალდებისა თუ წყალზედა ნავთობსაბურღლავების მომრავლების პარალელურად უფრო აქტუალური ხდება მათი დაცვა წყალქვეშა დივერსანტებისგან.

მიუხედავად ეკონომიკური გაჭირვებისა, დღევანდელ საქართველოს მაინც მოეპოვება რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის საზღვაო ობიექტი შავი ზღვის სანაპიროზე. უპირველესად ეს არის ბათუმისა და ფოთის პორტები, სუფსის ნავთობტერმინალი, ფოთის სამხედრო პორტი და სხვა (სხვაში — აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე საზღვაო ობიექტი იგულისხმება, რომლებიც, იმედია, ადრე თუ გვიან ერთიანი საქართველოს ეკონომიკურ გაძლიერებას მოემსახურებიან).

ტერორისტებს შეუძლიათ ღამით პორტის აკვატორიაში გადმოსხდნენ, წყალქვეშ მიცურდნენ პორტში მდგარ გემებამდე და მათ კორპუსს მაგნიტური ნაღმები მიაკრან. არანაკლებ საშიშია სუფსის ნავთობტერმინალის იმ წყალქვეშა საქაჩი მილის დაზიანება, რომელიც ღია ზღვაში 3 კმ-ის



ჩენლი ლამბერტის წყალქვეშა მრავალლულიანი იარაღი

სიღრმეში გადის (სამიოდე წლის წინ გაჟონა ინფორმაციამ, რომ იმ პლატფორმას, საიდანაც ნავთობი ტანკერებზე გადაიქაჩება, რამდენიმე ქანჩი მოხსნილი ჰქონდა. თუმცა გაურკვეველი დარჩა, ეს დივერსია იყო თუ უბრალო ტექნიკური დაუდევრობა).

„წყალქვეშა ტერორიზმის“ პრობლემები, რაც შეიძლება საქართველოს ახლა დაემუქროს, დიდი ხანია აწუხებს განვითარებულ ქვეყნებს. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს სახელი გაითქვეს მუსოლინის იტალიელმა წყალქვეშა დივერსანტებმა, რომლებმაც მოკავშირეების არაერთი სამხედრო და სატვირთო ხომალდი ჩაძირეს. არანაკლებ პროფესიონალი წყალქვეშა მცურავები ჰყავდათ ინგლისელებს. მათი ცნობილი სპეციალისტი უგზო-უკვლოდ მაშინ დაიკარგა, როდესაც წყალქვეშ იმ საბჭოთა გემს ათვალიერებდა, რომლითაც დიდ ბრიტანეთს ნიკიტა ხრუშჩოვი ესტუმრა. როგორც ამბობენ, გემის კაპიტანმა იმ დროს აამუშავა წყალქვეშა ხრახნები, როდესაც ინგლისელი მცურავი მათ დეტალურად სწავლობდაო. ამ უკანასკნელისგან, ბუნებრივია, ნაფლეთებიღა დარჩებოდა, ხოლო ბრძანება, ძრავების ჩართვის შესახებ, გემის კაპიტანს საბჭოთა კონტრმზვერავებმა მისცეს, რომლებიც ხრუშჩოვის უსაფრთხოებას იცავდნენ.

რა თქმა უნდა, წყალქვეშა დივერსანტის გაუვნებელყოფა ყოველთვის გემის ხრახნების ამოქმედებით შეუძლებელია. საჭიროა წყალქვეშა ბრძოლის იარაღი. თავდაპირველად წყალქვეშ საბრძოლველად დანას და ჰარპუნს იყენებდნენ, მაგრამ თუკი დანას არა უშავს რომელიმე მტაცებელი თევზის მოსაგერიებლად, იგი ნაკლებად გამოდგება წყალქვეშ ანტიდივერსიული ბრძოლისთვის. ჰარპუნის სწრაფ სროლაზე ხომ ლაპარაკიც არ არის, — სანამ მას მეორედ დატენი, ბრძოლას წააგებ.

წყალქვეშა მებრძოლებს ეფექტური და სწრაფმსროლი იარაღი სჭირდებოდათ. ჩვეულებრივი ცეცხლსასროლი იარაღი წყალქვეშ არ გამოდგებოდა, რადგან წყლის სიმკვრივე ჰაერისას 800-ჯერ აღემატება. ამის გამო ჩვეულებრივი პისტოლეტით ან ავტომატით წყალქვეშ სროლისას მკვეთრად იზრდება დენთის აირის წნევა ლულაში და იარაღის სხვა დეტალებზე, რასაც შეიძლება კონსტრუქციის დაშლა მოჰყვეს (განსაკუთრებით ავტომატური ჯერის გაშვებისას). გარდა ამისა, ჩვეულებრივი მოკლე ტყვია წყალქვეშ სულ რამდენიმე მეტრს თუ გადის — იგი თავისი ფორმის გამო დიდ წინააღმდეგობას აწყდება წყალში და კარგავს მიმართულებას.

მეტ-ნაკლებად გამოსადეგი წყალქვეშა იარაღი 1969 წელს ამერიკელმა ირვინ ბარმა შექმნა. მისი ექვსლულიანი არაავტომატური რევოლვერი ნემსისებურ ტყვიებს ისროდა. ნემსს ლულიდან ერთგვარი დგუში აგდებდა, გასროლის შემდეგ კეტავდა ლულის ბოლოს და დენთის აირებს წყალში არ უშვებდა. ანუ მსროლელის დემასკირება — აირის ბუშტულების გამოყოფა წყალში — არ ხდებოდა. თუმცა მისი ეფექტური გამოყენება ჰაერზე გაძნელებული იყო. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ეს წყალქვეშა რევოლვერი ბელგიელი „კომანდოსის“ შეიარაღებაშია.

გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში მეორე ამერიკელმა კონსტრუქტორმა ჩენლი ლამბერტმა შექმნა „წყალქვეშა რეაქტიული იარაღი“. 12 უძრავ ლულაში რეაქტიული ტყვია-ნემსები იყო მოთავსებული. მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ გასროლისას მყვინთავი უკუდარტყმას არ გრძნობდა, თუმცა რეაქტიული ტყვია-ნემსი წყალში მოძრაობისას ჰაერის ბუშტულებს უხვად გამოყოფდა და კარგად მიანიშნებდა მსროლელის პოზიციას.

1971 წელს გერმანელებმა შექმნეს წყალქვეშა პისტოლეტი BVW-2. ეს ნახევრად ავტომატური იარაღი ჰიდროდინამიკური სტაბილიზაციის მქონე ოთხ რეაქტიულ ტყვიას ისროდა, რომლებიც რამდენიმე ლულაში იყო განთავსებული.

„ჰეკლერ და კოჰის“ ცნობილი საიარაღო ფირმის მიერ წარმოებული წყალქვეშა სროლის P-11 ტიპის პისტოლეტები რამდენიმე ქვეყნის საზღვაო დივერსიული დანაყოფების შეიარაღებაშია მიღებული. ესპანური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Star Z-84 გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა და წყალქვეშ ჩვეულებრივ „პარაბელუმის“ 9 მმ კალიბრის ტყვიებს ისვრის, თუმცა სპეციალისტების თქმით, სროლის მანძილი წყალქვეშ 5 მ-ს არ აღემატება.



რუსული წყალქვეშა ავტომატი АПС

წყალქვეშა ბრძოლის იარაღის შექმნაში საბჭოთა სპეცსამსახურებმა ტოლი არავის დაუდეს. ეს გასაგებიცაა — საბჭოთა ГРУ-ს სპეციალური სადივერსიო დანაყოფები საკმაოდ გააჩნდა როგორც წყნარი ოკეანის, ისე ჩრდილოეთისა თუ შავი ზღვის ფლოტებში. მათ შესაიარაღებლად შეიქმნა წყალქვეშა სროლის პისტოლეტი СПП-1 და ავტომატი АПС.

პისტოლეტი СПП-1 წყალქვეშა დივერსანტების პირადი იარაღია. იგი 4,5 მმ კალიბრის სპეციალურ, წაგრძელებულ ტყვიებს ისვრის. 5 მ სიღრმეში გასროლისას ეს ტყვია მომაკვდინებელ ძალას 17 მ-ის მანძილზე ინარჩუნებს, ხოლო 20 მ-ის სიღრმეში კი მხოლოდ ათ მეტრზე. ისე, სიმართლე რომ ითქვას, უფრო შორ მანძილზე წყალქვეშ მსროლელი მაინც ვერაფერს დაინახავს. პისტოლეტს ოთხი ლულა აქვს. მისი წონა 1 კგ-ს არ აღემატება, სიგრძე კი 25 სმ-მდეა. თავად ტყვიის სიგრძე კი 11 სმ-ზე მეტია.

წყალქვეშა ავტომატი АПС 5,66 მმ კალიბრის 12 სმ სიგრძის ტყვიებს ისვრის. მის მჭიდში 26 ვაზნა ეტევა. ავტომატის წონა 2,5 კგ-მდეა. სიგრძე კი 26 სმ. მისი ტყვია მომაკვდინებელ ძალას წყალქვეშ 30 მ-ის მანძილზე ინარჩუნებს. სროლის კორექტირებისთვის ტრასირებადი ტყვიებიც გამოიყენება. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ წყალქვეშ СПП-1-ისა და АПС სროლის ეფექტური მანძილი 10 მ-ს არ აღემატება, ხოლო ჰაერში — 15 მ-ს.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, წყალქვეშა იარაღი ხმელეთზე, ღია სივრცეში სროლისას არაეფექტური ხდება. თუკი ჩვეულებრივი ტყვია ნაკლებად გამოდგება წყალქვეშ სასროლად, სპეციალური, წაგრძელებული, ნემსის ფორმის წყალქვეშა ტყვია ჰაერში სროლისას სწრაფად კარგავს ფრენის სტაბილიზაციას. არადა წყლიდან მოულოდნელად ამოყვინთულ დივერსანტს შეიძლება პორტისა თუ გემის დამცველი შეიარაღებული მებრძოლების გაუვნებელყოფა დასჭირდეს. ამიტომაც მას სჭირდება ისეთი იარაღი, რომელიც ერთნაირად ეფექტური იქნება როგორც წყალქვეშ, ისე ჰაერში სროლისას.

ცოტა ხნის წინ ტულაში კონსტრუქტორებმა რუსული მოკლელულიანი АКС-74У-ს ბაზაზე შექმნეს ამფიბია-ავტომატი. იგი ორი ტიპის ტყვიებს ისვრის. წყალქვეშ მას 5,66 მმ კალიბრის ვაზნებიანი მჭიდი უყენდება (წყალქვეშა АПС ავტომატისგან), ამოყვინთვისას კი მჭიდს „კალაშნიკოვის“ ავტომატის ჩვეულებრივი მჭიდით ცვლის, რომელშიც 5,45 მმ კალიბრის 30 ვაზნა დევს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შედის საზღვაო თავდაცვის ძალები, რომელთა განკარგულებაში სამხედრო მეზღვაურების, სანაპირო დაცვისა და საზღვაო ქვეითთა გარდა, შტატით მებრძოლი მცურავებიც ითვლებიან. მათი სათანადო დონეზე მომზადება და სპეცტექნიკით აღჭურვაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ.

თავდაპირველად ამ საქმეში იტალიელები უნდა დაგვხმარებოდნენ, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო ეს პროცესი არ შედგა. მოგვიანებით ოთხი მებრძოლი მყვინთავი თურქებმა მოგვიმზადეს, მაგრამ მათ აკლიათ სათანადო აღჭურვილობა და პირველ რიგში წყალქვეშა საბრძოლო იარაღი.

თუმცა წყალზე და საზღვაო სანაპიროზე დივერსანტებისა და ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების სრულყოფა, საბედნიეროდ, მეტ-ნაკლებად მიმდინარეობს. გასულ კვირაში საზღვაო თავდაცვის ძალებმა სუფსაში, ყვავილნარში კოდური სახელწოდებით, „სუფსა-2002“ სწორედ ანტიტერორისტული სახის წვრთნები ჩაატარეს. მიუხედავად ზღვის 4-ბალიანი ღელვისა, სადესანტო გემებიდან გადმოსხეს საზღვაო ქვეითთა დესანტი, თუმცა წყალქვეშა მებრძოლი მყვინთავები არ გამოუყენებიათ. სხვათა შორის, საზღვაო თავდაცვის ძალების საზღვაო ქვეითთა ბატალიონში უკვე შეიქმნა სპეცდანიშნულების ასეული, რომელმაც ოპერატიული რეაგირება უნდა მოახდინოს საზღვაო პორტებსა თუ სუფსის ტერმინალზე შესაძლო ტერორისტული აქტების ალსაკვეთად. საგულისხმოა, რომ ამ ასეულში შტატით გათვალისწინებულია სპეციალური ანტიტერორისტული ოცეული, რომლის საბრძოლო ამოცანებში ალბათ გათვალისწინებული იქნება მოწინააღმდეგის წყალქვეშა დივერსანტების გაუვნებელყოფა. ამისთვის კი მათ ჩვენ მიერ განხილული წყალქვეშა სროლის იარაღი აუცილებლად დასჭირდებათ.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ვინ შეეცადა აღედგინა ადამიანებით ვაჭრობა ანუ მოგზაურობა კაკაბეთის ზარების რისხვის მიღმა

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლები იწურებოდა და ადამიანების გატაცება ჯერ არავის სმენოდა. ყველანაირი სისაძაგლე იყო: ძარცვა, ყაჩაღობა, ქურდობა, გამოძალვა, მამათმავლობა, კაცის კვლა, მაგრამ... ადამიანის გატაცება? არა, ბატონო! ასეთი რამ ხომ დიდი ხანია დაივიწყა ქართველმა კაცმა, თუმცა... როგორც ჩანს, ოდესღაც თვისტომით მოვაჭრეთა გენში აქა-იქ ისევ ბოგინებდა ამგვარი „საქმით“ ხელის მოთბობის სურვილი და როგორც კი არაერთგზის ციხეგამოვლილმა დიდიკო ჟვანიამ შეიტყო ჩემს ნათესავს, ქსენია შელიას, ვიღაც ათი ათას მანეთს სძალავსო, ისე, რომ არც უკითხავს, ვინ იყო იგი, ნათესავს მიადგა და მოკლედ მოუჭრა, — ათასი მანეთი მე მომეცი, ცხრა ათასი შენთვის დაიტოვე და ეს საქმეც მორჩებაო.

## კერკეტი კაკალი — ქსენია ბებო

არ იყო ქსენია შელია ასე იოლად ფულის გამცემი ქალი, მაგრამ ათასი მანეთი იმდენად წვრილმანად ეჩვენა — ჯანდაბას ამის თავი, ციხიდან ახალი გამოსულია, ნათესავია და ამდენი ფული ისედაც უნდა მიმეცაო, იფიქრა და მაშინვე გაუწოდა ათასმანეთიანი შეკვრა „სამოყვროდ“ მოსულ ნათესავს.



იმისდა მიუხედავად, რომ დიდიკო ჟვანიას შემოსავლის წყარო მხოლოდ ქურდობა და მამაძაღლობა გახლდათ, თვითონაც გაოცებული დარჩა, — ასე იოლად მას ფული არასოდეს უშოვია და იქვე გაუჩნდა იდეა ქსენია ბებოსთვის, რომელსაც იმ დროისათვის გარეგნულად ბებიობისა არაფერი ეტყობოდა, უფრო დიდი თანხა შეეწერა. დიდიკომ ხომ სხვებზე უკეთ იცოდა, რომ მისი ნათესავი ქალბატონი ათეული წლების განმავლობაში ჩაისა და დაფნის სარეწებს ხელმძღვანელობდა და დიდ ფულსაც ატრიალებდა. ამ ხნის მანძილზე ბევრმა სცადა, მაგრამ ერთი მანეთიც ვერავინ დასცინცლა პატივმოყვარე ქალბატონს. ასე რომ, ფულის შესაწერი საბაბი იყო საძებნელი მხოლოდ, დანარჩენს მოევლებოდა, მაგრამ ქსენიას შეშინება ასე იოლი რომ არ გახლდათ, თუმცა... ღმერთო, დიდებულო, უკეთესს რას მოიფიქრებს — ერთადერთი შვილიშვილი ჰყავს ქსენიას, ათი წლის კობა ანთია — მზე და მთვარე ამოსდის მასზე. ოღონდ ბიჭს არაფერი გაუჭირდეს და ბებია სულსაც არ დაიშურებს. თუმცა დამხმარეებიც დასჭირდება და აი, ისინიც: მუჭუჭი ზარანდია ქსენიას დაქალი იყო, თამაშა შელია კი ქსენიას ქალიშვილის, კობა ანთიას დედის, დინარას მტერი. თამაშა თუ ბავშვის გატაცებაზე თვალს არ დაახამხამებდა, სამაგიეროდ, მუჭუჭი ფულის „ამოღებაში“ მიეხმარებოდა დიდიკოს.

— ნახევარი მილიონი მანეთი დასჭირდება ამ საქმეს. კაპიკი არ დააკლდება, ისე უნდა ჩაგვითვალოს ქსენიამ ეს ფული. თამაშამ უნდა ნახოს, მისი ნათესავი რომაა, მრავალგზის ნასამართლევი ბადრი ნანეიშვილი... ამ ნანეიშვილმა უნდა მარტომ, უნდა სხვასთან ერთად მოიტაცოს ბავშვი, ჯამაგირად ოცდაათი ათასი მანეთი ეყოფათ. რა არის, მაგალითად, ოცდაათი ათასი მანეთი ნახევარი მილიონიდან? ამ ფულს მივუგდებთ ორსამ დღეში და დამთავრდება ამით ბაზარი, — დაასრულა თავისი ნახევარმილიონიანი გეგმის პრეზენტაცია დიდიკო ჟვანიამ და კმაყოფილმა მედიდურად გადახედა დამხმარე ძალებს, რომელთაც ამ მარტივი გეგმის რეალურობა იოტისოდენადაც არ ეეჭვებოდათ და იმ დღესვე შეუდგნენ კიდეც მის განხორციელებას. თამაშა შელიამ ბადრი ნანეიშვილი ნახა. ბადრიმ სენაკელი მალხაზ კინწურაშვილი, ტარიელ მეფარიშვილი, ბორის ცაგურია და მირადი ზარანდია ჩართო საქმეში — ბავშვის მოტაცებას ერთი-ორი საათი დასჭირდება, ოცდაათი ათასი კი იმხელა ფულია, ყველას გეყოფათო, — უთხრა ძმაკაცებს...

1979 წლის აპრილი იდგა. შუადღისას სკოლაში მიმავალი ათი წლის ბიჭი სამმა გარეწარმა უნომრო მანქანაში შეათრია და სასწრაფოდ გაეცალნენ ზუგდიდს. მერე ბავშვი საბარგულში გადასვეს და სენაკის რაიონში, სოფელ ზანაში მირადი ზარანდიას ბიცოლას — პაშა ზარანდიას მიადგნენ. პაშა ბიცოლას მაინცდამაინც არ შეუცხადებია, ბავშვი გატაცებული რომ იყო, თავისი წილი გასამრჯელოს მოლოდინში მან გამტაცებლებს ერთი ოთახი დაუთმო, რომელიც იმწამსვე ჩამოაბნელეს და კობა ანთია მის მუდმივ მეთვალყურე მალხაზ კინწურაშვილთან ერთად შიგ ჩაამწყვდიეს.

ალბათ უთქმელადაც გასაგებია ბავშვის განცდები, რომელსაც ჯერ ათი წელიც არ შესრულებია. მით უმეტეს, რომ მალხაზ კინწურაშვილი ყველანაირად ცდილობს, დაჯაბნოს პატარა ბიჭი — ოთახში სიარულის უფლებასაც კი არ აძლევს. აიძულებს მუდმივად იწვეს და საძილე აბებით ჭყიპავს ბავშვს. გაჯიუტების შემთხვევაში ანთებული სიგარეტით უწვავს ხელებს. სცემს და მოკვლით ემუქრება. ასეთ პირობებში თავისიანებისაგან გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით გასაგზავნი ორი წერილი დააწერინა პატარას. თავის მხრივ, მუჭუჭი ზარანდიამ და თამაშა შელიამ რამდენიმე მუქარის წერილი დააწერინეს ვიღაც უცნობს, მაგრამ ამაოდ. მართალია, მილიციაში ჯერ არ განუცხადებიათ, მაგრამ ქსენია ბებიამ და კობას მშობლებმა უკვე იციან, ვინცაა გამტაცებელი და შედარებით მშვიდად არიან. კაპიკს არ გავიღებთო, — განაცხადეს და სიტყვას ასრულებენ კიდეც. დიდიკო ჟვანიამ სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ასეთ საქმეში უფრო გაწაფული საკუთარი ძმა, „კარტოჟნიკი“ გურგენ ჟვანია ჩამოიყვანა მოსკოვიდან. ბავშვს რომ არ ეცნო, გურგენმა პლედი წამოიხურა თავზე და აიძულა საკუთარი, უფრო თავზარდამცემი ტექსტით შედგენილი წერილი გაეგზავნა თავისიანებისთვის. ამ წერილებს შელიებს დიდიკო ჟვანია სხვადასხვა გზით აწვდიდა. ბოლოს და ბოლოს, ვერაფერს რომ ვერ გახდა, მოთმინებადაკარგული დიდიკო ქსენიას „გამოუტყდა“, — ბავშვი ჩემს ძმას, გურგენს გაუტაცია, რადგან მოსკოვში დიდი ფული წაუგია და გასტუმრების თავი არ აქვსო. ქსენიას რას მოატყუებდი და მასაც მიუხლია, — ბავშვი შენმა ძმამ კი არა, შენ გაიტაცე და პასუხსაც შენ მოგკითხავო.

მაშასადამე, ქსენიას ყველაფერი სცოდნია, ახლა ან კიდევ ერთხელ უნდა გავრისკოთ, ანდა ყველას დაგვიჭერენო, უთხრა თავის ძმას დიდიკომ და მოქმედების უფრო თამამი გეგმა შესთავაზა. მეორე დღეს გურგენი თვითონ მივიდა ქსენია ბებოსთან და „გულახდილად“ აუხსნა, მართალია, ნათესავები ვართ, მაგრამ იმდენი ვალი მაქვს, მომკლავენ, სასწრაფოდ რომ არ გავისტუმრო. შენ კი არც იცი, ფული სად წაიღო... თუ ნახევარ მილიონს არ გადაიხდი, შვილიშვილი დაგეღუპებაო, მაგრამ არც ამან გაჭრა. ამასობაში, ბავშვის გატაცების ამბავი მთელ სამეგრელოს მოედო. საქმეში მილიციაც ჩაერთო და გამტაცებლები იძულებული გახდნენ უკეთ შენიღბვის მიზნით კობასთვის სამალავი გამოეცვალათ, — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხაოში ლიონია გოგუას სახლში გადამალეს. კიდევ ერთი ოჯახი ნახეს ბოროტმოქმედებმა, რომელიც ამ საშინელებაზე დათანხმდა.

დრო გადიოდა... დაზარალებული მხარე ფულს არ იძლეოდა. ბავშვის გამტაცებლები, ანუ შემსრულებლები კი თავისას ითხოვდნენ — ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, შეპირებული ოცდაათი ათასი

> **თენგიზმა ის იყო უკან დაიხია, რომ ხის ტოტები, რომელზეც წამის წინ იდგა, გადაიწია და მიწიდან რაღაც გაურკვეველმა არსებამ ამოჰყო თავი. ცოტაც და, ალბათ იღრიალებდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს არსება უფრო ადამიანს წააგავდა...**

მოგვეცით, თორემ დიდ პრობლემებს შეგიქმნითო. დიდიკოც ადგა და ბავშვის მშობლებთან საკუთარი და, ლამარა ჟვანია გაგზავნა. ამ ქალბატონმა თავისივე ნათესავს, შვილის გატაცებით გამწარებულ კობას დედას, დინარა შელიას უთხრა: ბავშვის გამტაცებლები ოცდაათი ათას მანეთს ითხოვენ და თუ დავიგვიანებთ, იცოდე, მოკლავენ. მეც საშუამავლო ცოტაოდენი ოქროული უნდა მიფეშქაშო... თუმცა საბოლოოდ, მაინც ნახევარი მილიონი მანეთის გადახდა მოგიწევთო.

— არა, მაგ გარეწრებს მე ფულს არ მივცემ და ბავშვს ბუზსაც ვერ აუფრენენო, — თქვა ქსენიამ და თავისი გაიტანა. მილიციამ პირველად დიდიკო ჟვანია დააკავა. გურგენმა იფიქრა, საქმის შემსრულებლებმა, ესე იგი ბავშვის უშუალო გამტაცებლებმა ოცდაათი ათასი მანეთის გამო რომ ბიჭი მოკლან, ყველას ცუდი დღე დაგვადგებაო და განკარგულება გასცა, კვალის არევის მიზნით კობა სულ სხვა მხარეს გადაიყვანეთ და გაუშვითო.

და აი, ოცდაერთდღიანი ტყვეობიდან თავდახსნილი კობა ანთია საქართველოს ტელევიზიის მეხუთე სტუდიაში ამ სტრიქონების ავტორის გვერდით ზის და ყველა ჩემს შეკითხვას ბრძენი კაცივით დინჯად პასუხობს:

— გვიან ღამით გამომიყვანეს სახლიდან, თვალები ამიხვიეს და მანქანის საბარგულში ჩამაგდეს. მერე კარგა ხანს მატარეს და ქალაქის რომელიღაც ქუჩაზე ჩამომსვეს. უახლოესი სახლი ეზოს სიღრმეში იყო და მასპინძელს ქუჩიდან რომ ვერ გავაგონე, ეზოში შევედი, მაგრამ იქ ძაღლი გამომეკიდა. ხეზე ავცოცდი, ძაღლი კი არ მეშვებოდა. იმდენი იყეფა, მასპინძელმა გაიღვიძა და როცა ნახა, რომ ძაღლი ხეს უყეფდა, თავისიანებს გასძახა — ჩვენს სამაისო ბალზე ქურდები არიან და თოფი გამომიტანეთ, უნდა დავხოცოო. ვიყვირე, ბიძია, რას მერჩით, მე ისიც კი არ ვიცი ეს ხე ბალია თუ მუხა, გატაცებული ბავშვი ვარ და ჩემმა გამტაცებლებმა თქვენს ჭიშკართან ჩამომსვეს, მომეხმარეთ, რომ ჩემიანებამდე მივაღწიო-მეთქი.

ბიჭს ეგონა, ზუგდიდში იყო. სინამდვილეში კი ხობში აღმოჩნდა, ტარიელ ქირიას ოჯახში, სადაც საკუთარი შვილივით მიიღეს, მილიციასაც შეატყობინეს და ლოცვა-კურთხევით გაისტუმრეს შინ.

## რატომ დაარისხეს კაკაბეთის ზარები

ამ საქმესთან დაკავშირებით, თუ არ მეშლება, თვრამეტი კაცი (მათ შორის, ქალებიც) გაასამართლეს და თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, მაგრამ ასე არ მოხდა.

მართალია, ამ შემთხვევაში გამტაცებლებმა ვერაფერი იხეირეს, მაგრამ შავი სამყაროს ერთი ნაწილი ისე მოხიბლა გამოსასყიდი თანხის ექვსნიშნა ციფრმა, რომ გამტაცებელთა სრული ფიასკოს მიუხედავად, ადამიანის გატაცება ზოგიერთს მაინც შემოსავლიან საქმედ მოეჩვენა და ამ ამბებიდან სულ მალე ქობულეთიდან გაიტაცეს კაცი (ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ გასული წლის ოქტომბერში წერდა).

ამ შემთხვევაშიც გამოსასყიდის ნაცვლად, მხოლოდ ციხე ერგოთ გამტაცებლებს. თუმცა ადამიანთა გატაცებები მაინც გაგრძელდა და მოკლე ხანში მათმა რიცხვმა ჩვიდმეტს მიაღწია. მეჩვიდმეტე გახლდათ სოფელ კაკაბეთში გადამალული ვინმე ოთიაშვილის მიერ გატაცებული ბავშვი, რომელიც როგორც წინა თექვსმეტ შემთხვევაში, ასევე გამოსასყიდის გარეშე დაუბრუნდა პატრონს. შესაშური ენერგიით მუშაობდა მაშინ ჩვენი მილიცია (დღევანდელისაგან განსხვავებით, როცა წინასწარი გაფრთხილების მიუხედავად, ბლოკპოსტებზე ვერ გაუჩერებიათ ადამიანის გამტაცებლები გატაცებულთან ერთად. ამაზეც წერდა „კვირის პალიტრა“, როცა ფარიზ ხალილოვის გატაცების შესახებ ვუამბობდით მკითხველს) და განა მარტო მილიცია, მთელი საქართველო აღდგა გამტაცებლების წინააღმდეგ. რომ იტყვიან, ერი და ბერი გამთლიანდა. სამართალდამცველებს გვერდში დაუდგა ტელევიზია და... იქუხა კაკაბეთის ზარებმაც. იმ დღეს რესპუბლიკის ყველა სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში პირველად დაიდგა ტელევიზორები და თქვენმა მონამორჩილმა თავისი თვალით ნახა არა მარტო მშვიდობიანი მოსახლეობის აღშფოთება, არამედ მსჯავრდადებულების ხმამაღალი პროტესტი იმათ მიმართ, ვინც ასეთ დანაშაულს სჩადიოდა. ოდნავ მოგვიანებით, ამ ციკლის კიდევ რამდენიმე გადაცემა ვაჩვენეთ სატელევიზიო ეთერში და ამას იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ ჩვენში განვითარებულ ცნობილ მოვლენებამდე (აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და სამოქალაქო ომებს ვგულისხმობ), ადამიანის გატაცების შემთხვევა აღარ ყოფილა. მაშინდელ სატელევიზიო გადაცემათა შორის გახლდათ შემდეგში სახელმწიფო პრემიით აღნიშნული ჩემი ნამუშევარი „თხუნელებიც“, რომელსაც ამ



შემთხვევაში ერთპიროვნულად ვაწერდი ხელს და რადგან მისი სიუჟეტი კობა ანთიას გამტაცებლების დაკავების საკმაოდ საინტერესო დეტალებს შეეხებოდა, გადავწყვიტე შემოკლებით აქვე გამეცნო ჩვენი მკითხველისათვის.

## თხუნელები

მას შემდეგ, რაც შელიების „ვაინათესავების“ უმრავლესობა სატუსაღოში შეყარეს, ბავშვის გატაცების უშუალო შემსრულებლებმა ბადრი ნანეიშვილმა და მალხაზ კინწურაშვილმა მიმალვა გადაწყვიტეს. მაგრამ საჭირო იყო ფული, მათ კი ამ საქმით მხოლოდ ციხეში მოხვედრის გარდაუვალი პერსპექტივა დაიმსახურეს, მეტი ვერაფერი. ორივემ თამაშა შელიას მიაკითხა — შესრულებული სამუშაოს გასამრჯელო — ოცდაათი ათასი მანეთი მოგვეციო. ეს იმგვარი ტონით იყო ნათქვამი, რომ შეშფოთებულმა თამაშამ მუჭუჭი ზარანდიას მოუხმო — სხვა გზა არაა, ამ ხალხს ფული უნდა მივცეთო, მაგრამ მუჭუჭიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ფული საიდან მივცე, ხომ იცით, გატაცებული ბავშვის ოჯახს კაპიკი არ გადაუხდიაო. ბადრი ნანეიშვილს მოთმინების ფიალა აევსო, მუჭუჭის ყელში სწვდა და ალბათ მიახრჩობდა კიდეც, იქვე მყოფები რომ არ მიშველებოდნენ. თუმცა როგორც ვიცი, ნანეიშვილმა ქალს ბრილიანტის საყურეები მაინც ჩამოაგლიჯა და ხუთი ათასი მანეთიც მოატანინა — დანარჩენს ხვალ-ზეგ მოგცემთო, შეჰპირდნენ დაფეთებული ქალები, მაგრამ აღარაფერი მიუტანიათ, — ორივე ქალბატონი მეორე დღესვე დააპატიმრა მილიციამ. ნანეიშვილი და კინწურაშვილი კი მიიმალნენ. წალენჯიხაში მცხოვრებმა ბადრის დამ, მიმოზამ და სიძემ ორესტი კვარაცხელიამ გამოიღეს ხელი, — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუბში, მეზობლებისაგან განმარტოებით, ტყისპირად მდგარ ლეონტი ლემონჯავას სახლში დააბინავეს ორივენი. ძებნილებისათვის უკეთესი თავშესაფრის მონახვა წარმოუდგენელი იყო. აქ იწყებოდა უსიერი ტყე, რომლის ბოლო კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე თავდებოდა. ლეონტი ლემონჯავა ერთი უბირი, ცოტა ჭკუასუსტი გლეხი იყო და ცოლ-შვილიც დაახლოებით მისივე ჭკუის ჰყავდა. ამის გამო მას არც მეზობელი აკითხავდა (თუმცა სად ჰყავდა მეზობლები. აკი ვთქვით, განცალკევებით სახლობდა-თქო), არც ნათესავი და მეგობარი. ძებნილებმა ამ სახლის სრულ ბატონ-პატრონად გამოაცხადეს თავი. მოგვიანებით გაირკვა, რაც იქ ხდებოდა. ლეონტის შეღერებული გოგონა და მეუღლე მთლიანად „სტუმრებით“ იყვნენ დაკავებულნი. სამაგიეროდ, „სტუმრებს“ შიგადაშიგ ისეთი სასმელ-საჭმელი მოჰქონდათ, ლემონჯავებს რომ არასოდეს დასიზმრებიათ. ძებნილები დროდადრო ქურდობდნენ, ყაჩაღობდნენ, ძარცვავდნენ ხალხს და ფულიც არ აკლდათ. მეზობელ რაიონში ახალთახალი „ვოლგა“ მოიპარეს. მანქანა ლეონტის საბძელში დააყენეს და ზემოდან თივა დააყარეს. მართალია, ამისათვის საბძლის ერთ ღამეში დაშლა-აშენება დასჭირდათ, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ღირდა. საჭიროების შემთხვევაში ამ მანქანას მოასხდებოდნენ და...

მაგრამ... ადგილობრივი მილიციის თანამშრომლებით გაძლიერებულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ჯგუფმა გამთენიისას შემოარტყა ალყა ლემონჯავების სახლს და იქ შეფარებულ გამტაცებლებს დანებება მოსთხოვა. ცოტა ხანში სახლიდან ლეონტის ცოლ-შვილი და მამა გამოიძურწნენ. ლეონტის შარვლის ჩაცმა ვერ მოესწრო და ცალი ხელით ნიფხვის ღილებდაწყვეტილ შესაკრავს ჩაჰფრენოდა, მეორეთი კი ლანჩებავარდნილ წაღებს მოაჩანჩალებდა. ეს იმდენად კომიკური სანახაობა იყო, რომ სიცილის შეკავება შეუძლებელი გახლდათ. თუმცა ყველანი უმალ გონს მოეგნენ. ყურადღება კვლავ სახლზე გადაიტანეს, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მასპინძლებმა მოკლედ მოჭრეს — ჩვენი სტუმრები სახლში არ არიანო. სახლი გაჩხრიკეს. იატაკქვეშ გვირაბი აღმოაჩინეს, მაშასადამე, ამაზეც უზრუნიათ. ნუთუ გაგვასწრეს გარეწრებმა, ფიქრობდნენ სამართალდამცველები და თან ჩქარობდნენ, რომ როგორმე გვირაბის მეორე ბოლოსათვის მიეგნოთ, თუნდაც იმისათვის, გაქცეულთა მიმართულება რომ დაედგინათ. მაგრამ გვირაბი შემოდგომის წვიმების შემდეგ სანახევროდ წყლით იყო სავსე, ძაღლიც კი არ შევიდა შიგ. მართალია, გვირაბში კვამლი შეახრჩოლეს, მაგრამ მეორე მხარე მაინც არ ჩანდა. აშკარა იყო, ერთ მონაკვეთში გვირაბი მთლიანად წყლით იყო სავსე და შესაძლოა მის გადასალახავად ძებნილებმა ჩაყვინთეს კიდეც, მაგრამ სად უნდა ამომძვრალიყვნენ, ჯერჯერობით, ვერ გაერკვიათ. ამასობაში კი სახლის ჩრდილოეთით ხეებს ამოფარებული მილიციის კაპიტანი, გამოცდილი ოპერმუშაკი და კარგი სპორტსმენი თენგიზ მიქაძე ზედმეტად ნერვიულობდა. ერთი სული ჰქონდა, გაერკვია, რა ხდებოდა, რატომ ჩამოდგა ასეთი სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ძაღლის ყეფა თუ არღვევდა. სად არიან ძებნილები, ნუთუ დღესაც ტყუილად დაშვრნენ ბიჭები? მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენა იყო და მის სიახლოვეს მდგარი იური გვეტაძეც უხმაუროდ, ხელის მოძრაობით ანიშნებდა კოლეგას, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნებაო, თენგიზმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ის იყო სამალავის დატოვება დააპირა, რომ ფეხქვეშ მიწა იძრა. უშიშარი კი იყო, მაგრამ იმწუთას გულმა მაინც რეჩხი უყო. არა, კაცის კი არ ეშინოდა, კაცს თუნდაც ორ-სამს ერთად დატორავდა, მაგრამ აქ, ამ მივარდნილ ადგილას წამით ავი სულების არსებობა იწამა — ვიდრე პირველი შთაბეჭდილება გადაივლიდა, ისევ შეინძრა ფეხქვეშ მიწა. თენგიზმა ის იყო უკან დაიხია, რომ ხის ტოტები, რომელზეც წამის წინ იდგა, გადაიწია და მიწიდან რაღაც გაურკვეველმა არსებამ ამოჰყო თავი. ცოტაც და, ალბათ იღრიალებდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს არსება უფრო ადამიანს წააგავდა, ხოლო ადამიანებისა თენგიზს ნამდვილად არ ეშინოდა-მეთქი, აკი გითხარით. ჰოდა, ერთბაშად ისე მძლავრად ჩასცხო თავში, რომ უცნაური არსება ერთბაშად მიწის სიღრმეში ჩავარდა და ეტყობოდა, მეორე „ურჩხულს“ დაეცა ზემოდან, რადგან ამ უკანასკნელმა სიმწრისაგან ისე დაიღმუვლა, თენგიზმა ინანა კიდეც — ეს რა გავაკეთეო. ახლა კი ყველაფერს მიხვდა. ჯერ იური გვეტაძეს გასძახა, შემდეგ სხვებს და მალე მოვლენების ცენტრმა მის ირგვლივ გადაინაცვლა, — თავიდან ბოლომდე თხუნელებივით ტალახში ამოვლებული ძებნილები მათ მიერვე გაკეთებული ჭიდან ამოათრიეს, რომელიც გვირაბისა და სიმბოლურად, ამ ისტორიის დასასრულსაც წარმოადგენდა.

**ვაჟა გავაშელი**

# განგაში — პატარა მეძავეები!..

**თამრიკო, 16 წლის:**

— ...სახლში პრობლემები მქონდა და გავიქეცი... მერე ვაგზალზე პოლიციამ ამიყვანა, შემჩნეული ვყავდი...

— **რა პრობლემები გქონდა?**

— დედაჩემის საყვარელმა გამაუპატიურა...

— **როდის მოხდა ეს?**

— შარშან, 27 მაისს.

— **დედა არ შეეწინააღმდეგა?**

— არა. პირიქით, მან ყველაფერი იცოდა, მისი ჩაწყობით მოხდა...

— **როგორ — ჩაწყობით?**

— ის მეზობელთან გავიდა სპეციალურად და მარტო დაგვტოვა...

— **ეი. იმ კაცმა ძალა იხმარა შენზე?**

— კი და თან გასათიში წამლები დამალევინა. მეორე დღეს მოვედი გონზე და გამოვიქეცი სახლიდან...

— **სად წახვედი?**

— ვაგზალზე... იქ ერთი გოგო გავიცანი და იმასთან ერთად ვიყავი ხოლმე...

— **რას აკეთებდით?**

— ერთი კვირის შემდეგ ეს საქმე დავიწყე. ვაგზლის მეტროში ვიდექით ხოლმე და კლიენტებსაც იქ ვშოულობდით...

— **დღეში რამდენ კაცთან გქონდა ურთიერთობა?**

— ზოგჯერ ხუთთან.

— **რამდენს გიხდიდნენ?**

— 20-დან 30 ლარამდე.

— **ფული სად მიგქონდა?**

— ბინა გვქონდა ნაქირავები, ნაწილს იქ ვიხდიდით, დანარჩენს კი — საჭმელსა და ტანსაცმელში.

— **ის გოგო შენზე დიდი იყო, ვისთან ერთადაც მუშაობდი?**

— კი. ორი წლით.

— **ახლა სად არის?**

— ისევ ვაგზალზე „მუშაობს".

— **არ გეშინოდა, რომ ვენერიული დაავადება შეგეყრებოდა?**

— აქ რომ მომიყვანეს, უკვე მქონდა.

— **ეი. გასული წლის 27 მაისიდან სულ ვაგზალზე იყავი?**

— არა. ცოტა ხნის მერე გავთხოვდი, ერთი ბიჭი გავიცანი, ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდა, მაგრამ მაინც ცოლად წამიყვანა... ცოტა ხანს ვიყავით ერთად. მერე დედაჩემის გამო დავშორდით...

— **თბილისელი იყო?**

— არა, ზუგდიდელი.

— **რატომ დაშორდი?**

— დედაჩემთან ვიყავით სტუმრად მისულები, რომ გამეცნო მისთვის. დედაჩემიც ნასვამი იყო და ის ბიჭიც, საღამოს პური გაგვითავდა და საყიდლად გავედი, რომ მოვედი, დედაჩემი იმ ბიჭთან იწვა ლოგინში...

— **დედაშენი სად მუშაობს?**

— ვაგზალზე, ხან ხაჭაპურს ყიდის, ხან დამლაგებლად მუშაობს.

— **აქედან დედას გაჰყავდი ხოლმე?**

— კი. ორჯერ იმან გამიყვანა... პირველად სახლში რომ დავბრუნდი, მეორე დღესვე დედაჩემმა დამიწყო ლაპარაკი, რას მიკეთებ, სახლში რომ მიზიხარ, წადი, რამე იშოვე, ტელეფონის ფული მაინც გადაიხადეო... ამის მერე გავიქეცი სახლიდან. იმან კიდევ ძებნა გამოაცხადა, აქ ამოვიდა და უთხრა, გამეპარა და დაიჭირეთო. ციცო დეიდამაც შეატყობინა ვაგზლის პოლიციას და დააჭერინა ჩემი თავი... მეორედ რომ გამიყვანა დედაჩემმა აქედან, ვთხოვე მამასთან წავეყვანე. მამა გაცილებულია და სასადილოში მუშაობს, მაგრამ იმან აქეთ დამიწყო ჩხუბი, რატომ გამოიპარე სახლიდანო და ძალიან მცემა. ისევ გავიქეცი და მერე კვლავ დამიჭირეს.

— **აქ როგორ გრძნობ თავს?**

— კარგად, მაგრამ მაინც უნდა წავიდე... სამჯერ ვარ უკვე აქ მოყვანილი, კარგად მექცევიან, მაგრამ მაინც ვერ ვჩერდები.

— **სად უნდა წახვიდე, ისევ ვაგზალზე?**

— არა. ბებიასთან მინდა ვიცხოვრო... ჩემი ძმები დამეხმარებიან სწავლაში... ექიმი მინდა გამოვიდე.

*შეუძლებელია ნორმალური ადამიანი არ ააფორიაქოს და სულით ხორცამდე არ შეძრას თამრიკოს მონათხრობმა. არადა, იგი ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომლებიც დაუნდობლად გაწირეს ასეთი უკუღმართი ხვედრისათვის. ვინ აქცია ისინი საზოგადოების ხორცმეტებად? თავად საზოგადოებამ, მშობლებმა თუ ხელისუფლებამ? — ალბათ ყველამ ერთად... პრობლემის უკეთ გასარკვევად შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ* ***ციცო კიკალიშვილს*** *ვესტუმრეთ (სწორედ მიმღებ-გამანაწილებელში შეგვახვედრა ქალბატონმა ციცომ თამრიკოს, რისთვისაც მადლობას ვუხდით).*

— **ქალბატონო ციცო, რა კატეგორიის ბავშვები ხვდებიან თქვენს დაწესებულებაში?**

— შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები სპეციალური რეიდების შედეგად წარმოადგენენ მაწანწალა, მათხოვარ, მიუსაფარ, უზედამხედველო და პროსტიტუციის მიმდევარ ბავშვებს. მათი ასაკი 5-დან 17 წლამდე მერყეობს.

— **თქვენი აზრით, რა ფაქტორები უბიძგებს ბავშვებს ამ გზისკენ?**

— მათი უმრავლესობა არაკეთილსაიმედო ოჯახებიდანაა და ძირითადი წამქეზებლები მშობლები გახლავთ. ვერაფრით დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ თითქოსდა, ამის უმთავრესი მიზეზი დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება იყოს. მინდა ყველას შევახსენო, რომ ჩვენი წინაპრები გაცილებით მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი შვილები არც მეძავეები გამხდარან, არც მათხოვრები, არც სამშობლოდან გადაკარგულან. ვფიქრობ, დღეს ჩვენი საზოგადოება ზნეობრივ კრიზისს განიცდის, რაც უპირველესი ფაქტორია ერის დეგრადაციისა. ამიტომაა, რომ ბავშვთა კომერციულმა სექსუალურმა ექსპლუატაციამ ასეთი მასშტაბები მიიღო. თუ საქართველოს თითოეული მოქალაქე და უპირველესად ჩვენი ხელისუფლება გულით დაინახავს ამ პრობლემას და არა თვალით, მისი მოგვარება არც ისე ძნელია.



თამრიკო, 16 წლის

**ინფორმაცია განსჯისათვის:**

დღეს საქართველოში არ არსებობს სპეციალური კანონი, რომლითაც იკრძალება ბავშვთა პროსტიტუცია და პორნოგრაფია. არსებული კანონმდებლობით თავად პროსტიტუცია არ არის დასჯადი ქმედება. ისჯება მხოლოდ პროსტიტუციაში ჩაბმა, პროსტიტუციისათვის ბინის მოწყობა ან შენახვა. ამგვარი უმოქმედობა კარგ ნიადაგს უქმნის ბოროტმოქმედებს. ჩვენს ქვეყანაში შემაშფოთებლად იზრდება ქუჩის ბავშვებისა და პროსტიტუციაში ჩართული ბავშვების რიცხვი. ჯერ კიდევ 1997 წელს თბილისში ათასამდე ქუჩის ბავშვი იყო და ხდებოდა მათი იძულებითი ჩართვა პროსტიტუციაში. დღეისათვის ეს რიცხვი გაცილებით დიდია. ერთი საგულისხმო ინფორმაციაც: გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის მაია ქურციკიძის განცხადებით, ინტერნეტში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს ქართული სექს-საიტებიც. ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ აქვეყნებს თბილისური ბორდელების სიას მათი ადგილმდებარეობისა და მომსახურების ფასების მითითებით. ცნობისთვის: პორნოგრაფია ინტერნეტით საუკუნის პრობლემად აღიარეს.

> დროა განგაში ავტეხოთ იმის გამო, რომ დღეს საქართველოში ფარულად მოჯამაგირის ინსტიტუტი უკვე ჩამოყალიბებულია, თუმცა მას არც მოჯამაგირეები და არც ხელის მუშები არ ჰქვიათ. დღეს ერთი ულუფა საჭმელის გულისთვის, ჩვენდა საუბედუროდ, ისინი სხეულს ჰყიდიან და უმძიმეს ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ.

— **ქალბატონო ციცო, ალბათ არავისთვის უცხო არ არის ის ფაქტი, რომ პოლიცია ამ პრობლემის მოგვარებაზე თავად უნდა ზრუნავდეს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, თვით შსს-ს თანამშრომლები გვევლინებიან მეძავთა მფარველებად, რის სანაცვლოდაც მათგან გარკვეულ შემოსავალსაც იღებენ.**

— ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს სტრუქტურებში ფრთიანი ანგელოზები მუშაობენ. არიან პოლიციაში ისეთი თანამშრომლები, რომლებიც მათთან აწარმოებენ ათასნაირ გარიგებებს. მეტიც, როდესაც რეიდები იგეგმება, არასრულწლოვანთა აქ წარმოსადგენად და ცხადდება ტერიტორია, სადაც რეიდი უნდა ჩატარდეს, ვიღაც რეგვენი, ჩვენი რომელიღაც თანამშრომელი მიდის იქ წინა დღეს და ბავშვებს აფრთხილებს, რომ იმ ტერიტორიაზე არ გამოჩნდნენ. გაფრთხილება კი, როგორც ბავშვებმა ამიხსნეს, „ციგანსკაია პოჩტის" მეთოდით ხდება, ანუ ჯერ ერთს ეუბნებიან, ის ერთი მეორეს გადასცემს და ა.შ. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ როდესაც სამშობლოს გამყიდველები გვყავს, რა გასაკვირია, რომ რეიდის გამყიდველებიც გვყავდეს. ხალხი ყველას ერთ ტაფაში გვხარშავს, მაგრამ საბედნიეროდ, პოლიციაში უმრავლესობა ასეთი არ არის. დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს სტრუქტურაში მოხვდნენ შემთხვევითი ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ პროფესიონალური ღირსება. ისინი მხოლოდ საკუთარი ოჯახის რჩენაზე ფიქრობენ და არა იმაზე, რომ ქუჩის ბავშვები, მათი შვილებისა და შვილიშვილების თანამოქალაქეებად იზრდებიან და ეს თავად მათ შვილებს შეიძლება შემოუბრუნდეს ცუდად. მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს თქვენთვის, შს სამინისტრო გაცილებით მეტად ირჯება ამ ბავშვების გადასარჩენად, ვიდრე სხვა სტრუქტურები.

— **გასაგებია, მაგრამ შედეგი ნაკლებად ჩანს, რადგან თქვენთან არცთუ ისე ბევრი ბავშვია, ქუჩები კი სავსეა ასეთი პატარებით.**

— იცით, რაშია საქმე, როდესაც პოლიცია ატარებს რეიდს, საზოგადოება საკმაოდ უარყოფითად ხვდება ამ ფაქტს, — რატომღაც ჰგონიათ, რომ ბავშვებს იჭერენ, არადა ეს გამორიცხულია. როგორ დაიჭერ ბავშვს, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია და 14 წლისაა, ანუ სამართლის სუბიექტი ჯერ არ არის. ამ დროს საზოგადოება ბავშვთა უფლებების დარღვევაზე ტეხს განგაშს და შსს-ს თანამშრომლებს ლანძღავს. ცნობილი ფაქტია — მეტროში მათხოვარი ბავშვი თავხედურად ითხოვდა მგზავრებისგან მოწყალებას, ამ დროს პოლიციელმა მოჰკიდა ხელი, რომ ჩვენთან წამოეყვანა. ბავშვი მიხვდა ამას და წივილ-კივილი ატეხა — მიშველეთ მიჭერენო, რითიც მგზავრების მხარდაჭერა მოიპოვა. ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ პოლიციელი ისე სასტიკად სცემეს, რომ დაინვალიდდა...

## ... შინ რომ დავბრუნდი, დედაჩემი ჩემს ქმართან იწვა



ციცო კიკალიშვილი

— **ამის უმთავრესი მიზეზი, ალბათ დამეთანხმებით, გახლავთ ის, რომ პოლიცია დღეს ნდობადაკარგული და სახელშელახულია...**

— მერწმუნეთ, წესიერი და თავის საქმეზე შეყვარებული პოლიციელი დღეს, საბედნიეროდ, ბევრია და მათი ნდობა საზოგადოებას უნდა ჰქონდეს.

— **გარდა აგრესიულობისა, კიდევ რა თვისებებით ხასიათდებიან ეს ბავშვები?**

— ისინი მოკლებულნი არიან დედის ალერსს და ოჯახურ თბილ გარემოს. თავისთავად ეს ფაქტი მათ ხასიათზეც აისახება. დღევანდელი თბილისის ქუჩები, განსაკუთრებით კი ბაზრობების ტერიტორიები ძალიან ჰგავს ფილმს „ერთხელ ამერიკაში", ანუ იმ პერიოდს, რომელიც ამერიკამ 30-იან წლებში გაიარა... მიუხედავად იმისა, რომ ეს ბავშვები დღეს წერა-კითხვის უცოდინარები არიან, იმავდროულად კარგად ერკვევიან ფულის კუპიურებში და სამწუხაროდ, უზნეობაშიც. მათ გააჩნიათ სიცოცხლის შენარჩუნების საოცარი ინსტინქტი, ოღონდ გადარჩეს და ამისთვის ყველაფერზე მიდის. თუ დასჭირდა, შეუძლია წამქეზებლებად ჩვენც დაგვასახელოს. ოღონდ კი პური იყიდოს ან თუნდაც წებო, რომელიც უნდა ისუნთქოს და ქუჩაში იბოდიალოს, ამის მისაღწევად ყველაფერს იკისრებს... ალბათ დამეთანხმებით, რომ აბსურდია გათვითცნობიერებული ჰქონდეს 9 წლის გოგონას, რომელიც თავს მეძაობით ირჩენს, რა არის პროსტიტუცია და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას. იცის მხოლოდ ის, რომ ამ პროფესიით, თავისი გარეგნობის ხარჯზე თავი უნდა ირჩინოს... დროა განგაში ავტეხოთ იმის გამო, რომ დღეს საქართველოში ფარულად მოჯამაგირის ინსტიტუტი უკვე ჩამოყალიბებულია, თუმცა მას არც მოჯამაგირეები და არც ხელის მუშები არ ჰქვიათ. დღეს ერთი ულუფა საჭმელის გულისთვის, ჩვენდა საუბედუროდ, ისინი სხეულს ჰყიდიან და უმძიმეს ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ. აუცილებლად დასაფიქსირებელია შემდეგი ფაქტორიც: რუსეთის დიდ ქალაქებში უკვე განგაშია ატეხილი იმის გამო, რომ ჩამოყალიბდა არასრულწლოვან ქილერთა ჯგუფები. ამ ქალაქებში 12-13 წლის ბავშვი უკვე ქილერია და ის თამამად აცხადებს, რომ მოკლა კაცი, ვინ დაავალა „არ ახსოვს", თუმცა, იმას კი ამბობს, რამდენი გადაუხადეს. ყველა უბედურებასთან ერთად, ამის საშიშროება ანუ კლანური ტიპის ბავშვთა კატეგორიების ჩამოყალიბების ნიშნები ჩვენთან უკვე არის.

— **დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ბაზრობებზე, მეტროებსა და სხვა ხალხმრავალ ადგილებში როგორც მეძავებს, ისე მათხოვრებს ტერიტორიები აქვთ დანაწილებული, ანუ ყველას „საკუთარი" ზონა აქვს. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მათი მფარველი ჯგუფის მიერაა ორგანიზებული და დადგენილი?**

— არა. ამას თვითონ ბავშვები ადგენენ. მათი გარკვეული ნაწილი აგრესიული ე.წ. შემსრულებელია. ეს ბავშვები ლიდერის სტატუსით სარგებლობენ და დანარჩენებს ხელმძღვანელობენ. ასევე თვითონ იყოფენ ტერიტორიებს მეძავებიც.

**ინფორმაცია განსჯისათვის:**

მიუხედავად ქალბატონი ციცოს უარყოფისა, ქალბატონი მაია ქურციკიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რომელიც უცხოელი ექსპერტების დასკვნებს ეყრდნობა, საქართველოში ბავშვთა პროსტიტუციას ორგანიზებული ხასიათი აქვს. იგი უკვე ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ დონეებზე კარგად ორგანიზებული ბიზნესის ნიშნებს იძენს, რის უკანაც გარკვეულ ძალთა ფინანსური ინტერესები იკვეთება. მეძავ ბავშვთა ყოველ ჯგუფს თბილისში განსაზღვრული ადგილი აქვს გამოყოფილი და ამის შესახებ კარგად არიან ინფორმირებული სამართალდამცავები, რომელთაც ამ ბიზნესში თავიანთი ინტერესები აქვთ. და კიდევ ერთი: საქართველოში პროსტიტუციის მსგავსად პორნოგრაფიის დამზადება, გავრცელება, რეკლამირება, შენახვა და ა.შ. არც აკრძალულია და არც ნებადართული.

— **იქნებ კონკრეტულად გვესაუბროთ იმ მძიმე ფაქტებზე, რასაც თქვენ ამ ბავშვებთან ურთიერთობის და მათი ცხოვრების გაცნობისას აწყდებით?**

— შემიძლია რამდენიმე მაგალითი მოგიყვანოთ და შემდეგ თავად განსაჯეთ. ზოგჯერ, გარდა მშობლებისა, თავად არასრულწლოვნებიც არიან პროსტიტუციასა და მათხოვრობაში წამქეზებლები. ეს ბავშვები ძირითადად პროვინციებიდან არიან ჩამოსული. მაგალითად, არის ასეთი გოგონა, სახელად დიანა. მისმა დამ, არასრულწლოვანმა დაიწყო მეძაობა ვაგზალზე. რატომღაც ძალიან მოეწონა ეს საქმიანობა, რადგან ეკონომიკური მდგომარეობა ცოტა გამოისწორა. ამის შემდეგ მან თავისი თოთხმეტი წლის და ჩამოიყვანა და აიძულა, პროსტიტუციაში ჩართულიყო. შედეგად გოგონა გახდა აგრესიული, ჩაკეტილი და დეპრესიული. ჩვენთან რომ მოიყვანეს, დიდი მოფერების, მშობლიური მზრუნველობის და სითბოს წყალობით მივაღწიე იმას, რომ გოგონა ყველაფერს მომიყვა. კერძოდ, მის დას თავისი კლიენტებისთვის შეუთავაზებია იგი და მასზე განხორციელებულა სქესობრივი ძალადობა. დღეს ამ გოგონას უტარდება ფსიქოლოგიური მკურნალობა და უკვე ამ ცხოვრებისკენაა შემობრუნებული. ერთხელ ჩვენთან მოვიდა ბავშვის დედა, მადლობა გადაგვიხადა შვილის მოვლა-პატრონობისათვის, მაგრამ იქვე გამოგვიცხადა, შვილი ჩემია, უნდა წავიყვანო, მინდა ვამათხოვრებ და მინდა მეძავად ვამუშავებო. ერთ ფაქტს გეტყვით კიდევ: ერთ დღეს ათი გოგონა მოიყვანეს აქ რეიდის შედეგად. მათგან ცხრას ათაშანგი ჰქონდა ოთხი ჯვრით. ცხრავეს ვუმკურნალეთ. ამათგან ორი დარჩა ჩვენთან, შვიდი კი ისევ ქუჩას დაუბრუნდა. შემდეგ ერთი მათგანი ისევ უკან მოიყვანეს. მისი დედა მოდის აქ, როცა ფული შემოაკლდება და გვეუბნება, რომ უნდა წაიყვანოს. 52 წლის დედას, რომელსაც 21 წლის საყვარელი ჰყავს, აქვს უფლება, რომ სახლში 15 წლის გოგო მიიყვანოს? არ ვატან, რადგან მაქვს ამისი მორალური უფლება. ამ დედების უმრავლესობა ჩაცმულ-გაპრანჭული დადის, საკუთარი შვილების სხეულის ხარჯზე. ერთსაც მოგიყვებით: ვაკე-საბურთალოს პოლიციამ უნივერსიტეტის ეზოდან არაჩვეულებრივი გოგონა, სახელად ნინო მოიყვანა, რომელიც უჩვეულოდ „გაილექსა":

— მართალია დედა ლოთი მყავს, მაგრამ დედას არ ვირჩევთო. აბსურდია, რომ 12 წლის გოგონა ასე მსჯელობდეს, ეს იყო მიწოდებული ფრაზები თავის გასამართლებლად. შესაბამისი სამედიცინო შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ იგი იყო ქალწული. თურმე დედა ლოთი და მეძავი ჰყავდა და პოლიციელებმა იმ დროს აიყვანეს, როცა თავის მორიგ კავალერთან ერთად იჯდა ბაღში, ნინოს ამათხოვრებდა და იმ ფულით თავის კავალერს ლუდით უმასპინძლდებოდა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*



საქართველოს ჭრილობიანი ისტორია

# თმაში დამალული ჯვარი

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ღვთისნიერი ადამიანები გამოელიოს ღვთისმშობლის წილხვდომილ საქართველოს — ჩვენს დედას, უძველესი წარსულისა და ქრისტიანული კულტურის ქვეყანას. მის კუთხეთაგან ჟამთა სიძველით აჭარა გამოირჩევა. ეს უტყუარია და ყველასათვის უეჭველი.

გავიხსენოთ ქართლის ისტორია: მემატიანე გვაუწყებს, რომ ახალი აღთქმის საწყისის საუკუნეში, 56 წელს ხულოს რაიონში, სოფელ დიდ აჭარაში ღვთის ნებითა და ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით შემობრძანდა ანდრია პირველწოდებული. ხატი მან მაღლობ ადგილზე, გორაკზე დააბრძანა. და მოხდა სასწაული — მიწიდან ამოვიდა ანკარა წყარო, რომელიც ახლაც მოედინება. წყაროს დღესაც წმინდა წყლად თვლიან და სამკურნალოდ იყენებენ. აქვე უფლის მოციქულმა აღაშენა წმინდა ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე და იქ მღვდელი და დიაკვანი დაუდგინა, რათა წირვა-ლოცვა აღვლენილიყო.

ამის შემდეგ ქრისტეს ნათელი დაედო მთელ საქართველოს. არ დარჩენილა მისი არც ერთი კუთხე, ეკლესია-მონასტრები რომ არ მოჰფენოდა. მიუხედავად მტერთა და ურჯულოთა უმოწყალო თარეშისა, ეკლესიათა რიცხვი სულ უფრო მატულობდა. ფარისეველნი დღესაც ცდილობენ ჩამოგვაშორონ ღვთის გზას, მაგრამ დედა ღვთისა არ ინებებს თავის შვილთა მიტოვებას.

წინაპართა წმინდა სისხლითაა მორწყული ჩვენი ქვეყანა. რაოდენ ჭეშმარიტად ბრძანა ხულოში ხარების სახელობის ეკლესიის კურთხევის დროს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, დიდმა მეუფემ ილია -მ: „საქართველოში ყოველი მიწის ერთი მუჭა რომ აიღო ხელში და მას მოუჭირო, ჩვენი წინაპრების სისხლი გამოჟონავსო“, ეს მართლაც ასეა. წარსულ საუკუნეებში მრავალი რბევა გადაიტანა საქართველომ, ღვთისაგან გამორჩეული აჭარა ყველაზე მეტად ეწამა. ჭოროხის ნაპირებზე სასაკლაოები და სახრჩობელები დაიდგა. სისხლით შეღებილი მდინარე ზღვას აწითლებდა. ჩადრმა დაფარა არემარე, აღარ ისმოდა ზარების და ლოცვა-გალობის ხმა. ლამის ენა წაგვართვეს, წერა-კითხვა დაგვავიწყეს, ისტორია წაგვიშალეს...

მადლი უფალს — იმ ავბედით საუკუნეებშიც გვყოლია ერის შვილები, რომელთა ღვაწლმა ენა და რწმენა შეგვინარჩუნა. განსაკუთრებით ქალების, წმინდა დედების მოსაგონებლად უნდა ითქვას: მათ აჭარაში ქართული ენა შეინახეს, აჭარაში საქართველო გადაარჩინეს. აქ მინდა ერთი გადმოცემა გიამბოთ, რომელიც დიდ აჭარაში მოვისმინე: ყოფილა ქალი-დედა, რომელიც ჯვარს ჩახვეულ გრძელ თმაში ინახავდა თურმე. როცა გარდაცვლილა, გაპატიოსნების დროს ჯვარი გამოჩენილა. ასე გულდაგულ შეინარჩუნეს ჩვენმა წინაპრებმა ქართული სული და რწმენა.

ჩვენ ხელთ გვაქვს ზ. ჭიჭინაძის წიგნი „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“. მასში წარმოდგენილია ის ადამიანები, რომლებმაც შინაგანი ძახილით აჭარაში ეროვნული განწყობილება შექმნეს, აქაურებს ენა არ დაავიწყებინეს. ესენი იყვნენ გიორგი ყაზბეგი, დიმიტრი ბაქრაძე, თედო სახოკია, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები. ზ. ჭიჭინაძე ერთგან წერს: „ვიდრე საქართველო დაეცემოდა, მანამდე ქართველი მეფეების პატივსადებელ და საქებელ მხარედ ეს ნაწილი ითვლებოდა, თვითაც უმეტეს ნაწილს აქეთ სცხოვრობდნენ. თითქმის აქ გაძლიერდნენ ბაგრატოვანთ გვარის წარმომადგენნი“.


სხალთა

~~დღეს~~ ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ მოინდომა თავისებურად და საინტერესოდ გაეშუქებინა საქართველოს, კერძოდ, ჩვენი კუთხის ისტორია, მაგრამ მე მინდა ჩვენი საპატრიარქოს, ბათუმისა და სხალთის ეპარქიის სახელით გამოვთქვა ის დიდი სიხარული, რაც გამოიწვია ქართველი ერისა და ჩვენი კუთხის ღირსეული მამულიშვილის, მკვლევარ თეიმურაზ კომახიძის ნაშრომებმა, უპირველესად კი 2002 წელს გამოცემულმა წიგნმა „რელიგია და საღვთისმსახურო ნაგებობები აჭარაში“. მასში ბატონმა თეიმურაზმა მრავალი უტყუარი ფაქტი წარმოაჩინა ამ პატარა კუთხის დიდად მძიმე და ჭრილობიანი ისტორიისა.

ღმერთმა დალოცოს ბატონი თემური, მისი მკითხველი და მსმენელი. ღმერთმა დალოცოს ჩვენი პატარა, მაგრამ უზენაესი ღმერთის მიერ შევრდომილი და ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა — საქართველო.

ამინ!

***ბათუმისა და სხალთის ეპარქიის მისია-ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარე, ქედის რაიონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი.***

***დეკ. სერაფიმე (ბერიძე)***

საერო მოღვაწეთა სასულიერო პოეზია



***31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღის თარიღია.***

***საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელთან არის დაკავშირებული ქვეყანაში მართმადიდებლური სარწმუნოების აღმავლობა და განმტკიცება, მისი პირადი ძალისხმევით იქნა დაკანონებული რელიგიური დღესასწაულები საერო კალენდრით.***

***გთავაზობთ ზვიად გამსახურდიას რელიგიურ თემაზე შექმნილ რამდენიმე პოეტურ ქმნილებას.***

## წმიდა მიწა

ბეთანია, ბეთეზდა, ბეთსაიდა,
ესდენ დიდი მადლი ღვთისა გდევთ საიდან?
ბეთანია, ბეთსაიდა, ბეთეზდა,
ხართ აკვანნი ღვთის შვილთა უკეთესთა!
ბეთსაიდა, ბეთეზდა, ბეთანია,
ხართ წმინდათა ვედრება და მეტანია,
სად ჰაერი ვედრებაა მთრთოლვარი,
ქერუბიმთა იდუმალი ოლარი,
სად წარუძღვა მწირებს ძე ემაუსში
და განბანა უკვდავების აუზში.
წარემართე სულო წმინდა ზმანებით,
წოდებულთა საღვთო პაემანებით
სად აწვდილა ამაღლების ტაძარი,
სად უფალმან აღადგინა ლაზარი...

## წმიდა გიორგი

წმიდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი...
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენი სამკვიდრო შენი — გეორგია,
დიდების უფალი, მართალთა მწედ არი.
წმიდაო რაინდო, გველი არ დაინდო,
მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი!

## წმიდა ნინო

ნათლის ანგელოსს ჰგავდი,
როს წარმართთ დაგვიზავდი,
და სცხე მირონი მცხეთას,
კაცთა, საცხოვართ, ხეთა,
დედავ და ემბაზო ჩვენო,
ნინოვ, ქართლს ბნელისა მთენო,
უკვდავო სიკვდილსა წინა,
მარად გვიძღოდე წინა.

გამოსწორებული ხარვეზი

# პეტრიწონში აღარ ეჭვობენ გრიგოლ ბაკურიანის-ძის სადაურობას


БАЧКОВСКИ МАНАСТИР
КРАТКИ ИСТОРИЧЕСКИ СВЕДЕНИЯ

*გზამკვლევი, სადაც ამჟამად აღმოფხვრილია ნაყალბევი*

ორი წლის წინ პეტრიწონის ქართველთა მონასტერს უძველესი თრაკიის მიწაზე (დღევანდელ ბულგარეთში) ეწვია მომლოცველთა ჯგუფი სოფელ დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის დეკანოზის, მამა დავითის წინამძღვრობით, რომლის შემადგენლობაში მეც მქონდა პატივი ვყოფილიყავი. ჩვენ მოვილოცეთ ტაძარი, მოწიწებით ვემთხვიეთ ქართული ღმრთისმშობლის ხატს და მუხლი მოვიყარეთ ტაძრის მშენებელთა — ძმების გრიგოლ და აბას ბაკურიანის საძვალესთან. მოვლენათა კვალზე „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა წერილი „ბულგარეთში დაკარგული საქართველო“, რომლის სევდის მომგვრელი სათაურის ერთ-ერთი მიზეზთაგანი გახლავთ ამ ქვეყანაში არსებული ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა, როგორც საქართველოზე, ისე მის ღირსეულ წარმომადგენლებზე. თვით პეტრიწონის ტაძრის მშენებლობაზე ადგილობრივი სომხური დიასპორის გავლენით, დამკვიდრებულია აზრი მათ სომხურ გვარტომობაზე და მონასტრის კედელზე გაკრულ შუშის ჩარჩოში ჩასმულ გზამკვლევში დაუფიქსირებიათ მონასტრის ტიპიკონის გვიანდელ ბერძნულ ასლში შეპარებული ნაყალბევი, თითქოს გრიგოლ ბაკურიანის-ძეს ეს ტიპიკონი ქართულთან და ბერძნულთან ერთად სომხურადაც შეუდგენია და ხელიც მოუწერია სომხურად!

ქართულ დელეგაციას, დროის სიმცირის გამო, მაშინ არ მიეცა საშუალება, რათა სიცრუეზე აგებული თვალსაჩინოებანი მონასტრის მესვეურთა მსჯელობის საგნად გაეხადა და მე, როგორც ბულგარეთთან საკუთარი საქმიანობით დაკავშირებულ პიროვნებას, დამევალა ამ საკითხის ღირსეულად მოგვარება. ყოველ ახალ ჩასვლაზე ბულგარეთში საგანგებოდ ვსტუმრობდი პეტრიწონს და ჩამქონდა წიგნები, სადაც ძველი ქართული მატიანეები თუ თანამედროვე სამეცნიერო წყაროები უტყუარად ადასტურებდნენ გრიგოლ ბაკურიანის-ძის ქართულ წარმომავლობას. ვმართავდი საქმიან შეხვედრებს მონასტრის ადმინისტრაციული ნაწილის გამგესთან, ისტორიკოს სლავჩო კისიოვთან, მონასტრის იღუმენთან, ბერებთან და აი, სულ ბოლო ვიზიტის დროს ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მონასტრის შესასვლელთან არსებულ გზამკვლევში, რომელსაც მომლოცველთა და ტურისტთა უმრავლესობა კითხულობს, შეცვლილი დამხვდა წარწერა — სიყალბე წაეშალათ და ჭეშმარიტება აღედგინათ. ღმერთის შემწეობით აღსრულდა ეს საქმე. ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატთან სანთელი ავანთე და მოწიწებით ვემთხვიე. სანთელი ენთო და ღმრთისმშობლის სახიდან მომდინარე ნათელი სხივებს ჰფენდა ხატზე ასომთავრულით ამოტვიფრულ ლამაზ ქართულ ასოებს.

***გიორგი (გოჩა) კახიძე***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— როდესაც დილის ლოცვებში ვთხოვთ უფალს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე — მართლმადიდებლობაზე სხვა კონფესიებისა ან სარწმუნოების ხალხის (მაგალითად, კათოლიკე მესხის, ან მაჰმადიანი ინგილოს) მოქცევას, ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება ამ ხალხის ან პიროვნებების დასახელება?**

— თქვენს პირად ლოცვებში, როდესაც ღმერთს მიმართავთ თხოვნით „ჭეშმარიტებისა გზათა შეცდომილთა და წვალებათაგან დაბნეულთა“ მოსაქცევად, შეგიძლიათ მათი მოხსენიება, ოღონდ არა საეკლესიო ან საზოგადო მსახურებაში.

**— თქვენი გაზეთი წერდა იმ პარლამენტარების შესახებ, რომლებიც ტყუპ მუსლიმან ძმებთან დადიან გარდაბანში ჯადოსნური შელოცვებისათვის. მიუხედავად მათი საქციელის თქვენმიერი უარყოფითი შეფასებისა, ყველანი შესანიშნავად გრძნობენ თავს და კარგადაც არიან მოძლიერებულნი. მაშ, როდისღა იქნება მათზე ღმერთის მისაგებელი?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ისინი კარგად გრძნობდნენ თავს. შეუძლებელია, ადამიანი იყოს ეშმაკთან თანაზიარებაში და მას სინდისი ჰქონდეს დამშვიდებული, ან ბედნიერი იყოს. ბოროტ ძალას შეუძლია მიანიჭოს მავანთ ყოფითი ან ეკონომიკური წარმატებანი, მაგრამ ამას, ადრე თუ გვიან, ექნება დასასრული და ყოველ მათგანს მოუწევს თავისი საქციელის გამო პასუხისგება. მათი სულიერი მდგომარეობის შესახებ უკეთ მოძღვრებმა იციან — რიგი მათგანი მოდის ეკლესიაში და მათი სინანულით აღსავსე აღსარებები მეტყველებენ, რომ ისინი არ გრძნობენ თავს ბედნიერად, შინაგანად ვერ პოვებენ სიმშვიდეს. მათი დალხინებულობა მხოლოდ გარეგანი ფასადია!

**— დღეს, ჩვენ გარშემო, მტკიცე მართლმადიდებელიცა და ათეისტიც — ყველა იეღოველთა სექტას ებრძვის. მართლა ასეთი საშიშია ეს მიმდინარეობა? რამდენადაც გამიგია, იგი ქრისტიანობის საფუძველზეა წარმოშობილი და ნუთუ არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან?**

— სწავლება XX საუკუნეში გაჩნდა რუსეთსა და ამერიკაში, თვითმარქვია ღვთისმეტყველთა — ილინისა და რასელის მოთაოვეობით.

იეღოვას მოწმეებს არაფერი აქვთ საერთო ქრისტიანობასთან — ისინი უარყოფენ ეკლესიის სწავლებას წმიდა სამებასა და იესო ქრისტეზე, როგორც ძე ღმერთის, აგრეთვე სულის უკვდავებისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ. რეალობაში იეღოველობა, მარქსიზმის მსგავსად, ყველა რელიგიისა და სწავლების მიმართ მტრულადაა განწყობილი და, ამდენად, იგი სექტაც კი არ არის სექტოლოგიური ხედვით. ხოლო საშიშია საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი დაკნინების თვალსაზრისით.

ა ნ ტ ი - თ ა რ ი ღ ე ბ ი

# რას ვდღესასწაულობთ 8 მარტს?

წლევანდელ 8 მარტს კვლავ დაუბრუნეს „უქმე დღის“ წოდება. ასე გვისწავლია და ენციკლოპედიური ცოდნაც ამ ცნობას გვაწვდის, რომ ეს თარიღი ყოველწლიურად სადღესასწაულოდ დაადგინა 1910 წელს კოპენჰაგენში გამართულმა სოციალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენციამ კლარა ცეტკინის წინადადებით. მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ სახელდობრ, რა მიზეზით დაკანონდა დღესასწაული სწორედ 8 მარტისთვის!

საკითხს, რომელსაც ვერ ან არ ხსნის საბჭოთა ენციკლოპედია, ნათელს ჰფენს ბიბლიური ისტორია: სპარსეთის მეფემ, ართაქსერქსემ, ძველი წელთაღრიცხვის 480 წელს ცოლად მოიყვანა ქვეყნის ყველაზე მშვენიერი ასული — ესთერი, რომელმაც მეფეს დაუმალა თავისი ებრაული წარმოშობა. გამოხდა ხანი და მეფის დიდვაზირმა ამანმა, ბაბილონის ტყვეობიდან სპარსეთში შემოხიზნულ ებრაელებზე გამწყრალმა, ართაქსერქსე დააჯერა მოურჯულებელ ებრაელთა ამოწყვეტის აუცილებლობაში. მეფის თანხმობით დაინიშნა ეს დღეც. როცა ეს ამბავი შეიტყო, თავის ერზე მზრუნველმა ესთერმა სამი დღე და ღამე იმარხულა, მერე მოაწყო ნადიმი და მადლი პოვა ქმრის თვალში, რომელმაც პირობა მისცა, რომ ყოველ სურვილს შეუსრულებდა. ესთერმა ებრაელების ხელშეუხებლობა გამოსთხოვა და მეფემაც დიდსულოვნად შეუსრულა თხოვნა — ებრაელებს თავის დაცვისა და ბრძოლის უფლება მისცა იარაღით და ის ხალხი, ვისაც ებრაელები უნდა დაეხოცა, თვით ებრაელებისგან დაიხოცნენ. ამ სასწაულებრივი გადარჩენის აღსანიშნავად ებრაელებმა დააწესეს დღესასწაული — პურიმი („წილისყრის დღე“). ეს არის ებრაელთა ყველაზე მხიარული დღესასწაული, სადაც ისმება ბევრი ღვინო და ცხვება ღვეზელი მტრის ოხტში ამოსვლით, სახელწოდებით: „ამანის ყურები“. ეწყობა მსვლელობები, კარნავალები და ესთერის გმირობის აღსანიშნავად, ამ დღეს განსაკუთრებული პატივი და ყურადღება მიეგებათ ქალებს.



ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ როდესაც კოპენჰაგენში ფემინისტმა ქალებმა გადაწყვიტეს, ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსების თარიღი დაეკონკრეტებინათ და გამოეცხადებინათ პლანეტის ყველა ქალის სოლიდარობის დღედ, ამ თარიღად არჩეული ყოფილიყო ქალის გმირული საქციელის განმადიდებელი ებრაელთა დღესასწაული პურიმი. და რადგან პურიმის დღესასწაული მოძრავია მთვარის კალენდრის მიხედვით, სადღესასწაულოდ ყოველი წლისათვის დაწესდა მისი პირველი აღნიშვნის დღე — ეს პირველი თარიღი კი სწორედ 8 მარტს დაემთხვა.

კლარა ცეტკინს უფლება არ ჰქონდა ჭეშმარიტი მიზეზი გაემხილა, მაგრამ საკუთარი ეთნიკური ტრადიციების ერთგულმა ქალმა შენიღბულად აღადგინა იუდეველთა საკულტო თარიღი.

# არსებობს კიდევ 23 თებერვალი

— და ამ თარიღთან დაკავშირებული ერთი საგულისხმო ფაქტი: ახალი სტილით 8 მარტი არის 23 თებერვალი ძველი სტილით. იმ წლებში, როდესაც ევროპელი ინტერნაციონალისტები 8 მარტის პირველ დღესასწაულებს აღნიშნავდნენ, რუსეთში, როგორც საეკლესიო, ისე საერო კალენდრით იდგა 23 თებერვალი. ამდენად, ევროპელი სოციალისტების რუსი თანამოაზრენი ქალთა ახლად დაწესებულ საზეიმო თარიღს 23 თებერვალს აღნიშნავდნენ. ხოლო მას შემდეგ, რაც 1917 წელს ლენინის დეკრეტით საერო კალენდარი შეიცვალა, დარჩა პირვანდელი რეფლექსი და ინერცია, რომ 23 თებერვალს, „რაღაც რევოლუციური მოვლენა ხდება“. ხალხის განწყობილების სასურველი გეზით წარმართვისათვის საჭირო იყო ამ თარიღზე რევოლუციური ღონისძიების მიბმა. შეიქმნა მითი „წითელ არმიაზე“ — მის პირველ ბრძოლასა და გამარჯვებაზე, რასაც 1918 წლის თებერვალში წითელ ჯარში მოხალისეთა მასობრივი შესვლაც დაუკავშირეს. მაგრამ რადგან ასეთი ჯარი მაშინ პრაქტიკულად არ არსებობდა, ამიტომ 23 თებერვალი მხოლოდ 1922 წელს დაწესდა წითელი არმიის დღედ.

აი, ამ დღესასწაულს აღნიშნავენ დღემდე პოსტსაბჭოურ რუსეთში, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად „კაცების“ დღედაც არის სახელდებული. ან კი რა გასაკვირია — თუ არსებობს ქალების დღე, რატომ არ უნდა იყოს კაცების დღეც, მით უმეტეს, რომ ორივე დღესასწაულს ერთი და იგივე თარიღი უდევს საფუძვლად — კლარა ცეტკინის მიერ ეროვნული და რელიგიური ტრადიციებით ნაკარნახევი!



***ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36***

***გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა***

# „საგადასახადო ლამის საკუთარ საცვალსაც მიმოწმებდა...“

პრეტენზიები ეი-ი-ეს თელასის მიმართ არ წყდება. შესაბამისად, იგნასიო ირიბარენი და მისი ადვოკატებიც გასულ კვირას სასამართლო პროცესებზე სირბილს ვერ აუდიოდნენ. ირიბარენი სერიოზულად შიშობს, რომ მის კომპანიას თბილისის დატოვება მოუწევს. ჩვენთან საუბრისას მან არცთუ ხუმრობით ისიც თქვა, რომ მისთვის სასურველი შედეგების მისაღწევად პარლამენტთან და კანცელარიასთან მჭიდრო ურთიერთობას აპირებს. 7-თვიანი პრაქტიკის შემდეგ, როგორც ჩანს, ირიბარენი მიხვდა, რომ საქართველოში არც ერთი ბიზნესი არ კეთდება პოლიტიკოსთა ლობირების გარეშე. მას ახლა ერთი რამ აოცებს: როგორ ხდება, რომ ქვეყანა, სადაც ბიუჯეტი არ სრულდება, მდიდრული რესტორნებით და ძვირად ღირებული ავტომობილებითაა გადაჭედილი. „ასეთი მდიდრული ავტომობილები და ამდენი, მე ვაშინგტონშიც არ მინახავს“, — ამბობს **იგნასიო ირიბარენი** და კომპანიის დაკარგულ მილიონებს მისტირის.

— **ბატონო იგნასიო, ბოლო ორი კვირაა, ქალაქში ჯგუფური გამორთვები დაიწყეთ. მათ შორის, მოსახლეობისაც; არადა ამბობთ, რომ ხალხი იხდის, იქნებ განმარტოთ...**

— დიახ, გამორთვები დაიწყო, თუმცა ჩვენი კომპანია ელექტროენერგიას ნამდვილად იღებს. საქმე ის გახლავთ, რომ ხალხი მართლაც იხდის იმას, რასაც მრიცხველი აჩვენებს. მრიცხველი კი რეალურად მიწოდებული ელექტროენერგიის 20%-ს აჩვენებს. 80%-ს იპარავენ. დღესდღეობით ეს პრობლემა უფრო გვაწუხებს და არა გადაუხდელობა. ჩემთვის, გულწრფელად რომ გითხრათ, ადვილია გადაწყვეტილების მიღება: გამორთე და... მორჩა. ძალიან ვწუხვარ, რომ ასობით უპატიოსნო მომხმარებელში ათი პატიოსანი ოჯახიც უსამართლოდ იჩაგრება. მე მათ ბოდიშს ვუხდი, ძალიან მეცოდებიან. არის თბილისში უბნები, სადაც გადახდა 0,1%-ია. საბურთალოს ზოგიერთ უბანზე მოგახსენებთ. მოსახლეობას ჰგონია, რომ ელენერგია მათ ღმერთმა უბოძა და არ უნდა გადაიხადოს. ხმამაღლა და თამამად გეტყვით, რომ მთელი თქვენი ენერგოსისტემა ნადგურდება, ისპობა, ძალიან მარტივად — ჯგუფური მოპარვის, ტექნიკის ჯგუფური განადგურების შედეგად, რასაც თან სდევს ჯგუფური გამორთვებიც. მე არაფერს ვაზვიადებ. ერთადერთი, თქვენ შეიძლება მხოლოდ თბილისის გადარჩენა მოახერხოთ — ისიც, უცხოელების დახმარებით. მიკვირს, რატომ მტრობთ ასე საკუთარ თავს?!

— **როგორი გადამხდელები არიან სახელმწიფო ორგანიზაციები?**

— დიდი სიამოვნებით გამოვრთავდი თბილისში ყველა პოლიტიკოსს, პარლამენტს, კანცელარიას. გაჩნდა ეჭვი, რომ ზოგიერთი ასეთი ობიექტიდან არალეგალური ხაზებია გაყვანილი. ყველა საეჭვო ადგილზე გავაგზავნე ჩვენი მაღალკვალიფიციური, საუკეთესო ოსტატები. შეიძლება, რამდენიმე კვირაში მათი სიაც იხილოთ. კონკრეტულად პარლამენტი და კანცელარია კი ძალიან კარგი გადამხდელები არიან. პრობლემა გვქონდა საგადასახადოსთან. დღეს ჩვენი ურთიერთობა შედარებით ნორმალურია, ადრე კი „გვწველიდნენ“. საუკეთესო გადამხდელები ვართ, ისინი კი სულ რაღაცას გვედავებოდნენ. ლამის საკუთარ საცვალსაც მიმოწმებდნენ. მოკლედ, ბიზნესის საკეთებლად ძალიან რთული ქვეყანა ხართ. ძალიან მიჭირს მუშაობა.

— **ნანობთ, აქ რომ ხართ?**

— მე იმას ვნანობ, რომ ეი-ი-ეს თბილისი ალბათ საბოლოოდ დაკარგავს 150 მილიონ ამერიკულ დოლარს. 250 მილიონის ინვესტიცია ჩავდეთ და დამიჯერეთ, ჯერ ერთი ცენტის მოგება არ მიგვიღია.

— **ე.ი. უკვე აცხადებთ, რომ კომპანია საქართველოს დატოვებს?**

— ჩვენი შანსები 50/50-ზეა. მაისის პირველ კვირას არლინგტონში (აშშ) ყველაფერი გაირკვევა. მე და კომპანიის თანამშრომლები ვცდილობთ, რომ ჩვენი აქ ყოფნა პერსპექტიული გახდეს. ძალიან მეხმარებიან კომპანიის ქართველი თანამშრომლებიც, ნიჭიერი ხალხია. ჩემი პრობლემა ის არის, რომ არც კი ვიცი, ქართველებს უნდათ ჩვენი აქ ყოფნა თუ არა. და თუ მათ იმისთვის უნდათ ჩვენი აქ ყოფნა, რომ პროდუქცია მოგვპარონ, ჩვენ ალბათ უნდა წავიდეთ. არა ვართ ისეთი სულელები, რომ ასეთი ბიზნესი გავაგრძელოთ.

— **წასვლის შემთხვევაში როგორ აპირებთ ჩადებული თანხის ამოღებას?**

— არც ვაპირებთ, რადგან აქედანვე ვიცით, რომ ამ თანხის ძალიან დიდი ნაწილი ამოუღებადია. ფული დახარჯულია და ვშიშობ, დაკარგულიც. წასვლის შემთხვევაში გამოვაცხადებთ ტენდერს და იმედი მაქვს, გამოჩნდება მყიდველი; თუმცა ამაზე მე სანაძლეოს არ დავდებდი. ახალი კომპანია კი, მერწმუნეთ, გაცილებით მკაცრი იქნება, ვიდრე — ჩვენ. ისინი ჯგუფურ გამორთვებს არ დასჯერდებიან, ჭკუას არ გასწავლით, ქართველებს ჭკუის სწავლება არ გიყვართ, უბრალოდ, გაფრთხილებთ, რომ ეი-ი-ეს-ისნაირი ლოიალური კომპანია ბევრი არ არის.

— **თქვენ ამბობთ, რომ გულჩვილი მენეჯერი ხართ და ამის გამო ზარალდებით?! უცხოელის ლოიალურობა ცოტა ძნელი წარმოსადგენია.**

— რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ ეი-ი-ეს-ი სწორედ რომ წარმოუდგენლად ლოიალური იყო და არის. ჩვენ სხვა ტიპის კომპანია ვართ. ჩვენი უპირველესი მიზანი მომსახურებაა, მით უმეტეს, რომ საქართველოში ჩვენი პროექტი გრძელვადიანია. ასე რომ, ჯერჯერობით, ვითმენთ.

— **რატომ აჭიანურებთ მომხმარებლებთან ხელშეკრულების გაფორმებას?**

— ეს კითხვა ძალიან მიყვარს. ყველა ელექტროგამანაწილებელი კომპანიის სამომხმარებლო ხელშეკრულება ერთმანეთს ჰგავს. ეს ძალზე მარტივი დოკუმენტია, მის შედგენას წლები არ სჭირდება. ჩვენ არასოდეს დავთანხმდებით ისეთ ხელშეკრულებას, როგორსაც სემეკი გვაჩეჩებს. არც ერთი კომპანია არ დადებს პირობას ელენერგიით 24-საათიან, უწყვეტ მომარაგებაზე. ეს არის აბსურდი. ამას ვერ შეხვდებით ვერც ევროპაში და ვერც აშშ-ში. მიკვირს, რატომ გვაიძულებს სემეკი, დავთანხმდეთ ასეთ პირობას? თითქმის შანტაჟის დონეზე გვაიძულებენ, არადა, ეს პირობა ჩვენთვის მომაკვდინებელია. მე ერისთავს პირში ვუთხარი, რომ ამ წინადადებას არასოდეს მივიღებდი. ახლა ვცდილობ, როგორმე გავარკვიო, რატომ უწევს დისკრიმინაციას სემეკი ჩვენს გამანაწილებელ კომპანიას და სხვებს — არა.

— **ეჭვობთ, რომ სემეკს თქვენი თბილისიდან გაძევება სურს?**

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ ვცდილობ, გავარკვიო. ისინი კი ჯარიმით მემუქრებიან. 10 ლარითაც რომ დამაჯარიმონ, მაინც არ გადავიხდი. თბილისიდან წავალ და ასეთ ხელშეკრულებას არ გავაფორმებ, იდიოტის როლში არ გამოვალ.

„მიკვირს, რატომ მტრობთ ასე საკუთარ თავს?!“




— **1 აპრილს ეი-ი-ეს-მა სემეკს ახალი ტარიფი უნდა წარუდგინოს. ამჯერად რამდენი თეთრით გაიზრდება იგი?**

— ჩვენ ჯერ არა გვაქვს აუდიტის საბოლოო მონაცემები, ამიტომ 1 აპრილს განაცხადს ვერ გავაკეთებთ. ალბათ, მისი გადავადება მოგვიწევს. ახალ ტარიფს ჯერ ვერც თქვენ დაგისახელებთ.

— **მაგრამ თქვენ მიერ მოწვეულ აუდიტორს, „დელოიტ ენდ ტუშს“ სემეკი არ ენდობა. არც პარლამენტი...**

— „დელოიტ ენდ ტუში“ მსოფლიოს პირველ აუდიტორთა შორის დგას. ასეც რომ არ იყოს, გამოაგზავნონ თავიანთი ნდობით აღჭურვილი პირები და მათ შეისწავლონ.

— **ანაზღაურებთ თუ არა იმ ზარალს, რომელიც მოსახლეობას თქვენი მიზეზით, მაგალითად, მაღალი ძაბვის და ა.შ. გამო ადგება?**

— ჩვენი სპეციალური განყოფილება ამაზე მუშაობს. თუმცა, საკითხს ჯერ ჯგუფი შეისწავლის. ზოგს გამოშიგნული ტელევიზორი მოაქვს და ამბობს, მაღალმა ძაბვამ გადაწვაო. ახლა ერთი სასაცილო ამბავი მაგონდება: თბილისის ერთ გარეუბანში სადენები ჩამოწყდა და ორ ძროხას დაეცა. ორივე მოკვდა. მეორე დღეს მივიღეთ პატრონთა წერილი, რომლითაც გვატყობინებდნენ, რომ პირუტყვი 15 ლიტრს იწველიდა, იყო სრულიად ახალგაზრდა და ა.შ. ორივე ძროხის საფასური გადავიხადეთ. ცოტა ხნის მერე, სხვა საჩივარი შემოვიდა — მეორე მეზობლისგან. აღმოჩნდა, რომ მის ძროხას, რომელიც მაკედ იყო, მეზობლის ძროხების სიკვდილისთვის უყურებია და ხბო ადრიანად მოუგია. ეს კაცი ძროხისთვის მორალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვდა. ნაწილობრივ, ეს მოთხოვნაც დავაკმაყოფილეთ. ალბათ, ხალხს გაეცინება ამის წაკითხვისას, მაგრამ ნამდვილად ასე იყო.

— **ბატონო იგნასიო, თქვენს წინამორბედ სქოულთან ბევრი ქართველი პოლიტიკოსი მეგობრობდა. თქვენზე ამბობენ, უკარებააო.**

— მე უბრალო ადამიანი ვარ, არ მყავს მეგობრების დიდი წრე, არ მიყვარს რესტორნებში სიარული და დიდი წვეულებები, ჩემს ოჯახში ყოფნა მირჩევნია. ჩემი ერთადერთი გართობა ოპერა და ქალაქგარეთ გასვლაა. პოლიტიკოსებს არ ვიცნობ. პრეზიდენტი შევარდნაძე კი ორჯერ მყავს ნანახი.

— **მახსოვს, როცა ახალი ჩამოსული იყავით, ცნობებს თქვენი ოჯახის შესახებ და თქვენს შემოსავალსაც ასაიდუმლოებდით. ახლა დაცვაც გყოლიათ...**

— დიახ, ასეა.

— **მდიდარი ადამიანი ხართ?**

— არც ისე. ჩვეულებრივად ვცხოვრობ.

— **ქართული ცეკვების ათვისებას აპირებდით...**

— არ გამოვიდა, წონის გამო. აქ ძალიან მოვიმატე. თქვენი ხაჭაპური შემიწირავს. მე არა, მაგრამ ჩემი ბიჭი მშვენივრად ითვისებს ქართულ ცეკვებს.

— **მეუღლე რას აკეთებს?**

— ის არ მუშაობს, მაგრამ ხშირად სტუმრობს უპატრონო ბავშვთა სახლებს, ქველმოქმედებით არის დაკავებული.

**P.S.** ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა ეი-ი-ეს თელასის ხელმძღვანელის საშუალო შემოსავალი, რაზეც ოფიციალურად უარი მივიღეთ. გადაუმოწმებელი ინფორმაციით კი ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მისი ხელფასი თვეში 30.000 დოლარამდე მერყეობს. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს, მაგრამ ასეთი ანაზღაურების მქონე ადამიანისთვის ალბათ ძნელი წარმოსადგენია, რატომ უნდა მოიპაროს და არ გადაიხადოს დახარჯული ელექტროენერგიის საფასური — თუნდაც 100-200 ლარი თვეში. ჩვენში კი თვეში 200 ლარი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის საოცნებო თანხაა. იქნებ არლინგტონში ჯერ ამაზე ღირდეს დაფიქრება (!) და მერე — დანარჩენზე.

***ქეთი ბერეკაშვილი***

# ...შინ რომ დავბრუნდი, დედაჩემი ჩემს ქმართან იწვა

**(დასაწყისი იხ. გვ. 11)**

მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გოგონა დედისთვის ჩამოგვეშორებინა. ჩამოვიყვანეთ დუშეთიდან ნინოს ბებია-ბაბუა და ბავშვი აღსაზრდელად მათ გადავეცით.

— *პირადად თქვენ გამოსავალს რაში ხედავთ?*

— ეს არის სახელმწიფოს პრობლემა. საჭიროა დედასაც და მამასაც თავისი ფუნქციე-



ბი დაუბრუნდეს. ერთ მერცხალს გაზაფხული არ მოჰყავს და რამდენიც უნდა ვილაპარაკო, არაფერი შეიცვლება. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, საჩქაროდაა საჭირო განათლებისა და ჯანმრთელობის სამინისტროებთან ერთად არასრულწლოვან მეძავთა გადასარჩენად 9 კლასის ბაზაზე სპეციალური სკოლის შექმნა. თუ ეს დროულად არ გაკეთდა, არასრულწლოვანთა პროსტიტუცია წალეკავს ჩვენს ქვეყანას. და კიდევ ერთი, მომიტევოს უფალმა, მაგრამ დღეს მოდაშია ეკლესიების მშენებლობა. არადა ჩვენი წინაპარი, დღევანდელისგან განსხვავებით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე კი არა, მხოლოდ წმინდა, ფეხდაუდგმელ ადგილზე, მთის წვერზე აშენებდა მათ. კი ბატონო, ვაშენოთ, მაგრამ ვისთვის? ჩვენ ერთი თაობა უკვე ხელიდან გვისხლტება. მაპატიოს ყველამ ასეთი განცხადებისთვის, შეიძლება ვინმე გავაღიზიანო კიდეც, მაგრამ მობრძანდნენ აქ დილიდან მეორე დილამდე და თავად დარწმუნდებიან, რომ დროა განგაში ავტეხოთ.

**დასკვნის მაგიერ:**

გასული წლის ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც რეალობას ნაკლებად ასახავს: 2001 წელს შსს-ს არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელში წარმოდგენილი იქნა 480-ზე მეტი მოზარდი. აქედან თბილისის მაცხოვრებელი 220, მუდმივი საცხოვრებლის არმქონე — 104 და საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული 157 მოზარდი.

**კატეგორიები:**

უზედამხედველობისთვის წარმოდგენილ იქნა 201 მოზარდი, მათხოვრობის გამო — 89, მაწანწალობისთვის — 179, ტოქსიკომანი კი მხოლოდ 2 (იმიტომ, რომ ხდება რეიდის ჩატარების გახმაურება) და პროსტიტუციისთვის — 10.

გაეროს მონაცემებით ყოველწლიურად ოთხი მილიონი ადამიანი ხდება თრეფიკინგის მსხვერპლი, რომელთა შორისაც 2 მილინამდე 5-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვია. საბოლოო ჯამში ქალთა და ბავშვთა თრეფიკინგს მათი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ჩრდილოვანი ეკონომიკისთვის წლიურად 7 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის მოგება მოაქვს. რაც შეეხება საქართველოს, იგი ერთადერთია ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთაგან, რომელიც თრეფიკინგის დონორი ქვეყანების ლიდერთა ჯგუფში მოხვდა. ინტერპოლის უკანასკნელი მონაცემებით ბავშვთა პორნობიზნესიდან შემოსული მოგება უკვე აღემატება კოლუმბიის ნარკომაფიის შემოსავლებს. მსოფლიოში 12 წლამდე ასაკის ბავშვთა პორნოფილმების ავტორებისა და გამსაღებლების წლიური მოგება 3 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამ სახის პროდუქციის 70%-ზე მეტი კი მსოფლიოს ბაზარზე რუსეთიდან და დსთ-ის სხვა ქვეყნებიდან ხვდება. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

***მამუკა ხუციშვილი***



# „ადე, ნუ გძინავს, მალხაზი, ვერ მოგვერევა აფხაზი“!




...ბოლოს და ბოლოს, 2002 წლის 9 თებერვალს საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ მთავრობის სხდომაზე აღიარა: „პანკისის ხეობაში ბოევიკები ცდილობენ შექმნან მოსამზადებელი ბანაკები“.

...როგორც ჩანს, საბოლოოდ რომ დაერწმუნებინა ისინი, ვისაც ეჭვი ეპარებოდა პანკისში კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების აუცილებლობაში, მოსკოვმა მაგიდაზე ჯოკერი ისროლა. რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა 15 თებერვალს პარიზში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შესაძლებელია პანკისის ხეობაში იმყოფებოდეს ბინ ლადენი. ორი დღის შემდეგ კი რუსეთის გენშტაბის უფროსმა ანატოლი კვაშნინმა სამხედრო ყაიდაზე, მოკლე რაპორტის სახით განაცხადა: „პანკისის ხეობაში მყოფი ბოევიკები დაკავშირებულნი არიან ტერორისტულ ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან. ჩვენ გაგვაჩნია ამის დამადასტურებელი მონაცემები... პანკისის ხეობა საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთ ცენტრად იქცა“.

ამ საშიშმა განცხადებებმა მიზანს მიაღწია — შესაძლოა იმას ვერა, რისი იმედიც მათ ავტორებს ჰქონდათ — 26 თებერვალს აშშ-მა პირველად განაცხადა თავისი გეგმების შესახებ, რომ აპირებდა თავისი სამხედროების გაგზავნას საქართველოში ტერორისტებთან საბრძოლველად.

...განა ბ-ნ ივანოვის განცხადება არ იყო ამერიკელთა პირდაპირი მოპატიჟება? ვაშინგტონმა მიიღო ეს მიპატიჟება, რუსმა პოლიტიკოსებმა არათუ ვერ მიაღწიეს მიზანს — საქართველოში რუსეთის სამხედრო არსებობის გაფართოებას, არამედ შექმნეს იდეალური სიტუაცია, რათა თბილისს განეხორციელებინა თავისი მიზანი — შემოეყვანა საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის მეომრები.

...ქართველ ხელისუფალთა მთავარი თავის ტკივილი პანკისი კი არა — აფხაზეთია.

## მიპატიება ხეობაში

რუსეთის ნერვიული რეაქცია საქართველოსა და აშშ-ის მეგობრობაზე რამდენადმე უცნაურად გამოიყურება — რუსეთმა ხომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ამერიკელები საქართველოში გამოჩენილიყვნენ.

...ახლოვდებოდა საქართველოს ტერიტორიიდან ორი რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის ვადები (გუდაუთასა და ვაზიანში), ორი დანარჩენი ბაზის (ახალქალაქის და ბათუმის) ბედიც გაურკვეველი იყო. და აი, მოსკოვმა დაიწყო თბილისისათვის მინიშნებების გაკეთება პანკისის ხეობაში ბოევიკების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლების თაობაზე. თუკი თბილისი თანხმობას განაცხადებდა, რუსეთს მიეცემოდა შესაძლებლობა არა მხოლოდ შეენარჩუნებინა თავისი არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ კიდეც გაეფართოებინა იგი. საქართველო მიუხვდა რუსეთს განზრახვას.

## კაბინეტი

თუმცა ხელისუფლების ქართველი წარმომადგენლები ცდილობენ დაარწმუნონ ყველანი, რომ ქვეყანაში უჩვეულო არაფერი ხდება, ბევრი რამ სრულიად საპირისპიროს მოწმობს — საქართველო აფხაზეთთან საომრად ემზადება.

...ჩვენ დავით თევზაძის კაბინეტში ვართ. ის ჩივის, რომ არ ესმის რუსეთის პოლიტიკა. ამბობს, რომ მოსკოვმა ჯერ კიდევ შემოდგომაზე იცოდა ამერიკული სპეცრაზმის ჩამოსვლის შესახებ. „ოქტომბრის ბრიფინგზე ჩვენ განვაცხადეთ, რომ უახლოეს თვეებში განხორციელდება პროგრამა, რომლის შესაბამისადაც ჩვენთან ჩამოვლენ ამერიკელი სპეციალისტები. ამ ბრიფინგს ესწრებოდა რუსეთის სამხედრო ატაშეც. და უცებ, სამი თვის შემდეგ იწყება ეს აურზაური ამერიკელ სპეცრაზმელებთან დაკავშირებით. ყველანი ამბობენ, რომ ჩვენ ვმალავთ ჩვენს გეგმებს. აი, ეს არის ჩემთვის გაუგებარი. ჩვენ ხომ არაფერს არ ვმალავთ“ — ამბობს მინისტრი.

მინისტრის კაბინეტში ჰკიდია გენერალ შალიკაშვილის პორტრეტი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ამერიკულ ჯარში უმაღლესი თანამდებობა ეჭირა. როცა დაინახა, თუ რა ყურადღებით მისჩერებოდნენ რუსი ჟურნალისტები პორტრეტს, გენერალმა თევზაძემ გაიღიმა და ხელით მეორე მხარეს მიგვითითა. მოპირდაპირე კედელზე ჰკიდია ბაგრატიონის პორტრეტი. „ჩვენი გენერლებით უცხო ქვეყნებს ვამარაგებთ“ — ხუმრობს მინისტრი.

## პოლიგონი

კრწანისის პოლიგონზე, სადაც მსუბუქ ქვეითთა წვრთნა მიმდინარეობდა, გულახდილად რომ ვთქვა, არ მომჩვენებია, რომ ქართული ჯარი სუსტია. „აი, როცა შეძლებენ, ყველაფერი თვალდახუჭულებმა გააკეთონ, მაშინ შემეძლება ვთქვა, რომ ჩვენ მზად ვართ“. „მზად ხართ რისთვის?“ — ვეკითხები მინისტრს. „ყველაფრისთვის“ — მიღიმის თევზაძე. შტაბის ოფიცრებიც იღიმებიან.

ნათქვამი რამდენადმე გასაგები ხდება, როცა ჩემამდე აღწევს ჯარისკაცების კალამბური, რომელშიც აშკარად ისმის რაღაც აფხაზებზე. „რას ამბობენ?“ — ვეკითხები ადგილობრივ ჟურნალისტს. ის შემცბარი მითარგმნის: „ადე, ნუ გძინავს, მალხაზი, ვერ მოგვერევა აფხაზი“ (მალხაზი — საქართველოში გავრცელებული მამაკაცის სახელია — ო.ა.).

...თვალშისაცემია, რომ ქართველი სამხედროები სიამოვნებით და ბევრს საუბრობენ პანკისზე, სამაგიეროდ, თავს არიდებენ შეკითხვებს აფხაზეთის ირგვლივ.

კიდევ ამბობენ, რომ პანკისში ალბათ იქნება ძალების მოსინჯვა: ქართულ ქვედანაყოფებს შეეძლებათ ქმედებებისთვის მოემზადონ აფხაზეთის მთებში. საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია ნებისმიერი უცხო ქვეყნის მონაწილეობა სამხედრო ოპერაციაში. „მაგრამ შეიძლება არც გამოაცხადო ოპერაციის შესახებ, ასე არ არის? — ქართველი ჟურნალისტი ერთობ გულახდილია ჩემთან — რუსეთშიც ხომ არ დაურქმევიათ ომისთვის ომი“.

***ოლგა ალიონოვა***
***ვლასტი №10***
***იბეჭდება შემოკლებით***

# საქართველო კვლავ დასავლეთის მასმედიის ყურადღების ცენტრშია!



## პანკისის ხეობაში ტერორისტთა შორის დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის მოქალაქეებიც ყოფილან

ავტორიტეტულმა ბრიტანულმა გაზეთმა **„გარდიანმა“** მორიგი სტატია მიუძღვნა პანკისის ხეობაში მოსალოდნელ კონტრტერორისტულ ოპერაციას, სადაც, კერძოდ, ნათქვამია: „გარეშე პირების გამოჩენა პანკისის ხეობის სოფელ დუისში არავის უხარია. სოფელში მრავლად არიან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და შეიარაღებული წვეროსანი ახალგაზრდა მამაკაცები, ხოლო საერთო ვითარება დაძაბულობითა და უნდობლობითაა გაჟღენთილი.

ეს არც არის გასაკვირი: პანკისის ხეობაში გადაიკვეთა ჩეჩნეთში რუსეთის ომისა და ამერიკის ავღანური კამპანიის გზები. ახლა გასარკვევი ის არის, ეს ორი ომი გაერთიანდება ერთ საერთო ფრონტად თუ პირიქით, ერთმანეთს დაუპირისპირდება.

ვაშინგტონი ფიქრობს, რომ პანკისის ხეობაში საუდის არაბეთიდან, იორდანიიდან და ალჟირიდან ჩასული 80-მდე ისლამისტი იმყოფება. მაგრამ ახმეტის პოლიციის შეფი ავთანდილ თურქიაშვილი აცხადებს, რომ პანკისის ხეობაში ერთი საერთაშორისო ტერორისტიც კი არავის უნახავს, ვაჰაბიტები კი გვყავსო... საერთოდ, საქართველოსთვის ამერიკული სამხედრო დახმარების ეს კონკრეტული პროექტი 6 თვეზეა ნაანგარიშევი და 64 მლნ დოლარი დაჯდება. საომარ მოქმედებებში ამერიკელი ჯარისკაცების მონაწილეობას პროექტი არ ითვალისწინებს, მაგრამ საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ მათ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევთ და კაცმა არ იცის, შეძლებენ თუ არა ხეობაში ისეთი ოპერაციების ჩატარებას, როგორც აშშ-ს მიაჩნია საჭიროდ.

ცხადი ის არის, რომ პენტაგონი საქართველოში უფრო დიდხანს აპირებს დარჩენას, საქართველო კი ამერიკელ ჯარისკაცებს აღიქვამს ჯადოსნურ საშუალებად დასნეულებული, დაჩაჩანაკებული ქვეყნის გაჯანსაღებისთვის!

რაც შეეხება აშშ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობას და აქედან ორმხრივი სარგებლის მიღებას, უეჭველია, რომ საქართველოსთვის ეს თანამშრომლობა სასიკეთო იქნება, მაგრამ ნაკლებადაა ცხადი, თუ რის მიღებას იმედოვნებენ ამერიკელები!

ექსპერტები რამდენიმე ვარიანტს ასახელებენ: 1. რუსეთისთვის არაორაზროვნად მინიშნებას, რომ თავი დაანებოს საქართველოს; 2. დაიცვას საქართველოზე გამავალი მილსადენები, რომლებითაც კასპიის ზღვის ენერგორესურსების ტრანსპორტირება მოხდება; 3. ახლო მომავალში კი აშშ-ს შეიძლება დასჭირდეს საქართველო ერაყის წინააღმდეგ ომში, როგორც პლაცდარმი.

გაზეთი **„ნიუ-იორკ თაიმსი“** წერს, რომ „რუსეთს საქართველოსთვის სასაყვედურო არაფერი აქვს, რადგან სწორედ რუსეთი უმაგრებდა ზურგს აფხაზ სეპარატისტებს ომის დროს, დღეს კი კონფლიქტის ზონაში 1500 ჯარისკაცი ჰყავს...

რუსეთის პოლიტიკური ელიტა გაოგნებულია 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ამერიკის ჯარის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში განლაგებით და იმდენად თავზარდაცემულნი არიან ამით, რომ საქართველოში სულ რამდენიმე ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორის გამოჩენამაც კი მოსკოვში დიდი ჩოჩქოლი შექმნა.

არადა დსთ-ის იალტის სამიტზე პრეზიდენტმა პუტინმა აღნიშნა,— საქართველოში ამერიკელთა ჩასვლა რუსეთისთვის ტრაგედია არ არისო. თუმცა აშკარად ჩანდა, რომ პუტინის განცხადება იძულებითი იყო და ჰგავდა იმ ადამიანის ნათქვამს, რომელსაც აღარ შესწევს ძალა, მოვლენები შეაჩეროს...“

ავტორიტეტული საინტერნეტო გამოცემა **„იურეიჟ რევიუ“** თითქმის სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს პანკისის ხეობისადმი მიძღვნილ მორიგ სტატიაში, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია: „პანკისის ხეობაში ტერორისტებად მიჩნეული ჯგუფების შემადგენლობაში იყვნენ... ბრიტანეთის ოთხი და გერმანიის ერთი მოქალაქე(!). ეს ინფორმაცია ამჟამად მოწმდება, თუმცა სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცნობების თანახმადაც თითქმის დადასტურებულია, რომ ამ ბრიტანელ და გერმანელ მოქალაქეებს ხატაბის ჯგუფის წევრი არაბი ინსტრუქტორები წვრთნიდნენ! ეს ევროპელები პანკისის ხეობაში დეკემბრამდე იმყოფებოდნენ და სათითაოდ ტოვებდნენ იქაურობას. უკანასკნელმა დეკემბრის შუა რიცხვებში მიატოვა ხეობა.

სავარაუდოდ, ამჟამად ყველა სამშობლოში იმყოფება...“

**„გარდიანი“. თბილისი, 21 მარტი, 2002 წელი.** „საქართველოს დედაქალაქის გარშემო ლამაზი, მაგრამ ღარიბი სოფლებია, სადაც ბევრგან დაინახავთ ყველაზე გამოჩენილი ქართველის — იოსებ სტალინის ძეგლს. მაგრამ საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის კაბინეტში საპატიო ადგილი უკავია ქართული წარმოშობის მეორე საერთაშორისო ფიგურას — გენერალ ჯონ შალიკაშვილის — აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების თავმჯდომარეთა კომიტეტის ყოფილი უფროსის პორტრეტს. ამ ორი პიროვნების — საბჭოთა დესპოტისა და მთელი ამერიკისათვის საყვარელი ოფიცრის კონტრასტული სხვაობა პატარა კავკასიური რესპუბლიკის წარსულისა და მომავლის კონფლიქტზე მიანიშნებს“.

**„ლოს-ანჯელეს თაიმსი“.** „საქართველო სსრკ-ის დაშლის შემდეგ იბრძვის თავის საქმეებში რუსეთის აგრესიული ჩარევის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს გახდა. რადგან ამერიკის მიერ გაწეული დახმარება 900 მლნ დოლარის რაოდენობით გაიფლანგა. ანალიტიკოსები და დასავლელი მრჩევლები ეჭვობენ, რომ დახმარების დიდი ნაწილი მოპარულია მთავრობის, პოლიციის და არმიის ჩინოვნიკების მიერ და რომ არა ამერიკული ანტიტერორისტული კამპანია, დასავლეთს შეიძლება უარი ეთქვა საქართველოზე. მაგრამ საქართველოს სტრატეგიული განლაგება, რომლითაც ძალზე დაინტერესებულია ამერიკა, არის იმის გარანტია, რომ ეს არასოდეს მოხდება.

# აფხაზეთისთვის ბრძოლა ყველა ფრონტზე დაიწყო



19 მარტი. აფხაზეთი ფაქტობრივად რუსეთის ნაწილი გახდა. სხვანაირად არც შეიძლება შეფასდეს რფ-ის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ბრძანება იმის შესახებ, რომ გადაიკეტოს ამ მეამბოხე რესპუბლიკის საქართველოსთან დამაკავშირებელი ყველა გზა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქართველებმა ოთხი რუსი მშვიდობისმყოფელი გაიტაცეს. ამავე დროს, მოსკოვიდან სოხუმში გაემგზავრა სამხედრო მაღალჩინოსანთა დელეგაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად პოლიტიკური განცხადებებისა, მოსკოვი აფხაზეთს მაინც „თავის“ ტერიტორიად მიიჩნევს, სადაც შეუძლია თბილისთან შეუთანხმებლად იმოქმედოს. ოფიციალურ თბილისში სერგეი ივანოვის ბრძანებას მძაფრი რეაქცია მოჰყვა. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიძემ განაცხადა: „რუსეთის სამხედროთა ამგვარი მოქმედება სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ აშკარა აგრესიად აღიქმება“. ამას თუ დავუმატებთ კონფლიქტის რეგიონში მოქმედი პარტიზანული ჯგუფის „ტყის ძმების“ მეთაურის ცნობას, თითქოს რუსეთის მშვიდობისმყოფელებმა „დამსჯელი აქცია“ ჩაატარეს ინციდენტის ადგილას, ქართულ სოფელ ფიჩორაში, ნათელი გახდება, რომ საქართველო და რუსეთი ომის საშიშროების ზღვარზე დადგნენ.

აფხაზეთის სპეცსამსახურებმა განაცხადეს, რომ „ქართულმა ტერორისტულმა ორგანიზაცია „ტყის ძმებმა“ თავის თავზე აიღო რუსების გატაცების პასუხისმგებლობა“. მათი წარმომადგენელი დაუკავშირდა აფხაზ კონტრმზვერავებს და დაადასტურა, რომ გატაცებულები ზუგდიდის რაიონში სწორედ იმ ოჯახებში იმყოფებიან, რომელთა წევრები გოგილავა და ორჯონია რუსმა მშვიდობისმყოფელებმა დაიჭირეს და აფხაზებს გადასცეს. სწორედ მათი გამოხსნის მიზნით გაიტაცეს რუსი სამხედროებიო.

დამკვირვებლები გააოცა იმ ამბავმა, რომ იმავე დღესვე გავრცელდა ინფორმაცია, ოთხივე გატაცებულის დაბრუნების შესახებ, მაგრამ გაიხსნა თუ არა გზა აფხაზეთსა და საქართველოს შორის, ჯერ არ არის ცნობილი.

22 მარტი. რუსეთის სახელმწიფო დუმაზე არ იმოქმედა საქართველოს პარლამენტის აღშფოთებამ და აგრესიის მზადებაში დადანაშაულებამ. დუმამ მიიღო დადგენილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ, რითაც კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ქართველ კოლეგებთან.

დოკუმენტი სათაურით, „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაძაბულობის გამწვავების შესახებ“, თითქმის ერთხმად მიიღეს. დუმამ დაადგინა, მიმართონ რუსეთის მთავრობას, გაუწიოს ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარება აფხაზეთისა და ოსეთის მოსახლეობას, რომელთა უმრავლესობა — „ათიათასობით თანამემამულე, უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდის“. დოკუმენტში ცალკეა გამოყოფილი მიმართვა პრეზიდენტისადმი. ვლადიმირ პუტინს სთხოვენ დააყენოს ქართული ხელისუფლების წინაშე საკითხი პანკისის ხეობაში ანტიტერორისტულ ოპერაციაში რუსეთის მონაწილეობის შესახებ. დუმამ დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში შემავალ დეპუტატებს დაავალა საქართველოს პარლამენტარებთან შეხვედრა შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

***ნეზავისიმაია გაზეტა №53***
***გაზეტა რუ***

# აფხაზები ქართველების მოგერიებას საკუთარი ჯარით აპირებენ



აფხაზებს აშფოთებთ საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ჩასვლა. რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ ამერიკული შვეულმფრენები აფხაზეთში ქართველთა დესანტს გადასხამენ ზღვის და კოდორის ხეობის მხრიდან. ამიტომ ცხადია, აფხაზეთიც დაიწყებს თავისი არმიის მოდერნიზებას.

აფხაზეთს ჰყავს ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ძალები, მედესანტეები, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა, არტილერია, სახმელეთო ჯარები. ყველაფერი საკუთარია, მაგრამ ცოტა... მისი საშტატო ერთეული 28 ათასი ადამიანია, ფაქტობრივად კი 18 ათასი. 1993 წელს მიღებული კანონის თანახმად, არმია სამოქალაქო პროფესიებს დაუბრუნდა. მთელი აფხაზეთი დაყოფილია ასეულებად, ოცეულებად, ბატალიონებად — ყოველმა რეზერვისტმა იცის, მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში იარაღით ხელში სად მივიდეს.

კითხვაზე, გაივლის თუ არა არმია რეფორმირებას, აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გივი აკრბა დასტურს იძლევა, მაგრამ ვინ დაეხმარებათ, რუსეთი? — დსთ-ში ბევრი კარგი სამხედრო სპეციალისტია და იმათ მოვიწვევთო...

თბილისში გაკეთებული განცხადებები იმის შესახებ, რომ აფხაზეთს ვაჰაბიტები და „ალ-ქაიდას“ წევრები აფარებენ თავს, სოხუმში სასაცილოდ არ ჰყოფნით. ყველაფერი გასაგებია, მაგრამ აფხაზებს რელიგიურ რადიკალიზმს ვერ დააბრალებ, რადგან თვითონ ხუმრობენ, აფხაზს ცალ ხელში ბიბლია უკავია, მეორეში — ყურანი. როდის რომელი დასჭირდება, იმას გამოაჩენსო. მაგრამ აფხაზი პოლიტიკოსები ქართველების ამ განცხადებას სამხედრო სცენარის ნაწილად მიიჩნევენ, რომლის მიზანია აფხაზეთის ისლამური რადიკალების და კრიმინალების ბუდედ წარმოჩენა. ამის შემდეგ კი კონსტიტუციური წესრიგის დამყარების მომიზეზებით, სამხედრო ოპერაციის ჩატარებაც შესაძლებელი გახდება — ასე ფიქრობენ „ზემოთ“, მთავრობაში, ხალხში კი ამბობენ, — მერე რა, რომ ქართველებს ამერიკელები ასწავლიან, სულერთია, აფხაზეთს მაინც ვერ აიღებენ. ამერიკელებთანაც ვიბრძოლებთ, მაგათ ჯერ არ იციან, რა ხათაბალაში გაებნენ, ეს ხომ კავკასიააო...

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №11***

CMYK

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პაწაწინები ჭკვიანობენ

***

**3 წლის ნანო შეროზია** კაბის კალთის ქვეშ მალავს თოჯინას და თავის 5 წლის დას ეუბნება:

— ანანო, მე მალე ბაიას გავაჩენ!

ანანოს უკვირს:

— ჯერ ხომ არ გათხოვილხარ, ბაია საიდან უნდა გააჩინო?!

***

კარზე აკაკუნებენ. **4 წლის ილია ბეჟაშვილი** აღებს კარს და ეძახის დედას:

— დედიკო, ტელევიზორის გაფუჭებული კაცია (ტელევიზორის ხელოსანი იყო).

***

**პატარა ლაშა ოთიაშვილმა** წითელა ბატონები მოიხადა და მამიდას ესტუმრა. მამიდა მიეფერა და ჰკითხა:

— ლაშა, დაიკო რატომ არ მოიყვანე?

— ცუდადაა.

— რატომ?

— მე გადავედე.

(ამ დროს ლაშას დაიკო მარი წითელა ბატონებს მასპინძლობდა).

***

დედა **7 წლის საბა არახამიას** უხსნის სქესის შესახებ:

— მამიკო მამრობითია, დედიკო — მდედრობითი. რა სქესის იქნება მარიამი (წლინახევრის დაიკო)?

— გოგრობითი, — ასწრებს 4 წლის რატი ძმას.

***

**ლუკა და იოანე მარგიანები** ყოველ დილით „მამაო ჩვენოს“ ამბობენ. მათი პატარა ძმა სანდრო რამდენიმე დღის დაკვირვების შემდეგ მივიდა ხატთან და წარმოთქვა:

— მამა, პური მომე!



ნინიმ და თეკლამ ყვავილები მოკრიფეს. იპოვე მდელოზე მსგავსი ყვავილები




გამოიცანი, რომელი ორი საათი აჩვენებს ერთნაირ დროს?

## II რებუსი






## ჭიავჭიდი

| ცხვრის ჯოგი | „კოკასა ... რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“ | „სწავლის ... მწარე არის“ | „ძაღლი ... ქარავანი მიდის“ | ოჯახი, სახლ-კარი, ფუძე | წერტილივით ლაქა კანზე |
|---|---|---|---|---|---|

| მუსიკ. ნოტი | ზღაპრული ცხენი | ძვირფასეულობა, სიმდიდრე | მდინარის ქვიანი ნაპირი | ზღვის ძირი | „... ცოცხი კარგად გვისო“ |
|---|---|---|---|---|---|

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები მეფიდან თავის მიმართულებით და ყვითელი ფერის ზოლში მიიღებთ შემდეგი ანდაზიდან გამოტოვებულ სიტყვას: ... ერთ კვერცხს დადებს და ას მეზობელს გააგებინებსო.




## იპოვე 14 განსხვავება






მარცხნივ მოცემული რომელი საგნები არ არის მარჯვენა ნახატში?



რომელი ფეხსაცმელი უნდა გამოიყენოს ბარბიმ ფრენბურთის სათამაშოდ?




იპოვე ორი ერთნაირი თევზი

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ასე თარგმნიდნენ ფილმების სათაურებს...



„ცხოვრებისეული კურიოზების“ გვერდზე წავიკითხე „რუსული ფილმი ჩუმლაყში“ და გამახსენდა ამავე ტიპის კურიოზები, რომელსაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას შევსწრებივარ.

ჩემს სოფელში — ნაგვაზაოში (მარტვილის რაიონი) კულტურის სახლის კინომექანიკოსმა, რომელსაც მეტსახელად პარუსას ვეძახდით, თვალსაჩინო ადგილას გამოაკრა საკუთარი ფანტაზიით ნათარგმნი რუსული ფილმის სათაური:

ნი პუხა, ნი პერა — არც ბუმბული, არც ბუნდღლი...

შემდგომ არაერთი საინტერესო თარგმანი ჩავიწერე და მათ ქვემოთ გთავაზობთ:

ნევინნი — დაუღვინებელი (საგარეჯოში).

ნიკოლაი ზასლონოვი (იყო ასეთი რევოლუციონერი) — კოლია სპილოს უკან (ქუთაისი).

რადი რებიონკა — ბაღანეის გულობიზა (სამტრედიის რაიონი).

გარი, გარი, მაია ლიუბოვ — მთები, მთები და ჩემი სიყვარული (ვანის რაიონი).

***ვასო, ქუთაისი***

## „ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ“ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ



გამოდის დილით ქუთაისელი ლაყაფია ეზოში და რას ხედავს... მის ლურჯ 07-ზე ვიღაცას ლურსმნით ამოუჩხაპია „გაკრასკე ე მაშინა, ლაყაფია“ (აშკარა იყო, უბნელები შანტაჟს უწყობდნენ). „ეჰ, მართლა ქეა გასაკრასკი, 13 წელია მემსახურება“ — გაიფიქრა ლაყაფიამ. მიდგამოდგა, ურიის ვალი დაიდო და ერთ კვირაში მწვანედ შეღებილი ჟიგული დააყენა ეზოში.

რად გინდა მერე? ადგა მეორე დღეს და რას ხედავს! — მანქანის მთელ სიგრძეზე ამოუჩხაპნიათ: „ლაყაფია, კარიჩნი ფერი ჯობია, კარიჩნი“...

ზღაპრის არ იყოს (არ შევრცხვეო) და ლაყაფიამ ახლა ყავისფრად გადაღება მანქანა. ორი დღე ჩაუსაფრდა, მაგრამ მანქანას აღარავინ გაჰკარებია. მერე მოსწყინდა და ჩასაფრება „მოხსნა“.

„მოხსნის“ მეორე დღეს გამოდის უთენია და მანქანაზე ისევ ამოუჩხაპნიათ: „ე, ახლა ძაან კაი ფერია!“

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## ადიგენელი არსენა და ქუთათურები



კომუნისტების დალოცვილ დროს ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო არსენა, მეტად გამრჯე და ენამახვილი კაცი, რომელიც არანაირ შრომას არ თაკილობდა. ერთხელაც, თავის საკარმიდამო ნაკვეთში მოყვანილი კომბოსტო კოლმეურნეობის „გაზიკზე“ დატვირთა, მიუჯდა გვერდით მძღოლს თავისი განუყრელი „კირზის“ ჩექმებით და ქუთაისს მიაშურა. ზამთარი იყო, მაგრამ თავმჯდომარეს საზრუნავს რა გამოულევდა და ბაზარში დასაჯდომად ვინ მოაცლიდა. ჰოდა, საჩქაროდ მონახა ცეკავშირის საწყობი და კომბოსტოს „ოპტომ“ ჩაბარებაზე მოურიგდა. აწონის ყოველგვარი პროცესი რომ დამთავრდა და ანგარიშის გასწორების დრო დადგა, თავისი საქმის „ბრწყინვალედ“ მცოდნე ქუთათურებმა, არსენას გვარიანი გალღეტა მოუნდომეს. ამდენი „სკიტკა“, ამდენი შეშრობა, ამდენი ესა თუ ის და... გამწარებულმა არსენამ მათ უშუალო უფროსს, „კოოპტორგის“ დირექტორს მიაშურა და ხელქვეითების „საქმენი საგმირონი“ აუწყა. დირექტორმა, თითქოს ამ საქმეში უცოდველი იყო, დაწყნარება დაუწყო: — მოეშვი თუ ძმა ხარ, მაგენი ძველი პურისმჭამელი ბიჭები არიან და მაგათთან არაფერი არ გაგივაო. — რაიო!. — იფეთქა არსენამ, — როგორ თუ „ძველი პურისმჭამელები“. მე რაც ძველი და დაობებული პური მაქვს ნაჭამი ომის დროს, მაგენს თვალითაც არ ექნებათ იმდენი ნანახი. — მე თქვენ გიჩვენებთ სეირსო, დაიმუქრა და კარი გამოიჯახუნა...

***ზურაბ სხირტლაძე, ადიგენის რაიონი, სოფელი ზემო ენთელი***

## ᲩᲔᲛᲡ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲡ



ხელში გიჭირავთ კალმები
ერთად ნუ იჭერთ ასის მეტს,
სუყველას მოგესალმებით —
ჩემს ოპონენტს და ასისტენტს.

თარგმნეთ, არავინ დამზარდეთ,
ქალი ხარ, თუნდა კაცი,
ამდენი ვინმე გაგზარდეთ,
აბა, თქვენ იცით აწი!..

***თქვენი ძმა ჯანო ონიანი ქუთაისიდან***

# მკითხველის — საყვარელი ანეკდოტი



ორი გურული გაცხარებით მსჯელობს დღევანდელი ყოფის საჭირბოროტო საკითხებზე.

— მთავრობა თუ არ გადატრიალდა, ისე აფერი არ გვეშველება!.. — დაასკვნა ბოლოს ერთმა.

— ტყულა გაქ იმედი, ძამა, აი მთავრობა წაღმა მხრიდან არ უქნია გამჩენს და გადატრიალებული, უკუღმიდან რა ხეირს დაგვაყრის! — ხელი ჩაიქნია მეორემ.

***რევაზ ნიჟარაძე, თბილისი***



— უფროსო, ვიღაცამ ბოთლი გადმოაგდო აივნიდან და თავში მომხვდა, — შესჩივის უბნის ინსპექტორს რაჭველი პოლიციელი.

— რა იყო შიგ? — დაინტერესდა ინსპექტორი.

— ცარიელი იყო!

— არა, არა, თავზე არ გეკითხები!..

***გაგა გოცაძე, თბილისი***



— რაია ეგი, ყავა თუ ჩაი? — აშაყირებს ჭიჭიკია ბეჟანია მიმტანს ბალახვანის რესტორანში.

— კი მარა, შენ მართლა ვერ არჩევ ყავას და ჩაის ერთმანეთისგან?

— ვერა, ვერ ვარჩევ!

— აპა, თუ ვერ არჩევ, ეიღე და ჩახეთქე რაცხაა!

***ანიკო, თბილისი***



ელექტროსაქონლის მაღაზიაში თბილისელი ბანოვანი ეკითხება რაჭველ გამყიდველს:

— გეთაყვა, დამაგრძელებელი გაქვთ?

— რის დამაგრძელებელი, ქალბატონო?

— ?!

***გულიკო ჯანელიძე, ვანი***



ორი გურული საუბრობს:

— ჩემო ძამია, ქორწინება წყნარი ყურეა, სადაც ორი ნავი ხვდება ერთმანეთს...

— ამის დედა ვატირე, მე მაინცდამაინც სამხედრო კრეისერს რავა გადავეყარე?!

***ლილი ღარიბაშვილი, თბილისი***



მეგრელი და გურული წაკამათდნენ:

— რაია ძიაკაცო, ვინცხა კონსტანტინე გყავდათ, გამსახურდია და რაცხა მოთხრობა დაწერა „დიდოსტატის მარჯვენა“, რას წაგვაჭამეთ თავი ტრაბახით?

— აუჰ, „დიდოსტატის მარჯვენა“ თუ მოთხრობაა, აპა თქვენი ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილი“ დეპეშა ყოფილა მაშინ!

***მაია ყალაბეგაშვილი, გურჯაანი***



— რა გჭირს, ბიჭო კაკოია? — ეკითხებიან ქუთაისელს.

— მაცივრის „რუჩკამ“ დენი დამარტყა.

— კი მაგრამ, ფეხი რატომ გაქვს შეხვეული?

— მეც დავარტყი მაცივარს!..

***გიორგი ყუფარაძე, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# როგორ დაიბრუნა სოფო მოსიძემ აფხაზეთი



ალბათ ბევრი რამ გსმენიათ პირველი არხის საინფორმაციო პროგრამა „მოამბის" წამყვანის სოფო მოსიძის შესახებ და გგონიათ, რომ ამჯერადაც მისი ცხვირის ოპერაციაზე გესაუბრებით. სულაც არა. სოფოს დიდ „საიდუმლოს" ავხდით ფარდას, რომელსაც ტელევიზიის პირველი არხიც კი, პირველად ჩვენი გაზეთის მეშვეობით შეიტყობს — პროფესიით ისტორიკოსი და ჟურნალისტი **სოფო მოსიძე**, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, ქართული დაზვერვის აგენტი ყოფილა! ეს სოფოს შემთხვევით წამოსცდა და მერე დაუმატა: — ამას შენგან მაინც გაიგებენ და სჯობს, რასაც გიამბობ, ყველაფერი დაწეროო.

— აფხაზეთის ომის დროს ძალიან ვნერვიულობდი. ხშირად ღამეებს ფიქრში ვათენებდი. ერთ საღამოს ამერიკული ფილმი ვნახე, დაზვერვის აგენტებზე. მთავარ როლებს მელანი გრიფიტი და მაიკლ დუგლასი თამაშობენ. მელანის ჯაშუშობის ნიჭმა მომხიბლა. ეტყობა, ეს გულში ჩამრჩა. ღამით მესიზმრა, რომ ჯაშუში ვიყავი და აფხაზეთში ძალიან სარისკო საქმეებს ვაკეთებდი — არძინბას უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები მოვპარე და საქართველოც გავაერთიანეთ, ანუ აფხაზეთი დავიბრუნეთ. ძილში სიხარულისაგან ვტიროდი. ტირილითვე გამეღვიძა. გული მომიკვდა, რომ რაც ვნახე და განვიცადე, მხოლოდ სიზმარი იყო.

**— შენზე ამბობენ, რომ... ახლა შენ თვითონ გააგრძელე...**

— თუ ჭორიკნებს დავუჯერებთ, მე, სოფო მოსიძე, საქართველოში ყველაზე გავლენიანი კაცის უახლოესი ნათესავი ვარ.

**— ესეც სიზმარია თუ უკვე ცხადში ვართ?**

— ცხადში ვართ, ცხადში. ერთხელ მამაჩემი საქმიან ვაშხამზე იყო რესტორან „საქართველოში". ამ დროს თურმე ტელევიზიით გადიოდა ჩემი გადაცემა „კედელი". მამის წინ მჯდომ ქალბატონს დაუწყია: — რა კარგი ბიჭია კაკო გოგიჩაიშვილი, კარგ რამეებს აქვეყნებს, აბა, ამ სოფო მოსიძეს რა დაეჯერებაო. რატომო? — უკითხავს მეორეს. იმიტომ, რომ ეგ შევარდნაძის შვილიშვილია და მართალს როგორ იტყვისო. მამას დანა-ჩანგალი დაუყრია და გაოცებულს ხმამაღლა უთქვამს, — ეგ რომ მართალი იყოს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო...

ახლა, ორივე ამბის ფინალი ასეთი იქნება: აფხაზეთი შევარდნაძის „შვილიშვილმა" სოფომ დავიხსენი...

**— როგორც ამბობენ, იუმორის ნიჭით ხარ დაჯილდოებული და მეგობრების წრეში მოლხენაც გიყვარს.**

— სადაც ბევრს ვიცეკვებ და თანაც ქართულს, იქ ლხინი მიყვარს. პირს არაფერს ვაკარებ. სულ ვცეკვავ და ვცეკვავ.

**— შენი პატარა სესილი როგორ არის, შინ იზრდება თუ ტელევიზიაში?**

— ჩვენ ვმეგობრობთ, მასთან სხვანაირად მოქცევა არც შეიძლება. უცნაური მანერები აქვს. სულ ცეკვავს, მღერის, კონცერტებს მართავს. „სცენაზე" გამოდის და აცხადებს — სცენაზეა საქართველოს დამსახურებული არტისტი სესილი. არადა, მხოლოდ ორწლინახევრისაა. მეც ასეთი ვიყავი პატარაობისას. მეზობლის ბავშვები ეზოში ჩამყავდა და სპექტაკლებს ვდგამდი, მაგრამ მე გავხდი ისტორიკოსი და ჩემი ძმა — რეჟისორი.

**— დედა რომ დაკავებულია, პატარა სესილი მოწყენილი არ არის?**

— მდიდარი ფანტაზია აქვს საიმისოდ, რომ არ მოიწყინოს. ბაკურიანიდან ჩამოსვლის შემდეგ შინ სულ სათვალით, ქუდით და ხელთათმანებით დადის. იატაკის საპრიალებელ ქეჩებზე დგას და როგორც თოვლზე, ისე დასრიალებს. სპორტულობაში მამას დაემსგავსა.

**— სესილის მამა თუ გიყურებს ეკრანზე და საერთოდ, კრიტიკოსი მეუღლე გყავს?**

— ძალიან მკაცრია. სულ უცნაური პრეტენზიები აქვს და ხანდახან მალიზიანებს კიდეც, რადგან არაკომპეტენტური კრიტიკოსისაგან შენიშვნებს ვერ ვიტან.

**— ერთხელ, „მოამბის" სამივე წამყვანი, გადაცემის ბოლოს პირდაპირ ეთერში, თავჩაღუნულები სიცილისაგან თრთოდით, რა დაგემართათ?**

— დათო მინაშვილს ჰქონდა სიუჟეტი ავლანელებზე. ძალიან სასაცილო სანახავი იყო, როგორ მოაწყვეს დანგრეულ ქაბულში ავლანელებმა ველორბოლა. ეს თმა-წვერ გაბურძგნილი, ჩაფართხუნებული, ველოსიპედებზე „ამხედრებული" ავღანელები ისეთი სანახავები იყვნენ, რომ სიცილით კინაღამ დავიხოცეთ და ბოლოს მაყურებელთან დამშვიდობებაც ვერ შევძელი. ხშირად მახსენდება ეს ამბავი პირდაპირ ეთერში და რომ არ გამეცინოს, ტუჩზე ვიკბენ ხოლმე.

**— სოფო, შენზე ამბობენ, თინეიჯერულ ჩაცმის სტილზე გიჟდება და თანაც მარკას არ აქცევს ყურადღებასო.**

— მართალია. ვიცვამ ისე, როგორც ჩემი ბუნება მთხოვს. მეუღლემ საფრანგეთიდან ჩამომიტანა ძალიან ლამაზი ფეხსაცმელი. საერთოდ, ფასებს არ ვკითხულობ ხოლმე, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, უნებლიეთ ვიკითხე ფასი... 400 დოლარი ფეხსაცმელში როგორ მიეცი, ცოტა კიდევ დაგემატებინა და მუსიკალურ ცენტრს ვიყიდდით-მეთქი, მადლობის მაგიერ ვუსაყვედურე, აი ასეთი ვარ ჩასაცმელის მიმართ. მაკიაჟიც მხოლოდ ეთერში ყოფნის დროს მიკეთია.

*ეკა ლომიძე*


ჟურნალ-გაზეთების გამოწერა თბილისის მაცხოვრებლებისთვის



სახლიდან გაუსვლელად

ტელ: 33-26-73


კვირა 31 მარტი

შაბათი 30 მარტი

პარასკევი 29 მარტი

ხუთშაბათი 28 მარტი

ოთხშაბათი 27 მარტი

სამშაბათი 26 მარტი

ორშაბათი 25 მარტი



# — საელჩოში მისამართი მკითხა... არა მაქვს მისამართი, ჰაერში ვარ, ჰაერში...



ბავშვობაში ერთმა ანცმა, მოუსვენარმა ბიჭმა დიდობაში გადაწყვიტა, ჭკვიანი და ანცი ბავშვებისთვის საინტერესო გადაცემა გაეკეთებინა. ასე გაჩნდა „მაცაცერა" — ქართული „ერალაში" მეცხრე არხის ეთერში. ისე, ბევრს არ ეცოდინება, რომ მაცაცერა სწორედ ანც, ცელქ, მაგრამ კარგ ბავშვს ნიშნავს. ამ გადაცემის ავტორი კი ერთი ძალიან უცნაური კაცი, ცნობილი მსახიობი **რამაზ იოსელიანი**.

**— როგორ გაჩნდა ქართული „ერალაში" — „მაცაცერა"?**

— ჩემი ბავშვობის დროინდელი რუსული გადაცემა „ერალაშიდან". როცა ბავშვები საშინელებათა ფილმებს უყურებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათზე არავინ ფიქრობს. ამიტომაც გადავწყვიტე „მაცაცერას" გაკეთება.

**— დასანანია, რომ „მაცაცერა" მე-9 არხზე გადის და მას მთელი საქართველოს ბავშვები ვერ უყურებენ.**

— ერთადერთმა მე-9 არხმა აიტაცა იდეა, სხვა არხებზე მეუბნებოდნენ — სპონსორს თუ იშოვი, გადაცემას გავუშვებთო. ე.ი. მე უნდა მეშოვა ფულიც და საქმეც მეკეთებინა. ეს ხელს არ მაძლევდა...

**— „მაცაცერას" ბავშვები თუ ეხმაურებიან?**

— ჯერ სულ 14 სერიაა გაკეთებული. ქუჩაში რომ გვაქვს გადაღებები, ბავშვები გვცნობენ და სიხარულით გაიძახიან — მაცაცერა, მაცაცერაო. გამოდის, გვეხმაურებიან...

**— ბავშვებს როგორ არჩევთ გადასაღებად, სკოლებში დადიხართ თუ სხვაგანაც ეძებთ?**

— სკოლებში, ქუჩაში, ყველგან ვეძებთ ტიპაჟებს. ზოგიერთმა თურმე ხელი მოითბო ჩვენით, ანუ სკოლებში მიდიოდნენ ვიღაცები და ბავშვებს ატყუებდნენ, — თუ გინდათ „მაცაცერაში" გადაღება, კონკურსი უნდა გაიაროთ, ამისთვის 10 ლარი უნდა გადაიხადოთო.

**— თქვენ გქონდათ საინტერესო გადაცემა „მარტოსული". რატომ შეწყვიტეთ?**

— 40 თეთრს მიხდიდნენ ერთ გადაცემაში და აბა, რას ვიზამდი?

**— „მარტოსული" როგორ გაჩნდა, მარტოსულობის პრობლემამ შეგაწუხათ?**

— თქვენ არ გაწუხებთ მარტოსულობა? ყველას აწუხებს, ყველანი მარტო ვიბადებით და მარტო ვკვდებით.

**— მარტოსულების კლუბის შექმნასაც ხომ არ აპირებთ?**

— მაგისთვის თავი უნდა გადადო და დიდი დრო და ძალა დახარჯო. ახლა ეს არ შემიძლია.

**— ხშირად თურმე თქვენს წარსულს ძაღლურს უწოდებთ, აწმყოს — კოშმარულს და მომავალს ვერ ხედავთ. ეს თამაშია, თუ მართლა ასე ფიქრობთ?**

— რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ.

**— ბინა იყიდეთ?**

— არა, ისევ ნაქირავებში ვცხოვრობ და მე და ჩემი მეგობრები ისევ აქ ვუქახუნებთ ჭიქებს ერთმანეთს.

**— „თავისუფალ თეატრში" ბაბუა რამაზი „კომედიანტებთან" როგორ გრძნობს თავს?**

— როგორც თევზი წყალში.

**— ჰოროსკოპით მართლაც „თევზი" ხართ და რა გახასიათებთ ყველაზე მეტად ამ ნიშნიდან?**

— ოპტიმიზმი. თუმცა ჩემში პესიმიზმი და ოპტიმიზმი შერწყმულია.

**— არტისტულ ცხოვრებაში სიახლეები გქონიათ. ახლახან „თავისუფალ თეატრში" პრემიერა შედგა...**

— „პროვოკაციაში" ვითამაშე, რამაზ იოსელიანს ვთამაშობ, მე ვარ ჩემს როლში. ეს პოლიტიკური შოუა, ყველა მონაწილე საკუთარ თავს ვთამაშობთ. მე, სლავა ნათენაძე, ნიკუშა გომელაური, ალა...

**— ვიცი, რომ თქვენზე მილიონი ჭორი გსმენიათ. რატომ ჭორაობენ?**

— მინდა, რომ ჩემზე სულ იჭორაონ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ცოცხალი ვარ და ვიღაცას ვაინტერესებ. თუმცა, მე თვითონ ჭორების მომტანს ვერ ვიტან, აღარ ვმეგობრობ მასთან. სადმე რომ გავივლი, ვიღაცები ერთმანეთს გადახედავენ, ჩემკენ თვალს გამოაპარებენ და მერე ჩურჩულს, ანუ ჭორაობას იწყებენ. ეს მე მსიამოვნებს.

**— თქვენსა და ქალებს შორის ბოლო დროს ურთიერთობა ხომ არ „დამთბარა"?**

— უკეთესი მდგომარეობაა, როგორც ჩანს, ასაკი თავისას შერება. უფრო დამთმობი გავხდი.

**— შეყვარებული როგორი ხართ?**

— უსაქმური. ვერაფერს ვაკეთებ.

**— ახლა ვერაფერს აკეთებთ?**

— რაც შემიძლია, იმას ვერ ვაკეთებ... არ მინდა ამაზე ლაპარაკი. მე მყავს პატარა კურდღელი ჟორა, რომელიც არ იზრდება, ძალიან მომწონს.

**— კურდღლის გარდა, ვინ ცხოვრობს თქვენთან?**

— ძაღლი, კატა, თაგვი, ტარაკანაც *(იცინის)*. კურდღელი არასდროს მყოლია, მაგრამ ავთო ვარსიმაშვილმა მაჩვენა. ისე მომეწონა, კინაღამ გავგიჟდი და სასწრაფოდ ვიყიდე.

**— პედაგოგი იოსელიანი მსახიობების მომავალ თაობაზე რას იტყვის?**

— არაფერს. სამწუხაროდ, ძალიან ცუდადაა საქმე. უინტერესო თაობა მოდის. ალბათ ეს დროის ბრალიცაა. ჩემი თაობის სტუდენტები მომწონდა.

**— რაზე ოცნებობთ?**

— რომ გითხრათ, გაგიჟდებით (იცინის). საკუთარი სახლი მინდა, დიდი ეზოთი, ბევრი ცხოველით და დიდი აუზით.

**— გული გწყდებათ რამეზე?**

— უამრავ რამეზე. ცხოვრებას რომ თავიდან ვიწყებდე, ბევრს შევცვლიდი, მაგრამ უეჭველად არტისტი ვიქნებოდი. ბავშვობიდან ვიცოდი, რომ არტისტი ვიქნებოდი.

**— ვინ ან რა ალამაზებს თქვენს ცხოვრებას?**

— თეატრი და მხოლოდ თეატრი, სცენა.

**— გული არ გწყდებათ, რომ საკუთარი ოჯახი არა გყავთ?**

— ძალიან, მაგრამ ჯერ საკუთარი სახლი მინდა მქონდეს. სამი სახლი გავყიდე, თანაც ერთიმეორეზე უკეთესები. „კაი" ცხოვრების გამო ჩავვარდი ამ დღეში. იმ დღეს „მაცაცერას" ვამონტაჟებდი. ავთომ დამირეკა — მოსკოვში მივდივართ, ბილეთი რომ აგიღო, სადა ხარ ჩაწერილი, მისამართი მითხარიო, საელჩოში ითხოვენო. არსად არა ვარ ჩაწერილი-მეთქი. ძლივს დავაჯერე, ეგონა, ვაშაყირებდი. ჰაერში ვარ... ჰაერში ვარ გამოკიდებული...

*ეკა ლომიძე*

# იანვარში მეშვიდედ ეწვია მუზების ქალაქს და...

**„ღმერთი იმდენად მაინც უნდა გვწამდეს, რომ დავიჯეროთ – ჩვენს მიწიერ არსებობას მაშინ დაასრულებს, როცა ამას მოისურვებს. არ შეიძლება სიკეთე ჯოჯოხეთის შიშით აკეთო და აბსტრაქტული სიყვარული იქადაგო“.**



„მთელი სიცოცხლე ემზადება ადამიანი სიკვდილისათვის. სიცოცხლე სახელოვანი სიკვდილისათვის მზადებაა. ყველა როდია მისი ღირსი“, – წერდა ბ-ნი ელგუჯა ამაშუკელი თავის წიგნში „დრო და შემოქმედი“. მერედა, რა დიდებულად იცოცხლა, რა უშურველად ილვაწა და რა ვალმოხდილი, მართლა სახელოვნად შეეგება სიკვდილს, თავისი მოღვაწეობით რომ აგრერიგად დათრგუნა და დაამარცხა. ალბათ ამადაც შეუერთდა მარადიისობას ასე უდრტვინველად და უშფოთველად. ჩვენ კი დაგვიტოვა სამშობლოს ბედზე დაფიქრებული დიდებული ძეგლები და ბრძნული სენტენციები, რომლებითაც მუდამ შეძლებს ჩვენთან „გასაუბრებას“. უბრალოდ, გულსაწყვეტია, რომ ჩვენ შორის აღარ იქნება კაცურკაცობის, ერთგულების, გატანის, დაფასების, ინტელიგენტობის ჭეშმარიტად მისაბაძი ეტალონი.

...პირველად ბ-ნ ელგუჯას გასული წლის 25 დეკემბერს შევხვდი. იწვა. უღონოდ იყო. მეორედ, აგერ ახლახან, 4 მარტს, თითქმის სრულიად გამოჯანმრთელებულს ვესაუბრე, რას ვიფიქრებდი, თუ ენერგიის ბოლო მოკრება, სიცოცხლისათვის ბოლო გაბრძოლება იყო – 11 მარტს, დილით, კომაში ჩავარდნილი, ინსულტით მოათავსეს ნევროლოგიის ინსტიტუტის რეანიმაციულ განყოფილებაში. 17 მარტის საღამოს კი საქართველოს ტელევიზიის თითქმის ყველა არხმა ამცნო საზოგადოებას მისი გარდაცვალების ფაქტი.

შაბათს, 2002 წლის 23 მარტს სიონის საკათედრო ტაძარში დიდ შემოქმედს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ აუგო წესი. ათასობით ადამიანმა მიაცილა ბ-ნი ელგუჯა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონამდე და ამით უკანასკნელი პატივი მიაგო მას.

ჩვენ ქედს ვიხრით დიდი ხელოვანის ხსოვნის წინაშე და ნაგვიანევად ვაქვეყნებთ ორნაწილიან ინტერვიუს, რომელიც, სამწუხაროდ, უკანასკნელი გამოდგა.

**ინტერვიუ პირველი**

## რომელიც რამდენჯერმე გადაიდო ბ-ნ ელგუჯას ავადმყოფობის გამო, მაგრამ რომელიც მაინც შედგა

ვაკეში, მრგვალ ბაღთან, სულ რაღაც სამიოდე წლის წინ გაჩნდა ახალი, ორსართულიანი, გარეგნულად თითქმის არაფრით გამორჩეული შენობა. აქ ცხოვრობენ რუსთაველის პრემიის ლაურეატები, მსოფლიოში 1998 წლის ადამიანად აღიარებული მხატვარი-მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და მისი მეუღლე — გამორჩეული, უჩვეულო, ფაქიზი და ღრმააზროვანი პოეტი ლია სტურუა. მათი ბინა-სახელოსნო თუ ბინა-მუზეუმი თავისებური ნავსაყუდელია, სადაც შესვლისთანავე შეიგრძნობ ხელოვანთა არაორდინარულ სამყაროს.

ელგუჯა ამაშუკელის „ვახტანგ გორგასალი“ და



**ლიანა ასათიანი, უცნობი მხატვარი, ლექსო თორაძე, ელგუჯა ამაშუკელი და ლია სტურუა პარიზში, ლექსო თორაძის კონცერტის შემდეგ.**

„ქართვლის დედა“ ათეული წლებია თბილისის სავიზიტო ბარათებად მიიჩნევა. „ფარნავაზი“, „ფიროსმანი“, „ვეფხი და მოყმე“, „დედაენა“ ისე შეერწყა და მოუხდა თბილისს, როგორც აუცილებელი და ბუნებრივი ატრიბუტები. და არა მხოლოდ თბილისი, თითქმის მთელი საქართველოა მოფენილი ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკებებით. ამ სახლის ერთ დიდ დარბაზში ბ-ნ ელგუჯას ნამუშევრებია გამოფენილი. მათ შორის სამი — თამარი, გალაკტიონი და ბარათაშვილი — არსად დადგმულა. არადა როგორ დაამშვენებდნენ ისინი ჩვენს უსახურ ყოფას. დიდ აღიარებას კი წინ მრავალი გულისტკივილი უძღოდა — წლების მანძილზე არ ეღირსა ცნობილ ხელოვანს ნორმალური ბინა-სახელოსნო და მუშაობის პირობები, რამდენი ძვირფასი ქანდაკება დაიმსხვრა ნაქირავებ თუ სახელმწიფოსაგან გამოყოფილ ციცქნა სახელოსნოებში, რამდენჯერ დალეწეს შეგნებულად უსულგულო ადამიანებმა მისი უკვე ხორცშესხმული ნამუშევრები. ეგებ ბევრმა არც დაიჯეროს, მაგრამ „ხელმარჯვე ოსტატებმა“ მტკვარშიც გადაუძახეს „გორგასლის“ დიდი მაკეტი, მავანმა ფუნქციონერმა კი „ქართვლის დედის“ მოხსნა და სხვა ადგილზე გადატანაც ბრძანა — ლენინის ძეგლს ხმლით კისერზე ებჯინებაო. იღბლად ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ რამდენჯერ ატკინეს, რამდენჯერ მოუკლეს გული.

ვიდრე უფრო ახალგაზრდა იყო, კიდევ უძლებდა, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა განცდილმა და ამ რამდენიმე თვის წინ მიღებულმა მიკროინფარქტმა იგი ლოგინში ჩააწვინა. ამიტომაცაა, ჯერჯერობით რომ საწოლიდან მესაუბრება, თუმცა მისი აზროვნების სიღრმე და სერიოზულობა გულგრილს ვერავის დატოვებს.

— ადამიანები ერთმანეთს იმით ჰგვანან, რითაც განსხვავდებიან, — მისუსტებული ხმით დაიწყო ბატონმა ელგუჯამ, — აზროვნების უნარით, შეთხზვის ნიჭით. შემოქმედება დაუსრულებელი ბავშვობაა. შემოქმედი მხოლოდ იმას ხედავს, რისი დანახვაც სურს. რაც არ აღელვებს, არ იზიდავს, იმას არ ამჩნევს და არც ხედავს. ბავშვი ხომ თავისი ფანტაზიით, სათამაშოებით თავად იქმნის სინამდვილეს. შემოქმედიც, რეალური შთაბეჭდილებების გავლენით, წარმოსახული ფორმებით ქმნის ახალ სინამდვილეს. ადამიანის ბუნება, ისევე როგორც მთელი სამყარო, ბოლომდე შეუცნობელია. და მაინც, აქ სუფევს ჰარმონია, მეტაფიზიკური წესრიგი. შემოქმედება ამ მეტაფიზიკური წესრიგის მოთხოვნილებაა, ფიზიკური და სულიერი მთლიანობის, ჰარმონიის ძიებაა, გაცილებით ძნელია საკუთარი პიროვნების სულიერი თავშესაფრის პოვნა. ადამიანს სულიერი მარტოობა შველის განერიდოს მიწიერს, ვიზუალურს, ხელშესახებს და თავშესაფარი მის მიერვე გამოგონილ სინამდვილეში პოვოს. ამას შემოქმედება ჰქვია. არავინ იცის, სად და როდის შობს იგი თავისი სულის ორეულს, ბნელ სარდაფში თუ ოქროს ჭაღებით განათებულ სასახლეში. დიდი ფილოსოფოსის სიტყვებია: „ვიდრე ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი“. ერთფეროვნება სიკვდილის სინონიმია. ამიტომ გაურბიან მას ადამიანები, განსაკუთრებით შემოქმედნი. ხელოვანის ბედი, მთელი მისი შემოქმედება ჭეშმარიტების ძიებაა, მასთან მიახლოებაა. მასთან მისასვლელი გზაც ერთადერთია და იგი ბოლომდე ამოუხსნელი საიდუმლოა.

**— როდის და როგორ ჩნდება ახლის შექმნისა თუ დაბადების სურვილი?**

— შინაგანი ტკივილის, სიხარულისა თუ ვნებათა სიმძაფრის გარეშე მნიშვნელოვანი არასოდეს არაფერი შექმნილა. ყველაფერი საუკეთესო, რაც კაცობრიობას შეუქმნია, მხოლოდ დიდი ისტორიული კატაკლიზმების ეპოქებში, დიდი ტკივილების ან სულიერი აღმაფრენის დროსაა შექმნილი. გამონაკლისი ვერც მე ვიქნები. ყველა ჩემი ნამუშევარი ბევრი ფიქრის და განცდის შედეგია. შემოქმედებითი აქტი მძაფრი ვნებებისა და გრძნობებისაგან განმუხტვა-განთავისუფლებაა, შობილი ნაყოფის ხილვა კი — უსიამოვნო დღეების დავიწყება და ყოველდღიური მიწიერი სიმძიმის შემსუბუქება.

**— რა დანიშნულება აქვს კულტურის ძეგლებს ერის ცხოვრებაში?**

— „ხედავ ფიროსმანს და გჯერა საქართველო“, — ბრძანა გრიგოლ რობაქიძემ. ძნელია, უფრო შთამბეჭდავად, უფრო ღრმად იგრძნო კულტურის ძეგლთა ადგილი და მნიშვნელობა ერის სულიერ და ფიზიკურ ცხოვრებაში. კულტურის ძეგლები გენეტიკურად აგრძელებენ ერის მიწიერ და სულიერ სიცოცხლეს და ამყარებენ კავშირს დროთა შორის.

**— რა განცდა გეუფლებათ საკუთარი ნამუშევრების ხილვისას?**

— მეჩვენება, რომ ჩემი სულის, ფიქრის, სისხლისა და გონების განსხეულებას ვხედავ. საკუთარ შვილებთან დროებითი განშორების შემდეგ შეხვედრის სიხარულს განვიცდი და ბედნიერი ვარ, თუმცა, რაკიღა თითოეულს საკუთარი ბიოგრაფიაც აქვს, ისინი მაგონებენ მათთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებსა და ტკივილებსაც. მე ხომ წლების განმავლობაში არ მქონია მუშაობის ელემენტარული პირობები. რამდენჯერ აღმოვჩნდი საშინელი ფაქტის წინაშე, — როცა ვითომ საგულდაგულოდ ჩაკეტილი საკონკურსო მოდელი და ქანდაკება დამტვრეული დამხვდა. თუმცა ალბათ ასეთ ადამიანებსაც უნდა გავუგოთ და ვაპატიოთ, მათ ხომ სხვა არაფერი შეუძლიათ, გარდა შურისა — „მწუხარებისა სხვისა კეთილსა ზედა“. ამისგან თავის დაღწევა კი ძალზე ადვილია, თუ უბრალოდ სახარებისეულ სიბრძნეს არ დავივიწყებთ: ნუ გავუკეთებთ სხვას იმას, რაც არ გვსურს ჩვენ გაგვიკეთონ. ღმერთი იმდენად მაინც უნდა გვწამდეს, რომ დავიჯეროთ — ის ჩვენი სიცოცხლის წარმმართველია და ჩვენს მიწიერ არსებობას მაშინ დაასრულებს, როცა ამას მოისურვებს. მასთან მისვლა კი პირნათლად უნდა შეგვეძლოს. ამავე დროს, არ შეიძლება სიკეთე ჯოჯოხეთის შიშით აკეთო და აბსტრაქტული სიყვარული იქადაგო. კარს მომდგარმა აპოკალიფსურმა მირაჟმა გაცნობიერებულად თუ სტიქიურად მაინც უნდა მიახვედროს ყველა, რომ სიკეთე, სიყვარული და სილამაზე იხსნის ჩვენს პლანეტას.

**— თქვენ უამრავ ქვეყანაში ყოფილხართ, უამრავ ქალაქში. რომელს გამოყოფდით?**

— რომი მარადიული ქალაქიაო — უთქვამს პოეტს. ტექნიკური სასწაულები ვერაფრით შეცვლიან მის სულს, განსხეულებულს მარმარილოში, ფერში, ხუროთმოძღვრებაში. იგივე შეიძლება ითქვას პარიზზე, ქალაქზე, რომელიც არა მარტო მსოფლიოს კულტურული ცენტრია, არამედ ყველა ადამიანის სულიერი თავშესაფარიც. მე თბილისის გარდა არც ერთ სხვა ქალაქთან არ მქონია ისეთი თბილი და ადამიანური შეხება, როგორიც პარიზთან. ბოლო 6 წლის მანძილზე საშუალება მქონდა, ზამთრობით მეცხოვრა და მემუშავა იქ „სიტე ინტერნაციონალ დე არის“ მიწვევით. ეს არის პარიზის ერთ-ერთი კულტურის ცენტრი. იქ შევქმენი 30-მდე მცირე ზომის ქანდაკება და ორმოცამდე ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოები. ერთი გამოფენა უშუალოდ სიტეს საგამოფენო დარბაზში მოვაწყვე, ერთიც — საქართველოს საელჩოში. და თუ ღმერთი ინებებს, იანვარში მეშვიდეჯერ ვესტუმრები მუზების ქალაქს.

**— მომავლის გეგმები?**

— შემოქმედება გეგმებს ვერ ეგუება, ვინაიდან გეგმა გონების აქტია, შემოქმედება კი — გრძნობისა. ემოციის და განწყობის გარეშე არაფერი იქმნება ახალი და საინტერესო. მორალურ კმაყოფილებას მანიჭებს ჩემს მომავალ ნამუშევრებზე ფიქრი. შემოქმედება განმარტოებისაკენ უბიძგებს ხელოვანს. ავადმყოფობამ ერთგვარად ხელი შემიწყო ამაში, ბევრი ფიქრისთვის დრო დამრჩა. გონება დაუსრულებლად მუშაობს და ბანალურ ერთფეროვნებას მაშორებს. მოლოდინი ის იმპულსია, რომელიც გაიძულებს იცოცხლო. მოლოდინი სიცოცხლის ყოფნა-არყოფნის ზღვარზეც გინარჩუნებს წონასწორობას და ჩნდება იმედი, რომელიც შენი შესაძლებლობების რეალიზაციას უხსნის გზას. ახალი „სიცოცხლე“ კი აუცილებლად დაიბადება, თუ ფეხმძიმობა ღვთისმიერია, — ბრძანა ბ-ნმა ელგუჯამ და თვალი მილულა. ეგებ მის გონებაში ახალი სახეები იძერწება, ერთ მათგანს კი „სიცოცხლეც“ ჰქვია? — გავიფიქრე. ერთხანს ვუმზირე შემოქმედის სულის რიალს და მისი ოთახი ფეხაკრეფით დავტოვე...

**ინტერვიუ მეორე**

## პარიზიდან დაბრუნებულს ჩამოვართვი, რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდა...

...თუ ჩემი პირველი შეხვედრა მწოლიარე ელგუჯა ამაშუკელთან შედგა და უკმარისობის განცდაც ბუნებრივად დამრჩა, მეორედ მას საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ, გამოჯანმრთელებულს, ენერგიით, ახალი იმედებითა და იდეებით აღსავსეს შევხვდი:

— წინა წლებისგან განსხვავებით, წლევანდელი გასვლა ნამდვილ დასვენებად მექცა — მეუბნება ბ-ნი ელგუჯა, — წელს შედარებით მშვიდ, ნაკლებად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ვეწეოდი, რითაც სულიერი და ფიზიკური მხნეობა მოვიპოვე — გონებაში კი მომწიფდა იდეა, რომელიც ალბათ მალე შეისხამს ხორცს...

...უკვე თითქმის ყველაფერი მზად ყოფილა იმისათვის, რომ ბათუმში დაიდგას ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი. სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. ბათუმელებს მალე მიეახლება ეკლიანი ცხოვრებით ნატანჯი, სულით ობოლი და მაინც მტკიცე, უტეხი პოეტის საკმაოდ საინტერესო სკულპტურა — შთამბეჭდავი, ლამის ცოცხალი, „მფეთქავი“, ცხოვრებაზე ღრმად დაფიქრებული ტატო.

მერე საგამოფენო დარბაზის ყოველ „მკვიდრთან“ ვჩერდებით და ავტორისგან თითოეულის შესახებ ვისმენ საინტერესო ისტორიებს. კედლებიდან კი „იღვრება“ ბახის, მოცარტის, შოპენის, ბეთჰოვენის, გრიგისა თუ ჰაიდნის მღელვარე და შფოთიანი, მწუხარე და სევდიანი, ლაღი თუ ამაღლებული მუსიკა და ვფიქრობ, რომ ხელოვნებას მართლა არა აქვს საზღვრები, რომ ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა ერთი მთლიანი, დაუსრულებელი ჯაჭვია, რომ ისინი ფერები, განცდები და ღრმა ფანტაზიებია.

— მუშაობისას ყოველთვის ვუსმენ კლასიკურ მუსიკას. ერთ დღესაც, როგორღაც ისე, თითქოს თავისით, უცნაურად გაჩნდა მიღებული შთაბეჭდილების გამომსახველი პირველი შტრიხი. მეორეს მესამე მოჰყვა, და ასე თანდათანობით, ნელ-ნელა შეიქმნა „მუსიკალური და მხატვრული ასოციაციები“, რომელთაც დიდი მოწონება ხვდათ წილად პარიზულ გამოფენებზე.

შემდეგ ფოტოებს ვათვალიერებთ. რამდენი მშვენიერი წამი, რამდენი საინტერესო ადამიანის სახე დაუფიქსირებიათ სამუდამოდ.

ერთი ფოტო პარიზში, ლექსო თორაძის კონცერტის შემდეგაა გადაღებული. ნიჭიერი შვილით გახარებული ბედნიერი დედა, ულამაზესი ლიანა ასათიანი, მერე ყველგან და ყველასთან საუბრისას უსვამდა თურმე ხაზს ბ-ნი ელგუჯას მუსიკისადმი განსაკუთრებულ, ფაქიზ დამოკიდებულებას.

ფოტოებიდან შემოგვცქერიან ამჟამად ამერიკაში მცხოვრები ცნობილი რუსი მოქანდაკე ერნსტ ნეიზვესტნი, რომლის მიერ შექმნილი მერაბ მამარდაშვილის ძეგლიც ამშვენებს თბილისს; მურმან ლებანიძე, ნოდარ დუმბაძე, მერაბ ბერძენიშვილი, ვახტანგ დავითაია, ჯანსულ ჩარკვიანი, გია ყანჩელი, ოთარ იოსელიანი, გუჯი ამაშუკელი — რამდენი საინტერესო დეტალი და ეპიზოდი მოვისმინე მათ შესახებ და რა ცუდია, რომ ყველაფრის თქმა არ ხერხდება ერთ საგაზეთო წერილში. განსაკუთრებული სიფაქიზით ახსენებდა შვილიშვილს, ჩემი ელენე მართლა უმშვენიერესი, განუმეორებელი და უჩვეულო ბავშვიაო, მითხრა.

ხვალ და ზეგ უფრო მოიცლიან ადამიანები ერთმანეთისთვის და მეტსაც იტყვიან ბატონი ელგუჯას ფენომენის შესახებ, მაგრამ უკვე ნათქვამი რამდენიმე მოსაზრება მინდა შემოგთავაზოთ:

„ელგუჯა ამაშუკელი იყო ერთ-ერთი პირველი, თუ პირველი არა, რომელმაც ყველაზე ადრე და ყველაზე სრულად გამოამჟღავნა მონუმენტალისტის თვისებები და 50-იანი წლების მეორე ნახევარში ქართველ ხალხს მთელი ხმით გაესაუბრა პლასტიკის ენით, ფართო დიაპაზონით, მატერიალიზებული იდეებით, გასაგები სიმბოლოებით, პატრიოტული ენით“. — *სიმონ კინწურაშვილი.*

*„მონუმენტურობა მეექვსე გრძნობააო“. — უთქვამს ბ-ნ ელგუჯას და სიმონ კინწურაშვილი აკონკრეტებს: „მეექვსე გრძნობა“ კარნახობს მას მოედანზე თუ ქუჩაზე, გაშლილ სივრცეში გამოსვლის ადგილსა და დროს. ეს „გრძნობა“ კარნახობს მას იდეური ჩანაფიქრისათვის საჭირო გამომსახველობის ფორმას, კომპოზიციას, სილუეტს, აბსოლუტურ ზომას და შეფარდებით მასშტაბს, ე.ი. იმას, თუ როგორ „დაიპყროს“, „მოთოკოს“ სივრცე“.*

„განხორციელდა ჩემი დიდი ხნის ოცნება — მონახული იქნა ქართული საბჭოთა სკულპტურის სახე, მისი ეროვნული ფორმა. მე ძალზე მიხარია, რომ მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი არის ახალი ქართული მონუმენტური სკულპტურის ერთ-ერთი დამაარსებელი“. — *ლადო გუდიაშვილი.*

„ამაშუკელის შემოქმედებაში ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალოდ ტალანტთან. ეს რაღაც უფრო მეტია და მისი შემოქმედების მნიშვნელობა სცილდება ქართული კულტურის ჩარჩოებს. ეს ახალი მიმართულებაა ჩვენს მონუმენტურ ხელოვნებაში“. — *ნ. ვორონოვი (მოსკოვი).*

„საბჭოთა მონუმენტური ქანდაკების უკანასკნელი წლების მიღწევები მტკიცედ უკავშირდება ქართველი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის სახელს, რომელმაც შექმნა ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ხან ასპარუხის ძეგლის პროექტზე სოფიაში გამართულ მსოფლიო კონკურსში მიღწეული წარმატებაც ბუნებრივი იყო. ლაკონიური აზროვნება, თანამედროვე ხედვა, მაღალი ოსტატობა მისი შემოქმედების დამახასიათებელი თვისებებია“. — *ლ. ვენევი (ბულგარეთი).*

„მე ვიცნობ თქვენს შემოქმედებას და მოქანდაკეთა შორის საუკეთესოდ მიმაჩნიხართ“. — *დობრინ ანგელოვ დობრინ* (ბულგარეთი),

...ბედნიერი ვარ, ღმერთმა რომ თქვენი ახლოს ნახვისა და გაცნობის შესაძლებლობა მომცამეთქი, ვუთხარი. ხელი მომხვია და გულში ჩამიკრა. რა უბრალო და გულჩვილი აღმოჩნდა შემოქმედი.

მერე სამუშაო მაგიდაზე სიძველისაგან ლაქგადაცლილი გიტარა შევნიშნე. უკრავთ-მეთქი? — ვკითხე. ექვსი თვეა ხელში არ ამიღიაო. ეგებ ახლა გესინჯათ-მეთქი, — მორიდებით ვთხოვე. დაუფიქრებლად აიღო, ააწყო, რამდენიმე აკორდი ააჟღერა, მერე თითქოს მოერიდაო, უცებვე დადო მაგიდაზე და ბავშვური გულუბრყვილობით გამიღიმა. სიყვარული ედგა თვალებში... ყველას სიყვარული.

P.S. სამწუხაროდ, ტატოს კიდევ ერთხელ დასცინა მწარედ ბედმა — იგი მალე დაიდებს ბინას ბათუმში, მაგრამ იქ არ იქნება მისი „მშობელი“ და ვერავინ შეავსებს იმ სიცარიელეს, ბუნებრივად რომ უჩნდება პირმშოს მშობლის გარდაცვალებისას.

ალბათ მკრეხელობად ჩამეთვლება, მაგრამ მაინც ვამბობ — ბედნიერი ვარ... ნებისმიერი რანგის ჟურნალისტს დაამშვენებდა და იქნებ გააამაყებდა კიდეც ის ნახატი და ჩანაწერი, ჩემს დღიურში რომ გააკეთა ბატონმა ელგუჯამ პირველი ინტერვიუს ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ, სათქმელს კი მისივე სიტყვებით დავასრულებ: „შენ რას ფიქრობ ჩემზე, მაინტერესებს არა იმიტომ, რომ მე არ ვიცი, რას წარმოვადგენ, არამედ მინდა გიცნობდე, რამეთუ ხვალ, შესაძლოა, მართლა საინტერესო იყოს შენი აზრი ჩემზე, ან პირიქით“.

მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი თქვენზე, ბატონო ელგუჯა.

***თამარ კაპანაძე***

**„კვირის პალიტრის“ რედაქცია უერთდება საერთო მწუხარებას და თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ელგუჯა ამაშუკელის ოჯახს.**

CMYK

გოგო რომ დაიბადება ოჯახში, იღბალსა და ბედნიერ დედობას უსურვებენ. წამოიზრდება გოგონა და სახლობანას თამაშს იწყებს, ხან აკვანს გადაარწევს, ხან თოჯინა-ბავშვს საწოვარათი აჭმევს, — ეს ყველაფერი ხომ გაუცნობიერებელი თანდაყოლილი ინსტინქტია დედობისა. ბუნებრივია, გათხოვილი ქალი გარკვეული დროის მერე ნერვიულობს უშვილობის გამო და ათასნაირ საშუალებას ეძებს, რათა ამ უპირველესსა და განუმეორებელ გრძნობას ეზიაროს.

ამჯერად ჩვენს რუბრიკას ერთი ქალბატონი ქეთევან ს. გამოეხმაურა, რომელსაც დედობამდე მრავალი ბარიერის გადალახვა მოუხდა.

# უმკაცრესად დამისაჯე, მაგრამ მაინც მეზიარე დედობის მადლს



— 29 წლისა გავთხოვდი, — მიამბობს ქალბატონი ქეთევანი, — წელი წელს მიჰყვა და შვილი არა და არ გამიჩნდა. სად არ ვიმკურნალე, არაფერი მეშველა. მეუღლემაც ჩაიტარა გამოკვლევა. გვითხრეს, რომ უშვილობის მიზეზი მე ვიყავი. დარდით ხანდახან ისტერიამდეც კი მივდიოდი. ჩემი მეუღლის თანადგომა რომ არა, ალბათ ახლა მკვდარიც ვიქნებოდი. გავიდა ექვსი უსაშველო წელი. მერე გამოჩნდა ერთი არაქართველი მუსლიმანი „სასწაულმოქმედი“ ქალი და მეუღლესთან ერთად მარნეულში წავედი. უამრავი ხალხი დამიხვდა ლამიასთან (ასე ერქვა). ჩავდექი რიგში. ათასი საარაკო ამბავი გავიგე იქ მყოფი ადამიანებისგან. ერთ ცოლქმარს თურმე თორმეტი წელი არ ჰყავდა შვილი, იმედი რომ გადაეწურათ, ბავშვი აიყვანეს გასაზრდელად. მერე ლამია გამოჩნდა. მისმა შელოცვებმა შედეგი გამოიღო და ამდენი ხნის უშვილო ქალი დაორსულდაო. ახლა ნაშვილებიც ჰყავთ და საკუთარიც და ბედნიერები არიანო. ავფორიაქდი. ასე მეგონა, იმ დღეს თუ არ მიმიღებდა, საბოლოოდ დავიღუპებოდი. ნერვიულობისგან კანკალი ამივარდა, ცივმა ოფლმა დამასხა და იქვე ჩავიკეცე. როცა ცნობიერება დამიბრუნდა, მისი კარის ზღურბლთან ვიჯექი.

ფეხებში ჩავუვარდი ლამიას „თანაშემწეს“, დღეს რომ არ დაველაპარაკო, გული გამისკდება, ერთი წუთით მაინც შემიშვით-მეთქი. ეტყობა, ისეთი სახე მქონდა, იფიქრა — ეს მართლა არ შემოგვაკვდესო... მზე უკვე ჩასულიყო, როცა ლამიას ოთახში შევედით. დიდხანს გვიყურა, გაეღიმა და სამი დღის მერე დაგვიბარა. თან თეთრი საცვლების მიტანა დაგვავალა.

ზუსტად შევასრულეთ მისი ბრძანებები.

კიდევ მოგვიწია ლოდინი. რიგში მდგომმა ერთი ასეთი ამბავიც მოვისმინე. თურმე ერთ ცნობილ წყვილს ლამიას შელოცვების მერე გოგონა გაუჩნდა და მის პატივსაცემად ლამია დაარქვეს, ხოლო „სასწაულმოქმედი“ ქალის ოპონენტთა თვალის ასახვევად ბავშვს ლიანას (ლივას) ეძახიანო.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენც გვეღირსა ლამიასგან შელოცვილი თეთრეულის ჩაცმა, რომელიც ერთი თვე ვატარეთ, მერე კვლავ ვესტუმრეთ ჩვენს მბრძანებელს. გვითხრა, — თეთრეული მდინარეში გადაყარეთ და შვილი უსათუოდ შეგეძინებათო.

სამი თვის მერე სასწაული მოხდა და დავორსულდი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მართალია, ცუდად ვგრძნობდი თავს, დამეწყო თავბრუს ხვევა, კუჭის წვა, თავის ტკივილი, მაგრამ ეს ნაკლებად მანაღვლებდა. ერთხელაც, სეირნობისას (საღამოობით 2-3 საათი ვსეირნობდით ხოლმე მე და ჩემი მეუღლე), როცა მეტეხის ეკლესიის გალავნიდან გადავყურებდით მტკვარს, დავინახეთ, როგორ მივიდა ხიდთან ერთი ახალგაზრდა წყვილი, გაზეთი გახსნა და იქიდან ამოიღო თეთრი ნაჭრები (მივხვდით, საცვლები იყო) და მდინარისკენ მოაფრიალა. სიცილი აგვიტყდა. „რით არის ეს სასაცილო?“ — შემოგვიტია უცნობმა ხმამ. ჩვენ გვერდით იდგა ორმოცდაათიოდე წლის შავოსანი ქალი და კოპებშეკრული შემოგვყურებდა. „ჩვენთვის ვიცინით, ქალბატონო. განა სიცილს გვიკრძალავთ?“ — შეწუხდა ჩემი ქმარი. „ძალიანაც კარგად ვიცი, რაზე გაგეცინათ. ეს სასაცილო კი არა, სატირალია. მეტეხის ეკლესიაში ხშირად დავდივარ... დღე არ გავა, 2-3 წყვილი არ მოადგეს ამ ხიდს და საცვლები არ გაატანოს მტკვარს. ვიცი, სატანის მიერ შეპყრობილ ქალთან არიან ნამყოფნი. ის ავალებს ცოლქმარს, რომ ასე მოიქცნენ. მთლად გაგიჟდა ეს ხალხი, რას აკეთებს, თვითონაც არ იცის. ამას წინათ გულმა ვერ გამიძლო, ფეხი მაწუხებს, მაგრამ სწრაფი ნაბიჯებით, კოჭლობით მაინც დავეწიე ერთ-ერთ წყვილს, რომელიც სახეგაბრწყინებული ბრუნდებოდა შინ... ვერ მოვზომე და გაგულისებულმა შევუტიე, ღმერთი არ გაპატიებთ ამ შეცდომას და სატანასთან ურთიერთობისთვის დაგსჯით-მეთქი. ის გოგონა (მთლად ბავშვი იყო!) მომიბრუნდა და წყნარად, მაგრამ მტკიცედ მითხრა: ოღონდ შვილი მეყოლოს და თუნდაც ეშმაკივით კუდი ებასო... აი, როგორ დაწამლა იმ არაქრისტიანმა ქართველები. თქვენ კი დგახართ და იცინით“. ხმა აღარ გავეცით. რა იცოდა, რომ რამდენიმე თვის წინ ჩვენც იგივე გავაკეთეთ...

ზაფხულში ბიჭი შეგვეძინა. დავარქვით მეუღლის მამის სახელი — ზურაბი. სიხარულისგან მიწაზე ფეხს არ ვდგამდით. ძალიან ახლობელი ადამიანების გარდა, არავინ იცოდა მარნეულში ჩვენი ვიზიტების შესახებ. მალე სიხარული ნერვიულობით შეგვეცვალა — ბავშვი სუსტი იყო, წარამარა ავად ხდებოდა, ხან კუჭი ჰქონდა აშლილი, ხან სიცხე აეწეოდა. ნათესავებმა მირჩიეს, მონათლე და ავადმყოფობასაც იოლად მოერევა მონათლული ბავშვიო. თითქოს რაღაც მეღობებოდა წინ. რამდენჯერაც გადავწყვიტე ეკლესიაში პატარას წაყვანა და მონათვლა, იმდენჯერ ხელი შემეშალა. ერთხელაც გარდაცვლილი მამა დამესიზმრა (სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ის ავტოკატასტროფაში დაიღუპა) — რას შვრები, სატანას უზრდი შვილსო? რატომ სატანას, ჩემთვის ვზრდი-მეთქი. ასე მიპასუხა, — მას ერთი სენი შეეყრება; აუცილებლად მონათლე, თუკი მოერევა ამ სენს, მაშინ მართლმადიდებელ ქრისტიანად გაიზრდება, ხოლო თუ ვერ გადარჩება, იცოდე, ეგეც ღვთის ნებით მოხდება, რადგან მხოლოდ უფალმა იცის, ვის რა გზა ელოდება, ვინ არის სასიცოცხლო და ვინ — არაო. ისე კი, ძალიან მწყდება გული, რომ ჩემი სახელი არ დაარქვი, გიორგი ხომ ბოროტ სულთან მებრძოლი გმირიაო. ამის თქმის მერე მზით განათებულ მინდორში გავიდა. ზეციდან სხივი გადმოეშვა და ამ სხივს გაჰყვა თან.

საოცარი სიზმარი იყო, უფრო სწორად — ხილვა. როცა დედას ვუამბე, შეშინდა, პირჯვარი გადაისახა და ეკლესიაში, წირვებზე სიარულს მოუხშირა, მეც იგივე მირჩია, მაგრამ პატარა ისევ ავად გამიხდა და ველარ მოვახერხე დედასთან ერთად ტაძარში წასვლა. სულ მალე ზურიკოს დიზენტერია შეხვდა. ცუდად მენიშნა და ექიმთან გავაქანე. ექიმმა დამამშვიდა, წამლები დამინიშნა და შინ გამომიშვა. ორ დღეში ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, მწვავე დიზენტერიაში გადაიზარდა და დამეღუპა. ხომ გაუბედურებული დედა ვიყავი, მაგრამ მაშინდელმა ხილვამ რაღაცნაირად ბიძგი მომცა, რომ მელოცა. თითქოს შვებაც კი ვიგრძენი. ერთთვიანი ლოცვების შემდეგ მეტეხისკენ გამიწია გულმა. ყველაფერი მოვუყევი მოძღვარს. მან მარხვა და ფსალმუნების კითხვა მირჩია... წელიწად-ნახევრის მერე კვლავ ბიჭი გამიჩნდა. ამჯერად საკეისრო კვეთით მოევლინა ამ ქვეყანას გიორგი. ის უკვე ოთხი წლისაა და კერკეტი კაკალივითაა. მამაჩემი კიდევ ერთხელ, გიორგის დაბადებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ დამესიზმრა. არაფერს მეუბნებოდა, მხოლოდ მიღიმოდა და შორიდან პირჯვარს მსახავდა. ახლა მე მეტეხის ეკლესიის მრევლის წევრი ვარ, სისტემატურად დავდივარ ღვთის სახლში, ვლოცულობ და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ უმკაცრესად დასჯის მერე მაინც გაიღო ჩემზე მოწყალება და დედობა მარგუნა — გიორგი მაჩუქა.

**— თქვენი ნაამბობი მენიშნა... ამ რამდენიმე წლის წინ იმ მარნეულელი ქალის „სასწაულები“ ძალიან გახმაურებული იყო და ბევრიც „გააბედნიერა“... ჩემი ერთი ახლობელიც კი მოხვდა მის ბადეში... რას ურჩევთ იმ ქალებს, რომლებსაც ეკლესიაში სიარულმა „ვერაფერი“ მოუტანა და იმედის თვალი მიუპყრიათ მავანთაგან ქებული მკითხავ-მლოცველებისთვის?**

— არამც და არამც არ შეცდნენ. უფალი ჩვენი ერთია და ის არის სამყაროს შემოქმედი. მისი ნების გარეშე არაფერი მოხდება ამქვეყნად, ამიტომ ღვთისადმი ღრმა რწმენითა და ლოცვა-ვედრებით საწადელს უსათუოდ მივაღწევთ. მკითხავებთან და მოლებთან სიარულით კი უპირველესად სულს ვავნებთ, გზას ავცდებით...

**— არ დაინტერესებულხართ იმ წყვილების ბედით, რომლებიც თქვენთან ერთად იდგნენ რიგში არაქრისტიანი „მლოცველის“ სახლთან?**

— ორი თუ სამი შემთხვევა იყო ასეთი: იმდენად დაარწმუნა „მლოცველმა“ დაორსულების პერსპექტივაში, რომ ქალებს ცრუ ორსულობა დაეწყოთ, მუცელი გაეზარდათ, თითქოს ყველაფერი მიანიშნებდა ორსულობაზე — მომატებული მადა, ძილისკენ მიდრეკილება, ტოქსიკური გულისრევა, მაგრამ როცა 5-6 თვის „ორსული“ ქალი ექოსკოპიაზე გასასინჯად მივიდა, უთხრეს, — ორსულად არა ხარო. ერთ-ერთს ამის ნიადაგზე ინფარქტი მოუვიდა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. მარტო არაქრისტიანს კი არა, „ქრისტიან“ ქართველებსაც უნდა მოერიდონ, რომლებიც მკითხაობითა და შელოცვებით აპირებენ ვითომ სასწაულის ჩადენას. მერწმუნეთ, ასეთები საშიში არიან, ისინი ფარისევლობენ, ჯვრებითა და ხატებით მოფენილ ოთახში შეგიტყუებენ, მერე კი ფულს დაგცინცლავენ.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# სილამაზე ცქერით როდი გაცვდება...

**გერმანელი ექიმი და ბუნებისმეტყველი, პროფესორი კარლ კოხი, რომელმაც შემოიარა საქართველო და გაეცნო მის მრავალ კუთხეს, წერდა, — არსად მინახავს ისეთი მშვენიერი ქალები, როგორიც იქო.**

**ემანუილ კანტი კი ამბობდა, — საქართველო მზეთუნახავთა ორანჟერეააო.**

**როდესაც პარიზში ჩასული ქართველი პუბლიცისტი იონა მეუნარგია გაეცნო ფრანგ მწერალს ვიქტორ ჰიუგოს, მათ შორის ასეთი დიალოგი გამართულა:**

**„— თქვენ რუსეთიდან ბრძანდებით?**

**— არა, საქართველოდან.**

**— აა! ლამაზი ქალების ქვეყნიდან?“**

**მომხიბლავ ქართველ ქალთა გალერეიდან კიდევ ერთ გამორჩეულ ქალბატონს გაგახსენებთ.**

## ქეთევან ორახელაშვილი
## 1914-1985



ქეთევან ორახელაშვილი გამორჩეულად ლამაზი გახლდათ. იგი იყო ქალიშვილი ცნობილი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწეების, მამია და მარიამ ორახელაშვილებისა, რომლებსაც უკლონისტობის ბრალდებით 1937 წლის რეპრესიები დაატყდათ თავს და სუკის ჯურღმულებში საშინელი წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

ქეთევანის მეუღლე იყო სახელგანთქმული დირიჟორი ევგენი მიქელაძე. 1937 წლის სისასტიკემ არც ეს დიდებული მუსიკოსი დაინდო — მას სამშობლოს ღალატი დასწამეს, ლავრენტი ბერიას ბრძანებით დააპატიმრეს და წამებით ამოხადეს სული. ქეთევანი გადაასახლეს, ხოლო მათი მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი, თინათინი და ვახტანგი (შემდეგ ცნობილი რეჟისორი-დოკუმენტალისტი) მიუსაფრად დასტოვეს...

შვიდი წელი გაატარა წამების ბანაკებში ამ სათნო ქალბატონმა...

მშვენიერებით და დახვეწილობით ხიბლავდა ერთ ბედქვეშ მყოფ ადამიანებს. ებრალებოდათ მშვენიერი, განათლებული მანდილოსანი, რომელიც შეჭირვებულებს მსოფლიო პოეზიის ნიმუშების კითხვით ამშვიდებდა...

სწორედ ამ ადამიანების ხელშეწყობით გადაურჩა სიკვდილს ქეთევანი.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მისადმი პროფესორი გრიგოლ დროზდოვი, რომელსაც შემდეგ ცოლად გაჰყვა.

მათი ვაჟია ცნობილი დოკუმენტალისტი ნიკოლოზ დროზდოვი.

ქეთევან ორახელაშვილის მშვენიერება კინოფირმა შეუნახა მომავალ თაობებს.

მან დამაჯერებლად ითამაშა რეპრესირებული ქალის როლი რეჟისორ ლანა ღოღობერიძის ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. ეს როლი ხომ მისი ტრაგიკული ცხოვრების ნაწილი იყო — ტკივილით და სევდით სავსე, მაგრამ ადამიანების მიმართ მაინც რწმენით გამსჭვალული.

მეორე როლი გახლდათ მომხიბლავი თავადის ქალი, რეჟისორ გიორგი შენგელაიას სურათში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, რომელსაც ასევე არ აკლდა სიწრფელე...

ქეთევან ორახელაშვილმა ლიტერატურაშიც მოსინჯა კალამი. მას რამდენიმე მცირე ზომის მოთხრობა დარჩა. ერთი მათგანი, „სიზმარი“, გამოქვეყნდა კიდეც.

**P.S. ფოტო მოგვაწოდა ქალბატონმა დამანა მდივნიშვილმა**

# აფროდიტეს საიდუმლოებანი



**რა უყვარს თმას.** ძილის წინ ჯაგრისიანი სავარცხლით 5-10 წუთი დავარცხნა;

— კვების რაციონში სტაფილოს, კეფირის, ხაჭოს, ვაშლის და მჟავე კომბოსტოს სიმრავლე, ღვიძლისა და თირკმლის კერძები;

— მასაჟი და თმის გასამაგრებელი ნიღბები;

— თმაზე წასმის წინ, შამპუნი ხელზე აიქაფეთ და მერე წაისვით;

— დავარცხნა ნატურალური ხის სავარცხლით ან ჯაგრისით.

**თმას არ უყვარს, როცა...**

— ძალიან ცხელი ან ცივი წყლით ბანენ;

— ჭამის რაციონში ბევრი ტკბილი და შუშხუნა სასმელია;

— შამპუნს არასწორად ირჩევენ;

— დღეში მარტო ორჯერ ვარცხნიან;

— რეზინებით ან სარჭებით ჭიმავენ;

— ღამე, ძილის წინ ბანენ — უარესდება თმის კვება და ჟანგბადის მიწოდება;

— დაბანის შემდეგ მაშინვე რომ ვარცხნიან, იბურდება და შუაზე იკვეთება.

## თალასოთერაპია

თალასოთერაპია ანუ ზღვის წყლის გამოყენება ჯანმრთელობისთვის ძველთაგანვე ცნობილი იყო. ზღვის მარილიანი აბაზანა სხეულს ამშვიდებს, კანს სინაზეს და სილამაზეს მატებს. პროცედურის მოქმედების გასაძლიერებლად არსებობს დამატებითი საშუალებები:

— ზღვის მარილიან აბაზანას დაუმატეთ ვარდის ფურცლები — იმ სასიამოვნო სურნელის გარდა, რომელიც გადაეცემა კანს, გაამსუბუქებს აბაზანას.

— სასიამოვნო, მშვიდი მუსიკა, ანთებული არომატული სანთლები, სურნელოვანი ბალახებით გაჟღენთილი ჰაერი, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე პრეპარატი.

— თუ შესაძლებელია, აბაზანის მიღებისას საპნის ნაცვლად ისარგებლეთ საგანგებო აბაზანის ქაფით — ის თქვენს კანს აბრეშუმივით ნაზს გახდის.

— უპირატესობა მიანიჭეთ ნატურალურ ზეთს — ის სამოსისგან დაღლილ კანს დაასვენებს.

## კოქტეილი „ია“

20 მლ ფორთოხლის ლიქიორი

20 მლ ყურძნის წვენი

80 მლ შამპანური

1 ნაჭერი შაქარი

ალუბალი, ყინული.

ფართოპირიან ბოკალში ჩაყარეთ შაქრის ნატეხი და ყინული, დაამატეთ ლიქიორი, მერე წვენი და ბოლოს შამპანური. დაამშვენეთ ალუბლით.



## იუმორი

**ქმარი — ცოლს:**

**ქორწინებამდე** — მე მხოლოდ შენ მომწონხარ.

**ქორწინების შემდეგ** — შენ მხოლოდ მე მომწონხარ.

CMYK

# რამდენად გულღია ადამიანი ბრძანდებით?

**არსებობენ გულჩათხრობილი ადამიანები, რომლებსაც ბოლომა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ახრჩობთ, მათთვის ყოველი დღე ნაცრისფერი და მოსაწყენია. სულ სხვაგვარად აღიქვამენ სამყაროს სიხარულის უნარის მქონე, გულღია ადამიანები. ასეთი ადამიანები ცხოვრებას განსხვავებულად უყურებენ, ოპტიმიზმი და გულწრფელობა მათი ხასიათის ძირითადი ნიშნებია. ალბათ დაგაინტერესებთ, რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით თქვენ. ამ ტესტს თქვენ გაივლით რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებთან ნინო თარხან-მოურავთან და თემიკო ჭიჭინაძესთან ერთად...**




**1. ბავშვობის გახსენებისას ხშირად გიპყრობთ სიხარულის გრძნობა?**
*ა)დიახ — 10, ბ) არა — 5*

**ნინო: კონკრეტული ვარიანტი — ა** ბავშვობა მქონდა მშვიდი და უდარდელი, ამიტომ წარსულში დაბრუნება და მისი გახსენება ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. შემიძლია თავისუფლად ვთქვა, რომ ბავშვობა ეს არის უმანკოების ხანა, როდესაც ყველაფერი მშვენიერი გეჩვენება.

**თემიკო: კონკრეტული ვარიანტი — ა** არსებობენ ადამიანები, რომლებიც წარსულს მისტირიან, ადამიანთა ამ ტიპს ნამდვილად არ მივეკუთვნები, მაგრამ ბავშვობის გახსენება მიყვარს, იმიტომ რომ ადამიანის ცხოვრების ყველაზე დადებითი, პოზიტიური მუხტის მქონე მონაკვეთი სწორედ ბავშვობაა.

**2. ხშირად განიცდით სინდისის ქენჯნას?**
*ა) დიახ — 5; ბ) არა — 10*

**ნინო: ა** სინდისის ქენჯნას ხშირად განვიცდი, იმიტომ რომ ეს გრძნობა შეიძლება არასწორად ნათქვამმა სიტყვამაც კი გამოიწვიოს. უშეცდომო ადამიანი არ არსებობს, პირიქით, ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვუშვებთ შეცდომებს.

**თემიკო: ბ** როდესაც ადამიანი არაფერს აშავებს და საკუთარ თავთან მართალია, სინდისიც წყნარადაა, თუ რაღაცა აქვს დაშავებული და სინდისი არ ქენჯნის, ე.ი. ეს ადამიანი უსინდისოა. მე ვცდილობ, არ გადავდგა ისეთი ნაბიჯი, რომ მერე სინდისმა შემაწუხოს.

**3. ოპტიმიზმი და გულწრფელობა თქვენი ხასიათის გამორჩეული თვისებებია?**
*ა) დიახ — 10; ბ) არა — 5*

**ნინო: ა** თითქმის არასოდეს ვვარდები სასოწარკვეთილებაში, საკუთარ თავს ყოველთვის ვაიმედებ და ვეუბნები, რომ არ არსებობს სიტუაცია, რომელსაც გამოსავალი არა აქვს, ხოლო რაც შეეხება გულწრფელობას, მართალია, პროფესიით მსახიობი ვარ, ცხოვრებაში და ადამიანებთან ურთიერთობისას არ ვთამაშობ. მე არ შემიძლია მოვატყუო ადამიანი, რომელსაც ახლობლად და მეგობრად ვთვლი.

**თემიკო: ბ** ოპტიმიზმსა და გულწრფელობას ჩემი ხასიათის გამორჩეულ თვისებებს ვერ დავარქმევდი, მაგრამ რა თქმა უნდა, ერთიცა და მეორეც გარკვეული პროცენტებით მახასიათებს. მე მიმაჩნია, რომ აბსოლუტურად გულწრფელი შეიძლება იყო მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავთან.

**4. ეთანხმებით აზრს, რომ გარშემო იმდენი ბოროტებაა, რომ სისულელეა, ყოველი წვრილმანი გიხაროდეს?**
*ა) დიახ — 5; ბ) არა — 10*

**ნინო: ბ** ნეგატიურად განწყობილმა ადამიანმა შეიძლება ნებისმიერი წვრილმანი ბოროტებად აღიქვას, ანუ ბოროტების აღქმა დამოკიდებულია ადამიანზე, ცალკეულ ინდივიდზე. მე მგონი არა აქვს მნიშვნელობა, ირგვლივ ბოროტება მძვინვარებს თუ არა, ადამიანმა სიხარულის უნარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოს, თორემ თავისთავად ცხოვრებაც დაკარგავს აზრს.

**თემიკო: ბ** ჩემი აზრით, უნდა შეხაროდე ყველაფერს, ნებისმიერი სასიხარულო ამბავი ბედნიერებას უნდა გვგვრიდეს, ცხოვრება ხომ ისედაც არ არის ვარდებითა და იებით მოფენილი. მართალია, ბოროტება ქუჩაში არ დადის, მაგრამ ჩვენ გვერდით მისი არსებობა ნათლად იგრძნობა, სწორედ ამიტომ უნდა გვიხაროდეს ყოველი წვრილმანი.

**5. შეგიძლიათ სასიხარულო ამბავს მშვიდად შეხვდეთ?**
*ა) დიახ — 5; ბ) არა — 10*

**ნინო: ბ** მე სიხარულს ვერასოდეს ვფარავ, ან კი რა საჭიროა ასეთ დროს ემოციების შეკავება? თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი წვრილმანი მახარებს, მშვიდად არასოდეს არა ვარ და ეს მეხმარება იმაში, რომ თითქმის ყოველთვის კარგ გუნებაზე ვარ.

**თემიკო: ა** ემოციების შეკავება და ჭეშმარიტი სიმშვიდის შენარჩუნება, რა თქმა უნდა, შემიძლია, მაგრამ ვთვლი, რომ სიხარული მაქსიმალურად უნდა გამოხატო, სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია. შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა სიხარული გულზეხელდაკრეფილმა გამოხატოს? რაც შეეხება სიხარულისაგან მეცხრე ცაზე აფრენას, ასეთი რამ განვიცადე მაშინ, როცა გაჩნდა ჩემი შვილი.

**6. სიხარულის მინიჭება მხოლოდ გამორჩეულად ახლობელი ადამიანებისათვის შეგიძლიათ?**
*ა) დიახ — 5; ბ) არა — 10*

**ნინო: ბ** იმიტომ მიყვარს საკუთარი პროფესია, რომ შემიძლია უამრავ ადამიანს მივანიჭო სიამოვნება. როდესაც ვხედავ სიხარულისაგან ანთებულ თვალებს, თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი.

**თემიკო: ბ** ჩემი პროფესია მაძლევს იმის საშუალებას, რომ ადამიანები თუნდაც რამდენიმე წუთით გავაბედნიერო. უდიდესი სიამოვნების გრძნობა მეუფლება და ყველაზე ბედნიერი ვარ, როდესაც სხვა ადამიანს ვანიჭებ სიხარულს.

**7. შეალამაზებთ თუ არა სხვის მიერ მოყოლილ ამბავს?**
*ა) დიახ — 10; ბ) არა — 5*

**ნინო: ა** იქიდან გამომდინარე, რომ მსახიობი ვარ, ჩემდა უნებურად, მაგრამ ძალიან უმნიშვნელოდ, ისე, რომ ზიანი არავის მიადგეს, მოყოლილ ამბავს ცოტათი შევალამაზებ ხოლმე. ეს ქალებისათვის დამახასიათებელი თვისებაა.

**თემიკო: ბ** არ მიყვარს მოყოლილი ამბის გაზვიადება და გაბუქება. თუ ჩავთვლი, რომ საჭიროა ამ ამბის მოყოლა, რა თქმა უნდა, მოვყვები „ორიგინალში“.

**8. ხართ თუ არა მიმნდობი ადამიანი?**
*ა) დიახ — 10; ბ) არა — 5*

**ნინო: ა** საოცრად მიმნდობი ვარ, მართალია თეორიულად ვიცი, რომ ყველას არ უნდა ენდო, მაგრამ ამ თეორიას პრაქტიკაში ვერ ვახორციელებ. თუ შევატყვე, რომ ადამიანი ჩემს გაცურებას ცდილობს, იმწამსვე ვწყვეტ მასთან ურთიერთობას.

**თემიკო: ბ** ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მიამიტი და მიმნდობი ვარ-მეთქი, მაგრამ თუ ადამიანმა გულწრფელობა არ დამანახვა, რა თქმა უნდა, ვერ ვენდობი. საერთოდ კი ვენდობი იმ ადამიანს, რომელსაც ახასიათებს ნებისმიერი, ნორმალური ადამიანისათვის საჭირო თვისებები: ერთგულება და პატიოსნება.

**9. თქვენს ცხოვრებაში არიან ადამიანები, რომელთა ნდობაც თვალდახუჭულს შეგიძლიათ?**
*ა) დიახ — 10; ბ) არა — 5*

**ნინო: ა** საბედნიეროდ, მყავს ისეთი ადამიანები, რომელთაც საცალფეხო ბილიკზეც კი ვენდობი თვალდახუჭული, ასეთ ადამიანებს სხვების სიცოცხლე აბარიათ, ამიტომ მათ არა აქვთ ღალატის უფლება.

**თემიკო: ბ** ასეთი ადამიანების არც სიმრავლეს განვიცდი და არც ნაკლებობას, უბრალოდ, მყავს რამდენიმე ადამიანი, რომელთაც შემიძლია ვენდო და მათთან ურთიერთობისას მაქსიმალურად გავიხსნა.

**10. თუ კარგად დაფიქრდებით, შეგიძლიათ თქვათ, რომ ცხოვრებაში მეტი ნაღველი და საზრუნავი შეგხვედრიათ, ვიდრე სიხარული?**
*ა) დიახ — 5; ბ) არა — 10*

**ნინო: ბ** ცხოვრება უსწორმასწორო გზაა, აღმართს დაღმართი მოჰყვება, დაღმართს — აღმართი. ცუდიც და კარგიც თანაბარი რაოდენობით ხდება. არ შემიძლია ვიწუწუნო და ვთქვა, რომ ცხოვრების მანძილზე უფრო მეტი საზრუნავი და ნაღველი შემხვედრია-თქო, პირიქით, თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი, მაგრამ, მეტი მინდა.

**თემიკო: ა** რა თქმა უნდა, ცხოვრებაში უფრო მეტია ნაღველი და საზრუნავი, მაგრამ ადამიანები ამისათვის ხომ არ ცხოვრობენ? არსებობს გამოთქმა — ტკბილი მოგონებები, ეს არის ერთ-ერთი საშუალება იმისა, რომ მოხდეს ყოველივე ცუდის დავიწყება, სწორედ ამიტომ დადებითი თითქმის ყოველთვის წონის უარყოფითს.

**11. ცხოვრებაში ხშირად გაქვთ ისეთი მომენტები, როდესაც განუზომელი სიხარულის და აღელვების გრძნობა გიპყრობთ?**
*ა) დიახ — 10; ბ) არა — 5*

**ნინო: ა** ძალიან ემოციური ვარ, ამიტომ ხშირად ვარ აღელვებული და არა მარტო სიხარულისაგან.

**თემიკო: ბ** ალბათ მაქვს ასეთი მომენტები, მაგრამ ხშირად არ ხდება მათი დაფიქსირება.

**12. არიან თქვენ გარშემო ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ მაქსიმალურად განიცადონ და გამოხატონ სიხარული?**
*ა) დიახ — 10; ბ) არა — 5*

**ნინო: ა** ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ ისეთ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ არა მარტო განიცადონ სიხარულის გრძნობა, არამედ გამოხატონ კიდეც. ვცდილობ ურთიერთობა მქონდეს ასეთ ადამიანებთან, ჩემ ირგვლივ თითქმის ყველა გულღია და ხალასია.

**თემიკო: ბ** ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელსაც გულით უხარია სხვისი ბედნიერება, ასეთ ადამიანს ათასი კაციდანაც კი გამოარჩევ, ისინი თავისებურად „ანათებენ“.

**13. გაქვთ უნარი სხვებს გადასდოთ საკუთარი სიხარულის გრძნობა?**
*ა) დიახ — 10; ბ) არა — 5*

**ნინო: ა** ვთვლი, რომ დადებითი აურის მატარებელი ადამიანი ვარ, შემიძლია ადამიანს გადავდო საკუთარი სიხარულიც კი.

**თემიკო: ა** სიხარულს ისე გამოვხატავ, რომ შეუძლებელია, სხვასაც არ გადაედოს, ალბათ მაქვს იმის უნარი, რომ სხვებსაც მივანიჭო სიხარული.

**14. ეთანხმებით აზრს, რომ ყველაფრის ყიდვა შეიძლება, სიხარულისაც კი, საქმე მხოლოდ ფასშია?**
*ა) დიახ — 5; ბ) არა — 10*

**ნინო: ა** პრინციპში ვეთანხმები აზრს, რომ თითქმის ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მე ჯერ არ მქონია იმის საშუალება, რომ სიხარული მეყიდა.

**თემიკო: ბ** არ ვეთანხმები აზრს, რომ ყველაფერი შეიძლება იყიდო, ვერ იყიდი ისეთ გრძნობებს, როგორიცაა სიყვარული, მეგობრობა, ბედნიერება. წუთიერი სიხარულის ყიდვა ალბათ შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ წუთიერის.

**15. თვლით, რომ სიხარულის გრძნობა, რომელიც ხშირად გიპყრობთ, თქვენი ხასიათის „დამსახურებაა?“**
*ა) დიახ — 10; ბ) არა — 5*

**ნინო: ა** რა თქმა უნდა, სიხარულის გრძნობა თვითონ ადამიანის დამსახურებაა, სიხარული ადამიანის აღქმაზეა დამოკიდებული, ზოგიერთ ადამიანს ყოველი წვრილმანი ახარებს, ზოგიერთ უმადურს კი — არაფერი.

**თემიკო: ბ** ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დალაგებული და გაწონასწორებული ხასიათი მაქვს, არის პერიოდები, როდესაც უხასიათობას მარტო ვერ ვუმკლავდები, ამიტომ თუ მეუფლება სიხარულის გრძნობა, ამას უფრო გარემო და სიტუაცია, ან კონკრეტული პიროვნებები განაპირობებენ.

## ცხრილის მიხედვით შეაჯამეთ ქულები.

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 10 | 5 | 10 | 5 | 5 | 5 | 10 | 10 | 10 | 5 | 10 | 10 | 10 | 5 | 10 |
| ბ | 5 | 10 | 5 | 10 | 10 | 10 | 5 | 5 | 5 | 10 | 5 | 5 | 5 | 10 | 5 |

*0-49 ქულა: უნდა აღიაროთ, რომ მარტოობა გიყვართ, საზოგადოებაში თავს უხერხულად გრძნობთ და ხანდახან საკუთარი თავისაც კი გრცხვენიათ. შეეცადეთ, იყოთ ლაღი და ხალასი, ეს გაგილამაზებთ ცხოვრებას. თავიდან ამოიგდეთ იმაზე ფიქრი, რომ თქვენ ვინმე გჯობიათ. არ გაგიგიათ, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო.*

*50-79 ქულა: თქვენი დამოკიდებულება საზოგადოებასთან ძნელი განსასაზღვრია. ერთი მხრივ, თქვენ გაქვთ ისეთი თვისებები, რომლებიც საზოგადოებისათვის სასურველ წევრად გაქცევთ, მეორე მხრივ, თქვენი ხასიათის სხვა თვისებები თითქოს ამუხრუჭებს ამ გარემოებებს. ეცადეთ გაარკვიოთ რომელი თვისებებია საზოგადოებისათვის მისაღები და რომელი — მიუღებელი.*

*80-119 ქულა: თქვენ საკმაოდ თავშეკავებული ადამიანი ხართ, რომელსაც ზომიერების გრძნობა თითქმის არასოდეს ღალატობს. სიხარული და გულღიაობა თქვენში იმდენივეა, რამდენიც სხვა ემოციები. ენდობით მხოლოდ და მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ამას იმსახურებენ, ვერც მიამიტობასა და გულუბრყვილობას დაგაბრალებთ. ერთ რჩევას კი ნამდვილად მოგცემთ: სცადეთ თავად შეიტანოთ ცვლილებები თქვენს ცხოვრებაში და უფრო მეტად გაიხალისოთ იგი.*

*120-150 ქულა: თქვენ საოცრად გულღია და ხალასი ადამიანი ბრძანდებით, რომელმაც დადებითი ემოციების გამოსახატავად ზღვარი არ იცის. სიხარული თქვენი გრძნობებისა და განცდების მთავარი კომპონენტია, თქვენ სასიამოვნოდ ატარებთ დროს შინაც და გარეთაც, ამ და ზოგიერთი სხვა თვისების გამო, მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევით. მხოლოდ ერთ რამეს გირჩევთ: ნუ იქნებით ზედმეტად მიმნდობი.*

**ნინომ 130 ქულა დააგროვა, თემიკომ 110 ქულა.**

*ინგა სიჭინავა*


განათლება და სიკეთე
AMERICAN ACADEMY TBILISI

## ღია კარის დღე ამერიკულ აკადემიაში

**3 აპრილს 17 საათზე ამერიკულ აკადემიაში ჩატარდება ღია კარის დღე 2002-2003 სასწავლო წელს მე-9 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველებისა და მათი მშობლებისათვის. მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 37ა (ახალი ეკლესიის უკან). ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 22 74 41; 22 78 89.**


CMYK

# კლარა და როზა — უდღეური პარტიის ერთგული მამაკაცები...

ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის დამაარსებლის, კლარა ცეტკინის სახელი ჩვენთვის ბავშვობიდანვე კარგად არის ცნობილი.

ამ სოციალისტმა გერმანელმა ქალმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ქალთა კეთილდღეობისათვის ზრუნვას ისე, როგორც ეს მას ესმოდა.

კლარა ცეტკინი, ანუ კლარა ეისნერი დაიბადა გერმანიაში. მისმა მშობლებმა შემდგომში რატომღაც დაივიწყეს, რა თემებზე ესაუბრებოდა მამამისი — სოფლის მასწავლებელი და ორგანისტი თავის საყვარელ, უფროს ქალიშვილს. „გახსოვდეს, — ეუბნებოდა გოტფრიდ ეისნერი 8 წლის კლარას, — შენ შენი წინაპრების ღირსეული შვილი უნდა იყო. გახსოვდეს: ეისნერები კომპრომისზე არასდროს წასულან. შენი ბაბუა ნაპოლეონის ერთგული ადიუტანტი იყო, მაგრამ როგორც კი ნაპოლეონმა იმპერატორობა მოინდომა, ბაბუა მაშინვე გადადგა!“



„გახსოვდეს, კლარხენ, შენ მამაშენის ღირსეული შვილი უნდა იყო, — ეჩურჩულებოდა გოგონას ძილის წინ დედა, — იმისთვის, რომ სოფლის ღარიბი ბავშვებისთვის ესწავლებინა, მამამ უარი თქვა ლაიფციგში არსებული ბახის ორგანის ორგანისტის საპატიო წოდებაზე.

დიახ, კლარას მშობლები ძალიან უხდებოდნენ ერთმანეთს: მამა თავისი მცირეოდენი ხელფასით თითქმის ნახევარ სოფელს აპურებდა, დედამ კი დაივიწყა თავისი არისტოკრატიული წარმოშობა, სამ შვილს „მარსელიოზას“ ასწავლიდა და გერმანელი ქალების კავშირის ყველა კრებას ესწრებოდა.

ასეთ ატმოსფეროში აღზრდილმა ხუთი წლის კლარამ მშობლებს განუცხადა, რომ მას უნდა იან ჰუსი იყოს. მშობლებს გოგონას ამ სიტყვებისთვის მაშინ ყურადღება არ მიუქცევიათ (სამწუხაროდ), რადგან მისი საოცარი ნიჭით ამაყობდნენ. 9 წლის კლარამ მთელი გოეთე და შილერი გადააბულბულა. 10 წლისამ შექსპირი ზეპირად იცოდა და „ილიადას“ ორიგინალში კითხულობდა.

ნიჭიერმა გოგონამ ბრწყინვალედ დაამთავრა ლაიფციგის სახელგანთქმული ქალთა სემინარია. გამოსაშვებ საღამოზე დირექტორმა 18 წლის კლარას საზეიმოდ გადასცა დიპლომი შემდეგი სიტყვებით: „გახსოვდეთ! ჩვენი სემინარია სამუდამოდ იამაყებს იმით, რომ აქ სწავლობდა ფროილაინ ეისნერი — გერმანული პედაგოგიკის ამომავალი ვარსკვლავი!“

ვერც კლარას მშობლები და ვერც იმ სიტყვების ავტორი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ერთი თვის შემდეგ გერმანული პედაგოგიკის ამომავალი ვარსკვლავი დაიწყებდა „მეფის მკვლელთა პარტიის“ (ასე უწოდებდნენ გერმანიაში იმხანად სოციალ-დემოკრატებს) ფარულ კრებებზე სიარულს, ნახევარი წლის შემდეგ კი ამ პარტიის აქტიური წევრი გახდებოდა.

ბავშვობაში მშობლების მიერ კლარას გულში დათესილმა და გაღვივებულმა თავისუფლების მარცვალმა ასეთი ნაყოფი გამოიღო.

მშობლებს თავზარი დასცა კლარას საქციელმა, მით უმეტეს მას შემდეგ, როცა მან ამაყად ჩაიდო გულის ჯიბეში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მწვანე ფერის წიგნაკი და ხმამაღლა განაცხადა: „დღეიდან ჩვენ მხოლოდ სიკვდილი თუ დაგვაშორებს!“

შეშინებულმა მშობლებმა გადაწყვიტეს, კლარა სახლში დაემწყვდიათ და კრებებზე არ უშვებდნენ, მაგრამ ამან ვერ ჩააქრო კლარა ეისნერის გულში ანთებული რევოლუციური ცეცხლი. კრებაზე წასასვლელად კლარა ფანჯრიდან ხტებოდა.

რაიხსტაგმა მიიღო „განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ“. იმ ღამეს კლარამ სამუდამოდ დატოვა მშობლების ოჯახი და გამოსამშვიდობებელ ბარათში დაწერა, რომ ემშვიდობება ბურჟუაზიულ წარსულს და დაუყოვნებლივ მოუწოდებს მუშებს იარაღის ხელში აღებას.



კლარა ცეტკინი არხანგელსკოეს სამთავრობო სანატორიუმში

მშობლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შვილი გონს მოეგებოდა და ოჯახს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ამაოდ — კლარა აღარ დაბრუნებულა, ოჯახთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და ვაჟკაცურად უმკლავდებოდა სიღატაკეს. კლარა ცოლად გაჰყვა მისი ცხოვრების უდიდეს და ერთადერთ სიყვარულს, რუს სოციალისტს, ოსიპ ცეტკინს, რომელთანაც ორი ვაჟი — მაქსიმი და კოსტია შეეძინა.

ცოლ-ქმარი დაუღალავად ემსახურებოდა რევოლუციურ იდეას. კლარას თხზულებანი პროპაგანდისტული ჟანრის ნამდვილი შედევრები იყო. ის ბრწყინვალე ორატორიც გახლდათ და უზარმაზარი აუდიტორია მას სულგანაბული უსმენდა. კლარა იყო თითქმის ერთადერთი გერმანელი სოციალ-დემოკრატებს შორის, ვინც მხარი დაუჭირა რევოლუციის ლენინისეულ მეთოდს, რამაც განხეთქილება გამოიწვია მასა და მის თანამებრძოლთა შორის და კლარა იძულებული გახდა, რუსეთში გადასახლებულიყო.

კლარამ და ოსიპმა სიყვარულით აღსავსე, მაგრამ მძიმე ცხოვრება გაიარეს. ოსიპი ბრწყინვალე ჟურნალისტი იყო, მაგრამ გასამრჯელოს გამო მთავრობასთან კომპრომისზე არ მიდიოდა და ბურჟუაზიული პრესისაგან ერთი პფენინგიც არ მიუღია. მიუხედავად მიზერული ჰონორარებისა, ის პრინციპულად წერდა სტატიებს მხოლოდ „სახალხო ტრიბუნისა“ და „სოციალ-დემოკრატიულისთვის“. მძიმე ცხოვრებამ კლარა დააავადა, ოცდაათი წლისა მთლად გაჭაღარავდა და ასაკოვან ქალს დაემსგავსა, თუმცა კვლავინდებურად თავდადებული ემსახურებოდა რევოლუციას.

ოსიპი საშინელ სიღატაკეში გარდაიცვალა პარიზში, ეიფელის კოშკის გახსნის დღეს. სახლიდან გაქცევის ოცი წლის შემდეგ, 38 წლის ქვრივი კლარა ცეტკინი ორ მცირეწლოვან ვაჟთან ერთად შტუტგარტში დასახლდა. მისმა ძმამ, არტურმა, დას და დაობლებულ დისშვილებს ჩუმად უყიდა პატარა მყუდრო სახლი. ოჯახს სჯეროდა, რომ კლარა ახლა მაინც მოეგებოდა გონს, მაგრამ ამაოდ. კლარამ თავისი ეკლიანი ცხოვრების გზა ოცი წლის წინ აირჩია. მას დაევალა გერმანიაში ქალთა გაზეთის — „თანასწორობის“ გამოცემა. ამ გაზეთს იგი 25 წლის მანძილზე რედაქტორობდა (1917 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ კლარა დაითხოვა, რადგან მან გერმანიის პოლიტიკა გააკრიტიკა). ამის შემდეგ კლარა მუშაობდა ლაიფციგის სახალხო გაზეთში, სადაც მან 952 სტატია გამოაქვეყნა. ამასთან დაკავშირებით, სავსებით სერიოზულად გახსენდება თანაპარტიელის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები: „კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი ჩვენს უდღეურ პარტიაში ერთგული მამაკაცები არიან“.

სხვათა შორის, კლარას უფროს ვაჟს, კოსტიას, რომელიც 44 წლის ლუქსემბურგზე 15 წლით უმცროსი იყო, მასთან ხანგრძლივი რომანი ჰქონდა და კლარა ოცნებობდა, რომ მგზნებარე როზა მისი რძალი გამხდარიყო. შვილებს უზომოდ უყვარდათ დედა, პატივს სცემდნენ და აფასებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ერთი არ გამხდარა პარტიის წევრი.

თანამებრძოლები ცეტკინს „ველურ კლარას“ უწოდებდნენ და მართლაც, ცეცხლოვანმა კლარამ მთელი ცხოვრება ხიშტის, ჩაქუჩისა და გრდემლის გაერთიანებას, მომავალ მსოფლიო რევოლუციას შეალია.

75 წლის კლარა ცეტკინი, ავადმყოფი, უსუსური მოხუცი იყო, რომელსაც სიარული აღარ შეეძლო და დაბრმავდა კიდეც.

1925 წლიდან ის მუდმივად ცხოვრობდა რუსეთში — სამთავრობო სანატორიუმ „არხანგელსკში“. მას საშინელი სულის ხუთვა და სახსრების აუტანელი ტკივილი ტანჯავდა. მიუხედავად ამისა, ის მუშაობას განაგრძობდა, მდივანს სტატიებს კარნახობდა, ხოლო როცა მარტო რჩებოდა, მუხლებზე მაგარ საქაღალდეს იდებდა და დამოუკიდებლად იწყებდა წერას, თუმცა ვერაფერს ხედავდა... სიკვდილამდე ერთი წლით ადრე კლარა წერდა: „მსოფლიოს დიდი მომავალი ელის, ისტორიული მომენტი გადამწყვეტ ბრძოლას მოითხოვს. ის კარნახობს მშრომელ ქალებს: უყურეთ, გაიაზრეთ, იმოქმედეთ, იბრძოლეთ!..“

სიკვდილის წინა დღეს კი, ცეტკინმა დაიწყო საპროგრამო დოკუმენტის შექმნა — მეორე ინტერნაციონალი „ბელადის“ ფერხთით. მეორე ფრაზა მან ვეღარ დაამთავრა — გულის შეტევა დაეწყო.

მომაკვდავის საწოლთან მისი ვაჟები, კოსტია და მაქსიმი იდგნენ. უკანასკნელად, კლარამ წამოიწია, შვილებს შეხედა და წაიჩურჩულა: „ჩემო ძვირფასებო, როზა, კარლ...“ კლარა ცეტკინი სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი თავის უახლოეს თანამებრძოლებზე — როზა ლუქსემბურგსა და კარლ ლიბკნეხტზე ფიქრობდა.

1933 წლის 19 ივლისს კლარა ცეტკინი გარდაიცვალა.

*დომოვოი №3*

# ქემალ ათათურქი

## რევოლუცია ნახევარმთვარის ქვეყანაში

განვითარების რადიკალური კურსი თურქეთს სრულიად ახალგაზრდა ოფიცერმა დაუსახა: ახალი კანონები, ახალი მოქალაქეობრივი უფლებები, ახალი ჩაცმულობა, ახალი დამწერლობა და ორიენტაცია დასავლეთზე...

1918 წელი, ზაფხული. კურორტი კარლსბადი, სასტუმრო „იმპერიალი“: სადღესასწაულო დარბაზში ევროპელი წყვილები სტეპს ცეკვავენ. მოცეკვავეთ შორიდან შესცქერის 37 წლის თურქი ოფიცერი მუსტაფა ქემალი — დარდანელის ბრძოლების გმირი. იგი აქ ორიოდე დღით არის ჩამოსული დასასვენებლად. ოფიცრის მხლებელი თურქი ქალბატონი სინანულით ამბობს: „ნეტავ, ოდესმე თუ იცეკვებენ ჩვენს ქვეყანაში სტეპს“, რაზეც მუსტაფა ქემალი უპასუხებს: „თუ განგებამ ინება და სახელმწიფოს სათავეში აღმოვჩნდი, ამ ოცნებას ხელის ერთი დაკვრით სინამდვილედ ვაქცევ, — და მორცხვად უმატებს, — თუმცა გამიჭირდება ხალხის შეგნების ამაღლება“.

## მრავალცოლიანობა აკრძალულია

ომით დასუსტებული ოსმალთა უზარმაზარი იმპერიის გუშინდელი მოკავშირეები ქვეყნის ერთმანეთში გადანაწილებას ცდილობენ. მაგრამ... დადგა ქემალის ჟამი — იგი უცხო სახელმწიფოებს თურქეთიდან ფეხს ამოაკვეთინებს, სულთანსა და მის ხელისუფლებას დაამხობს, 1923 წელს თურქეთს რესპუბლიკად გამოაცხადებს და უჩვეულო რეფორმების პროგრამას წარმოადგენს: „რელიგია სახელმწიფოს უნდა გამოეყოს. ქალსა და მამაკაცს თანაბარი უფლებები მიენიჭოს. შეიცვალოს დამწერლობა, რადგანაც იგი არსებულ დასავლურ ცივილიზაციაში მონაწილეობის მიღებაში ხელს გვიშლის“, — ამბობს სახელმწიფოს რეფორმატორი პრეზიდენტი, რომელსაც მოგვიანებით ათათურქი, ანუ თურქთა მამა უწოდეს.



„ქემალის რევოლუცია“ დაიწყო: სახალიფო დაიშალა — თურქეთმა უარი თქვა ისლამური სამყაროს წინამძღოლის როლზეც. შემოღებული იქნა ქრისტიანული კალენდარი, მუსლიმანებს თავიანთ წმინდა პარასკევს უნდა ემუშავათ და ქრისტიანულ კვირადღეს დაესვენათ. აიკრძალა მრავალცოლიანობა, ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის და ევროპულ მოდაზე ჩაცმის უფლება მიიღეს... და სტამბოლისა და ანკარის დიდებულ დარბაზებში სმოკინგსა და შლეიფიან კაბებში გამოწყობილი მამაკაცები და თურქი ქალები სტეპს ცეკვავდნენ. ათათურქი კი, ეს დენდისა და სამხედროს ქარიზმატული ნაჯვარი, მოულოდნელი რეფორმებით დაბნეულ ხალხს, არყით სავსე სირჩით ბედნიერებას უსურვებდა. სულ მალე არაბული ანბანი ლათინურით შეიცვალა, — ათათურქმა მომავალ თაობებს ერთი ხელის მოსმით წაართვა ოსმალთა ცივილიზაციის წერილობითი მახსოვრობა.

## ისლამური დემოკრატია

თურქეთის ყველა მცხოვრები — ქურთი, ჩერქეზი თუ არაბი — თურქეთის მოქალაქედ გამოაცხადა. სკოლებში პატარა ახალ თურქებს ოსმანთა ისტორია კი არ უნდა შეესწავლათ, არამედ თავიანთი პრეისლამური წინაპრების — ხეთებისა და შუმერებისა.

1938 წელს ათათურქი გარდაიცვალა. მან სრულიად განახლებული ქვეყანა დატოვა. თურქეთი რეფორმატორი პრეზიდენტის იდეების ერთგული დარჩა. ქემალიზმი ერთგვარ დოგმად იქცა — ამ „სწორი გზიდან“ გადახვევას არავის აპატიებენ. თუმცა, ბევრი თურქი დღესაც ვერ გეტყვით, აღმოსავლეთს ეკუთვნიან თუ დასავლეთს, მაგრამ მიუხედავად სამი სამხედრო პუტჩისა, ქემალიზმი მაინც საუკეთესო მოდელად რჩება. თურქეთში დღეს სამხედრო დემოკრატიაა გამეფებული, მაგრამ მაინც დემოკრატია, რომელიც ისლამურ სამყაროში საუკეთესოდ ფუნქციონირებს.

*შპიგელი*



# სასარგებლო და უსარგებლო

**ზოგი პროდუქტი მავნებელი და არაფრის მაქნისია. მაგალითად, შემწვარი კარტოფილი ან ძეხვი. ყავასა და პურზე კი დღემდე კამათობენ. სხვათა შორის, წვენებიც კი, ექიმებს მაინცდამაინც სასარგებლოდ არ მიაჩნიათ. მაგრამ ჩვენ არაფრად ვაგდებთ ექიმების რჩევას და ყოველივე ზემოხსენებულს სიამოვნებით მივირთმევთ. რატომ? იმიტომ, რომ ძეხვი — მაწიერია, ყავა სიმხნევეს გვმატებს, კარტოფილი კი — გემრიელია.**

**აი, რას წარმოადგენს სინამდვილეში ჩვენი საყვარელი პროდუქტები:**

## პური

თეთრზე უარი ვთქვათ, ღერღილისას სუფრაზე მივუჩინოთ ადგილი.

**სასარგებლო:** პური B ჯგუფის ვიტამინების წყაროა, რომელიც პასუხისმგებელია ნერვულ სისტემაზე, მხედველობაზე, კანისა და თმის მდგომარეობაზე. ადამიანი ამ ვიტამინების მუდმივ ნაკლებობას განიცდის, ამიტომ პურზე უარის თქმა არასასურველია.

**უსარგებლო:** თეთრი პური იმდენად გაწმენდილია, რომ მასში სასარგებლო ნივთიერებები აღარ არის.

**რა ავირჩიოთ:** უმჯობესია დაღერღილი მარცვლეულის პური. იგი ასუფთავებს ნაწლავებს, ბუნებრივი გზით გამოდევნის წიდებს, ტოქსინებს, მძიმე მეტალებს. დაბალკალორიული შავი პური სასარგებლოა მათთვის, ვისაც ზედმეტი წონა აწუხებს.



## ყავა

**სასარგებლო:** ყავას აქვს მატონიზებელი თვისებები.

**უსარგებლო:** ხელს უწყობს გამელოტებას. აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, თუკი ყავის მოყვარულმა შეამჩნია, რომ მას თმის ინტენსიური ცვენა დაეწყო და ფრჩხილებიც ეფცქვნება, ესეც ყავის „ბრალია", რომელსაც ორგანიზმიდან კალციუმი გამოაქვს. უმჯობესია, თუკი 45 წელს გადაბიჯებული ქალები ყავას საერთოდ არ დალევენ.

**რა ავირჩიოთ:** ჰიპერტონიკებისათვის სჯობს უკოფეინო ყავა — გემო იგივეა, წნევა კი არ იწევს. კუჭის წყლულით დაავადებულებმა და მათ, ვისაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემები აწუხებთ, უნდა მიირთვან მხოლოდ რძიანი ყავა.

## შემწვარი კარტოფილი არაყზე მავნეა

**სასარგებლო:** ჩიპსებსა და წარმოების მიერ გამოშვებულ კარტოფილზე კარგის თქმა შეუძლებელია. ოჯახურ პირობებში შემწვარი კარტოფილი კალიუმს მაინც შეიცავს, რაც აუცილებელია გულისა და სისხლძარღვებისათვის.

**უსარგებლო:** კარტოფილის შეწვის დროს იკარგება ყველა ვიტამინი და მიკროელემენტი. სამაგიეროდ, „მდიდრდება" ისეთი ნივთიერებით, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ხვდება და მის დაბერებას აჩქარებს. შემწვარი კარტოფილი შლის კუჭქვეშა ჯირკვალს და არაყზე უფრო მავნებელია.

**რა ავირჩიოთ:** თუკი მაინც შევწვავთ კარტოფილს, უმჯობესია გამოვიყენოთ რაფინირებული ზეითუნის, სოიის და კაკლის ზეთი.

## ყველი

**სასარგებლო:** ყველი მდიდარია ცილებით და კალციუმით, რაც ხელს უწყობს ძვლების გამაგრებას და ჯანმრთელ კანს.

**უსარგებლო:** ყველის ზოგი სახეობა შეიცავს ტირაზინს და ბიოგენურ ამინებს, რომელიც თავის ტკივილს იწვევს. ასეთებია: როკფორი, კამამბერი, ჩედერი, ბრი. დიეტოლოგები რეკომენდაციას არ უწევენ გამდნარ ყველს.

**რა ავირჩიოთ:** იმ ადამიანებმა, რომელთაც სისხლში ქოლესტერინის დიდი რაოდენობა აქვთ, უნდა მიირთვან ნაკლებად ცხიმიანი ყველი, რაც უფრო მაგარი, ნასვრეტებიანი და ყვითელია ყველი, მით უფრო მეტ კალციუმს შეიცავს.

## ბოსტნეული და ხილი

**სასარგებლო:** ვიტამინების გარდა, ბოსტნეული და ხილი ფასეულია უჯრედისით, რასაც ნაწლავების ცოცხს უწოდებენ.

**უსარგებლო:** გასაყიდად გამოტანილი ხილ-ბოსტნეულის უმეტესობაში ნიტრატების საკმაო რაოდენობაა და ვიტამინებიც საჭიროზე ნაკლებია, ვიდრე საკუთარ ნაკვეთში მოყვანილში. ნიტრატები ხშირად იწვევს მძიმე მოწამვლას, განსაკუთრებით, ბავშვებისას.

**რა ავირჩიოთ:** ყიდვისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ შეუხედავ ხილ-ბოსტნეულს: ნიტრატიანი ნაყოფი უფრო მსხვილი და ლამაზია, კარგი ფერიც აქვს და დიდხანს ძლებს, ხოლო „სუფთა" ხილი და ბოსტნეული დაღრეცილი და უშნოა.

## ძეხვი

უმჯობესია რუხი ფერისა.

**სასარგებლო:** ძეხვი მდიდარია ცილებით, ურომლისოდაც ადამიანს არსებობა არ შეუძლია, იმუნური და ჰორმონალური სისტემა მხოლოდ ცილებზე მუშაობს და მისი ნაკლებობა ორგანიზმს მაშინვე ეტყობა. ძეხვი ასევე ცოტაოდენ რკინასაც შეიცავს, რომელიც ხელს უშლის ანემიის წარმოშობას. ხოლო ის ვიტამინები, რომლებიც ხორცშია, ძეხვად გადამუშავების დროს მთლიანად იკარგება.

**უსარგებლო:** ძეხვეული (განსაკუთრებით, შებოლილი ძეხვი და შაშხი) შეიცავს ჰისტამინს, რომელიც იწვევს თავის ტკივილს, ალერგიას, კანის დაავადებებს, კუჭის წყლულს, ანემიას. ალერგიული რეაქცია შეიძლება გამოიწვიოს საღებავებმა და სტაბილიზატორებმა, რომლებსაც ძეხვეულში იყენებენ.

**რა ავირჩიოთ:** უმჯობესია ავირჩიოთ ძეხვეულის ის სახეობა, რომელსაც ხორცის სტრუქტურა აქვს შენარჩუნებული. მაგ. დაწნეხილი ძროხის ან ღორის ხორცი. მიაქციეთ ყურადღება ძეხვის ფერსაც: რაც უფრო წითელი ფერისაა ძეხვი, მასში მით უფრო მეტი საღებავი და კონსერვანტია, ამიტომ უკეთესია მორუხო ფერის ძეხვი.

## შოკოლადი

სიამოვნება ერთი საათით.

**სასარგებლო:** შოკოლადი გვიყვარს იმიტომ, რომ გვიუმჯობესებს გუნება-განწყობას სიამოვნების ჰორმონის — სეროტონინის გამოყოფის შედეგად. მაგრამ ეს დროებითი ეფექტია. ადამიანი შეიძლება შოკოლადს მიეჩვიოს, უმისოდ ვეღარ გაძლოს, მაგრამ დაგამშვიდებთ — შოკოლადი ნარკოტიკს არ შეიცავს.

**უსარგებლო:** რაც უფრო მუქი ფერისაა შოკოლადი, მასში მით მეტია კოფეინი, რომელიც წნევას ზევით წევს და აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს.

**რა ავირჩიოთ:** ჰიპერტონიკებმა და კუჭ-ნაწლავით დაავადებულებმა უმჯობესია მიირთვან ბაცი ფერის შოკოლადი. ხოლო ვისაც ზედმეტი წონა აწუხებს, მისთვის უმჯობესია შავი, მწარე შოკოლადი, რომელშიც 80% კაკაოა და თითქმის არ არის შაქარი.

## წვენები

**სასარგებლო:** ხილში შემავალი ყველა სასარგებლო ნივთიერება — წვენშიც გადადის.

**უსარგებლო:** ციტრუსების წვენი და ახალგამოწურული წვენი არასასურველია კუჭ-ნაწლავით დაავადებული ადამიანებისთვის.

**რა ავირჩიოთ:** სჯობს წვენი გამოწუროთ არანიტრატიანი ხილისაგან, რადგან ნიტრატი წვენში გადადის. ამიტომ, შეიძინეთ ბოთლში ჩასხმული წვენი.

***სობესედნიკი №8***



# რატომ გვტკივა თავი?

უმეტეს შემთხვევაში ყოველდღიური თავის ტკივილი არ არის დაკავშირებული ტვინთან... ეს გადაღლილობის ბრალია, ამტკიცებენ ექიმები: ემოციური დატვირთვა, შიში და სტრესი იწვევს კისრის, ყელისა და სახის კუნთების შეკუმშვას, რაც თავისთავად მტკივნეულია და თავი გვტკივდება. დაღლილობით გამოწვეულ თავის ტკივილს დაგიამებთ აქტიური წერტილების სტიმულირება ლაწვებზე, თავზე, საფეთქელსა და წარბებს შორის და წარბების დასაწყისში (შუბლთან). ყოველ წერტილზე თითების დაწოლით გავაკეთოთ 10 წრიული მოძრაობა (საათის ისრის მიმართულებით), თანდათან გავზარდოთ დაწოლა, შემდეგ დავითვალოთ 10-მდე და ხელახლა გავაკეთოთ 10 წრიული მოძრაობა, მაგრამ, ამჯერად საპირისპირო მიმართულებით.

***ოტდოხნი! №10***



# ერთგული მეგობრები და მკურნალები

ჯერ კიდევ IX ს-ში ფლანდრიაში (ჰოლანდიის ერთ-ერთ პროვინციაში) ექიმები პაციენტს ურჩევდნენ, დაჰკვირვებოდნენ ცხოველებს, მოევლოთ მათთვის, რათა „სულსა და სხეულს შორის ჰარმონია დამყარებულიყო". ოდითგანვე ისიც ცნობილია, რომ ბინებში, სადაც შინაური ცხოველები ცხოვრობენ, პატრონები იშვიათად ავადმყოფობენ. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ჩვენს „უმცროს ძმებთან" კონტაქტს შეუძლია დააჩქაროს გამოჯანმრთელება და წინ აღუდგეს დეპრესიას, რომელიც ახასიათებს ბევრ სენს. მაგალითად, ძაღლები კურნავენ ნერვულ სისტემასთან დაკავშირებულ დაავადებებს. როდესაც ძაღლი გილოკავთ ხელებსა და სახეს, ცდილობს დაგამშვიდოთ და გაგამხიარულოთ, იგი უმეტეს შემთხვევაში, მიზანსაც აღწევს. გარდა ამისა, ძაღლი, ეს რეალური თანამოსაუბრეა, ასრულებს თქვენს ყოველ სურვილსა და ბრძანებას...

ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც რეაბილიტაციას გადიან ავადმყოფები, რომელთაც მტკივნეულად განიცადეს გაყრა, პირდაპირ პალატებში დასეირნობენ ძაღლები. ექიმებს მიაჩნიათ, რომ ერთგული და თვინიერი ოთხფეხა მეგობრების წყალობით, პაციენტები ბევრად ადვილად ურიგდებიან თავიანთ მდგომარეობას, უბრუნდებათ თავდაჯერებულობა და სწრაფად უმკლავდებიან ფსიქოლოგიურ პრობლემებს.

რაც შეეხება კატებს, ისინი არეგულირებენ სისხლის მოძრაობის სისტემას. ინფარქტგადატანილებს ან მაღალწნევიანებს კატებთან სიახლოვისას უწესრიგდებათ წნევა.

არცთუ დიდი ხნის წინ ამერიკელმა ექიმებმა დაადგინეს კატების სიცოცხლისუნარიანობის მიზეზი: აღმოჩნდა, რომ ეს ცხოველები ტრავმებსა და ჭრილობებს უმკლავდებიან კრუტუნით. მოკრუტუნე კატა ქმნის 22-44 ჰერც ვიბრაციას, რომელიც თურმე აჩქარებს უჯრედების რეგენერაციის პროცესს. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუკი მოკრუტუნე კატის შეხების შემდეგ, სწრაფად მოგირჩებათ ნაკაწრი, გაგიქრებათ სილურჯე. გარდა ამისა, „ულვაშა" ფისოები მოქმედებენ ადამიანებზე, როგორც სიცხის დამწევი საშუალება.

თურმე, როგორც ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, მოჭიკჭიკე ლამაზი თუთიყუშები, რომლებიც გამოსცემენ მაღალი სიხშირის ბგერებს, XX საუკუნის სენის — ქრონიკული დაღლილობის სინდრომის — საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა.

ფრთოსნების პატრონებს კარგად სძინავთ ღამით, დილით კი იღვიძებენ მხნედ და ხალისიანი გუნება-განწყობილებით. გარდა ამისა, მათ ცხოვრებაში თანდათან ქრება სტრესები და განცდები.

რაც შეხება თევზებს, ისინი ხელს უწყობენ მხედველობის კორექციას. ოკულისტების აზრით, მოცურავე თევზებზე დაკვირვება საუკეთესო ვარჯიშია თვალებისთვის (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ეხება ბავშვის მხედველობას). ბიოენერგოთერაპევტებს კი სჯერათ, რომ მრგვალი, გამჭვირვალე აკვარიუმი თევზებით — სივრცეს ჰარმონიით ავსებს, ათანაბრებს გეოპათოგენურ ზონებს, რომელიც თითქმის ყველა ბინაში არსებობს.

***ლიზა-გოროსკოპი №9***

# ადამიანის ფარული რეზერვები

მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანის ორგანიზმში იღვიძებს ფარული რეზერვები: იზრდება კუნთოვანი ტონუსი, უმჯობესდება ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროებს შორის კავშირი, მახვილდება ყნოსვა, სმენა და მხედველობა. თუმცა, არცთუ დიდი ხნის წინ, ბოსტონის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გამოავლინეს, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანს ხვდება რაღაც წინააღმდეგობა (შიში, სტრესი, ნერვიულობა და ა.შ.), მის სისხლში აქტიურდება ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის ორგანიზმის დაბერების პროცესს. საინტერესოა, რომ ამისათვის აუცილებელი არ არის რისკი, ან ექსტრემალურ სპორტში ვარჯიში — გაახალგაზრდავების სეანსი შეიძლება ჩავიტაროთ ატრაქციონების პარკში. მაგალითად, კლაუდია შიფერი შეკითხვაზე, თუ რა არის მისი სილამაზისა და ახალგაზრდობის საიდუმლო, პასუხობს: „დროდადრო დავდივარ საბავშვო ატრაქციონებზე და ასეთი გართობის შემდეგ თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ, კარუსელი ტრიალებს წინ, ამ დროს კი მას ვინც იქ ზის, წლები აქკლდება, აი, ესეც მთელი საიდუმლო"...

***მედიცინა***

# შეკითხვა ექიმს

***ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.***

**დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდის" ერთ-ერთ თავში ვკითხულობთ: „თუ დედაკაცს დაორსულება არ უნდა, უნდა ჭამოს ქაფური ერთი დირჰამი. ერთ წელიწადს არ იქნება ორსული". როგორ შეიძლება მივაგნოთ ამ მცენარეს ან ვის მივმართოთ უკეთ ამ საკითხის გასარკვევად?**

***ერთგული მკითხველი***

დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი" ქართული ტრადიციული მედიცინის კლასიკური ძეგლია. სხვათა შორის, იგი ერთადერთი არ გახლავთ. არსებობს სხვა კარაბადინები (სამკურნალო წიგნები), რომლებიც სხვადასხვა საუკუნეშია დაწერილი და მეტად საინტერესოა დღეისთვისაც, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მათი არაერთი მცენარეული რეცეპტია მოწოდებული. ამ რეცეპტების გამოკვლევა, გამოცდა და მეცნიერულ მედიცინაში დანერგვა უთუოდ წაადგებოდა საერთო ეროვნულ საქმეს.

ქაფურის ხე, რომლის შესახებაც თქვენ მიერ მოწოდებულ რეცეპტშია საუბარი, შავი ზღვის ნაპირებზე — აჭარასა და აფხაზეთში იზრდება. იგი მოზრდილი, მარადმწვანე ხე-მცენარეა. აქვს წვრილი, მოყვითალო-მომწვანო ყვავილები. ნაყოფი მოშავო-მოწითალო ხორციან-კურკიანია. ძველად ამ მცენარეს ხეყვითელასაც უძახდნენ.

ამჟამად ქაფურის ხისაგან ქაფურის ზეთს იღებენ, რომელიც თანამედროვე მედიცინაში ფართოდ გამოიყენება. რაც შეეხება ქაფურის ნაყოფის ჩასახვის საწინააღმდეგო მოქმედებას, მსგავსი ეფექტი სადღეისოდ შესწავლილი და გამოკვლეული არ გახლავთ. თუმცა, გამორიცხული სულაც არ არის, რომ ასეთი ეფექტი მას მართლაც ჰქონდეს.

**ჩემს 10 წლის გოგონას თმა ადგილ-ადგილ ფაქტობრივად გასცვივდა. რა შეიძლება იყოს ამის გამომწვევი მიზეზი და ვის მივმართოთ სამკურნალოდ?**

***ე. მახარობლიძე, ხაშური***

კეროვანი გამელოტება ქრონიკულად და დუნედ მიმდინარე პროცესია და მკურნალობასაც ძნელად ემორჩილება. არის შემთხვევები, რომ ასეთი დაზიანება ნერვული გადაძაბვის, სტრესის ან შოკის შედეგად ვითარდება. ხშირად კეროვანი გამელოტება ადგილობრივ ინფექციასთან არის ხოლმე დაკავშირებული (მაგალითად, მას შეიძლება სოკოვანი ინფექცია იწვევდეს). ცალკეულ შემთხვევებში კერძოდ, ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკში. ბუდობრივი გამელოტება შეიძლება თანდაყოლილი სიფილისის გამოვლინება იყოს. ძალზე იშვიათია ავთვისებიანი ალოპეცია (თმის ცვენა)... თმის ცვენის დასადგენად და მკურნალობის ჩასატარებლად უნდა მიმართოთ ექიმ-დერმატოლოგს (კანის ექიმს). ამასთან, უნდა გითხრათ, რომ რაც უფრო ადრე მიმართავს ასეთი ავადმყოფი ექიმს, მით უფრო შედეგიანია მკურნალობა.

**სამი წლის და ორი თვის ბავშვს მოულოდნელად დაეწყო ენებლუობა, რომელიც ხან აშკარად გამოხატული ფორმით მიმდინარეობს, ხან — ნაკლებად. ენაბლუობა არ ატარებს მემკვიდრეობით ხასიათს. როგორ მოვიქცეთ?**

***პატივისცემით, მკითხველი***

ნერვულ ბავშვებს ენაბორძიკობა ზოგჯერ ეწყებათ ემოციური სტრესის შემდეგ. ასეთი სტრესის მიზეზი ბავშვისთვის შეიძლება იყოს დედასთან განშორება, ახალშობილის შემატება ოჯახში, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, ზედმეტი სიმკაცრის გამოჩენა მათ მიმართ. ამ სიმპტომის გაჩენა უფრო 2-3 წლის ბავშვებს ახასიათებთ, რადგან სწორედ ამ ასაკში პატარა იწყებს რთულ მეტყველებას, გრძელი წინადადებების წარმოთქმას.

შემთხვევათა 90%-ში ასეთი ენაბორძიკობა რამდენიმე თვეში გაივლის. მხოლოდ იშვიათად ხდება სიმპტომის ქრონიკულად ქცევა. ეცადეთ, არ მიაყენოთ ბავშვს ახალი ტრავმა, ნუ მიატოვებთ დიდი ხნით, თუ რაიმე გამოუვალი მდგომარეობა არა გაქვთ... გამოიჩინეთ მის მიმართ სითბო, ყურადღება; როცა ბავშვი გელაპარაკებათ, როგორი დაკავებულიც უნდა იყოთ, ყურადღებით მოუსმინეთ, ნაკლები ელაპარაკეთ, მეტი ეთამაშეთ; ნუ ელოდებით, რომ ენაბორძიკობა სწრაფად გაივლის — ამას დრო სჭირდება, მაგრამ თუ თქვენ შეძლებთ, ჩაწვდეთ ბავშვის სულიერ მდგომარეობას და გამოიყვანოთ პატარა სტრესიდან, ეს აუცილებლად მოხდება.

***თამარ მამაცაშვილი***

## ᲢᲔᲡᲢᲘ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲗ?



***თქვენს თანამგზავრს, რომელსაც სტენოკარდია აწუხებს, ქუჩაში უეცრად დაეწყო გულის არეში ტკივილის შეგრძნება. როგორ მოვიქცეთ?***

**1.** ავუჩქარებ ნაბიჯს, რათა დროზე მივიყვანო შინ.

**2.** გულის არეს დავუზელ ცივი წყლით.

**3.** მაშინვე შევაწყვეტინებ ყოველგვარ მოძრაობას, იქვე დავსვამ ან წამოვაწვენ (თუ საშუალებაა) და ენის ქვეშ ჩავუდებ ვალიდოლს ან ნიტროგლიცერინს.

**4.** გამოვუძახებ სასწრაფოს და მის მოსვლამდე არაფერს არ გავაკეთებ.

**სწორი პასუხია მე-3.**

სტენოკარდიული (გულის არეში ტკივილის) შეტევა იწყება მაშინ, როცა გულის კუნთს მისი მკვებავი სისხლძარღვების (კორონარების) შევიწროების გამო ვერ მიეწოდება იმდენი სისხლი, რამდენიც სჭირდება და სისხლის მიწოდების ეს უკმარისობა ვლინდება ტკივილის სიმპტომით. მკურნალობის პრინციპი ამ დროს ორ ძირითად მომენტს უნდა მოიცავდეს:

**1.** შემცირდეს გულის კუნთის დატვირთვა, რათა მას ნაკლები სისხლის მიწოდება დასჭირდეს.

**2.** გაფართოვდეს კორონარები, რათა მათ მეტი სისხლი მიაწოდონ გულის კუნთს.

ამის მიღწევა კი შეიძლება ფიზიკური დატვირთვის შეწყვეტით და კორონარების გამაფართოებელი პრეპარატების (ნიტროგლიცერინი, ვალიდოლი) გამოყენებით.

ახლა კი ვნახოთ, რა მოხდება, თუ თქვენ მოიქცევით არა მე-3 პასუხის შესაბამისად, არამედ სხვაგვარად:

**1.** თუ სტენოკარდიული შეტევის დროს ადამიანი აუჩქარებს ნაბიჯს, ამით გაიზრდება გულის დატვირთვა და გაღრმავდება შეტევის მექანიზმი. შედეგად კი მივიღებთ იმას, რომ შესაძლოა გულის კუნთში შეუქცევადი ცვლილებები დაიწყოს და ინფარქტი განვითარდეს.

**2.** გულის არის ცივი წყლით დაზელვა კორონარებს (გულის მკვებავ სისხლძარღვებს) კიდევ უფრო შეავიწროებს, ეს კი ისევ და ისევ გააღრმავებს სტენოკარდიის კლინიკურ სურათს. როცა წამლები ხელთ არა გვაქვს, სტენოკარდიული ტკივილისას გულის არეში ცხელ სათბურას ათავსებენ და მსუბუქ შემთხვევაში, ეს საკმარისია ხოლმე შეტევის მოსახსნელად.

**4.** თუ თქვენ სასწრაფოს გამოძახებამდე არაფერს მოიმოქმედებთ, ამან შესაძლოა დიდი ზიანი მოუტანოს ავადმყოფს, რადგან სტენოკარდიის დროს მთავარია არ დაიკარგოს დრო და რაც შეიძლება სწრაფად მოიხსნას ტკივილი. ტკივილის გახანგრძლივება ინფარქტის წინაპირობას წარმოადგენს.

თუ თქვენ მიერ ჩატარებული ღონისძიებების (მე-3 პასუხში მითითებული) მიუხედავად ტკივილი არ მოიხსნა მაშასადამე სტენოკარდიული შეტევა საკმაოდ სერიოზულია და იწყება ინფარქტის განვითარება. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფი სასწრაფოდ უნდა გადაიყვანოთ სტაციონარში.

***თამარ მამაცაშვილი***

## ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ



**6** თვის ასაკში ჩვილის ორგანიზმის დამცველი ძალები ძლიერდება. ახლა მნიშვნელოვანია ბავშვის წონის კონტროლი — 6 თვისათვის ბავშვის წონა უნდა გაორმაგდეს.

მიაქციეთ ყურადღება მოძრაობის აქტივობას — ის უკვე დამოუკიდებლად უნდა ახერხებდეს ზურგიდან გვერდზე, მუცელზე და პირიქით გადაბრუნებას. უნდა წამოჯდეს, თუკი დედას მისი ხელები უჭირავს. ხელში უნდა დაიჭიროს სათამაშოები, უნდა წარმოთქვას განცალკევებული მარცვლები. უკვე დროა ასწავლოთ ბავშვს ღამის ქოთანზე დაჯდომა.

6 თვის ასაკის ბავშვი უნდა კვებოთ დღეში 5-ჯერ — 4-საათიანი ინტერვალით დღისით და 8-საათიანი ინტერვალით ღამით. ამასთან, ძუძუთა კვება 3-4-ჯერ, ხოლო 1-2 კვება უნდა იყოს დამატებითი სახით. დამატებით კვებაზე 4,5 თვიდან ნელ-ნელა უნდა გადახვიდეთ.

არ უნდა მისცეთ ბავშვს დღის განმავლობაში ორჯერ, ერთი და იგივე საკვები.

მენიუ დაახლოებით ასეთია: დილის 6 სთ-ზე — ძუძუთი კვება, 10 სთ-ზე — ფაფა, ხაჭო, ხილის წვენები, 14 სთ-ზე ხილფაფა და ძუძუთი კვება, 18 სთ-ზე — ბოსტნეულის პიურე კვერცხის გულით, ხილის წვენი, 22 სთ-ზე — ძუძუთი კვება.

დამატებითი კვების დროს ბავშვმა შეიძლება გადმოღვაროს პირიდან პიურე ან ფაფა, რადგან უჭირს სქელი მასის გადაყლაპვა. ამიტომაც არის აუცილებელი, დასაწყისში კერძები კარგად გახეხილი და ნახევრად თხევადი იყოს. საკვების მიცემის დროს კოვზი ბავშვს პირში არ ჩაუდოთ, უბრალოდ ტუჩებთან მიუტანეთ.

ყოველ კვებაზე ბავშვმა უნდა მიიღოს 200გ საკვები, მაგრამ მადის მიხედვით, მან შესაძლოა ერთ ჯერზე მეტი ჭამოს, მეორეზე — ნაკლები, ეს სავსებით დაშვებულია.

დამატებითი კვების მიცემის ფონზე შესაძლოა განვითარდეს დიათეზის ნიშნები — წითელი ლაქები სახესა და ტანზე, გამონაყარი, ქერქი თავსა და წარბებზე. უნდა გამოარკვიოთ, რა პროდუქტი ან პროდუქტები იწვევს ამ რეაქციას და დროებით უნდა გამორიცხოთ რაციონიდან. თუ დიათეზი განვითარდა მანანის ბურღულის ფაფის მიღების ფონზე, მაშინ მისი მიზეზი ძროხის რძე იქნება, ამიტომაც ფაფა ბოსტნეულის ნახარშით უნდა დამზადდეს. არ დაგეხმარებათ მანანის ბურღულის შეცვლა — ბრინჯით, წიწიბურით და ა.შ.

დამატებითი კვების დაწყება არ არის რეკომენდებული ბავშვის ავადმყოფობის დროს. იმის კონტროლიც აუცილებელია, რითი იკვებება დედა. მის რაციონში მინიმუმამდე უნდა შემცირდეს ტკბილეული, არ შეიძლება შებოლილი საკვების, მწარე სანელებლების მიღება. ყველაფერი ეს დედის რძის შემადგენლობაზე მოქმედებს.

6,5-7 თვიდან თქვენი პატარის მენიუ კიდევ უფრო მდიდრდება. შეგიძლიათ ხორცის ბულიონი შესთავაზოთ, 7-7,5 თვიდან კი ხორცის ფარში. უპირატესობა მიანიჭეთ ქათმის, ხბოს და ძროხის ხორცს. მე-10 თვეზე ხორცის ფარში შეიძლება შეცვალოთ გუფთით, ორთქლზე მოხარშული კატლეტით, კვირაში 1-2-ჯერ შეიძლება ახალი თევზის მიცემა.

— ნამცხვარი, რაც შეიძლება გვიან გაასინჯეთ.

— არ მისცეთ ერთდროულად ორი ახალი საკვები.

— ახალი საკვები მიეცით მხოლოდ კოვზით. საწოვარას გამოყენების შემდეგ ბავშვი ხშირად პირს აღარ აკარებს ძუძუს.

— ყოველი ახალი საკვები უნდა მომზადდეს უშუალოდ კვების წინ, სისუფთავის ყველა წესის დაცვით.

— შემადგენლობის მიხედვით საკვები ერთგვაროვანი უნდა იყოს.

— მიზანშეწონილი არ არის ორი მყარი და ორი თხევადი საკვების ერთდროულად მიცემა. მაგ. ფაფისა და პიურეს, ან ბულიონისა და კისელის. რადგან პირველ შემთხვევაში საკვები გვიან მოინელება, მეორე შემთხვევაში კი ადრე გადავა კუჭიდან და ნაადრევ შიმშილს გამოიწვევს.

**ბავშვის სამზარეულო:**

1 წლამდე ასაკის ბავშვის საკვებში მარილი ხსნარის სახით, ხოლო შაქარი — სიროფის სახით უნდა მისცეთ.

**მარილის წყალხსნარი:** 25გ მარილი გახსენით 100მლ ცხელ წყალში, წამოადუღეთ, ორმაგ მარლაში გაფილტრეთ და ისევ წამოადუღეთ. ჩაასხით სუფთა ბოთლში და დაახურეთ საცობი.

**შაქრის ვაჟინი:** 100გ შაქრის ფხვნილს დაასხით 100მლ წყალი და ურიეთ განუწყვეტლივ ადუღებამდე. გაფილტრეთ. დაასხით 100მლ ცხელი წყალი და წამოადუღეთ. ასეთი ვაჟინი შეგიძლიათ მოამზადოთ რამდენიმე დღისთვის და შეინახოთ თავდახურული.

**ფაფა ბრინჯის:** 100მლ რძე წარმოადუღეთ. გახსენით 25მლ ცივ გადადუღებულ წყალში 10გ დაფქული ბრინჯი და ჩაასხით ადუღებულ რძეში. განუწყვეტლივ ურიეთ, ხარშეთ ხუთი წუთი. სანამ გაზქურიდან გადმოდგამთ, დაასხით 3მლ შაქრის ვაჟინი, 1მლ მარილის წყალხსნარი.

**წიწიბურის ფაფა ხილის პიურეთი:** ფაფა მოხარშეთ როგორც წინა რეცეპტშია მითითებული. ხარშვის ბოლოს დაუმატეთ 5მლ შაქრის სიროფი, 1მლ მარილის წყალხსნარი და 30-50გ მოხარშული და გახეხილი ხილი, უმჯობესია ვაშლი. შემდეგ ფაფა კვლავ წამოადუღეთ.

**მანანის ბურღულის ფაფა ვაშლით:** 15გ მანანის ბურღული მოხარშეთ წყალში 15 წუთის მანძილზე. დაამატეთ 150მლ რძე, 10მლ შაქრის სიროფი, 2მლ მარილხსნარი. უმი ვაშლი გარეცხეთ, გადაავლეთ ადუღებული წყალი, გაასუფთავეთ, გახეხეთ და 50გრ დაამატეთ მომზადებულ ფაფას.

**სითხის მოცულობა:** 1 ჩაის ჭიქა — 250მლ; 1ს/კ — 18მლ; ჩაის კოვზი — 5მლ.

**ჩაის კოვზში მშრალი პროდუქტების მოცულობა:** მანანის ბურღული — 8გ; ჰერკულესი — 3გ, შაქრის ფხვნილი — 8გ, წიწიბურას ბურღული — 8გ.

***მაია მუხიგული***

## ანანასი — ტროპიკული ხილის მეფე



რომ არა კოლუმბი, ევროპელებისათვის უცნობი დარჩებოდა არა მარტო კარტოფილი, წიწაკა, სიმინდი და მზესუმზირა, არამედ, როგორც მას კოლუმბი უწოდებდა, „ტროპიკული ხილის მეფე“ — ანანასი.

ანანასი ბროწეულისებრი ნაყოფია, ქერქი ყვითელი აქვს, გული — ოქროსფერი, გემრიელი, სურნელოვანი. ანანასი სამკურნალოცაა — მდიდარია ვიტამინებითა და მინერალური ნივთიერებებით.

ნაყოფი შეიცავს: კალიუმს, რკინას, სპილენძს, თუთიას, მანგანუმს, იოდს, მაგნიუმსა და კალციუმს. დიდი რაოდენობით ბრომელინს, რომელიც ხელს უწყობს ცილების დაყოფას, ასტიმულირებს საჭმლის მონელებას, ასუფთავებს სისხლსა და ააქტიურებს იმუნურ სისტემას. ანანასი რეკომენდებულია ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის დროს, დაბლა სწევს მაღალ წნევას. ბოლო მეცნიერული მონაცემების მიხედვით, ის არა მარტო ხელს უშლის სისხლძარღვებში დანალექის წარმოქმნას, არამედ სპობს კიდეც, რითაც იცავს ადამიანს ინფარქტისა და ინსულტისაგან. ნატუროპათების აზრით, ანანასი სასარგებლოა მათთვის, ვისაც დარღვეული აქვს საჭმლის მონელების ტრაქტი. კუჭის წვენის ფერმენტაციული აქტიურობის ასამაღლებლად რეკომენდებულია ჭამის პროცესში 1 ჩ/ჭ ანანასის წვენის ან პატარა ნაჭრის მიღება (განსაკუთრებით, კარგია ნოყიერი სადილის დროს).

ასევე სასარგებლოა ანანასი მათთვის, ვისაც გახდომა სურს (მცირეკალორიულია — 100 გ შეიცავს სულ 48 კკალ). ანანასი კალიუმის მარილების მაღალი კონცენტრატის მეშვეობით ორგანიზმიდან გამოდევნის ზედმეტ სითხეს. ანანასის დესერტი აძლიერებს ცხიმის წვას და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. როგორც კი იგრძნობთ გაცივებას, ნუ იჩქარებთ აბების გადაყლაპვას, ბრწყინვალე გამაჯანსაღებელი ეფექტი ახასიათებს ანანასის სასმელს: მიქსერით ათქვიფეთ 100გ ანანასი, დაამატეთ 100 მლ შინ დამზადებული ბურახი, ცოტა ლიმონის წვენი და მიიღეთ ეს სასიამოვნო წვენი 2-3-ჯერ დღეში.

***ლიზა №11***





ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ

ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘ 95Ლ

ᲨᲐᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ, 100Ც. — 50 Ლ.

ᲨᲞᲡ „ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲘ“, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ Ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55



ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲡ

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**



ᲛᲘᲝᲖᲘᲢᲘ, ᲠᲐᲓᲘᲙᲣᲚᲘᲢᲘ, ᲝᲡᲢᲔᲝᲥᲝᲜᲓᲠᲝᲖᲘ (ᲛᲐᲠᲘᲚᲔᲑᲘ), ᲡᲥᲝᲚᲘᲝᲖᲘ, ᲙᲘᲤᲝᲖᲘ (ᲮᲔᲠᲮᲔᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲠᲣᲓᲔᲑᲐ, ᲙᲘᲡᲔᲠᲛᲠᲣᲓᲝᲑᲐ), ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲑᲠᲣᲡᲮᲕᲔᲕᲐ, ᲛᲔᲬᲐᲚᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲗᲛᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲒᲣᲚᲛᲙᲔᲠᲓᲘ, ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲨᲘ ᲖᲠᲓᲐ.



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე აღმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), I სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08



ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ-ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲛᲘᲙᲠᲝᲒᲔᲜᲘ“

Frenkiel Diagnostics

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲖ. 32Ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76



SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე**



MEDI ᲛᲔᲓᲘ



ᲣᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲔᲞᲘᲚᲐᲪᲘᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘᲡ ᲚᲐᲖᲔᲠᲘᲗ

ᲢᲣᲩᲔᲑᲘᲡ, ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲡ, ᲧᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲪᲘᲐ

ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲙᲘᲐᲟᲘ
თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე

ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲐ,ᲜᲐᲝᲭᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ
ოქროს ძაფებით, ბოტოქსის ინექციებით

ᲐᲚ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ №1 25-02-02 93 89 75

## „ევროკავშირი — დიდი ისტორიული სისულელეა“

თავის წიგნში, „სახელმწიფოს მართვის ხელოვნება“, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, 76 წლის მარგარეტ ტეტჩერი განსაცვიფრებელ აზრს გამოთქვამს, — დროა დიდმა ბრიტანეთმა დატოვოს ევროკავშირიო.



ლედი ტეტჩერი განსაკუთრებულად არასოდეს წყალობდა კონტინენტურ ევროპას. მისი აზრით, ის ყოველთვის იყო მსოფლიო პრობლემების წყარო. მეორე მსოფლიო ომს, ნაციზმს, მარქსიზმს — ყველაფერს სათავე ევროპაში დაედო. ამ პრობლემების გადაწყვეტა კი სხვებს უხდებოდათ...

ჯერჯერობით, ბრიტანელ პოლიტიკოსთა უმეტესობას არ გამოუთქვამს თავისი აზრი მარგარეტ ტეტჩერის შეხედულებასთან დაკავშირებით, მაგრამ ბრიტანეთის პარლამენტის 30 დეპუტატი კონსერვატორთა პარტიიდან, სრულიად ეთანხმება „რკინის ლედის“.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №11***

## ნატოს მანევრებს გაღიზიანება მოჰყვა

ნორვეგიასა და პოლონეთში მანევრების განსახორციელებლად 20 ათასზე მეტი მებრძოლი, 300-მდე თვითმფრინავი და რამდენიმე ათეული გემი იყო გამოყოფილი. მაგრამ როგორც გაირკვა, ამ მშვიდობიან „სწავლებას“ ვარსკვლავიან-ზოლიანი სარჩული ედო.

ვიდრე გერმანელი, ფრანგი და სხვა ნატოელები ნორვეგიის თოვლსა და პოლონეთის ტალახში „ეფლობოდნენ“, ამერიკელი შტაბისტები მოკავშირეებისგან მალულად სრულიად სხვა ამოცანებს ამუშავებდნენ. პენტაგონის თანამშრომლები იხილავდნენ გერმანიის ბაზებიდან პოლონეთის ტერიტორიაზე ტაქტიკური ბირთვული იარაღის გადატანისა და „აგრესორის წინააღმდეგ“ მისი გამოყენების შესაძლო ვარიანტებს. ამერიკული ვერსიით, ამჯერად ვინ გამოვა „ცუდი ბიჭის“ როლში, ძნელი გამოსაცნობი არ არის. ყოველივე ეს, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჯერ არ ჩამცხრალა რუსეთზე ამერიკის ბირთვული რაკეტების დამიზნების გეგმასთან დაკავშირებული სკანდალი, ახალი „მანევრები“, რბილად რომ ვთქვათ, შემაშფოთებელია. პოლონელებმა თავი ისე დაიჭირეს, თითქოს ამერიკელებს ვერაფერს მიუხვდნენ, სამაგიეროდ, გერმანელები აღშფოთდნენ, — როგორ თუ მოკავშირეებმა არაფერი გვაცნობეს მანევრების ესოდენ დელიკატურ დანიშნულებაზეო. „გერმანელი ამხანაგები“ სხვას არაფერს აღუშფოთებია.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №57***

## ჩინეთმა ტაივანს სიგელი უბოძა

ჩინეთმა დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა (ყოველ შემთხვევაში, ქაღალდზე) ტაივანის მიმართ — დათანხმდა ამ უკანასკნელის შესვლას გაეროში იმ პირობით, თუ ტაივანი დე იურე აღიარებს თავს ჩინეთის განსაკუთრებულ პროვინციად. ამასთან, ტაივანს ისევ ექნება მისი ახლანდელი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტი — საკუთარი ვალუტა და საკუთარი ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობა.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს კანცელარიის გამგემ ტაივანის საკითხებში ჯოუ მინვეიმ განაცხადა, — ტაივანის ავტონომია მნიშვნელობით ბევრად ჭარბობს სიანგანის (ჰონკონგის) და აომენის (მაკაოს) ავტონომიებსო. ჩინეთის მიერ ნაბოძები სიგელი სერიოზული ნაბიჯია მომავალი შესაძლო კონსენსუსის გზაზე — მეზობელი კორეის ნახევარკუნძულზეც ნამდვილი შერიგება სწორედ ორივე კორეის სამართალსუბიექტურობის აღიარებით დაიწყო.

***კომერსანტი №57***

# ამერიკა ბინ ლადენს არ აუფეთქებია, მე ვიცი, ვინც ააფეთქა

**გთავაზობთ ამონარიდს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული ტერორიზმის ფსიქოპროფილაქტიკის ინსტიტუტის დირექტორის, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვიქტორ ფერშტის ინტერვიუდან.**

**პროფესორ ვიქტორ ფერშტს მიაჩნია, რომ 11 სექტემბერს ამერიკაში აფეთქება მოახდინა სუპერგასაიდუმლოებულმა ორგანიზაციამ, რომელიც არც ტერორიზმთანაა დაკავშირებული და არც ისლამთან.**

— ჩვენს ინსტიტუტში დამუშავებულმა სიტუაციის მათემატიკური მოდელირების მეთოდმა დაგვანახვა, რომ ამგვარი ტერაქტების ორგანიზება შეუძლებელია სულ ცოტა, ათი განვითარებული ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე, თან ამას საარაკო თანხა სჭირდება. 11 სექტემბრის მოვლენათა ანალიზმა ცხადყო — არსებობს კარგად შენიღბული ორგანიზაცია.

*— ხომ შეიძლება ცდებოდეთ. გაცილებით იოლია ვიფიქროთ, რომ 11 სექტემბერი ფანატების მოწყობილია, რომლებმაც თვითმფრინავის მართვა ისწავლეს და ბილეთებიც საჭირო რეისზე შეიძინეს...*

— მაგრამ კვალი სადღაც ხომ უნდა გამოჩნდეს? ჩვეულებრივი ბინის ქურდობის დროსაც კი დამნაშავეები კვალს ტოვებენ. აქ გაუგონარი ამბები მოხდა — გაიტაცეს ოთხი გიგანტური თვითმფრინავი, ფოსტით დაგზავნეს მომწამლავი ნივთიერებებით სავსე კონვერტები და კვალი არსად დატოვეს?! ამერიკამ მსოფლიოს ბინ ლადენის მამხილებელი ვერანაირი საბუთი ვერ წარუდგინა. დატყვევებული თალიბების გამოსატეხად უახლეს ფსიქოლოგიურ მეთოდებს იყენებენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.



*— დავუშვათ, მართლაც არსებობს რაღაც სუპერსაიდუმლო ორგანიზაცია. თქვენი აზრით, რას უნდა წარმოადგენდეს იგი?*

— პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს არის ტრანსნაციონალური ორგანიზაცია, რომელიც არც ტერორიზმთან უნდა იყოს დაკავშირებული და არც ისლამთან.

*— მაშ, რა აერთიანებს ამ ადამიანებს?*

— ეკონომიკური იდეა. მთელ მსოფლიოში ხდება ბაზრების გადანაწილება. 11 სექტემბრის ტერორის თაოსნები, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კაპიტალიზმის ახალგაზრდა ზვიგენები“ არიან. მათ სურთ ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის შექმნა, მაგრამ მოქმედების დასაწყებად მიზეზი სჭირდებოდათ. სწორედ ამის საბაბად იქცა 11 სექტემბრის მოვლენები.

*— თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ამით მოგება მხოლოდ ამერიკელებმა ნახეს. ხომ ხედავთ, ახლა, ურა-პატრიოტიზმის ტალღაზე აწყობილები, როგორ ცდილობენ, მთელი მსოფლიო თავის დაკრულზე აცეკვონ.*

— დიახ. შტატებმა მოიგო. მათ მიიღეს იმის უფლება, რომ იომონ იქ, სადაც მოესურვებათ. მაგრამ ისრაელმაც მოიგო. ამერიკელებმა ყველას ცხადად დაანახვეს, რომ ტერორიზმი არსებობს იქ, სადაც ისრაელის მტრები ცხოვრობენ. რუსეთმაც მოიგო — ჩეჩნეთის გამო ნაკლებად გვაკრიტიკებენ...

ამ საიდუმლო ორგანიზაციას კიდევ ერთი კრიზისი სჭირდება, უფრო სწორად, ომი. ყველა მათემატიკური მოდელის თანახმად, ლოკალური სამხედრო კონფლიქტი მოსალოდნელია 2002 წლის აგვისტო-სექტემბერში, ხოლო გლობალური — 2003 წლის დასაწყისში.

*— სავარაუდოდ, ამ ორგანიზაციაში რამდენი ადამიანია გაერთიანებული?*

— ალბათ 40-50 კაცი იქნება, იმიტომ, რომ ცოტა ხალხს საიდუმლოს შენახვა არ გაუჭირდება...

*— ვინ შეიძლება მათ თავკაცობდეს?*

— შესაძლოა ფინანსისტი ინტელექტუალები — ძალიან პატივმოყვარე ხალხია. სოროსს, ბილ გეიტსს, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ სფეროში დიდ წარმატებას მიაღწიეს, დაბალი ინტელექტუალური დონე აქვთ, სამაგიეროდ, უზომოდ პატივმოყვარენი არიან, მსოფლიოს ბატონობა სურთ. თეორიულად ბილ გეიტსი შეიძლება იყოს ამ ორგანიზაციის თავკაცი, მაგრამ მეტად ცნობილი პიროვნებაა და ამიტომ საეჭვოა. გარდა ამისა, სექტემბრის მსოფლიო კატასტროფის დაგეგმვა-განხორციელება და შემდეგ უკვალოდ გაქრობა მხოლოდ ახალგაზრდებს შეეძლოთ.

*— მაინც რა ასაკისას?*

— ასე, 30-35 წლისებს.

P.S. ვ. ფერშტის ვერსიას, როგორც საერთოდ ყოველგვარ ვარაუდს, მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც.

***კომსომოლსკაია პრავდა №48***

### კვირის ფრაზა

„მე და სტივ უანდერი ბევრ რამეს ერთნაირად ვხედავთ“...

— ***ჯორჯ ბუში (ნიუზუიქი)***

# პაკისტანში ეკლესია დაანგრიეს



ამ საშინელ ტერაქტზე პასუხისმგებლობა არავის უკისრია. ისლამაბადის დიპლომატიურ კვარტალს, სადაც მოხდა აფეთქება, გაძლიერებულად იცავენ. ჯერჯერობით დამნაშავეთა კვალს ვერ მიაგნეს. თვითმხილველთა თქმით, პროტესტანტულ ეკლესიაში დილის წირვის დროს რამდენიმე აფეთქება გაისმა. ფეთქდებოდა ტერორისტი-კამიკაძეების სხეულზე მიმაგრებული ნაღმები. სავარაუდოდ სამნი უნდა ყოფილიყვნენ. შეძრწუნებული ადამიანები ეკლესიიდან გამორბოდნენ, ზოგი კი სარდაფში, საკვირაო სკოლაში დატოვებულ შვილებს ეძებდა. დაღუპულთა ზუსტი რიცხვი დადგენილი არ არის, სავარაუდოდ 5-ზე მეტია. მძიმედაა დაშავებული 45 ადამიანი. დაღუპულთა შორის არიან ამერიკის საელჩოს თანამშრომელი ქალიშვილთან ერთად, პაკისტანისა და ავღანეთის მოქალაქეები. დაშავებულები ძირითადად სხვადასხვა ქვეყნის საელჩოთა თანამშრომლები არიან. პაკისტანის ხელისუფლების აზრით, ტერაქტი დაგეგმილი და განხორციელებული უნდა იყოს მუსლიმანი ექსტრემისტების მიერ, რომლებიც პრეზიდენტ მუშარაფის პროდასავლური პოლიტიკის წინააღმდეგნი არიან.

***ნოვიე იზვესტია №57***

## მოკლედ

**აშშ**-ში გარდაიცვალა 115 წლის მოდ ფერის-ლიუზი, რომელიც გინესის რეკორდების წიგნმა ოფიციალურად აღიარა პლანეტის უხუცეს ქალბატონად. მისი ადგილი ახლა 114 წლის იაპონელმა ქალმა კამატო ჰონგომ დაიჭირა.

**მოსკოვში** მძარცველებმა ანატოლი სობჩაკის ქალიშვილის, 20 წლის ქსენია სობჩაკის ბინიდან წაიღეს 600 ათასი დოლარის ღირებულების ოქროულობა. სობჩაკის ქვრივი ლუდმილა ნარუსოვა აცხადებს, რომ ბრილიანტებითა და მარგალიტებით მოოჭვილი სამკაულები მისი იყო და ქალიშვილს ათხოვა. მოსკოვის „ტუსოვკების“ აქტიური მონაწილე სტუდენტი ქსენია სობჩაკი ადრეც არაერთხელ გახვეულა სკანდალებში.

**ყირგიზეთის** პარლამენტში რატიფიცირებულია მთავრობათაშორისი შეთანხმება ავსტრალიასთან, დანიასთან, ესპანეთთან, იტალიასთან, კანადასთან, თურქეთთან და საფრანგეთთან მათი სამხედრო მოსამსახურეების ბიშკეკის საერთაშორისო აეროპორტ „მანასში“ განლაგების თაობაზე. მანამდე ყირგიზეთის ტერიტორიაზე ჯარის განლაგების უფლება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მისცა.

**კონექტიკუტის შტატში** გარდაიცვალა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეკონომისტი 84 წლის ჯეიმს ტობინი. მას 1981 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში. ჯეიმს ტობინს ეკუთვნის საერთაშორისო ფინანსურ სპეკულაციებზე საგანგებო გადასახადის დაწესების იდეა. ახლა მას „ტობინის გადასახადი“ ჰქვია.

## კონფლიქტი რელიგიურ საკითხზე გრძელდება



ამ ფოტოზე დღევანდელი ინდოეთისთვის მეტად დამახასიათებელი სცენაა აღბეჭდილი. ქალაქ აიოდჰიას ინდუისტური ტაძრის სვეტებთან თითქმის გვერდიგვერდ დგანან ინდოელი „წმინდანი“ და ჯარისკაცი. ინდუისტი-ფუნდამენტალისტები ცხრა წელზე მეტია, თავიანთ თანამოქალაქე მუსლიმანებს უმტკიცებენ, რომ მათ აქვთ უფლება XV საუკუნეში დანგრეული მეჩეთის ადგილზე ააგონ ახალი ინდუისტური ტაძარი. იანვრიდან მოყოლებული სიტყვიერი კამათი თანდათანობით ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. დაპირისპირება ინდოეთის სხვა შტატებსაც მოედო და 15-ზე მეტი მუსლიმანის სიცოცხლე შეიწირა. უზენაესმა სასამართლომ ინდუისტებს ტაძრის მშენებლობის ნება არ მისცა. საპასუხოდ ინდუისტმა ექსტრემისტებმა განაცხადეს, რომ მეჩეთის ნანგრევებთან ილოცებენ, რადგან ეს ადგილი, მათი აზრით, უკვე ღვთისგან ნაკურთხია ინდუისტური ტაძრის ასაგებად. კონფლიქტის ასაცილებლად ხელისუფლებამ ნანგრევებთან ჯარისკაცი დააყენა.

***იზვესტია №51***

## მასწავლებლები ლონდონშიც იფიცებიან

ბრიტანეთის დედაქალაქის 3 ათასზე მეტი მასწავლებელი სკოლაში არ გამოცხადდა და ერთდღიანი მასობრივი გაფიცვა მოაწყო. მასწავლებლებმა არასაკმარისად მიიჩნიეს ხელფასის 3,5%-ით მომატება, რომელიც მათ აპრილიდან უნდა მიეღოთ. ცნობილია, რომ ქვეყნის სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით ლონდონი დიდი სიძვირით გამოირჩევა. ამიტომაც სახელმწიფო სექტორის ყველა თანამშრომელს ძირითად ხელფასზე დამატებით ეძლევა ე.წ. „ლონდონური დანამატი“. ამასთან, ეს დანამატი პროფესიაზეა დამოკიდებული. მასწავლებლები ითხოვენ მის გაზრდას და იმასაც დასძენენ — პოლიციელები გაცილებით მეტს იღებენო. თუმცა არც პოლიციელები არიან კმაყოფილები და დამატებით ანაზღაურებას ითხოვენ. მათი საქმე იმით რთულდება, რომ დიდ ბრიტანეთში პოლიციელთა გაფიცვა იკრძალება და ახლა წესრიგის დამცველები ფიქრობენ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს მიმართონ ამ აკრძალვის გასაუქმებლად.

***ნიუზუიქი***

## იუგოსლავია აღარ არსებობს...

„იუგოსლავია“ გაქრა მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან. მის ნაცვლად წარმოიქმნა სახელმწიფო „სერბეთი და ჩერნოგორია“. სერბეთი და ჩერნოგორია გაეროში ერთი ხმით იქნებიან წარმოდგენილნი. შეთანხმებას ხელი მოაწერეს იუგოსლავიის პრეზიდენტმა ვ. კოშტუნიცამ და ჩერნოგორიის პრეზიდენტმა მ. ჯუკანოვიჩმა, ორივე რესპუბლიკის პრემიერებმა — ფ. ვუიანოვიჩმა და ზ. ჯინჯიჩმა, აგრეთვე



ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების დარგში ხავიერ სოლანამ. მ. ჯუკანოვიჩმა ჟურნალისტებს განუცხადა, — გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამჟამინდელი ხელშეკრულება არ უკრძალავს ჩერნოგორიას, ჩაატაროს რეფერენდუმი რესპუბლიკის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებითო. „გარკვეული პერიოდი“ კი სამი წელია.

როგორც სერბეთს, ასევე ჩერნოგორიას საკუთარი საბაჟო და ვალუტა ექნება (პირველს დინარი, მეორეს — ევრო), ჯარი საერთო ეყოლებათ, ოღონდ ფორმალურად — თავ-თავიანთ ტერიტორიებზე სერბი და ჩერნოგორიელი ჯარისკაცები ავტონომიურად იმოქმედებენ და სხვადასხვა ხელმძღვანელობას დაემორჩილებიან. სერბეთსა და ჩერნოგორიას ეკონომიკურ სივრცეშიც მოუწევთ პოზიციების დაახლოება — 615-ათასიანი ჩერნოგორია თითქმის არაფერს აწარმოებს, 10-მილიონიან სერბეთში კი ყველაფერი საპირისპიროდაა.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რა ელის კოსოვოს, რომელიც ოფიციალურად ჯერ ისევ იუგოსლავიის პროვინციად ითვლება.

***ვლასტი №9***



## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

*ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.*

*მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.*

*ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...*

# მშრომელი კაცი არ დაიკარგება!

ჩემი გმირები თბილისთან ახლოს მდებარე სოფელში ცხოვრობენ. ჩვეულებრივ, საქართველოში შიმშილით არ კვდებიან — მწირი ლუკმაპური მათაც ჰქონდათ, მაგრამ ჭამა-სმა ყოველთვის როდი აკმაყოფილებს ადამიანს, მით უმეტეს, ახალგაზრდას... ჩემს გმირებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ სახლ-კარს ვერაფერი შეჰმატეს — დიდად ვარგისი ხილ-ბოსტნეული იქ არ მოდის, შემოსავლის გაზრდა მხოლოდ მეცხოველეობით შეიძლებოდა, ამას კი იმდენი ფული სჭირდებოდა, ცოლ-ქმარს თვალითაც რომ არ ენახა...

სხვა გზა არ იყო — გაუჭირდათ, მაგრამ მაინც დატოვეს სოფელი. ბავშვის მოვლა ბებიას მიანდეს და თბილისში დაიწყეს სამუშაოს ძებნა. რის ვაივაგლახით ცოლმა დამლაგებლის 60-ლარიანი ადგილი იშოვა. 60 ლარით ადამიანი რომ ვერ იცხოვრებს, მოგეხსენებათ, მაგრამ ესეც იმედი იყო — პურსა და შაქარს ყიდულობდნენ. კაცი ორი თვის მანძილზე ეძებდა სამუშაოს, ძირითადად, ბაზრის ტერიტორიაზე დადიოდა, რადგან მშვენივრად იცოდა, პრესტიჟულსა და შემოსავლიან საქმეს სინით რომ არ მიართმევდნენ. ერთ დღესაც უცნობმა მძღოლმა სთხოვა — საბურთალოზე გამათბობელი დანადგარი მიმაქვს, მე-7 სართულზე ატანას ვერ შევძლებ? დამეხმარე და 5 ლარს გადაგიხდიო... რა თქმა უნდა, დათანხმდა... საკმაოდ მძიმე ტვირთის ადგილზე მიტანაში გასამრჯელო მიიღო და დაღლილი ბაქტრიონის ქუჩას გაუყვა. რადგან საქმე მაინც არ ჰქონდა, ბუკიას ბაღში უცნობი ხნიერი კაცის გვერდით ჩამოჯდა...

...ხშირად ხდება, რთულ მდგომარეობაში მყოფი, გინდა ვილაცას მიენდო, დარდი გაუნაწილო, ჩემი გმირიც ისე გამოელაპარაკა გვერდით მჯდომს, ვითომ მისი ახლობელი ყოფილიყო...

ცხოვრება სავსეა სასწაულებით: ვინც ეძიებს, ის ჰპოვებს — ეტყობა განგებასაც უნდოდა მისი დახმარება და სრულიად უცნობმა ადამიანმა ისე დაამშვიდა, ისე ელაპარაკა, იმწუთას ეგონა, დედამიწას გადავატრიალებო, — შენი ტოლი რომ ვიყო, გულს დარდს არ მივაკარებდი, შენი ახალგაზრდობით ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიაო, — უთხრა და მოულოდნელად დაუმატა: ასაკოვანი კაცი ვარ, ამ ცხოვრებაში ბევრი რამ გამოვიარე, დავიღალე, ახლა წყნარად ჯდომა მინდა, მაგრამ თუ ხელს გაანძრევ და მომამარაგებ, დავჯდები და ვივაჭრებ. ფულით მეც შეგეშველები, ნაწილი შენც იშოვე, თუ არა გაქვს ისესხე, პირობას გაძლევ, ფეხზე დაგაყენებო...

ხნიერი კაცი რომ მისი ორიოდე გროშის გამომძალველი არ იყო, ამის მიხვედრას დიდი არაფერი უნდოდა... წყვილმაც სოფელში გაჭირვებით შეგროვილი გროშები საქმეში ჩადო... სხვათა შორის, ვაკე-საბურთალოს გამგეობაში არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, სასწრაფოდ გააფორმეს საბუთები, იშოვეს პატარა მაგიდა და დაიწყეს ვაჭრობა... როგორც თვითონ ამბობს, თითოეული ნივთის გაყიდვა თურმე დიდი სიხარულით ავსებდა. დღის ბოლოს პარტნიორებს 4 ლარი მოგება დარჩათ. მერე ნელ-ნელა ამატებდნენ საქონელს ნავაჭრი ფულით. დაუზარელად, ერთგულად და გამუდმებით მუშაობდა. ყოველ საგანს გულდასმით არჩევდა, 1 თეთრსაც კი უფრთხილდებოდა. ყოველ დღე მიდი-მოდიოდა, ამარაგებდა მოხუცს. ამ გულმოდგინე შრომამ შედეგი გამოიღო — რამდენიმე ხნის შემდეგ თვეში საშუალოდ 210-230 ლარი მოგება რჩებოდა... ადრე მას ამ თანხაზე ოცნებაც კი არ შეეძლო... საკმაო მომჭირნეობით თანხა იმდენად გაზარდეს, რომ ცოლ-ქმარმა ცალკე დაიწყო ეს საქმიანობა, ძველ პარტნიორთან კი თავიანთი ახლობელი მუყაითი ბიჭი მიამაგრეს სამუშაოდ. ახლა დღეში 35-40 ლარი მოგება რჩებათ თავიანთი გარჯისა და მუყაითობის წყალობით. მომავლის იმედიც აქვთ — რასაკვირველია. ეს ხალხი დღე-ღამეს ასწორებს და შემოსავალიც იზრდება. ხელი მოემართოთ — გამრჯე, მშრომელი ადამიანი არც ერთ დროში არ დაიკარგება!

***ნიკო გორგი***

**P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**



## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### მემკვიდრეობის ნაწილის გადაფორმება დასაშვებია

**— გარდამეცვალა სიმამრი, ყველაფერი გაფორმებული იყო მის სახელზე. გვინდა ავტომანქანის გადაფორმება მის ვაჟზე. ნოტარიუსში გვითხრეს, რომ ავტომანქანასთან ერთად უნდა გაფორმდეს და მემკვიდრეზე გადავიდეს მთელი უძრავ-მოძრავ ქონება. რამდენად სწორია ეს?**

***ალექსანდრე ჩინჩალაძე, თბილისი.***

— საქართველოს კანონმდებლობა არანაირად არ ზღუდავს მემკვიდრეს მის უფლებებში. მათ შორის, გადაიფორმოს კუთვნილი მემკვიდრეობის ნაწილი — ამ შემთხვევაში, მოძრავი ქონება ავტომანქანის სახით და არა მთლიანად სამკვიდრო.

***იურიდიული ფირმის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი***

### რა ვიცით „ოსკარის“ შესახებ

**— რატომ ჰქვია ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს „ოსკარი“ და რომელი წლიდან დამკვიდრდა იგი?**

***მე-9 კლასელები***

— ამერიკის კინოაკადემიის პრემია შემოიღეს 1929 წელს. ქანდაკების ავტორია სედრიქ გიბბონი. პირველი დაჯილდოების ცერემონია მხოლოდ 5 წუთს გაგრძელდა. პრიზს უბრალოდ ქანდაკება — (THE STATUETTE) ერქვა. რაც შეეხება მის ოსკარად მონათვლას, ეს თურმე სულ უბრალო დამთხვევაა: ერთხელ, კინოაკადემიის მდივანმა ჟურნალისტებთან სიცილით აღნიშნა, რომ სკულპტურა ძალიან ჰგავს მის ბიძას — ოსკარს. სწორედ მას შემდეგ შეარქვეს ჯილდოს „ოსკარი“. ქანდაკება ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან და შემდეგ მოოქროულია, იწონის 4 კგ-ს, ხოლო სიმაღლე 35 სმ-ია.

***„კვირის პალიტრა“***

# „საძმაკაცო კაპიტალიზმი“ და ჩვენი ბიუჯეტი

საბიუჯეტო კრიზისის ათწლიანი ეპოპეა თითქოს დასრულდა. იანვარ-თებერვალში შესრულებული ბიუჯეტი ყოველივე ზემოთქმულის საშუალებას ნამდვილად იძლევა, ყოველ შემთხვევაში, პროგნოზის დონეზე მაინც. საბოლოო სიტყვას კი ალბათ რიგით მესამე, მარტის თვე იტყვის. თუმცა იმავე მარტის თვის ბიუჯეტის შესრულებაზე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული პროგნოზები კეთდება. ეს ნამდვილად არ არის შემთხვევითი. საგადასახადო შემოსავლების მინისტრი ლევან ძნელაძე აღარ მალავს და აცხადებს, რომ უკვე სამი თვეა, რაც მასზე ზეწოლას ახდენენ. მავანი და მავანი ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ქვეყანაში გადასახადები არ აიკრიფოს. თუმცა, მინისტრმა პირველი, აშკარა და საკმაოდ ძლიერი დარტყმა მხოლოდ მარტის თვის დასაწყისში მიიღო. ლევან ძნელაძისა და ავთანდილ ჯორბენაძის ფარული ომიც, შესაბამისად, აშკარა გახდა. ამდენად საფუძველს არ არის მოკლებული იმ ეკონომისტთა პროგნოზი, რომლებიც აცხადებენ, რომ ლევან ძნელაძე მარტის თვის ბიუჯეტს, უბრალოდ, აღარ შეასრულებს.



ლევან ძნელაძე

მეორე ნაწილი კი მინისტრის შეუვალ ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ ძნელაძე უკან არამც და არამც არ დაიხევს.

არადა, ცხადზე უცხადესია, რომ ქვეყანაში არსებული მილიონობით „შავი ფული“ უცებ არ გათეთრდება და არც ბიუჯეტის შევსების მექანიზმი, ანუ წინასწარი გადახდები და ჩათვლები, ერთ-ორ თვეში არ მოისპობა. სხვათა შორის, ლევან ძნელაძის მიმართ წაყენებულ ბრალდებებში, ძირითადად, ეს ორი საკითხი გამოიკვეთა.

რაც შეეხება თავად წინასწარ გადახდებსა და ჩათვლებს, ეს მექანიზმი უკვე რამდენიმე წელია, რაც აქტიურად და, რაც მთავარია, შედეგიანად მოქმედებს. საბიუჯეტო კრიზისმა, რომელიც ყველაზე თვალნათლივ 1998-99 წლებში გამოვლინდა, გადასახადის ამკრეფებს რადიკალური და, როგორც დღეს ჩანს, არასწორი ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგა. როგორც ეკონომისტები აცხადებენ, იმის ნაცვლად, მომხდარიყო ძირითადი გადასახადების აკრეფის სისტემის ადაპტირება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის მოთხოვნებთან, ორიენტაცია აღებულ იქნა საგადასახადო ბაზის შემცირებისაკენ, სხვადასხვა სახისა და ფორმის შეღავათების დაწესების გზით. აღნიშნული ქმედების ნეგატიური ეფექტის ასანაზღაურებლად დაინერგა ცივილიზებული სამეწარმეო გარემოსათვის უცხო პრაქტიკა — გადასახადების პატიება ან ჩამოწერა ზოგიერთი სამეწარმეო სუბიექტისათვის. ამის ნაცვლად, სხვა მეწარმეებმა საერთოდ უარი თქვეს გადასახადების გადახდაზე. საბოლოოდ, გავრცელდა სხვადასხვა ჩათვლის პრაქტიკა. 1998 წელს უნაღდო ანგარიშსწორებით დავალიანებათა გადაფარვაზე 54.3 მლნ აშშ დოლარი მოდიოდა, ანუ საგადასახადო შემოსავლების მთელი 15%. აქედან 39.2 მლნ აშშ დოლარი საგადასახადო დეპარტამენტზე, ხოლო 15.2 მლნ აშშ დოლარი — საბაჟო დეპარტამენტზე.

1999 წელს უნაღდო ანგარიშსწორებამ 31.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ საგადასახადო შემოსავლების 9.5%. 2000 წელს ჩათვლებმა 19.6 მლნ აშშ დოლარით „შეავსო“ საგადასახადო შემოსავლები. გასულ წელს კი ჩათვლები საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 5%-ს შეადგენდა. ეს უკანასკნელი მონაცემი ცხადყოფს, რომ დღეისათვის ბიუჯეტში უფრო მეტი ე.წ. ცოცხალი ფული შედის. მეწარმისათვის გადასახადების წინასწარი გამორთმევაც მინისტრის ერთ-ერთი ბრძანებით დღეს უკვე აიკრძალა. ამ საქმეში „შემჩნეული“ საგადასახადოს თანამშრომელი, ბრძანების მიხედვით, დაუყოვნებლივ დატოვებს დაკავებულ თანამდებობას. თუმცა ჯერჯერობით, ამ მოტივით საგადასახადო დეპარტამენტს არავინ დაუთხოვია.

მთელ ამ ორომტრიალში კი ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია იკვეთება — საქართველო ეკონომიკური რეფორმების გზაზე „გაიჭედა“ — უფრო სწორად, „გაჭედეს“. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მონოპოლისტურ ჯგუფებად ჩამოყალიბებული გავლენიანი ძალები საბაზრო ეკონომიკაზე მხოლოდ ნაწილობრივ გადასვლას ცდილობენ და მიისწრაფვიან გარკვეული წონასწორობისაკენ, ისეთი სიტუაციისაკენ, სადაც (დროებით მაინც) არსებობს კერძო საკუთრება, მაგრამ არ არსებობს კონკურენტული ბაზარი. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე დაუფარავად აცხადებს, რომ სწორედ გავლენიანი ეკონომიკური ჯგუფები უკვე კარგა ხანია, ეწინააღმდეგებიან ქვეყანაში რეფორმების გატარებას და რომ მათთვის ხელსაყრელია ცენტრალიზებული ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შუა გზაზე შეჩერება. „დღეს საქართველოში ხორციელდება მხოლოდ ის რეფორმები, რომელიც არ ეხება გავლენიანი ჯგუფების ინტერესებს. ასეთ რეფორმებს მიეკუთვნება: სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება, განსაკუთრებით ეროვნული ბანკის განმტკიცება (მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, მათი აზრით, საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერება) და სახაზინო როლის გაზრდა. ამასთან, გავლენიანი ჯგუფები ხშირად ეწინააღმდეგებიან საგადასახადო სისტემის რეფორმებს და საგადასახადო ადმინისტრირების განმტკიცებას. ისინი ხედავენ, რომ მთავრობა მზადაა დათმობაზე წავიდეს და დააწესოს საგადასახადო შეღავათები, თვალი დახუჭოს გადასახადების გადაუხდელობაზეც კი, თუ სანაცვლოდ სათანადო ფინანსურ და პოლიტიკურ სტიმულებს შესთავაზებენ.

საბოლოოდ საქართველოში მკვიდრდება ის საბაზრო მოდელი, რომელსაც ბოლო პერიოდში „საძმაკაცო კაპიტალიზმს“ უწოდებენ. სხვათა შორის, ასეთი ეპითეტით კაპიტალიზმის ე.წ. „აზიური მოდელი“ მოიხსენიება“ — აცხადებს რომან გოცირიძე.

მარტის თვე დასასრულს უახლოვდება და, ბუნებრივია, ბიუჯეტის შესრულების ირგვლივ შექმნილი დაძაბულობა სულ უფრო მეტად მძაფრი და აშკარა ხდება. არც ლევან ძნელაძე და არც ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ბიუჯეტის შესრულებაზე წინასწარ არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. ეს გასაგებიცაა, რადგან საკითხი უკვე გასცდა წმინდა ეკონომიკურ ჩარჩოებს და მან პოლიტიკის სიბრტყეზე გადაინაცვლა.

***ლელა წითლანაძე***


**ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები**
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

**ლაზერული პრინტერის კარტრიჯები**
HP LJ 5L/6L, 5P/6P, 1100, 1200, 2000, 4000...
მაღალი ხარისხი, დიდი რესურსი, დაბალი ფასები
C3906A - 41$ C4092A - 41$
C7115A - 41$ C4127X - 80$
ქენონ CANNON E30 - 80$
ანგარიშსწორება ლარებში
მაღაზიები:
იპოტელი – გამსახურდიას 4 ☎ 33 14 25
ტიტანი - პუშკინის 10 ☎ 92 30 83

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 23 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2350 |
| ევრო | 1,9677 |
| ინგლ. ფუნტი | 3,1873 |
| რუსული რუბლი | 0,0716 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,6754 |

„[illegible]“ ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37 (საღამოს); 899-51-51-09; 899-902-091

**საუკეთესო ასლგადამღები აპარატები**
გარანტიით, ფასდაკლებით
შესაძლებელია: განვადება ლიზინგი (იჯარა)

**საუკეთესო ქსეროასლები შავ-თეთრი**
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
**ფერადი — 1 ლარი**
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

შპს „გეოკორი“

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



## თარაზულად:


5
მგლის „სამედიცინო თანამდებობა“ ტყეში


6
სპეციალურად მოწყობილი ადგილი საბრძოლო ტექნიკის გამოსაცდელად


9
ლურჯი ფერის მინერალი, სპილენძის მადანი


10
კუბის დედაქალაქი


11
ინგლისელი მომღერალი, კომპოზიტორი და მსახიობი, თანამედროვე პოპ-მუსიკის ერთ-ერთი ლიდერი


15
მაგარი სასმელი, რომელსაც მადის მოსაყვანად სვამენ


17
იულ ბრინერის კინოსახე ფილმში „შესანიშნავი შვიდეული“

18
მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური


19
აგამემნონის ქალიშვილი, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიების გმირი


20
შუქმგრძნობიარე პრეპარატი ფოტოფირზე


24
ხურდა ფული აშშ-ში


25
ე.წ. შოკოლადის ხე


26
დასამალი ბიოგრაფიული მონაცემი


29
მომჟავო-მოტკბო ნაყოფი


32
ნადირობა აფრიკაში


33
ძრავის მუშაობის რეჟიმი აფრენისას (მაქსიმალური სიმძლავრით)



34
თხზულების წინ წამძღვარებული ციტატა, რომელიც ერთგვარად ახასიათებს ნაწარმოების ძირითად იდეას


35
გრაციოზული ფრინველი

## შვეულად:


1
თითქმის უხილავი საცურაო კოსტიუმი


2
ამერიკელი კინომსახიობი


3
საასპარეზო მოედანი

4
დაზვერვის ორგანოების საიდუმლო თანამშრომელი


5
ბაღის მაკრატელი


7
მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა


8
საუკეთესო ხარისხის ყავა


12
თეატრალური წარმოდგენა


13
ზრდასრულთა არდადეგები

14
შაქარზე ორჯერ უფრო ტკბილი ნივთიერება, იყენებენ მედიცინასა და საკონდიტრო წარმოებაში


16
შინ შესასრულებელი სასკოლო დავალება


21
ოდისევსის მეუღლე — ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო


22
მიწის თხილი


23
დარტყმა, რომლის შედეგად გავიდა გოლი


27
„მარია ანტუანეტა“, „ერაზმ როტერდამელის ტრიუმფი და ტრაგედია“, „ამოკი“ (ავსტრიელი მწერალი)


28
მოსასხამი


30
თამაში პლენერზე

31

რუსული ფაიფურის ცნობილი მწარმოებლის, კუზნეცოვის ქარხნების ადგილმდებარეობა

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №11 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. თაბაშირი; 6. სანტიაგო; 9. მიკრობი; 10. პანამა; 11. ფინალი; 15. ბარომეტრი; 17. აგავა; 18. მარკა; 19. აგარაკი; 20. მავთული; 24. ჰიმნი; 25. წნორი; 26. ელისაბედი; 29. დაკარი; 32. შანელი; 33. შამფური; 34. ატაბასკა; 35. ეკვატორი.

**შვეულად:** 1. კალამი; 2. არმია; 3. ყალბი; 4. „მინდია“; 5. თადარიგი; 7. ობელისკი; 8. გრდემლი; 12. კარნავალი; 13. კროსვორდი; 14. ზვიგენი; 16. კაოლინი; 21. გირვანქა; 22. ალაყაფი; 23. არბალეტი; 27. თრომბი; 28. პასატი; 30. ტანკი; 31. ურიკა.

## მილოცვა



**ციური ხელაშვილს!**
ჩემო საყვარელო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. შენი ცხოვრება სავსე ყოფილიყოს ისეთი ძლიერი სიხარულით, რომელიც 23 წლის წინ, ზუსტად 22 მარტს, შენი დაბადების დღეს განვიცადე. ამ დღეს ხომ შენ დაიბადე. შენთვის ყველაზე ძვირფასი საწყალი – *დედიკო.*
უფალი გფარავდეს ორივეს.

**გოგა ნანიტაშვილს!**
გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. ყოველთვის ასეთი ამაყი და თავაწეული ყოფილიყავი.
*[illegible]*

**საყვარელო თიკო!**
გილოცავ დაბადების დღეს, დიდხანს და ბედნიერად იცხოვრე, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.
*[illegible]*

## მადლობა

საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების გამგეს, **მამუკა ხოშტარიას!**
*ჩემო ახალო დაბადების დღე*
9 მარტიდან ჩემი დაბადების დღე შეიცვალა და მე მეორედ მოვედი ამქვეყნად... ეს შეძლეით თქვენ: **მამუკა ხოშტარიამ, ტასიკო ცხვარიაშვილმა** და მთელმა სამშობიარო განყოფილებამ. [illegible]

*ხათუნა ნაცვლიშვილი-ნაცარაშვილი*

[illegible] გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, **ქეთევან ქუთათელაძეს** და მის თანამშრომლებს – ქალბატონებს: **მარინა სანაძეს და ქეთინო დოჯავაძეს**, უანგარო დახმარებისა და დიდი ხიგთისათვის ვუხდი ულრმეს მადლობას! [illegible]
*ა. დევდარიანი*

## ბინები

იყიდება ან იცვლება ნაკლებფართიან ბინაზე, 3-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, საბურთალოზე, მე-2 სართულზე, [illegible]. ტ: 32-72-16

გაქირავდება: 1) [illegible] ფასი $120.000; 2) [illegible] ფასი $15.000. ტელ: 94-16-14; 899 57-12-38

იყიდება ან იცვლება [illegible] 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

[illegible] ფასი $4.000. ტელ: 34-84-78

## გთავაზობთ სამუშაოს

გვაქვს 4 ვაკანსია. [illegible] 200-400$ [illegible]. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78. [illegible]

[illegible] 200-300 ლარი. [illegible] ჭოველიძის ქ. №2. IV სართ. №13. ტელ: 93-18-84; 899 50-68-25. ქალბატონი ელისო

ინტერნაციონალური სასწავლო სააგენტო გთავაზობთ დასაქმებასა და სწავლას AU-PAIR პროგრამით, პარიზში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში; აგრეთვე, სტუდენტურ და ტურისტულ ვიზებს. მის: წერეთლის გამზ. №95ა. (მანეჟი). ოთხშაბათს, პარასკევს, 14-15 სთ.

## მომსახურება

გეპატიჟებათ ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „ჩიპოლინო"!. საუკეთესო მენიუ, გართობა და დაბალი ფასები. მის: გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზირი, №33ა. ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 38-00-03; 33-76-50; 96-88-82; 899 58-67-29; 877 49-44-35

სამშენებლო სარემონტო კომპანია „კალატოზი" გთავაზობთ მაღალხარისხიან მომსახურებას, საძირკვლიდან გასაღებამდე, რეალურზე დაბალ ფასებში. ტელ: 899 51-38-15

დიზაინის ექსპერიმენტული მიმართულებების კერძო სახელოსნო გთავაზობთ პროექტირებას და შესრულებას, ექსკლუზიური განათების მოწყობილობებს, საოფისე და საცხოვრებელ ავეჯს, კომერციული ობიექტების მოწყობას „გასაღების ჩაბარებით". პროექტები მზადდება უმოკლეს ვადებში, შუამავლობის გარეშე, საკუთარ სახელოსნოში. მის: მელიქიშვილის №6 (შესასვლელი ატეიაქიდან), მე-2 სართ. ტელ: 99-74-04; 877 45-70-91

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვლებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 94-08-10. ვალერი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

სახლის სახურავები, მანსარდები, მოწყობა და გადახურვა თუნუქით, კრამიტით, შიფერით იაფად, გარანტიით, საჭირო მასალების ჩათვლით. ტელ: 95-05-56; 39-44-61; 899 58-98-51

„KNAUF" – შეკიდული ჭერის, კარნიზების დამონტაჟება, გიბსოკარტონისაგან (თაბაშირ-მუყაო). აგრეთვე ჭერი „AMF-Armstrong", ნებისმიერი დიზაინი. მოგემსახურებით ქალაქის საუკეთესო სპეციალისტები. ტ: 96-71-53; 877 71-09-89; 877 71-47-43

„KNAUF" – Монтаж подвесных потолков, перегородок из гипсокардона и „AMF-Armstrong", любой дизайн. Лучшие специалисты города. Тел. 96-71-53; 877 71-09-89; 877 71-47-43

ვიზები, საზღვარგარეთ წამსვლელთათვის, შესაძლებელია ბავშვებთან ერთად, უმოკლეს ვადებში, გარანტიით (თანხის გადახდა ვიზირების შემდეგ): ევროვიზები (გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, ნორვეგია, შვედეთი, ჰოლანდია, საბერძნეთი); ჩეხეთი, რუსეთი (საფრანგეთსა და პორტუგალიაში ჩაყვანა, დასაქმებაში დახმარება). ტელ: 35-49-61; 877 71-06-71

სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია; წესდებების, ხელშეკრულებების და სხვა იურიდიული დოკუმენტების მომზადება. სხვადასხვა სახის იურიდიული მომსახურება. ტელ: 899 96-90-17

გთავაზობთ: გახდომას შიმშილის გარეშე, მცენარეული ნაყენისა და სამასაჟო კრემების გამოყენებით (თვეში 7-10 კგ წონის და 5 სმ სისქის ცხიმის მოცილება); წონაში მომატებას; სიმაღლეში ზრდას, 2-დან 20 წლამდე ადამიანებისათვის (2-4 სმ-ის მომატებით); ნაოჭების გასწორებას; თმის ცვენის შეჩერებას. ტელ: 899 10-21-38. ეკა

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, 1 სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველივე სეანსზე. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

სილამაზის სალონი „სტილი" – ეპილაცია ინდივიდუალური პლატინის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 4-5 ლარი; დეკორატიული მელირება – 15-20 ლარი. აგრეთვე, არსებობს კოსმეტიკისა და პარიკმახერის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. მის: ალმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

## მკურნალობა

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, მოკლე დროში, ყველა ასაკში, აღმდგენი აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით – უახლესი მეთოდით აღგიდგენთ ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას; მოგიხსნით სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას, ხმისა და მეტყველების დარღვევებს. ტელ: 899 55-05-75

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, საშწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ლომთათიძესთან საზღვარგარეთიდან მოწვეული ექიმები მკურნალობენ: მუცლის ზედა როკების, მენჯ-ბარძაყის ანთებებს; ხერხემლის გამრუდებას, რადიკულიტს, თავბრუს ხვევას, თმის ცვენას, სებორეას, ფსორიაზს, პროსტატიტს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრდას, ტროფიკულ წყლულს; მეჭეჭების მოშორება. გინეკოლოგიაში – ეროზიას, კლიმაქტერიულ სინდრომს, ფიბრომიომას, კისტას, უშვილობას, ციკლის დარღვევას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. ხდება სწრაფი დიაგნოსტიკა. გვაქვს მცენარეზე დამზადებული საპონი. მის: ალმაშენებლის 113, კაბ. 17. ახალი პოლიკლინიკა. ლომთათიძე. ტ: 95-74-29 (სამს)

ალერგიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ლოგონევროზის (ენაბლუობა), ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, იმუნიტეტის დაქვეითების, დიაბეტის გვერდითი მოვლენების მკურნალობა გერმანიაში შექმნილი უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას №16, ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა, მე-13 სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 39-58-77

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

მაღალეფექტური მკურნალობა იაპონური აპარატ „ომრონით": ბრონქული ასთმის, ბრონქიტის, ფილტვების დაავადებების, რესპირატორული დაავადების (გრიპი, ხველა, ყელის სიმშრალე, ტკივილი). წერეთლის გამზ. №10 (მ. „წერეთელი"), თერაპიის ინსტიტუტის პოლიკლინიკა. ექიმი დალი პაიჭაძე. ტ: 34-47-24 (დღისით); 33-45-54 (საღამოს)

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ეველინა ლოლაძე.* მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, საშწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ევლინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი კომპიუტერი", გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემსი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

საზღვაო ასოციაცია „პოსეიდონი" გთავაზობთ: 1) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესწავლას (დამწყებთათვის); 2) მოქმედ ბუღალტერთა გადამზადება-სერტიფიცირებას; 3) საოფისე ბუღალტრული კომპიუტერული პროგრამების შესწავლას; 4) უცხო ენების შემსწავლელ კურსებს. გაითვალისწინეთ: ასწავლიან უმაღლესი დონის სპეციალისტები! მის: ძმები ზუბალაშვილების ქ. №17. ტელ: 98-73-31

ვასწავლი კომპიუტერთან მუშაობას ინდივიდუალურად, საფუძვლიანად – Word, Excel, E-mail, Photoshop. დაეუფლებით სწრაფ, ბრმად ბეჭდვას. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 სთ. ფასი: 1 თვე – 60 ლარი. ტელ: 32-72-95. თამრიკო

სტილისტი ასტერი გიწვევთ საპარიკმახერო ხელოვნების შემსწავლელ კურსებზე პრესტიჟულ სილამაზის სალონში „ლედი დი". გაიცემა დიპლომი. მის: კოსტავას №47. ტელ: 92-02-64

## იყიდება

სასწრაფოდ, იაფად! 180 კვმ ფართი, მდებარე – დიდუბის მასივში, III კვ. მე-17 კორპ. – სამკვრივალი [illegible]. გამოდგება საოფისედ, ყველანაირი კომერციული საქმიანობისათვის. მსურველებმა მოგვაკითხონ ადგილზე დირექცია.

ელიტარული, ახალი სამეული (3+2+1), ნატურალური, გერმანული ტყავით, შოკოლადისფერი, იაფად – $1.700-ად. ტელ: 899-08-456; 62-37-34. ომარი, ნანა

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები. გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ანტიკვარული თოფი „ლებო", ძალიან კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი $2.500. ტელ: 34-56-65

კომპიუტერი PENTIUM-4-1.6 GHZ. $740. ტ: 778-36-38. რობერტი

Продаетсяы PENTIUM-4-1.6 GHZ. $740. T: 78-36-38. Роберт

„ლუიზოლი" – კბილის ფხვნილი და სავლები ლოსიონი „გამინფლემი", უმოკლეს დროში მოგიხსნით ღრძილებიდან სისხლდენას, ჩირქს, გაღიზიანებას; გასახდომი და ცელულიტის დამშლელი კრემი, ლოსიონი, მცენარეული კოქტეილი, სწრაფი შედეგით. მის: კაბინეტი „ლუიზოლი". ჭავჭავაძის გამზ. №20. ტელ: 29-19-73; იოსებიძის ქ. №53. ტელ: 37-38-13

ძველებური, გერმანული ვიტრინა, ზედა ნაწილი – სამმხრივი ბროლის მინით, ქვემოთ – 2 კარიანი. $200. ტელ: 23-07-65

## შევიძენ

შევისყიდი ძველ ლეიბებს, საბნებს, ბალიშებს და მათ თეთრეულს, მაკულატურის სახით, კერძო პირებისაგან, ფირმებისა და სამკურნალო დაწესებულებებისაგან. მოგემსახურებით ჩემი ტრანსპორტით. ტელ: 33-40-48; 899 55-00-29. იუზა

## სხვადასხვა

შპს „აგროკონსორციუმი წეროვანის", მცხეთის რაიონში მდებარე ქარხანა იწყებს ფერმერული მეურნეობებიდან უმაღლესი ხარისხის სალი რძის ჩაბარებას. პირობებისთვის დაგვიკავშირდით: 34-01-35; 899 19-77-67

გადაწყვიტეთ დაოჯახდეთ, მაგრამ სასურველი პიროვნება ჯერ არ შეგხვედრიათ? იკითხეთ ყველაზე სასიყვარულო პრესის ლიდერი, გაზეთი „სიყვარულის სამყარო", სადაც განთავსებულია დაოჯახების მსურველთა მონაცემები; ან მობრძანდით გაცნობისა და დაოჯახების კლუბში. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ, ოთახი №210. (შესასვლელი ჭოველიძის ქუჩიდან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59 (10-18 სთ)

სიახლე! 3 აპრილიდან, ყოველ ოთხშაბათს, იკითხეთ ახალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი *„ს ა ხ ე".*

**მიაქციეთ ყურადღება!** ვიწყებთ დროულ მკურნალობას

მიაქციეთ ყურადღება! ვიწყებთ დროულ მკურნალობას! ტრიქომონიაზი არის „კოსმოპოლიტური ხასიათის" შარდ-სასქესო ორგანოების ინფექცია. მსოფლიოში 120 მილიონი ადამიანი დაავადებულია ტრიქომონიაზით. ეს დაავადება გადადის სქესობრივი გზით და მიეკუთვნება სექსუალურ – ტრანსმისიურ დაავადებებს. მისი გამოვლინების ყველაზე ხშირ კლინიკურ ფორმას წარმოადგენს: ვულვოვაგინიტები – ქალებში და ურეტრიტები – მამაკაცებში.

– ჩემი მეგობარი მიამბობს:
„ყოველდღე გაწვალებული ვიყავი, შემაწუხა უჩვეულო გამონადენმა, წვის და ქავილის შეგრძნებამ მიზეზი კი გაურკვეველი იყო, რადგან ვერანაირ დაავადებას ვერ ვაფიქსირებდი და ექიმს კიდევ არ მივაკითხავდი, მაგრამ ჩემს მეუღლეს იგივე პრობლემები დაეწყო . . . „ქალა აღმართს ხნავს"! და მივმართე ექიმს".

ექიმმა დაგვარიგა:
გამოკვლევის შედეგად ექიმმა დაგვისვა დიაგნოზი – „ტრიქომონიაზი" და განგვიმარტა, რომ საწყის ეტაპზე მამაკაცებში ტრიქომონიაზი უსიმპტომოდ მიმდინარეობს, მწვავე ფორმაში კი, იგი აზიანებს მთელ უროგენიტალურ ტრაქტს და იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ურეტრიტი, ცისტიტი და პროსტატიტი. ქალებში დაავადება იჩენს თავს უჩვეულო გამონადენით, რაც ხშირ შემთხვევაში ხდება ექიმთან მიმართვის მიზეზი. ტრიქომონიაზი ქალებში იწვევს ისეთ დაავადებას, როგორიცაა ურეტრიტი, სკენიტი, ცისტიტი და სალპინგიტი. ამ დაავადებებს თან ახლავს უძილობა, ფრიგიდულობა, გაღიზიანება და ზოგჯერ სერიოზული ფსიქიკური დარღვევებიც კი.

– რა ვაკეთოთ ?
მკურნალობისთვის ექიმმა დაგვინიშნა ფრანგული წარმოების პრეპარატი „ატრიკანი–250", რომელმაც შესანიშნავად დაამარცხა დაავადება. შემიძლია ვთქვა, რომ ამ პრეპარატის მიღების შემდეგ „საათივით ვარ აწყობილი".

მიაქციეთ ყურადღება!
პრეპარატი „ატრიკანი–250" წარმოადგენს ძლიერ ტრიქომონოციდურ სამკურნალო საშუალებას, იგი რეკომენდებულია შარდ-სასქესო ორგანოების ტრიქომონიაზის სამკურნალოდ ქალებსა და მამაკაცებში. მისი მიღება მარტივია: თითო კაფსულა დილით და საღამოს 4 დღის განმავლობაში, სქესობრივ პარტნიორებში ერთდროულად.

ყურადღებით! ვიწყებთ დროულ მკურნალობას!

„ინოტექ ინტერნასიონალი" ზრუნავს თქვენს ჯანმრთელობაზე




LABORATOIRE INNOTECH INTERNATIONAL

ვსვ ლაბორატორია "ინოტექ ინტერნასიონალი" – საფრანგეთი
ტელ.: 38 50 40, 93 33 30, 95 18 00
სერტიფიცირებულია

## დიდად პატივცემულო, ძვირფასო რედაქციავ!

მონაწილე ვარ თქვენი დიდი მწუხარებისა და გთხოვთ, მიიღოთ ჩემი დიდი სამძიმარი „კვირის პალიტრის" კოლექტიური წევრის, ბატონ *გიორგი ჯიბლაძის* გარდაცვალების გამო.

დიდი ნუგეშისცემა მის ოჯახს.

უფალმა ღმერთმა ინებოს და ნათელში, სასუფეველში ამყოფოს მისი უკვდავი სული.

*მწუხარებით, თანაგრძნობით – ჰერაბ ხუბუა.* სენაკი, უშაფათი



## თამარ საყვარელიძის ხსოვნას!

ბევრი გულისტკივილი გარგუნათ ღმერთმა, მაგრამ ირგვლივ სიკეთეს აფრქვევდით მუდამ. მწარედ დაგვაღონეთ არასისხლით ნათესავებიც. ნეტავ, ხელმეორედ იბადებოდნენ თქვენისთანა ქალბატონები!

*ნუნუ, მზალო ლობჟანიძეები*

## ნოდარ ბერაიას ხსოვნას!



ჩემო მონატრებულო ძმაო! ათი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ათი წელი არ შეშრობიათ დედას და მამას თვალზე ცრემლი. ხშირად გიგონებენ შენი დისშვილები გივიკო და გურანდა. ყველა ახლობელს ენატრება შენი ცისფერი თვალების და შენი გაშლილი მხრების დანახვა, ენატრები ყველას. დრო ვერ კურნავს შენი სიკვდილით გამოწვეულ ტკივილს. შენ ისე გწყუროდა სიცოცხლე, მაგრამ უკურნებელმა სენმა გამოგვაცალა შენი თავი. გიგონებთ და თვალზე ცრემლი არ გვაშრება. ამბობენ, ღმერთსაც გამორჩეული უყვარსო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ამინ!

*შენი და ლია*

## გოგია (გიგია) ჩერქეზიშვილის მონატრება



სამი წელია, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ და ამ ხნის მანძილზე, უფრო მწარედ ვიგრძენით უშენობა. ძალიან გვენატრება შენი ღიმილი, ხალასი იუმორი და კეთილი გული. დრო კიდევ უფრო გვიმძაფრებს უშენობით გამოწვეულ ტკივილს. უამრავი სიკეთის გამკეთებელს კიდევ ბევრი დაგრჩა გასაკეთებელი, რადგან სიკვდილი მოულოდნელად გეწვია. ღმერთს მხოლოდ საუკეთესოები მიჰყავს და შენც ხომ გამორჩეული იყავი ყველასგან.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*მანანა, ნანული, გურამ ჩერქეზიშვილები*

## რეზო კვანჭიანის მონატრება



ვაი, შენს დედას, შვილო, ორი ცრემლიანი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ამ ქვეყნიდან წახვედი – ათი წლის უნახავი და შინ მოუსვლელი შვილი. ყოველდღე შენს მოლოდინში ვიყავი, მაგრამ არ დაგცალდა სახლში მოსვლა, შვილო... მოულოდნელი იყო შენი სიკვდილი, ხის პატარა ტოტმა გიმსხვერპლა, როცა ბავშვს პარკში ასეირნებდი. გვიმძიმს უშენობა, გვიჭირს იმის დაჯერება, რომ აღარ ხარ ჩვენ შორის. რატომ გაგიმეტა ბედისწერამ ასე სასტიკად, შენ ხომ ძალიან გიყვარდა სიცოცხლე. სიზმარივით გამოგვეცალე ხელიდან. როგორ შეხაროდი შენს პატარა ვლადიმერს, გინდოდა, შვილი კარგ ადამიანად აღგეზარდა, მაგრამ უეცრად წახვედი ამ ქვეყნიდან; წახვედი და დაგვიტოვე დიდი მწუხარება და მოურჩენელი გულისტკივილი. ყველას ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები; არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აღარ შემოაღებ სახლის კარს და არ დაბრუნდები შენს სამშობლოში, მაგრამ, ვაი, რომ ეს მწარე რეალობაა.

ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ იმ ტკივილს, იმ სიცარიელეს, რაც შენი წასვლით დაუტოვე მშობლებს, ოჯახს, ახლობლებს და შენს სვანეთს, ვერაფერი შეავსებს, შვილო... შენს სახელს, რეზო, არასოდეს უწერია დავიწყება. ნათელში იყოს შენი სული.

*შენი უბედური მშობლები*

## გოგიტა ხოკერაშვილის ხსოვნას!



26 მარტს 40 დღე შესრულდება, რაც წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი. თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი. ვინ იფიქრებდა, შენს ჯანსაღ და ძლიერ სხეულს ვინმე მოერეოდა და შენ სასიკვდილოდ გაგიმეტებდნენ?!

შენი დეაკო ხომ ძალიან პატარაა, უმამოდ რომ გაიზარდოს.

ძალიან ძნელია იმ ადგილას გავლა, სადაც შენი ამხანაგები დგანან და შენ იქ აღარასოდეს იქნები.

ძალიან მწარეა შენი გახსენება, შენი მონატრება და იმაზე ფიქრი, რომ შენ ჩვენთან აღარასოდეს იქნები. უძლურია სიტყვები შენს მონატრებაზე. 22 წელი – ეს ხომ ძალიან ცოტაა, ამ ქვეყანაზე იცხოვრო.

ალბათ მართალია, – ღმერთსაც კარგი უნდაო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და უღალატო სული.

*ბიძაშვილები ლალი და ლია*

## გივი აზრუმელაშვილის გახსენება



ერთი გაუსაძლისი წელი გავიდა, რაც ულმობელმა სიკვდილმა შენი თავი წაგვართვა, გივი.

პირველი უხალისო გაზაფხულიც უშენოდ დადგა. ვიხსენებთ შენს სითბოს, სიკეთეს და მონატრების გრძნობა გვეუფლება. საოცრად გიყვარდა შენი ოჯახი, მაგრამ უკურნებელმა სენმა არ დაგინდო და სამუდამოდ ჩამოგაშორა მას.

ნათელი დასდგომოდეს შენს სამუდამო სასუფეველს, გივი!

*შენზე მონატრებული ოჯახი*

## თემურ ივანიძის ნათელ ხსოვნას!



გაიარა ერთმა მტკივნეულმა წელმა, რომელიც მთელ საუკუნეს ჰგავს. ჩვენო საყვარელო და სანატრელო თემურ, ნუგეშს ვერსად ვპოულობთ. 25 მარტს ტრაგიკულად დასრულდა შენი სიცოცხლე და მარადისობაში გადაინაცვლე. შენ ხათრმა და ბოროტების უცოდინარობამ მოგიტანა ეს უბედურება.

ოცი წელიც ვერ იცოცხლე ამქვეყნად, მაგრამ მოასწარი, კაცური სახელი და დიდი სიყვარული დაგეტოვებინა შენი მეგობრების და ახლობლების გულებში. ვაჟკაცი იყავი, ყველასგან გამორჩეული და ამიტომ ღმერთმაც თავისთან მიგიხმო, გამოგარჩია.

შენი ამ ქვეყნიდან წასვლა დაუჯერებელია, ღვთის კიდევ ერთი საოცრებაა ჩვენთვის. იქნებ, გვაპატიო უშენოდ ჩვენი სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ არსებობაა. ჩვენს სიყვარულს განზომილება არა აქვს. ისლა დაგვრჩენია, შენზე ლამაზი მოგონებებით ვიცხოვროთ. ნათელში იყოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

*მშობლები და დები*

## ილიას სალაყაიას!



გათენდა 2002 წლის 26 მარტი და შენი დაბადების დღეც დადგა. ეს დიდი სიხარული 1969 წელს იყო. იმ დღეს გახარებული ჭერი უკვე სამი წელია გლოვობს შენს არყოფნას და დასტირის იმ ჭაბუკს, რომელმაც მხოლოდ სიკეთე აკეთა, მანამ, სანამ ამ ქვეყნიდან წავიდოდა.

ო! როგორ მჭირდები და შენც როგორ გჭირდები ალბათ... შვილის მონატრება ეს რაღაც ზებუნებრივია, ვერც მიუსადაგებ სიტყვას, თანაც თუ დედას ეს შვილი აღარ ჰყავს. როგორ ველოდები შენს ხმას... შენი ბოლო ლაპარაკი ტელეფონით – „დე, რაფერ ხარ?" (თანაც გურულად გამომაჯავრე) – ეს იყო მარტი, 3 რიცხვი. დედობა მომილოცე. მერე, 28 მაისს თითქოს დამემშვიდობე და ამით წერტილი დაუსვი შენს სიცოცხლეს და ჩემს ბედნიერ სიბერეს.

მიჭირს და მერე როგორ მიჭირს სასაფლაოზე ამოსვლა, გზაში სულ ვფიქრობ: ალბათ გავგიჟდი, თორემ მე როგორ მივდივარ ილიას საფლავზე-მეთქი, მაგრამ სიმართლეს ვერ გავექცევი.

ნეტავ, ისეთი კანონი შემოვიდეს, რომ შვილებმა გვაცალონ დედებს სიკვდილი. მე ხომ უფრო შენი ცრემლები დამამშვენებდა – შენი, რომელმაც მხოლოდ 30 წელი იცოცხლე და იცხოვრე კაცურად. ეს შენ იყავი, ჩემო კარგო ბიჭო ილია!

*დედა*

## თამაზ (თაზო) კალატოზის ხსოვნას!



ექვსი ტკივილიანი და ჯოჯოხეთური თვე გავიდა შენი დაღუპვიდან. რომ იცოდე, როგორ გვენატრები და გვაკლიხარ. ალბათ ყველაფერს გადმოლახავდი და ჩვენთან მოხვიდოდი, მაგრამ ვაი, რომ ეს შეუძლებელია. ამ უაზრო ცხოვრებაში, სადაც სამართლიანობა დაკარგულია, სიცოცხლემაც აზრი დაკარგაო და შენც, უსამართლობას, დაკარგულ სიყვარულს, აუხდენელ ოცნებებს – ყველაფერს ერთად ვეღარ გაუძელი და შენი სიცოცხლეც ტრაგიკულად დამთავრდა. ღმერთსაც ჭკვიანები და ახალგაზრდები სჭირდება ალბათ, იქ, სასუფეველში.

*უბედური დედ-მამა*

## ქტესა შალვაშვილის ხსოვნას!



ჩვენო კეთილო პაპა! 7 აპრილს 40 დღე შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. ანგელოზები უფლის წინაშე წარადგენენ შენს სპეტაკ სულს და გვჯერა, უხვად გაცემული სიკეთისთვის, ცათა სასუფეველში დაიმკვიდრებ ბინას.

ჩვენ, ყველას ძალიან გვენატრები, გვაკლიხარ, გვიყვარხარ, პაპი. დარდიანია შენი მეუღლე, რომელთანაც 55 წელი მშვიდად იცხოვრე.

ჩვენ კვლავაც აგინთებთ სანთელს და ვილოცებთ შენი ნათელი სულისათვის. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ნუკრიანის მიწა.

*ოჯახი*

## ბესო ჩოხელის მონატრება



ავად მოსაგონარი 7 ოქტომბერი... შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე – დაუმშვიდობებლად... ისე წახვედი, ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწარი. იქნებ, რა გქონდა სათქმელი?! შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა ყველას – ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, სამეზობლოს.

ჩვენო სიცოცხლევ, ძალიან გვენატრები, გვაკლიხარ, არა მარტო ჩვენ, არამედ ყველას, ვისაც კი შენეულ სითბოს, ღიმილს და სიყვარულს უნაწილებდი, დიდსა და თუ პატარას, სამეგობროდ განაწყობდი.

ჩვენო ბესო, მოგვენატრა შენი გულითადი შეხვედრები, უწყინარი, იუმორნარევი, ღიმილით სავსე, მიმზიდველი საუბრები.

23 მარტს, შენი დაბადების დღეა – 35 წელი შეგისრულდებოდა, რომელსაც პირველად შევხვდებით უშენოდ. ამაზე ძნელი და მძიმე ჩვენთვის არაფერია. როგორ გიყვარდა და გიხაროდა შენი დაბადების დღის აღნიშვნა, ბავშვივით ელოდებოდი, გვეპატიჟებოდი, სიხარულს ვერ ფარავდი. არ ვიცით, რით ვანუგეშოთ შენი საყვარელი დედა, რომლის თვალებშიც მძიმე ტანჯვაა ჩაბუდებული. მის თვალზე ცრემლი არ შრება, ძალიან უჭირს უშენობა.

ჩვენო ბესო, წახვედი ჩვენგან და. თან წაიღე აუხდენელი ოცნებები მომავალზე. შენმა ლამაზმა, მაგრამ ხანმოკლე სიცოცხლემ დიდ ტკივილთან ერთად, შენი გულის სითბო, სიყვარული და ნათელი ხსოვნა დაგვიტოვა. მოწყალებით შევთხოვთ უფალს, რომ შენი ლამაზი სული ნათელში გვიმყოფოს.

*დედის ძმისშვილები ოჯახებით და დეიდაშვილები*

## მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები

1. ხორციელის შაბათი — 24 თებერვალი (9 მარტი);
2. დიდი მარხვის მე-2 შაბათი — 17 (30) მარტი;
3. დიდი მარხვის მე-3 შაბათი — 24 მარტი (6 აპრილი);
4. დიდი მარხვის მე-4 შაბათი — 31 მარტი (13 აპრილი);
5. თომას კვირის სამშაბათი — 1 (14) მაისი;
6. სულთმოფენობის წინა, სულის შაბათი — 9 (22) ივნისი;
7. დიმიტრის შაბათი — 20 ოქტომბერი (2 ნოემბერი).

წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო სულსა მონისა და მხევლისა შენისასა (სახელები), სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

## გურამ პეტრიაშვილის გახსენება

უკვე ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. აღარ ახარებ ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს. შენი სახელით ვამაყობდით, გვიხაროდა, რომ მოახერხე ქართულ ფეხბურთში შენი სიტყვა გეთქვა... გულღია და მეგობრული იყავი და ამიტომაც ძალიან დაგვაკლდი ყველას. შენი ნათელი ხსოვნა მუდამ ჩვენთან იქნება. უფალს შევთხოვთ, მარადიულ სასუფეველში ამყოფოს შენი სული.

*შენი ახლობლები სოფელ მეტეხიდან – თამრიკო დათაშვილი, თემურ გუგულაშვილი, შალვა ლომიაშვილი და სხვები*

## თენგო ძაძამიას მონატრება



აფხაზეთის მკვიდრი, 33 წლის თენგო ძაძამია, 1992 წლის 3 ოქტომბერს მუხანათმა ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა. ამა წლის 26 მარტს მას 43 წელი შეუსრულდებოდა. მისი ვაჟიშვილი მამუკა, უმამობას მწარედ განიცდის.

*მე ათი წლისა დამტოვე მამი,*
*შენ ჩაგიხუტა მშობელმა მიწამ,*
*არ შემიცოდე, ცრემლად მაქციე,*
*ობოლი ვიყავ, ვნატრობდი მუდამ.*
*ობოლი გული, ობლადვე მრჩება,*
*ვერ მოაშუშა დედის ნუგეშმა,*
*მამის სიმკაცრე, მამის ალერსი*
*მოზარდს სჭირდება ვ ზის გასაკვლევად.*
*მოვინახულე შენი საფლავი,*
*ეკალ-ბარდებით დამშვენებული,*
*გული დამძიმდა, ცრემლმა იდინა,*
*საფლავზე ვიყავ მე გამხლართული.*
*მამით ობოლი, დედის ამარა,*
*მიჭირს ბნელეთში გ ზისა გაკვლევა.*
*სიზმარში მაინც გამომეცხადე,*
*და დამარიგე, რა ვქნა ამჯერად?*

## თამარ და ირაკლი ჩოჩიების ხსოვნას!



მონატრების ათი წელი სრულდება, რაც ჩვენგან წახვედი, ბებია თამარ. ახლახან, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, შვილებისა და შვილიშვილების მოსიყვარულე ბაბუა ირაკლი. წახვედით და დაგვიტოვეთ ტკვილიანი მონატრება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სულები. ფაფუკი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური მიწა.

*შვილიშვილები ირაკლი და გია ჩოჩიები; დათო, დემურ [illegible] ურიები. ხარკოვი*

## თენგო ჩაჩავას მონატრება



წელს 40 წლის გახდებოდი! გილოცავ. მეოთხე წელია, ჩვენთვის ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო – ცხოვრება უშენოდ.

უშენობა ყველას დაგვეტყო. მებრალება დედა, მამა, მაგრამ ყველაზე მეტად მებრალები შენ – სიცოცხლით სავსე, საქმიანი, ვაჟკაცური შემართების, რომელმაც ვერც კი გაიგე, ისე მოულოდნელად, ჩუმად, დაუმშვიდობებლად დაგვტოვე. მას შემდეგ მენატრება შენი ხმა, ღიმილი, შენი სითბო. გული მწყდება, რომ ის არავისში და არსად არ არის. შენს სტუმართმოყვარე ოჯახში, კიდევ ერთხელ შევიკრიბებით ახლობლები და მოგილოცავთ დაბადების დღეს. ჩემო კარგო თენგო, დაუვიწყარია შენი ხსოვნა. მჯერა, რომ შენი სპეტაკი სული ზეციურ სასუფეველში დამკვიდრდა. მისი უკვდავება ყოფილიყოს.

*შენი და*

## გია ქუშაშვილის გახსენება



გავიდა ცრემლით სავსე ერთი წელიწადი, კიდევ არა გვჯერა, რომ შენ ჩვენ შორის აღარ ხარ, წახვედი და დაგვიტოვე უსაშველო დარდი. წარმოდგენაც კი გვიჭირს, რომ შენ ჩვენ შორის აღარასოდეს იქნები. შენთან რა უნდოდა სიკვდილს, შენ ხომ სიყვარულს თესდი, შენ ირგვლივ, ჩვენო ჭკვიანო, ლამაზო და უსაზღვროდ კეთილო ძმაო. ვილოცებთ ყოველთვის შენთვის, რომ შენი ნათელი სული გაბრწყინდეს სამუდამო სასუფეველში.

*შენით გულმოკლული ბიძაშვილები*

## ზოია (ზაირა) ჩანტლაძის ხსოვნას!

გამორჩეულად გიყვარდა გაზაფხული. შეტრფოდი სიცოცხლეს. ძალ-ღონეს არ იშურებდი შვილებისათვის, მაგრამ ბედისწერამ არ მოგასწრო ამ გაზაფხულს, რომ დამტკბარიყავი შენი შვილიშვილით. ყველას ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მარინე შეშელიძე*

## ვიქტორ (ვიტია) ტომჩენკოს გახსენება



ჩემო ვიტია! ხუთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ძალიან მაკლიხარ. ძნელად წარმოვიდგენ აბაშას უშენოდ. „ჩვენი რუსი ვიტია" – ასე გეძახდით აბაშელები. გულით ჭეშმარიტი ქართველი იყავი, შენში იყო უკრაინული, რუსული და ქართული – მხოლოდ დადებითი. ჩვენო კეთილო მეგობარო, ქედს ვიხრით შენი ხსოვნის წინაშე. ვცოცხლობ უფლის იმედით, რომ ზეციურ საქართველოში შევხვდები ჩემთვის ძვირფას ადამიანებს. ნათელი დაადგეს შენს წმინდა სულს.

*თამილა (ტომა) ცომაია*

## კახა კიკილაშვილის მონატრება



საყვარელო ძამიკო! გავიდა ცრემლითა და გოდებით სავსე ერთი წელი და აი, დადგა მარტის ის საშინელი დღე, როდესაც იმ არაკაცმა ულმობლად შეწყვიტა შენი წელთა მატება. 24 მარტი საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის. 21 წლისამ დატოვე ეს წუთისოფელი, არადა, როგორ გიხაროდა სიცოცხლე, ჩვენო მოუსვენარო ბიჭო... ყველას ძალიან გვენატრები. არ ვიცი, რით ვანუგეშო დედა, რომელსაც ერთადერთი ისლა დარჩენია, ილოცოს შენი სულისათვის, რომ ღმერთმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი. ამინ!

*შენი ირმა*

## ნინა ანთაძის ხსოვნას!



ჩუმი და მოკრძალებული იყო იგი. უხმაუროდ, დიდი პასუხისმგებლობით აკეთებდა ყველაფერს, რასაც ხელს მოჰკიდებდა. ამიტომაც გამოირჩეოდა მისი შრომები კვლევის სიღრმითა და შედეგების სანდოობით. შესანიშნავმა სპეციალისტმა და დიდად განათლებულმა, მრავალი ახალგაზრდა აზიარა რუსულ ენასა და ლიტერატურას. მისი ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობანი ხასიათდებოდა მაღალი მეცნიერული დონით.

ღვთისაგან ბოძებული დიდი წყალობა სხვაც ჰქონდა ნინა ანთაძეს, ნინო ნაკაშიძის (ანთაძის) ძმისშვილს. იგი ბუნებრივი მასალებით ქმნიდა განსაცვიფრებელ ზღაპრულ პერსონაჟებსა და სიუჟეტებს. საქართველოში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საფუძველი ჩაუყარა ამ ნატიფ ხელოვნებას.

ნინა ანთაძემ სულ ახლახან დატოვა სამზეო. მისმა წასვლამ გული ატკინა მის ნაცნობებსა და მეგობრებს.

ნათელში იყოს მისი სული.

*მეგობრების ჯგუფი*

## კარლო ფიფიას მონატრება



*გამოგივლია ცხოვრება ძნელი,*
*ბედმა გარგუნა მწუხრივაება,*
*ხელაპყრობილი იყავ მლოცველი,*
*სიცოცხლეს სთხოვდი მაღალ ღვთაებას.*
*სულის სიმშვიდეს ქარები ხვევენ*
*და მოგასვენეს სულ სხვა ძალებმა,*
*ჩვენთან დარჩები სიკვდილის მერეც*
*და აენთები სანთლის ალებად!*
*ღამის კოშმარმა დაგძლია რულით*
*და სხეულს შთანთქავს სამარის კარი,*
*შენ წმინდა ქრისტემ გიკურთხოს სული*
*და წმინდა ნინომ ვინათოს ჯვარი!*

ერთი წელი ხდება, რაც ვტირით, ერთი წელი ხდება, უშენობით ვიტანჯებით, ერთი წელია, რაც უზომოდ გვენატრები! უშენობას ვერშეგუებული, შენზე მლოცველი

*შენი ოჯახი*

## არჩილ ჭანკვეტაძის მონატრება



გაიარა ტკივილითა და ცრემლით სავსე ორმა წელიწადმა... წახვედი და დაგვიტოვე უსაშველო სიცარიელე, მოუშუშებელი ჭრილობა, უსასოობის შეგრძნება.

28 მარტს, შენი დაბადების 60 წლის იუბილე უნდა გვეზეიმა... ახლაც მოვალთ შენს საუკუნო განსასვენებელთან. იქნება ბევრი ცრემლი და ბევრი მოგონება... გულს გვიიმედებს იმის შეგნება, რომ ყველა ახლობელსა და მეგობარს შენი ამაგი და კაცურკაცობა მაგალითად და მხნეობის გაკვეთილად დარჩა.

ჩვენო დიდო იმედო, დიდო სიამაყევ, გვენატრები, უსაშველოდ გვენატრები. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*გულდამწვარი მეუღლე ლალი კახიანი, დები ლია და მზია ჭანკვეტაძეები*

## თამაზ გომელაურის მონატრება

გაზაფხული მოვიდა. რამდენი ვეღარ დაესწრო კვირტის გახელას. თამაზ გომელაურიც. კეთილი, თბილი, ჭკვიანი, ნიჭიერი, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი.

თამაზ, ახლა არც შენი დაბადების დღეა, არც აღსრულების... უბრალოდ, შენს სულთან გასაუბრება გვინდა შენს ახლობლებს... მოგვენატრა შენი ღიმილი, შენი სითბო და სიკეთე... შენი ლამაზი ფილმები უშენოდ ცხოვრობენ...

ღმერთმა გაცხონოს, ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი ადგილსა მწვანილოვანსა, სადაც მართალნი განისვენებენ...

*მეგობრები*

# ხელი, რომელიც სხეულს კვეთს

ფიზიკაში ახალი თეორია გაჩნდა, რომელიც ფილიპინელი ჰილერების ფენომენს ხსნის. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მედიცინა არ ცნობს ფილიპინელი ჰილერების ხელოვნებას, დედამიწის ყოველი კუთხიდან ასიათასობით ავადმყოფი ჩადის ფილიპინებზე იმ იმედით, რომ გამოჯანმრთელდება ან უკიდურეს შემთხვევაში, ტანჯვით სიკვდილს ასცდება. ეს ის ხალხია, რომელზეც ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს და სხვა გზა არ დარჩენიათ. ისინი, ფულის გარდა, არაფერს კარგავენ.

ფილიპინებზე ერთკვირიანი გამგზავრება და ჰილერთან მკურნალობა 3-5 ათასი დოლარი ჯდება.

ღირს კი ამდენი თანხის გადახდა?



## მკურნალი ღვთის წყალობით

პირველი სახელგანთქმული ჰილერი, ანუ ფაქტობრივად, ამ მეთოდის შემქმნელია ვინმე ელეუტურიო ტორტე. ტორტე 1900 წელს დაიბადა პანგასინის პროვინციაში. 25 წლამდე არაფრით გამოირჩეოდა. ერთ ღამეს, სიზმარში ორი ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა, — შენი დანიშნულება ხალხის განკურნება არისო. მათვე ასწავლეს ჰილერული ხერხი — ავადმყოფის უდანოდ ოპერირება. ანგელოზებმა კარგი საქმე გაუკეთეს, რადგან სამედიცინო განათლების უქონელ ელეუტურიოს არ შეეძლო მიჰყოლოდა ქირურგობას.

ელეუტურიომ დაიწყო ხელებით ხალხის „გახსნა". ჩვეულებრივი ავადმყოფების გარდა, ორსულ ქალებსაც შველოდა — დედის საშოში ნაყოფს მდგომარეობას უცვლიდა, რომ მშობიარობა ნორმალურად წარმართულიყო. ამ ხელოვნებას მხოლოდ ის ფლობდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ტორტე იაპონელ ოკუპანტებს ებრძოდა. ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა. იაპონურ კონტრდაზვერვაში დიდხანს და საშინლად აწამებდნენ. ომის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ წამებამ თავისი ქნა, მძიმედ დაავადდა. სიკვდილის პირას მისულს კვლავ მოევლინა ორი ანგელოზი და ურჩია, გაეგრძელებინა ადამიანების მკურნალობა.

ელეუტურიომ სძლია თავს და კვლავ დაიწყო „ექიმობა". შედეგად — თავადაც განიკურნა.

ტორტეს საქმიანობა ამერიკელმა მკვლევარებმა შეამოწმეს და საკუთარი თვალით იხილეს, თუ როგორ გაქრა ჰილერის ხელებში ავადმყოფის ყელზე წყლული, მეორე ავადმყოფის თვალიდან კი უცხო სხეული ამოიღო.

ამერიკელები თვალებდაჭყეტილნი უყურებდნენ, რომ ჰილერს რაიმე არ ეეშმაკა, მაგრამ უშედეგოდ — უსისხლო ოპერაცია სანიმუშოდ ჩატარდა.

## პაციენტის სხეულში შეღწევის მეთოდი

შიშველი ხელებით უსწრაფესად ჩატარებული ოპერაციები აეჭვებდა როგორც მეცნიერებს, ასევე უბრალო ხალხს. ამბობდნენ, ისინი ადამიანის სხეულში ხელებით არ შედიან, თითებს შორის სისხლით გაჟღენთილი ბამბა აქვთ მოქცეული, რომელსაც საჭირო შემთხვევაში წურავენ პაციენტის კანზეო. იმასაც ამბობდნენ, ოპერაციების შემდეგ პაციენტები თავს ცუდად გრძნობდნენ და ზოგი კვდებოდა კიდეცო.

თავად ჰილერები არ ამტკიცებენ, რომ ყოვლისშემძლეები არიან. ისინი ამბობენ, რთულ შემთხვევებში ოპერაციის შედეგი დამოკიდებულია მკურნალის არა მარტო ხელოვნებაზე, არამედ ლოცვის ძალაზეო.

1973 წელს დასავლელ მეცნიერთა ჯგუფმა, გერმანელი ფიზიკოსის სიგრუნ ცაიტმანის ხელმძღვანელობით, გამოიკვლია 12 ფილიპინელი ჰილერის საქმიანობა. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ჰილინგი ტყუილთან არ არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ჰილერების მიერ ავადმყოფების მკურნალობის პრინციპის ახსნა ბოლო დრომდე შეუძლებელი იყო. მართლაც, როგორ შეიძლება შიშველი ხელებით, ვთქვათ, მუცელში შეღწევა და იქიდან რაღაცის ამოღება ისე, რომ არავითარი იარა არ დარჩეს?

საიდუმლოს ფარდა აეხადა ახალი ფიზიკური თეორიის საშუალებით. უწინ გაბატონებული იყო აზრი, რომ სამყარო შედგება მატერიისა (რომლის საფუძველს ნაწილაკები შეადგენენ) და ენერგიისგან (ტალღები). ახლა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნივთიერება, რომელსაც ადამიანი ერთ მთლიანობად აღიქვამს, თურმე პაწაწინა ნაწილაკებისგან შედგება და ტალღოვანი ბუნება გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ პირობებში ერთი ფიზიკური სხეული შეიძლება სხვა სხეულში გავიდეს ისე, რომ ამ სხეულთა სტრუქტურა არ დაიშალოს.

მოკლედ, სკეპტიკოსები მაინც დარწმუნებულნი არიან ჰილერების თაღლითობაში. მაგრამ ენდობით თუ არა ჰილერებს, ეს თვითონ უნდა გადაწყვიტოთ.

***ვოტ ტაკ! №10***

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

# მოწანწალე სული

ბებო ტასო ნახევარი საუკუნის წინ გარდაიცვალა და მას შემდეგ ყოველ ღამე დადის ოთახოთახ. ხელში სანთლის ნამწვავებით სავსე თეფში უჭირავს, ანდა სამზარეულოში ზის და დამჭკნარ ტუჩებს აცმაცუნებს. უფერული თვალები აქვს, მანდილიდან ჭაღარა გამოსჩრია.

ბებია მხოლოდ მოხუც ფარსადანს ახსოვს.

— ტასო თავადის ქალი იყო. ეს ამოდენა სახლ-კარი და ადგილ-მამული სულ მის ოჯახს ეკუთვნოდა. ძალიან კეთილები იყვნენ, ყველას ხელს უმართავდნენ, — იხსენებს ბაბუა ფარსადანი, — ბოლშევიკების შემოსვლამ გული გაუხეთქა მის ქმარს. დარჩა ტასოს პატარა შვილი. ნათესაობა უცხოეთში გაიხიზნა. ქონება ჩამოართვეს და ორი ციცქნა ოთახი — ყოფილი სამოახლო — დაუტოვეს. იქ გაატარა წუთისოფელი მისმა დედამთილ-მამამთილმაც. საწყალი ქალი გაჭირვებით არჩენდა ოჯახს — ენებს და მუსიკას ასწავლიდა, კერავდა... სიბერეში თავისეული სახლის ოთახებში სიარული შეუყვარდა. დაჯდებოდა და ჰყვებოდა, სად რა ავეჯი ედგათ, როგორ ლხინს მართავდნენ, ვინ დადიოდა მათთან სტუმრად... მორწმუნე იყო და როცა გარდაიცვალა, წესი ჩუმად, შუაღამისას აუგეს. მაინც გაიგო ვიღაცამ და დაასმინა — კომუნისტურ იდეალებს შეურაცხყოფენო და შეშინებულ ოჯახს ორმოცი აღარ გადაუხდია.

41-ე ღამეს სახლში საშინელი კივილი და გუგუნი გაისმა — ხმა ტუალეტიდან ისმოდა. კარი შევაღეთ. უნიტაზზე ჩამომჯდარიყო გარდაცვლილი ტასო, შიშველი ფეხები გაეჭიმა და გამხმარი პურის ყუას ღოღნიდა.

შეცვივდნენ მეზობლები, მაგრამ ტასოს წარბიც არ შეუხრია, მხოლოდ მაშინ გაუჩინარდა, როცა მილიციამ შემოაბიჯა სახლში, — დასძინა ბაბუა ფარსადანმა.



...რამდენიმე წლის წინ შვილთაშვილებმა სახლი აკურთხეს, მაგრამ დიდედას იქიდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს. მღვდელს უამბეს ყველაფერი. ორმოცი რომ გადაგეხადათ, ეს არ მოხდებოდაო, — თქვა მოძღვარმა. მას შემდეგ პანაშვიდს ყოველკვირა უხდიან ტასო ბებოს. ახლაც ჩნდება, მაგრამ მშვიდი სახე აქვს.

***თეო კეშელიძე***

# მკვლელი სარკე

შარშან, წლის მიწურულს, პარიზის გაზეთებში გამოჩნდა უჩვეულო განცხადება, რომელიც ანტიკვარების ჯგუფმა გამოაქვეყნა. ისინი აფრთხილებდნენ პარიზელებს, არ შეეძინათ ძველებური სარკე, რომლის ჩარჩოზეც იქნებოდა წარწერა „ლუი არნო, 1743 წელი".



ექსპერტების ცნობით, ამ სარკესთან დაახლოებით 38 ადამიანის სიკვდილია დაკავშირებული. იგი დაცული იყო ყოველმხრივ დაგმანულ საწყობში, მაგრამ იქიდანაც საიდუმლო ვითარებაში გაქრა.

გაზეთის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ეს უცნაური სარკე შეიძლება მოხვდეს პარიზის ერთ-ერთ ანტიკვარულ მაღაზიაში, ამიტომ ანტიკვარიატის მოყვარულები უნდა გაფრთხილდნენ ძველებური სარკის შეძენისას.

ბევრმა ეს განცხადება მიიჩნია პოლიციის ხრიკად, რომელიც ამ ხერხით გზას უკეტავდა ქურდებს, არ მიესაღებიათ სარკე ვინმე გულუბრყვილოსათვის.

ამ განცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ პარიზის გარეუბნის ერთ-ერთ ძველ სახლში იპოვეს პოლიციისთვის კარგად ცნობილი ქურდის ჟაკ დიურენის, მეტსახელად გასკონელის, ცხედარი. იგი იწვა სწორედ იმ ძველებური სარკის წინ, სახე კი შიშისაგან დამანჭვოდა.

ანატომიურმა ექსპერტიზამ გასკონელის გვამზე ძალადობის კვალი ვერ აღმოაჩინა. როგორც ჩანს, ქურდი მკვლელი სარკის მორიგი მსხვერპლია.

***ინტერპოლ-ექსპრესი №11***

# მოდი და ნუ დაიჯერებ!



ნათქვამია, გარდაცვლილის სული ორმოცამდე შინ ტრიალებსო... ამის უნებლიე მოწმე თავად შევიქენი.

კახეთში ძმის ცოლი გარდამეცვალა. დაკრძალვის შემდეგ, წესისამებრ, ორმოცი დღის მანძილზე ოთახის კუთხეში მდგარ პატარა მაგიდაზე გველაგა გარდაცვლილის სურათი, ყვავილები, ჭიქით წყალი (ამბობენ, სული წყალს სვამსო) და სანთლები, რომელსაც ყოველ საღამოს ვანთებდით.

მეორმოცე დღეს ამ ოთახში მარტო ვიწექი. უეცრად გამეღვიძა. იქნებოდა ღამის 2-3 საათი. უნებლიეთ თვალი მაგიდისკენ გამექცა: უკუნ სიბნელეში გაიელვა 4-5 სმ-ის სიგრძის სხივმა და ჭიქაზე დაეშვა, თითქოს წყლის დალევას აპირებსო. შიშისაგან ლოგინში ჩავძვერი და საბანი წავიფარე. ეს ამბავი რომ მოვყევი, მითხრეს, გარდაცვლილის სული გინახავსო. არ გჯერათ, ხომ? სხვის ნაამბობს არც მე დავიჯერებდი.

***ლ. ბეჟაშვილი, თბილისი***

## „საზალოო–სალაღო" გვერდის პასუხები

**I.** მე-3 და მე-10 საათი.

**II. რებუსი**
მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.

**III.** ქათამი.

**IV.** მე-3, მე-6, მე-11 და მე-12.

**V.** 1-ლი და მე-5 ზვიგენი.






# ისევ „რეალი“ — „ბაიერნი“

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური

32 გუნდიდან, რომელთაც გასულ შემოდგომაზე ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდოსათვის დაიწყეს ბრძოლა, ტურნირს ზუსტად მეოთხედი შემორჩა. მადრიდის „რეალს“, „ბაიერნს“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „დეპორტივოს“, რომელთაც ბოლო ტურამდეც განაღდებული ჰქონდათ მეოთხედფინალში თამაში, გასულ სამშაბათს და ოთხშაბათს კიდევ ოთხი გუნდი დაემატა: „პანათინაიკოსი“, ლევერკუზენის „ბაიერი“, „ბარსელონა“ და „ლივერპული“.

ბოლო ტურის წინ ყველაზე საინტერესო სიტუაცია B ჯგუფში იყო შექმნილი, საიდანაც ოთხივე გუნდი აცხადებდა პრეტენზიას გასვლაზე. დიდებული საჩუქარი უძღვნეს გამოჯანმრთელებულ ჟერარ ულიეს მისმა შეგირდებმა — „ლივერპულმა“ ლიტმანენის გატანილი პენალტისა და ჰესკის ბრწყინვალე თავურის წყალობით 2:0 მოუგო იტალიის ჩემპიონს — ფაბიო კაპელოს „რომას“ და იტალიის ჩემპიონატის ამარა დატოვა. ჟერარ ულიე კი ჯერჯერობით სიტყვას ასრულებს — „ლივერპული“ ლიგის მეოთხედფინალში გავიდა და არც პრემიერ ლიგაში აქვს საქმე ურიგოდ. უალრესად დაძაბული სიტუაცია იყო შექმნილი „გალათასარაისა“ და „ბარსელონას“ სტამბოლში გასამართი მატჩის წინ. ერთი კვირის წინ რომში „გალათასარაის“ ფეხბურთელებს მუშტი-კრივი გაუმართეს და ფიქრობდნენ, რომ შინ თურქები ატეხდნენ აყალმაყალს. სეირის მოყვარულთა სამწუხაროდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, „გალათასარაი“ ღირსეულად შეხვდა მარცხს.



A ჯგუფში ყველაფერი გარკვეული იყო და მატჩები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად 3:0 მოუგო „ბოავიშტას“ და ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა „ნანტის“ მძლეველ მიუნხენის „ბაიერნს“.

მოულოდნელი არც C ჯგუფში არაფერი მომხდარა. მადრიდის „რეალმა“ ათენში პირველი ქულები დაჰკარგა, „სამეფო კლუბის“ მეორე შემადგენლობა „პანათინაიკოსს“ დაუზავდა, მოპოვებულმა ქულამ ბერძნებს მეოთხედფინალის საგზური არგუნა. მეორე გამარჯვება მოიპოვა ჩეხურმა „სპარტამ“, რომელმაც შინ წლეულს ფრიად უხეიროდ მოთამაშე „პორტუს“ სძლია და სამ ქულასთან ერთად უეფას მიერ ლიგაში თითოეული მოგებული მატჩისათვის დაწესებული ჰონორარიც დაისაკუთრა, თუ ეს თანხა „ბაიერნისა“ და „მანჩესტერისათვის“ არაფერს ნიშნავს, ჩეხური კლუბისათვის ესეც საქმეა.

D ჯგუფიდან გასვლის შანსს ბოლო ტურის წინ „არსენალი“ და ლევერკუზენის „ბაიერი“ ინარჩუნებდნენ. „მეთოფეები“ ტურინში „ბებერი ქალბატონის“ განახევრებულ შემადგენლობასთან დამარცხდნენ, კვლავ „ივაჟკაცა“ ტიერი ანრიმ — საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა წინა ტურში „დეპორტივოსთან“ გაფუჭებულ პენალტს, ტურინში კიდევ ერთი უშედეგო პენალტი მიაყოლა და „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საგზურის გარეშე დატოვა. ლა კორუნიაში კლაუს ტოპმიოლერის „ბაიერმა“ „დეპორტივოს“ 3:1 მოუგო და ევროპის რვა რჩეულ კლუბს შორის დაიბევა ადგილი, უფრო მეტიც — მასპინძლებს პირველობაც ჩამოართვა და მეოთხედფინალის პირველ მატჩს ესპანური კლუბისგან განსხვავებით სტუმრად გამართავს — რაც ცოტას არ ნიშნავს.

ამრიგად სამ ესპანურ, ორ-ორ ინგლისურსა და გერმანულ კლუბს ერთი ბერძნულიც გაერია. კვლავ იტალიური კლუბების გარეშე დარჩა ჩემპიონთა ლიგა; ლიგის უკანასკნელ სამ ფინალში სამად სამი ქვეყნის — ესპანეთის, გერმანიისა და ინგლისის კლუბებს უთამაშიათ, როგორც ჩანს, ამჯერადაც ასე იქნება — 15 მაისს გლაზგოში ბერძნული „პანათინაიკოსის“ ადგილი ალბათ არ იქნება...

### A ჯგუფი

ბოავიშტა-მანჩესტერი 0:3
ბაიერნი-ნანტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 3 | 3 | 0 | 13:3 | 12 |
| ბაიერნი | 6 | 3 | 3 | 0 | 5:2 | 12 |
| ბოავიშტა | 6 | 1 | 2 | 3 | 2:8 | 5 |
| ნანტი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | 2 |

### C ჯგუფი

პანათინაიკოსი-რეალი 2:2
სპარტა-პორტუ 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:5 | 16 |
| პანათინაიკ. | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| სპარტა | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | 6 |
| პორტუ | 6 | 1 | 1 | 4 | 3:6 | 4 |

### B ჯგუფი

გალათას.-ბარსელონა0:1
ლივერპული-რომა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| ლივერპული | 6 | 1 | 4 | 1 | 5:5 | 7 |
| რომა | 6 | 1 | 4 | 1 | 7:6 | 7 |
| გალათასარ. | 6 | 0 | 5 | 1 | 5:6 | 5 |

### D ჯგუფი

დეპორტივო-ლევერკ. 1:3
იუვენტუსი-არსენალი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზ. | 6 | 3 | 1 | 2 | 11:11 | 10 |
| დეპორტივო | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 |
| არსენალი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| იუვენტ. | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |

## მეოთხედფინალის წილისყრა

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურზე არანაკლებ საინტერესო ამბავი პარასკევს მოხდა — შვეიცარიულ ნიონში მეოთხედფინალისტები დააწყვილეს. ბედია თუ უბედობა, ბედისწერამ კვლავ მადრიდის „რეალი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ გადაჰყარა ერთმანეთს. შარშან და შარშანწინ ეს გუნდები ნახევარფინალში ხვდებოდნენ და მათ შორის გამარჯვებული თასსაც ეუფლებოდა. უკანასკნელ ორ წელიწადში „ბაიერნი“ და „რეალი“ ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, აქედან ხუთი შეხვედრა გერმანელებმა მოიგეს, — ბურთების საერთო შეფარდებით 14:7, „ბაიერნის“ სასარგებლოდ — საინტერესო სტატისტიკაა. „ჩვენ შორის გამარჯვებული ლიგას მოიგებსო“ — განაცხადა ემილიო ბუტრაგენიომ — „რეალის“ წარმომადგენელმა კენჭისყრაზე, რა გასაკვირია, რომ მას „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა, კარლ ჰაინც რუმენიგემაც კვერი დაუკრა. „რეალისა“ და „ბაიერნის“ ომი რაც იქნება, ადვილი წარმოსადგენია, თუმცა, არც სხვა წყვილებია უინტერესო. ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედს“, ხავიერ ირურეტას „დეპორტივოსთან“ რევანშის აღება მართებს — პირველ ჯგუფურ ეტაპზე „დეპორმა“ ორჯერ სძლია „მანჩესტერს“, თუმცა ახლანდელისგან განსხვავებით, მაშინ „იუნაიტედს“ მცირე ჩავარდნა ჰქონდა. საინტერესო წყვილია „ლივერპული“-„ლევერკუზენიც“, გუნდების კლასთან ერთად იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საპასუხო შეხვედრას გერმანელები შინ გამართავენ, კლუბების ნახევარფინალში გასვლის შანსები დაახლოებით თანაბრად უნდა შეფასდეს. ყველაზე უკეთ „ბარსელონას“ აქვს საქმე, ყოველ შემთხვევაში „პანათინაიკოსზე“ უკეთეს ვარიანტს კატალონიელები ვერ ინატრებდნენ. კარლოს რექსაჩის გუნდი მეორე თამაშს შინ, საკუთარ „კამპ ნოუზე“ ატარებს, რაც „ბარსას“ დამატებით უპირატესობას ანიჭებს.

**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) – ბარსელონა (ესპანეთი)**
**ბაიერნი (გერმანია) – რეალი (ესპანეთი)**
**დეპორტივო (ესპანეთი) – მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)**
**ლივერპული (ინგლისი) – ლევერკუზენი (გერმანია)**

I მატჩები გაიმართება 2-3 აპრილს, საპასუხოები — 9-10 აპრილს

### ნახევარფინალები

პანათინაიკოსი ან ბარსელონა — ბაიერნი ან რეალი
დეპორტივო ან მანჩესტერ იუნაიტედი — ლივერპული ან ლევერკუზენი

I მატჩები გაიმართება 23-24 აპრილს, საპასუხოები — 30 აპრილს და 1 მაისს

### ფინალი

15 მაისი, გლაზგო „ჰემპდენ პარკი“

## უეფას თასი მეოთხედფინალი. საპასუხო შეხვედრები

ვალენსია (ესპანეთი) – ინტერი (იტალია) 0:1 (1:1)
ფეინოორდი (ჰოლანდია) – პსვ (ჰოლანდია) 1:1 (1:1) პენ 5:4
დორტმუნდი (გერმანია) – ლიბერეცი (ჩეხეთი) 4:0 (0:0)
მილანი (იტალია) – ჰაპოელი (ისრაელი) 2:0 (0:1)

სანახავად დიდებული გამოდგა „ვალენსია“-„ინტერის“ საპასუხო დუელი. იტალიელმა ვენტოლამ მეორე წუთზევე გახსნა ანგარიში და ვინ იფიქრებდა, რომ ეს გოლი ამ შეხვედრაში უკანასკნელი იქნებოდა. „ვალენსია“ 90 წუთი უტევდა, მაგრამ უშედეგოდ. დაძაბულობამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა „ინტერს“ მეკარე ტოლდო გაუძევეს, მეკარეობა ყოფილმა ვალენსიელმა ფარინოსმა ითავა და კარი მშრალადაც შეინახა, შედეგად ჰექტორ რაულ კუპერის ახლანდელმა გუნდმა, კუპერისავე ყოფილი გუნდი ნახევარფინალის მიღმა დატოვა. დრამატული იყო ფეინოორდისა და ეინდჰოვენის საპასუხო შეხვედრაც. მასპინძლებმა უკანასკნელ წუთზე გაათანაბრეს ანგარიში და შემდეგ პენალტების სერიით იმარჯვეს. დამარცხებულთაგან ერთადერთი გამოუყენებელი პენალტის ავტორი ჩვენებური გიორგი გახოკიძეა. ებრაული „ჰაპოელი“ თავის თავს ველარ გადაახტა, „სან სიროზე“ „მილანმა“ საერთო გამარჯვებისათვის საკმარისი ორი გოლი გაუტანა სტუმრებს და მერე არც თავად გაიტანა და არც მეტოქეს გაატანინა. კიდევ უფრო იოლად გაუსწორდა მათიას ზამერის „ბორუსია“ ჩეხურ „ლიბერეცს“, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს.

## ნახევარფინალის წილისყრა

**ინტერი (იტალია) – ფეიენოორდი (ჰოლანდია)**
**დორტმუნდი (გერმანია) – მილანი (იტალია)**

I მატჩები გაიმართება 4 აპრილს, საპასუხოები — 11 აპრილს.
ფინალი. 8 მაისი. როტერდამი, „დე კუიპი“

# ყვარლის „დურუჯიდან“ ბრაზილიაში

*ბრაზილია და ფეხბურთის მექა დიდი ხანია სინონიმებად იქცნენ. ეს ქვეყანა ყოველწლიურად ერთმანეთზე უკეთეს ვარსკვლავებს ზრდის და მსოფლიოს აოცებს. თურმე, მხოლოდ 2001 წელს 783 ბრაზილიელი გადავიდა ევროპის სხვადასხვა კლუბში და აქედან ქვეყნის ბიუჯეტმა 115 მილიონი დოლარით იხეირა (?!). ეს ის ქვეყანაა, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატები უპირველესად პელესა და საფეხბურთო სამყაროს გულის მოგებით იკვლევენ გზას პოსტისკენ. ამ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია ჩვენი თანამემამულე გოჩა ალადაშვილი, კურიტიბას უნივერსიტეტში კითხულობს ლექციას სპორტის შესახებ და უმჭიდროესი კავშირი აქვს ბრაზილიური ფეხბურთის მამებთან.*

— **ბატონო გოჩა, როგორ აღმოჩნდით ბრაზილიაში?**

— მე ვიყავი მეკარე, ვთამაშობდი „დინამოში“, „ლოკომოტივში“, ყვარლის „დურუჯში“ და შემდეგ იქვე მწვრთნელის თანაშემწედ ვმუშაობდი. 90-იანი წლების დასაწყისში მიმავლინა ცხონებულმა ნოდარ ახალკაცმა მოსკოვის მწვრთნელთა სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ რეკომენდაცია მომცეს ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. მოსკოვში ჩემთან ერთად სწავლობდნენ ანტონიო კარლოს გომესი, რომელიც ბრაზილიის ახლანდელი ჩემპიონის „ატლეტიკო პარანაისის“ მწვრთნელ-კოორდინატორია და ეკტორ პალმარესი. მაშინ დავმეგობრდით და სწავლის დამთავრებისთანავე ბრაზილიაში მიმიწვიეს. მართალია, თავიდან ენის უზარმაზარ პრობლემას წავაწყდი, მაგრამ ესეც გადავლახე და ამჟამად ფეხბურთის თემაზე ქალაქ კურიტიბას უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობ და უკვე შვიდი წელია აქ ვცხოვრობ.

— **როგორც მივხვდი, მწვრთნელობას ხელი სწავლამდე მოჰკიდეთ...**

— დიახ, ასეა, „დურუჯში“ ოთარ გაბელიას და ჯემალ მახარაშვილს ვეხმარებოდი. მაშინ გადავწყვიტე მწვრთნელობის თეორიული საფუძვლების ათვისება. პრაქტიკა თეორიის გარეშე წარმოუდგენელია. სხვათა შორის, მანამდე ფიზკულტურის ინსტიტუტიც დავამთავრე. მომავალში მწვრთნელად მუშაობაც მსურს, მაგრამ ბრაზილიაში ეს საკმაოდ ძნელად განსახორციელებელი იდეაა.

— **რატომ?**

— მაფიოზური სისტემაა, რომელშიც უცხოს შესვლა საკმაოდ რთულია. ერთი ხანობა მწვრთნელად მაინც ვმუშაობდი. მე და ჩემმა მეგობარმა ედსონმა მეორე ჯგუფის გუნდი ჩამოვაყალიბეთ და პარანას შტატის ჩემპიონატში გამოვდიოდით, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო გუნდი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. სხვათა შორის, ამ გუნდიდან ერთი წლის წინ „ლოკომოტივში“ ჰიდეო გარსია ისინჯებოდა.

— **შემთხვევით „დინამოს“ ბრაზილიელიც თქვენი რეკომენდაციით ხომ არ მიიღეს?**

— მართალია, გია ფირცხალავა ჩემი მეგობარია, მაგრამ ტრანსფერი უფრო მისი და ერთი ბრაზილიელი მენეჯერის დამსახურებაა. სხვათა შორის, მიკვირს, რომ „დინამოს“ ვერ მოერგო ვანდერლეი, რომელიც კარლოსზე ნაკლები ფეხბურთელი არ გახლავთ.

— **ალბათ, თქვენს კავშირებს ქართულ ფეხბურთსაც მოახმართ...**

— რა თქმა უნდა, ეს ჩემი ოცნებაა. ბრაზილიასთან დაახლოება ისევ ჩვენს ფეხბურთს წაადგება. პროფესიონალ მწვრთნელთა კონგრესებში ლექციებს ვკითხულობ. მაისის ბოლოს სან-პაულოში საერთაშორისო კონგრესი ჩატარდება, ჩავლენ არგენტინელი სპეციალისტები, „სან-პაულოს“, „ფლამენგოს“, „პალმეირასის“ მწვრთნელები და მათაც წავუკითხავ ლექციას. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ გარკვეული კავშირები მაქვს და თუკი საქართველოში ვინმე მის გამოყენებას მოისურვებს, დიდი სიამოვნებით დავეხმარები.

— **თუნდაც ფეხბურთელების ჩამოყვანაში?**

— საქართველოს რივალდოს დონის ფეხბურთელის ჩამოყვანა გაუჭირდება, რადგანაც ასეთ ტალანტებზე იტალიური, ინგლისური, ესპანური გრანდები ნადირობენ. თუკი მათნაირ პირობებს ქართული კლუბებიც შესთავაზებენ — წარმოვიდგინოთ, რომ ასეც შეიძლება მოხდეს. თუმცა, ვარსკვლავების გარდა, არიან სხვა მოთამაშეებიც, რომლებიც საქართველოში თავს ნამდვილად არ შეირცხვენენ. მე მზად ვარ ქართველობას მათთან გზა გავუკვლიო. მალე ბრაზილიაში „დინამოს“ აღმასრულებელ დირექტორს, გია ფირცხალავას მივიწვევ და „დინამოსთვის“ სასარგებლო თემებზე ვისაუბრებთ.

— **ფირცხალავას ვიზიტი რა მიზანს ისახავს? შემთხვევით „დინამოს“ ბრაზილიურ ტურნეს ხომ არ გეგმავთ?**

— ამაზე ჯერ არ გვისაუბრია, მაგრამ არ არის გამორიცხული. ამასთანავე კურიტიბას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას უკვე ვესაუბრე თბილისის სპორტის აკადემიასთან თანამშრომლობის თაობაზე და ოთხ-ხუთ თვეში, იმედია, მათ შორის ხელშეკრულებაც გაფორმდება.

— **ბრაზილიელ მწვრთნელთა საქართველოში მუშაობაზე თუ გქონიათ ქართველებთან საუბარი?**

— სხვათა შორის, ახლახან სულ თავისუფლად შეიძლებოდა კარლოს ალბერტოს ჩამოყვანა. გახსოვთ, ალბათ, იგი 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონად აღზევებულ ბრაზილიის ნაკრებში პელესა და სხვა ვარსკვლავების გუნდის კაპიტანი გახლდათ. მან კარიერის შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი, „ფლამენგოს“ წვრთნიდა, მაგრამ გუნდში ფინანსურ კრიზისს დიდი არეულობა მოჰყვა, შეიძლება კლუბის პრეზიდენტიც დაიჭირონ და კარლოს ალბერტო გუნდიდან წამოვიდა, კლუბს ეძებდა და შემეძლო, დაინტერესებული ქართული კლუბისთვის შუამავლობა გამეწია. თუმცა, მე ვერავის დავაძალებ, გინდა თუ არა ბრაზილიელი წაიყვანეთ-მეთქი.



ვანდერლეი ლუქსემბურგოსთან (მარჯვნივ) ერთად

— **ბატონო გოჩა, ახლა პირადად თქვენზეც გკითხავთ. როგორ შეეგუეთ ბრაზილიას, ცხოვრების განსხვავებულ დინამიკას, მსოფლმხედველობას, მოკლედ, კარნავალის ქვეყანას.**

— რა გითხრათ, აბა... მეშვიდე წელია ბრაზილიაში ვცხოვრობ, საქართველოში არ ვყოფილვარ და ნოსტალგია მღრღნის და მკლავს. ფეხბურთი აქ არის ყველაფერი, ფეხბურთისადმი არანორმალური სიყვარული მაძლებინებს. შეიძლება კაცი შიმშილით კვდებოდეს, მაგრამ ღმერთს საჭმლის ნაცვლად, საყვარელი კლუბის გამარჯვებას ევედრებიან. ეს არის ფეხბურთის, დროს ტარებისა და კარნავალის ქვეყანა.

— **ბრაზილიაში მართლაც სჯერათ, რომ 1998 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ფრანგებთან რონალდომ გაყიდა?**

— ეს თემა ღრმად გამოიძიეს, მაგრამ საბოლოო დასკვნა მაინც ვერ გამოიტანეს. რონალდო ცუდად იყო ფინალამდე, მწვრთნელი ექიმს ენდო, შემადგენლობაში მაინც დააყენეს და ამაზე ატყდა ერთი ამბავი.

*ლაშა დუმბაძე*

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მe3-f1!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.



# 2003 წლიდან „ფეტიშიზმი“ გაგრძელდება?



ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი აქვს ფრანგულ ფირმა „ვენტურეს“, რომელმაც ამას წინათ გამართულ ჟენევის ავტოსალონზე ახალი სპორტული კუპე „ფეტიში“ წარადგინა. იმის გამო, რომ მოდელმა ძალიან დიდი მოწონება და აჟიოტაჟი გამოიწვია, ფირმის მენეჯერებმა გადაწყვიტეს, მანქანა უკვე მომავალი წლიდან ჩაუშვან სერიულ წარმოებაში. ფირმა „ვენტურე“ აქამდე „ფერარის“ და “პორშეს“ ექსტრემალური ვერსიების წარმოებით იყო ცნობილი. რაც შეეხება „ფეტიშს“, მისი პროექტირება თავიდან ბოლომდე „ვენტურის“ საკონსტრუქტორო ბიუროს ეკუთვნის. ამ უკანასკნელის მენეჯერთა გამოთვლებით დაბალი ფასის, ეკონომიურობისა და დიზაინის გამო „ფეტიში“ მალე იქცევა საყოველთაო ავტომობილად. „ავტოსალონის“ წინა გამოშვებაში მკითხველს „ოპელის“ ანალოგიურ პროექტზე მოვუთხრობდით, რომელიც მარცხით დამთავრდა — გერმანელმა ავტომშენებლებმა მოდელი სულ რამდენიმე თვეში ამოიღეს წარმოებიდან, რადგან იაფფასიანი „სუპერსპორტული“ ავტომობილი არავის სჭირდებოდა. როგორც ჩანს, „ფეტიშის“ მთავარი კოზირი ეკონომიური ძრავა იქნება — ჟენევის ავტოსალონზე მოსული დამთვალიერებლები გაოცებას ვერ ფარავდნენ, როდესაც მკაცრად სპორტული იმიჯის მქონე ავტომობილის კაპოტქვეშ 4-ცილინდრიან, 2,0 ლ მოცულობის მოკრძალებულ ძრავას ნახულობდნენ.

# Cherokee-Liberty-მ და KIA SEDONA-მ ანტირეკორდი დაამყარეს...

მინივენმა „კია სედონამ“ ყველაზე ცუდი შედეგები აჩვენა სპეციფიკური, დაბალსიჩქარიანი შეჯახების ტესტში (ე.წ. „ნელი კრაშ-ტესტი“).

ტესტის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ავტომობილი ძალიან დაბალ, 8კმ/სთ სიჩქარეზე ბეტონის კუბს ეჯახება, რის შემდეგაც ავტომობილის დაზიანების ღირებულებას ითვლიან. ტესტის მონაწილე თითოეული ავტომობილი 4 ეტაპს გადის.



საერთო ჯამში „კია სედონამ“ 10 ათასი დოლარის ზარალი „დააგროვა“, რაც სამჯერ მეტია ასეთ შემთხვევებში ნორმად მიღებულ ზარალზე. ამ თანხის უდიდესი წილი არასწორად კონსტრუირებულ უსაფრთხოების ბალიშებზე მოდის — პირდაპირი შეჯახების დროს, 8 კმ/სთ სიჩქარეზე ყველა ბალიში გაიხსნა (ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით ეს 15-16კმ/სთ-ზე უნდა ხდებოდეს). ესეც არაფერი — მგზავრის უსაფრთხოებისთვის გათვალისწინებულმა ბალიშმა გაბერვის შემდეგ საქარე მინა, „პარპრიზი“ ჩაამსხვრია და საგრძნობლად დააზიანა ხელსაწყოების პანელი. რა თქმა უნდა, კარგი დღე არც მგზავრის როლში მყოფ მანეკენს დაადგებოდა. წარმატებები მოდელს არც უკუსვლის ტესტის დროს ჰქონია — უკნიდან პირდაპირი შეჯახების შედეგად „ბამპერმა“ არათუ ჩაახშო შეჯახების ძალა, არამედ უკანა კარიც კი დააზიანა(!). მთლიანობაში, ანალოგიური „წარმატება“ ჰქონდა „კრაისლერის“ ახალ ჯიპს, „ლიბერტისაც“, რომელიც საავარიო დანახარჯებით მეორე ადგილზე გავიდა — 5.667 დოლარი დააგროვა.

# „პორშე“ „კრაისლერს“ უჩივის...



„პორშეს“ ადვოკატმა სარჩელი აღძრა „კრაისლერის“ წინააღმდეგ, სარეკლამო ვიდეოკლიპის გამო. კლიპში „პორშე“ ტრასაზე მოლოღიალე ავტომობილად არის გამოყვანილი, რომელიც მოძრაობაში ხელს უშლის „დოჯ დურანგოს“.

„ჩვენ უფლება არ გვაქვს, ხმა არ ავიმაღლოთ მტკნარი სიცრუის წინააღმდეგ, რომელსაც „კრაისლერის“ ფირმა მიმართავს. — მას ჩვენი იმიჯის ხარჯზე სურს რეკლამა გაუწიოს თავის პროდუქციას“, — აღნიშნა „პორშეს“ იურისტ-კონსულტმა. 2002 წლის კატალოგში მოყვანილი მონაცემების მიხედვით, კლიპში ნაჩვენები „პორშეს“ მოდელი 100 კმ/სთ-ს 5,0 წამში ავითარებს, მაშინ, როდესაც „დურანგოს“ ყველაზე მძლავრ მოდიფიკაციას საამისოდ სულ მცირე 8,6 წამი სჭირდება.

# BMW-ს მე-7 სერიის ახალი მოდელი არასაიმედოა?

გერმანიის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ფართოდ აჟიტირებულ-რეკლამირებული BMW-ს ახალი მოდელი არცთუ კარგად იყიდება. უფრო მეტიც, არატრადიციული დიზაინის მქონე ავტომობილს გერმანელი მომხმარებლები არასაიმედოდ თვლიან. ამას ალბათ, ავტომობილში გამოყენებული ნოვაცია — მართვის ორივე სისტემაც უწყობს ხელს, რომელსაც საზოგადოება ჯერ მიჩვეული არ არის. ავტოკონცერნის მენეჯერთა განცხადებით, ყველაფერში დამნაშავე „შავი PR“-ია. საქმე ის გახლავთ, რომ მოდელის გამოსვლისა და მისი სარეკლამო კამპანიის დასრულებას ერთ-ერთი ცნობილი გერმანული ავტოჟურნალის მიერ ჩატარებული ტესტი მოჰყვა, რომელმაც მოდელში მრავალი გაუმართაობა აღმოაჩინა. ძალიან სწრაფად და შეუმჩნევლად ჯდებოდა აკუმულატორი, რომელზეც სხვა მრავალთან ერთად, სადგომი მუხრუჭიც იყო დამოკიდებული (ის ელექტრობაზე მუშაობს). გარდა ამისა, მალალ ბრუნვებზე მოულოდნელად ეცემოდა ძრავის სიმძლავრე, წყობიდან გამოდიოდა ელექტრონული სისტემების მაჩვენებლები, დისტანციური მართვის ხელსაწყოები და ა.შ.



ბავარიელი კონსტრუქტორები ჟურნალისტებთან მარცხის შეგუებას არ აპირებენ. მათი განცხადებით, ავტომობილში ყველა შესაძლო გაუმართაობა აღმოფხვრილია. რაც შეეხება ორივე ნოვაციურ სისტემას, მის გასაცნობად ახლო მომავალში ფართომასშტაბიანი სახალხო სწავლება-ტესტირებაა დაგეგმილი.

# ახალი „გაზელი“



მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული წარმოების „გაზელის“ მარკის მიკროავტობუსები დიდი პოპულარობით სარგებლობენ, ევროპიდან შემოყვანილი ძველი მოდელები, როგორც ჩანს, მას მაინც ძლიერ კონკურენციას უწევენ. ეს არც არის გასაკვირი. ტრადიციული შეხედულება, რომ კარგი გზებისთვის გათვალისწინებული ევროპული მანქანები საბჭოურ საგზაო ბაქანალიას ვერ გაუძლებდნენ, მიკროავტობუსებზე არ გავრცელდა — „ფორდის“, „მერსედესის“ და „ფოლკსვაგენის“ მარკის 10-20 წლის მოდელებმა შესანიშნავად გაართვეს თავი დაკისრებულ „რთულ ამოცანას“, რაც ჩვენს დანგრეულ გზებზე ტრანსპორტირებაში გამოიხატებოდა. ალბათ, ამის გამო, „გაზელმა“ სერიოზული ცვლილებები განახორციელა და საკმაოდ საინტერესო, გაუმჯობესებული მოდელიც მიიღო. ცვლილებები ძირითადად დიზაინს შეეხო, თუმცა აქედან გამომდინარე, სალონშიც გამოთავისუფლდა ადგილი და „კაპოტქვეშაც“, რათა უკეთესი მახასიათებლების ძრავა დაემონტაჟებინათ. რუსი კონსტრუქტორები ახალ მიკროავტობუსზე ABS-ის სისტემის დაყენებასაც გეგმავენ, თუმცა, რამდენად საიმედო იქნება იგი, ძნელი სათქმელია. ჯერჯერობით, ახალი მოდელის ფასი ცნობილი არ არის.

# მობილური ტელეფონით საუბრისთვის — თავისუფლების აღკვეთა...



შესაძლებელია, ასეთი კანონი მიიღოს ტაილანდის პარლამენტმა, რომელიც ავტომობილის მართვისას მობილურზე საუბრისთვის 3 თვემდე პატიმრობას ითვალისწინებს. საინტერესოა, რომ ანალოგიური სარჩელი ემუქრება მათ, ვინც საჭეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მიუჯდება. ჯერჯერობით დაუდგენელია, ვინ განსაზღვრავს ქუსლის სიმაღლის დასაშვებ ნორმას, მაგრამ ტაილანდის საგზაო პოლიცია მიიჩნევს, რომ ერთობ მოდური, მაღალპლატფორმიანი ფეხსაცმელი და მობილური ტელეფონი ყველაზე ხშირად ხდება ავტოკატასტროფის მიზეზი. აღნიშნული კანონპროექტი უკვე მოიწონა ტაილანდის მთავრობამ და განსახილველად პარლამენტს წარუდგინა.



## პავაროტის მოძრაობა უჭირს



დიდი იტალიელი ტენორი ლუჩანო პავაროტი ძალიან გასუქდა — უკვე 160 კგ-ს იწონის და დამოუკიდებლად მოძრაობა უჭირს. ამას წინათ ბარბადოსში ისვენებდა და ზღვაში ორი კაცის დახმარებით შევიდა, თუმცა ტალღებში ყოჩაღად ჭყუმპალაობდა და 26 წლის ნიკოლეტა მანტოვანის კოცნიდა. უსაშველოდ მორცხვ მომღერალს ზღვაშიც კი არ გაუხდია უზარმაზარი შავი მაისური. ნიკოლეტა ძალიან ცდილობს, დაეხმაროს მომღერალს, მასთან ერთად შიმშილობს, ვარჯიშობს, გმირობისკენ აქეზებს. შესაძლებელია, კონსულტანტებისა და ერთგული ქალის დახმარებით დიდმა ტენორმა შეძლოს თუნდაც რამდენიმე კილოგრამის დაკლება.

*მეგაპოლის-ექსპრესი №20*



## ქალაქისთავი მინი-კაბებს ებრძვის

ბრაზილიის ქალაქ აპასერიდას ქალაქისთავმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქალაქის მკვიდრთა შორის ზნეობის დაცემას. მისი რისხვა განსაკუთრებით დაატყდათ თავს იმ თავქარიან მოქალაქეებს, რომლებიც ქუჩაში (ამასთან, კათოლიკური მარხვის დღეებში) მინი-კაბებით, ბერმუდებითა და სხვა „არასერიოზული“ სამოსლით დაბრძანდებიან. ამიტომ პრეფექტმა საკანონმდებლო პალატაში ახალი კანონი გააგზავნა დასამტკიცებლად. ამ დოკუმენტის თანახმად, დიდმარხვის დროს შეუფერებლად ჩაცმული მოქალაქეები ჯარიმად 50 რეალს (დაახლოებით 20 დოლარს) გადაიხდიდნენ. ამით ხაზინაც გამდიდრდება და მორალიც განმტკიცდებაო, ასე ფიქრობდა პრეფექტი. ადგილობრივმა დეპუტატებმა ჭკუა იხმარეს და ხაზინის მინი-კაბების ხარჯზე გამდიდრება უარყვეს. მას თავაზიანად აუხსნეს, 21-ე საუკუნე დადგა, ქვეყანაში დემოკრატია ზეიმობს და მოქალაქეებსაც როგორც მოესურვებათ, ისე ჩაცმულები ისეირნებენ, მიუხედავად იმისა, მოდის თუ არა რომელიმე ეკლესიური დღესასწაულიო.

*ვოკრუგ სვეტა*

## იგლესიასის ახალი სიყვარული



ცნობილი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა და მომღერალი ენრიკო იგლესიასი ახლა განუყრელნი არიან და არც მალავენ სიყვარულს. ქალების კერპს, ენრიკე იგლესიასს ანა თურმე ორი წელია, რაც მოსწონს, მაგრამ ვერაფრით გამოსტყდომია(!). ფსიქოლოგიური ბარიერი მორცხვმა მომღერალმა ლოს-ანჯელესში ახალი კლიპის გადაღების დროს გადალახა. „ასეთი გრძნობით არც ერთი კლიპი არ გადამიღია“, — აღიარა იგლესიასმა. ახლა ვარსკვლავური წყვილი ახალი პროექტების განხორციელებაზე ფიქრობს.

*ოტდოხნი! №10*

## ყველაზე სექსუალური წყვილი

პოლონურმა ყოველკვირეულმა პოლიტიკურმა გაზეთმა გამოკითხვა ჩაატარა ყველაზე სექსუალური პოლიტიკური წყვილის გამოსავლენად.

მამაკაცებს შორის ლიდერობს პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი — მას გამოკითხულთა 66% მიიჩნევს სექსუალურ მამაკაცად, მხოლოდ 29%-ს არ მოსწონს თავისი პრეზიდენტი, როგორც მამაკაცი. პოლიტიკური ოლიმპის ქალებს შორის ერთპიროვნულად ლიდერობს პრეზიდენტის მეუღლე — ულამაზესი იოლანტა კვასნევსკა. მის სექსუალურობას პოლონელთა 91% აღიარებს, მხოლოდ 7%-ია საწინააღმდეგო აზრისა.

*მეგაპოლის-ექსპრესი №9*



## [illegible]

30-იანი წლებიდან მოყოლებული ბრიტანეთის დედოფლის ყველა სამოსი ჰარდი ემისის ატელიეში იკერებოდა. და, აი, 70 წლის შემდეგ ინგლისის ტრადიციების მფარველმა თავის გარეგნობაში რალაცის შეცვლა გადაწყვიტა. მისი უდიდებულესობის ახალი მკერავი გახლავთ დიზაინერი სტიუარტ პარვინი. პირველად მან დედოფალს შარშან იამაიკაზე ვიზიტისთვის ჩააცვა. ამას მეორე შეკვეთა მოჰყვა. „მეფის მდივანი ზაფხულში დაგვიკავშირდა და გვთხოვა დედოფლის ახალი გარდერობისთვის იდეები წარმოგვიდგინეთო, — ამბობს პარვინი, — ვეცადე ყველა კაბა და აქსესუარი, რაც შეიძლება უბრალო და ელეგანტური ყოფილიყო. გვინდოდა დედოფალი ჩვენ მიერ შექმნილ სამოსს გაეახალგაზრდავებინა, გაელამაზებინა და ამავე დროს მისი მეფური დიდებულება წარმოეჩინა“.

ეს რევოლუციური გადაწყვეტილება, როგორიც არის მკერავის შეცვლა, დედოფალს ადვილად არ მიუღია, თუმცაღა ჰარდი ემისი იმედს არ კარგავს. იცის, რომ მის მომსახურებაზე დედოფალი უარის თქმას არ აპირებს.

*დენგი №8*

## ზეჩქაროსნული სექსი

უდიდეს სადაზღვევო კომპანია „ლოიდში“, როგორც ახლახან გაირკვა, ზეჩქაროსნულ ლიფტებს თანამშრომლები არა მარტო პირდაპირი დანიშნულებით ხმარობენ: ფართო კაბინები თურმე საუკეთესო ადგილია ზეჩქაროსნული სექსისთვის. სამსახურებრივი რომანით შეპყრობილ წყვილებს საამისოდ სულ 45 წამი აქვთ — სწორედ ამდენი დრო სჭირდებათ, რომ ქვედა სართულიდან ბოლო სართულამდე აიქროლონ.

ეს ამბავი ლიფტების კონსტრუქციის თავისებურებამ გამოიტანა სააშკარაოზე — ლიფტს გამჭვირვალე კედლები აქვს და შენობის ფასადზეა დამონტაჟებული. გამოდის, კომპანიის თანამშრომლები სექსით გამვლელთა თვალწინ ტკბებოდნენ. სექსდამნაშავეთა გამოვლენას მძლავრი ფოტოკამერის ობიექტივი დასჭირდა. თუმცა ლიფტის ამ დანიშნულებით გამოყენების შესახებ ლიფტიორებსა და დაცვასაც სცოდნიათ, მაგრამ ხელმძღვანელობისთვის არც ერთს არაფერი უცნობებია. გასაკვირი არცაა — ვინ იტყოდა უარს პიკანტური სცენების ხილვაზე, თანაც უფასოდ?!

*ეხო პლანეტი №10*



## ლოთი გოჭუნა

ინგლისელი ფერმერები ჯიბსონები ერთხელ ვაშლის ღვინოს ხდიდნენ. სიდრის სურნელმა ისე გააბრუა ოჯახის ნებიერი გოჭი ლუსი, რომ თავი ვერ შეიკავა და კინაღამ კასრში ჩავარდა. პატრონმა გასართობად ჯამით ღვინო დაუდგა. ლუსის არ დაუმორცხვებია — ეცა და თვალის დახამხამებაში შესვლიპა ღვინო. ასე გაგრძელდა მთელი თვე. ერთ მშვენიერ დღეს ჯიბსონები მიხვდნენ, ლუსი გალოთებულიყო. თავისი წილი სიდრის მისაღებად იქაურობას ჭყვიტინით იკლებდა. ოჯახი ახლა ეძებს ვეტერინარ-ნარკოლოგს, მაგრამ ასეთი მკურნალი ჯერ არსად ჩანს.

*ექსპრეს-გაზეტა №7*

## გასაბერი თოჯინა



ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა გოგონას ევა ვალუა ერქვა, თავს ულამაზოდ მიიჩნევდა და საშინლად განიცდიდა. ახალგაზრდა ევამ ბარის დისკოთეკაში დაიწყო მუშაობა და პირველი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. დაიწყო ცხვირით, მერე მიაყოლა ტუჩები, კისერი და შემდეგ მკერდსა და მუცელზე გადავიდა. მან სულ 26 ოპერაცია გაიკეთა, მათ შორის, 18 მკერდზე.

სილიკონის წყალობით ევას უზარმაზარი მკერდი გაუხდა, მაგრამ მაინც არ იყო კმაყოფილი.

ქირურგმა ევა გააფრთხილა, მკერდის შემდგომი გაზრდა საშიშიაო. ევას უკვე იმხელა მკერდი ჰქონდა, რომ თვითმფრინავით აღარ მგზავრობდა, რადგან სამართლიანად ეშინოდა, რომ ავიალაინერის სალონში წნევის ცვალებადობა მის გაბერილ მკერდს ააფეთქებდა.

ევამ გვარ-სახელი შეიცვალა და ლოლო ფერარი დაირქვა.

1975 წელს ლოლო ფერარიმ, რომელიც მანამდე სტრიპტიზ-კლუბებში მუშაობდა, კანის კინოფესტივალზე ამოყო თავი, სადაც მას ყურადღება მიაქციეს პორნოფილმების მწარმოებლებმა. ლოლოს ფოტოები გამოჩნდა მამაკაცების ჟურნალში, ინტერნეტში, მას რეკლამებშიც იღებდნენ.

ლოლოს ქმარს და მენეჯერს ერიკ ვეინს ცოლის ფანტასტიკურმა მკერდმა უზარმაზარი შემოსავალი მოუტანა.

ლოლოს ბავშვობის დროინდელი ოცნება აუსრულდა. მან თავი ლამაზ ქალად იგრძნო, მაგრამ უფრო მეტი მოინდომა, მხოლოდ ფული და მამაკაცთა თაყვანისცემა აღარ აკმაყოფილებდა. და მან გადადგა საბედისწერო ნაბიჯი, გადაიქცა უბედურ გასაბერ ქალად.

ლოლომ თავისი სხეული ისევ ისე შეიძულა, როგორც ოდესღაც, ფსიქიკურადაც დაავადდა და თავის მოკვლა გადაწყვიტა. დასაძინებელი წამალი დალია და სული განუტევა.

*ინტერპოლ-ექსპრესი №10*

## ბანდიტები როიალმა იმსხვერპლა

ჰელსინკის გარეუბანში ქურდები დაიჭირეს. ამ ჯგუფს რამდენიმე წელია ეძებს ფინეთის პოლიცია. ბანდას 20-ზე მეტი ბინა ჰქონდა გაქურდული, მაგრამ ისე ოსტატურად აკეთებდნენ თავიანთ „საქმეს“, რომ აქამდე ვერაფრით მოხერხდა მათი დაკავება. ბოლო ქურდობის დროსაც თითქოს ყველა წვრილმანი გაითვალისწინეს: საგასტროლოდ წასული ცნობილი პიანისტის ბინა ცარიელი იყო, ოჯახის წევრები აგარაკზე ისვენებდნენ. მძარცველებმა ოსტატურად გამორთეს სიგნალიზაცია, შევიდნენ ბინაში, მოაგროვეს ძვირფასეულობა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი: 18 წლის ბანდიტის ყურადღება დიდებულმა საკონცერტო როიალმა მიიპყრო, რომელიც მისაღებში იდგა. ინსტრუმენტი იმდენად კარგი იყო, რომ ნორჩმა ქურდმა, რომელსაც მსგავსი არაფერი ენახა, მაშინვე მას მიაშურა და ისე დააცხრა კლავიატურას, რომ ყურისწამღებმა ბრახუნმა მეზობლები დააეჭვა, რადგან ამ ბინიდან ყოველთვის სასიამოვნო მელოდია იღვრებოდა და პოლიცია გამოიძახეს...

*მირ ნოვოსტეი №6*

## პითონი ფილმმა გააგიჟა



კოლორადოელი რიკ ბარბერი თავისი საყვარელი 3-მეტრიანი პითონის მსხვერპლი გახდა. მონტი მშვიდი და კეთილი ქვეწარმავალი იყო, მაგრამ ახირება ჰქონდა — გიჟდებოდა ტელევიზორის ყურებისთვის. ყოველ საღამოს მონტი პატრონის ფეხებთან დაიგორგლებოდა და თვალს არ აშორებდა ეკრანს. ერთ საღამოს მეზობელი ესტუმრათ. საშინელებათა ფილმს ერთად უყურეს. შემდეგ მეზობელი გამოეთხოვა მასპინძელს. ცოტა ხნის შემდეგ მეზობელს განწირული ყვირილი მოესმა და სასწრაფოდ გამოიძახა პოლიცია. შეამტვრიეს ბარბერის ბინის კარი, მაგრამ უკვე გვიან იყო: მონტს პატრონი გაეგუდა.

მეზობელმა აცნობა პოლიციას, რომ საშინელებათა ფილმის ყურებისას პითონი უჩვეულოდ იქცეოდა: იშმუშნებოდა, სისინებდა და დროდადრო ნერვიულად ურტყამდა კუდს იატაკს.

*ნიუ ზუიქი*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში დავით გურამიშვილის ფრაზას ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ფ | გ | უ | უ | | ს | ი | ო | უ | ე | ე | ა | თ | ი | | | | | ნ | ე |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ.** გემის კურსიდან აცდენა; **ა.** ტალღების ზემოქმედებით ზღვის ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა; **ი.** ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; **ს.** რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ვ.** ხმლის ტარი; **ე.** უძველესი სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიაზე; **ნ.** ქართული ხალხური „ანტიბიოტიკი“; **ე.** ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზედაც დამნაშავეს სიკვდილით სჯიდნენ; **ჩ.** ძალზე ხმადაბალი საუბარი; **ვ.** რა ერქვა ჯულია რობერტსის პერსონაჟს მხატვრულ ფილმში „ლამაზი ქალი“; **ე.** იარლიყი; **ნ.** სახელგანთქმული ყავა; **თ.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ა.** სიმინდის სამშობლო; **ნ.** ზნე, ხასიათი; **ე.** დესპანი; **რ.** რაჭველების გაზეთი; **თ.** ცხოველთა ჯგუფი; **ა.** კავშირი; **დ.** მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკის“ სახელგანთქმული მეკარე.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ.** გოჩა; **ა.** არენდა; **ე.** ერმაკი; **რ.** რეიგანი; **თ.** თამადა; **ე.** ერუდიტი; **დ.** დესანტი; **ა.** ავიცენა; **დ.** დუკატი; **ა.** ამალთეა; **ი.** იუმორი; **ს.** სესია; **ვ.** ვიოლინო; **ე.** ეიფორია; **ნ.** ნალია; **ე.** ელიტა; **ჩ.** ჩიორა; **ვ.** ვასილი; **ე.** ექსცესი; **ნ.** ნიაგარა; **თ.** თიკუნი; **ა.** აგუტი; **ნ.** ნათლია; **ე.** ეგრისი; **რ.** რვეული; **თ.** თაბუნი; **ა.** ანანია; **დ.** დრაკონი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ჩემი მუსიკა მსოფლიოს საკუთრებაა.**

## №11 (285) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

№11 რეიტინგის საპრიზო ფონდი 300 ლარი იყო, სწორედ ამის გამო თემას — „ქართველი ბიზნესმენები“ რეკორდული რაოდენობა — 2001 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 772-მა ქალმა და 1219-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ქართველი ბიზნესმენის მიმართ ხართ ყველაზე მეტად კეთილგანწყობილი?“**

მკითხველთა 70-მა მაქსიმალური ქულით გოგი თოფაძე შეაფასა. მხოლოდ 2-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **7,45** საშუალო ქულით თოფაძე პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ლევან გაჩეჩილაძეა, საშუალო ქულაა 5,78. რესპონდენტთა 10-მა მიაკუთვნა მაქსიმალური — 8 ქულა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცოტა მინიმალური ქულა (1,27) სწორედ მას ხვდა წილად.

ბადრი პატარკაციშვილი 5,23 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით (14), მან უკან ჩამოიტოვა ლევან გაჩეჩილაძე.

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილი ადამიანებიდან ყველა წარმატებული ბიზნესმენია, მაგრამ საზოგადოების ყველაზე დიდი კეთილგანწყობა იმ მეწარმეებზე გადანაწილდა, პარლამენტის ტრიბუნიდანაც რომ იპყრობენ ყურადღებას. ადამიანთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად აუცილებელი ფაქტორია პატიოსანი ბიზნესი (შეგახსენებთ, რომ ჩვენს ერთ-ერთ გამოკითხვაში გოგი თოფაძე ყველაზე პატიოსან ბიზნესმენად დასახელდა) და საქველმოქმედო საქმიანობაც. თუმცა, სავარაუდოა, თოფაძე-გაჩეჩილაძის პირველი-მეორე ადგილები მათი პოლიტიკური მოღვაწეობითაც იყოს განპირობებული.

მკითხველმა შედარებით ნაკლები კეთილგანწყობა გამოხატა ავთანდილ წერეთლის, ნუგზარ შევარდნაძისა და ლევან პირველის მიმართ. ამ უკანასკნელს რესპონდენტთა უმრავლესობამ (53) მინიმალური — 1 ქულა დაუწერა.




საპრიზოს ზუსტად 16 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 70 წლის **მზია კანდელაკი,** 27 წლის **თამუნა ორჯონიკიძე,** 60 წლის **ირინა ჩხაიძე,** 45 წლის **სოფიკო დავლაშერიძე,** 50 წლის **თამრიკო ნადირაძე,** 9 წლის **ნიკა ტაბატაძე,** 36 წლის **თემური ცოფურაშვილი,** 22 წლის **არჩილ ლომჯარია,** 44 წლის **თემურ ქემოკლიძე,** 19 წლის **გიორგი მღვდლიაშვილი;** 18 წლის რუსთაველი **ჯაბა მესხიშვილი,** 62 წლის **ჯემალ რევაზიშვილი,** 42 წლის **ნაყიდა მურადაშვილი** (ორივე გორიდან), 21 წლის კასპელი **ვახტანგ კუდუხაშვილი,** 20 წლის ლანჩხუთელი **ბახვა დონდოლაძე** და 28 წლის ოზურგეთელი **ედიშერ მშვიდობაძე.**

საპრიზო ფონდი — 300 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 27 მარტს, 17 საათზე.

## №12 (286) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგში.

**№12 (286) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 27 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 28 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №12 (286) — მინისტრები

**რომელი მინისტრი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№12(286) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | მინისტრი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | როლანდ გილიგაშვილი | |
| 2 | კობა ნარჩემაშვილი | |
| 3 | დავით თევზაძე | |
| 4 | ვალერი ხაბურძანია | |
| 5 | ალექსანდრე კარტოზია | |
| 6 | ნინო ჩხობაძე | |
| 7 | ზურაბ ნოღაიდელი | |
| 8 | ლევან ძნელაძე | |
| 9 | დავით მირცხულავა | |

**მკითხველის რეიტინგი**

**დაასახელეთ მარტის თვის ყველაზე სკანდალური მოვლენა**

✓ __________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**რომელი ქართველი ჟურნალისტი (ტელე-რადიო-პრესა) მიგაჩნიათ ყველაზე პროფესიონალად?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | აკაკი გოგიჩაიშვილი | 22,9 % |
| 2. | ინგა გრიგოლია | 13 % |
| 3. | ნიკა ტაბატაძე | 12,6% |
| 4. | ეკა ხოფერია | 11,9 % |
| 5. | ნატო ონიანი | 5,6 % |
| 6. | ეკა ბერიძე | 5,2 % |
| 7. | ირაკლი ალადაშვილი | 4,9 % |
| 8. | ზურაბ მჭედლიშვილი | 4,1 % |
| 9. | ჯულიეტა ვაშაყმაძე | 2,9 % |
| 10. | დიმა ობოლაძე | 1,7 % |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 0,9% |
| | არც ერთი | 1% |





ქალბატონ რესპონდენტებთან პირველი სამეული ძირითადი რეიტინგის იდენტურია. რაც შეეხებათ მამაკაცებს, მათთან პროფესიონალ ჟურნალისტთა პირველი სამეული ასე გამოიყურება: **1. აკაკი გოგიჩაიშვილი; 2. ნიკა ტაბატაძე; 3. ინგა გრიგოლია.**

ჩვენს ორ მკითხველს კი, ყველა ჟურნალისტს „პროვოკატორი“ ურჩევნია ჟურნალ „გზიდან“.

***მკითხველის რეიტინგში 1644-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.***

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

__________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



**ნიკო ლეკიშვილი, ზურაბ ჟვანია**

**ლ.გ.** — აი ამხელაა, შავი და რვა ფეხი აქვს, თუ იცი რა არის?
**კ.დ.** — საიდან უნდა ვიცოდე?
**ლ.გ.** — არც მე ვიცი, მარა კისერზე კი გაზის.

***„როდენი“,***
***დედაქალაქი***

**ლ.გ.** — ვაგონი კი მიქრის ჩემო კობა, მაგრამ ყველა სადგურზე ის რომ დგას, რა ვქნათ?

***კოტე დათუაშვილი,***
***თბილისი***

**ლ.გ.** — კობა, თუ მოგიპარავს რამე?
**კ.დ.** — ლევან?!.
**ლ.გ.** — ჰოდა ძმაო, შენი ადგილი პარლამენტში კი არა, მონასტერშია. რას აცდენ ამ სკამს, როცა ირგვლივ ამდენი გაჭირვებულია?

***პაატა ნაზღაიძე,***
***რუსთავი***

**ლ.გ.** — ბიჭო, კობა, რა მოგივიდათ აქამდე, ვერ მოერიეთ თქვენს მასწავლებელს.
**კ.დ.** — რას მოერევი ტო?! კატის არ იყოს, არც მან გვასწავლა „ხეზე ცოცვა“.

***„ჭყონდიდელი“,***
***ქუთაისი***



**ლევან გაჩეჩილაძე, კობა დავითაშვილი**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 168 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ლ.გ.** — კობა, ველარ გავიგე სიმღერა გავაგრძელო, თუ პარლამენტში მოღვაწეობა, რას მირჩევ?
**კ.დ.** — რა გითხრა, ლამის არის მეც სიმღერა დავიწყო.

***ლეილა კერესელიძე,***
***თბილისი***

**ლ.გ.** — ჩემო კობა, ახლა მაინც რას იტყოდი მოქკავშირზე...
**კ.დ.** — არაფერს, მკვდარზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს.

***რევაზ რაზმაძე,***
***თბილისი***

**კ.დ.** — ლევან, შენ ძმაზე ნაწყენი ვარ, კლიპის გადაღებაზე რომ არ მიმიწვია.
**ლ.გ.** — რა გიყო, ჩემო კობა, რომც მიეწვიე, მატარებლის ტამბურში მაინც ვერ შეეტეოდი.

***მბურღავი „ჭია“,***
***ბორჯომი***

**კ.დ.** — ბატონო ლევან, თქვენი ღვინო დავლიე წუხელ და ეხლა თავი მტკივა, ალბათ არ ვარგოდა.
**ლ.გ.** — კობა, თავი შენ სხვა რამისგან გტკივა. ჩემი ღვინო კი ორნაირია, კარგი და საუკეთესო. მოიცა, თამადა სააკაშვილი გყავდათ? აბა, შე კაცო, გეტკინება თავი, მაშ რა იქნება?

***ზურა ქართველიშვილი,***
***თბილისი***

**ლ.გ.** — არ აგარტყა, ბიჭო?! შე ლაწირაკო, ყურებს აგახევ! ლავაშივით გაგაბრტყელებ!
**(ფიქრობს)** — ვა, რა კარგია ეს რეზინის დავითაშვილი, აგინე რამდენიც გინდა!

***ვახო,***
***დრანდა***

**კ.დ.** — ლევან, რა მოგივიდა, შენს თავს ელაპარაკები?!
**ლ.გ.** — ჩემს თავს კი არა, უჩინმაჩინს, ბიჭო, ეს მობილურიც იმის ნაჩუქარია, ხო მაგარია, ვერავინ ვერ ხედავს...

***დათო,***
***თბილისი***

## ფოტო განწყობისთვის



-ზის ლოდინის ხუნი მცემს...




## წინა სკანვორდის პასუხები






## ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).
„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ივანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ-თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაჟაშველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### (12) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა – 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№12 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 28 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## გაიგეთ?!

ევროპის თხუთმეტმა ქვეყანამ თავისი საჰაერო სივრცის გამოყენება აუკრძალა იმ თვითმფრინავებს, რომლებიც ძლიერი ხმაურით გამოირჩევა. ჯერჯერობით, ხმაურიან თვითმფრინავებს ფრენის ნება მხოლოდ პრაღამ და ვარშავამ დართო. ნავარაუდევია, აგრეთვე, ბილეთებზე ფასების 30-40%-ით მომატება. ასე, რომ მომავალ საზაფხულო ტურისტულ სეზონზე ბევრ ქვეყანაში გამგზავრება (ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია...) ძალზე გაჭირდება.

* * *

მამაკაცი ტყეში დაიკარგა, დარბის და ყვირის:

— აუ... აუ... ვინმეს ესმის ჩემი? ვინმეს ესმის ჩემი???



ამ დროს ბუნაგიდან დათვი გამოდის და ეუბნება:

— მე მესმის შენი. გაგისწორდა?!.

* * *

თუ მეზობლები ღამის სამ საათამდე გაწუხებენ ხმამაღალი მუსიკით, ნურაფერს ეტყვით.



დაელოდეთ, როცა მუსიკის ხმა მიჩუმდება, გათენებისკენ დაურეკეთ და მოახსენეთ, რომ აღტაცებული ხართ მათი ჩანაწერებით.

**ფირმა „ზერმუხა“**



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.